

მ. გორგაძე

**ნ ა რ კ ვ ე ე ბ ი  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ო რ გ ა ნ ი  
კ უ ლ გ უ რ ი ს ი ს გ ო რ ი ი ლ ა ნ**

ს უ ხ ი ლ შ ი ფ ი შ ო გ ა მ ო მ ც ა ე მ ლ ო გ ა  
„ს ა ბ ო რ თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“  
თ ბ ი ლ ი ს ი  
1959

## ფიზიკური კულტურა ძველ საქართველოში

### § 1. ფიზიკური კულტურა საქართველოში ბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანაში

ქართველი ხალხის წარმოშობაში ძირითადად მონაწილეობდა ის ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც უძველეს დროიდან დღევანდელი საქართველოსი და მისი მოსაზღვრე ტერიტორია ეჭირა. შემდეგში ზემოაღნიშნული ჯგუფი გამოეყო თავის მონათესავე წინა აზიის ხალხებს და მათგან დამოუკიდებლად განვითარდა. ეს ეთნიკური ჯგუფი თანამედროვე ქართველთა უშუალო წინაპრებია. ყოფილ უ რ ა რ ტ უ ს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიის ნაწილზე, ქართველ ტომების ქეთაურობით, შეიქმნა მსხვილი გაერთიანებები, რომელშიც, გარდა ქართველი ტომებისა, შევიდნენ იქ მცხოვრები ჰ უ რ ი ტ ე ლ ი . და უ რ ა რ ტ ე ლ ი ტომები და იმავე ტერიტორიის ზოგიერთ ადგილზე დასახლებული ს კ ვ ი თ უ რ ი წარმოშობის ტომები. ამ გაერთიანების შემადგენლობაში შესულა აგრეთვე მცირე აზიიდან შეღწეული ზოგიერთი ტომი (მაგალითად, მუსკები — მესხები). დროთა ვითარებაში ყველა ეს ტომი შეუერთდა ქართველ ტომებს და შევიდნენ ქართველი ხალხის შემადგენლობაში<sup>1</sup>.

თავისი ენით, კულტურითა და ანტროპოლოგიური ტიპით ქართველი ტომები ახლო ენათესავეებიან მესოპოტამიის, მცი-

<sup>1</sup> Г. М е л и к ш в и л ი, О происхождении грузинского народа, Тбилиси, 1952 г.

რე აზიისა და ირანის ძველი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის III—I ათასწლეულში წინა აზიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ერთობ საპატიო ადგილი ეჭირათ შუამერებს, ელამიტებს, ჰურიტებს, ურარტელებს და სხვ. ეს ტომები ქართველი ტომების ახლო მონათესავენი იყვნენ და ზოგიერთი მათგანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობდა.

ქართველთა მონათესავე წინა აზიის ტომებს შორის ადრე განმტკიცდა სოფლის მეურნეობა, დაწინაურდა ხელოსნური წარმოება, განვითარდა ხელოვნება. მაღალი კულტურის მქონე შუმერებმა პირველად გამოიგონეს ლურსმული დამწერლობა.

ამ ტომების მიერ შექმნილი ზოგიერთი სახელმწიფო იმდენად გაფართოვდა და გაძლიერდა, რომ მეტოქეობას უწევდა ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც ასურეთი იყო. ურარტელთა ახლო მონათესავე ჰურიტებმა შექმნეს სახელმწიფო მიტანი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XVI—XV საუკუნეებში იმდენად გაძლიერდა, რომ ასურეთი და ჩრდილო სირია დაიმორჩილა.

თავისი მამაცობით, გამბედაობითა და სხვა საბრძოლო თვისებებით ჰურიტები და ქართველთა სხვა მონათესავე ტომები საუკეთესო მეომრებად ითვლებოდნენ.

უძველესი ქართველი ტომები იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ შეუპოვრად ებრძოდნენ ასურეთის ძლიერ სამეფოს. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ 1-ლი თავის წარწერებში (ძვ. წ. 1100 წელი) პირველად მოიხსენიებს მუშქებს, ანუ მერმინდელ მესხებს. ეს უკანასკნელნი იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ზოგჯერ თვითონ ესწმოდნენ თავს ასურეთს და იმორჩილებდნენ მის თემებს. მუშქების ქვეყანა რამდენიმე სამეფოსაგან შედგებოდა, მაგრამ, იმავე წარწერის მიხედვით, საჭიროების დროს ისინი ერთად მოქმედებდნენ.

IX საუკუნის ასურულ ძეგლებში მოხსენებულია თუბალები, ხოლო შემდეგ კასკები (კოლხები).

ასურული წარწერების მიხედვით, ბრძოლა ქართველ ტომებთან ადვილი როდი ყოფილა, რადგან ისინი ურჩნი ყოფილან და ამასთან ერთად მამაცნი და კარგი მეომარნი. მათ ჰყავდათ საუცხოო ცხენოსანი ჯარი და უდავოა, ამ ტომების სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმეში ცხენოსნობას თვალსაჩინო ადგილი ექირა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ასურეთის მეფე სარგონი (ძვ. წ. VIII ს.). მას აღწერილი აქვს თავისი ლაშქრობა მანას ქვეყანაში და მოგვითხრობს, რომ აქ მცხოვრებთ მეცხენეობა-ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავთო. მართლაც, მანელები სპეციალურად წვრთნიდნენ ცხენებს საბრძოლო ეტლებში გასაბმელად, რითაც განცვიფრებაში მოჰყავდათ ასურელები. სარგონი აღნიშნავს აგრეთვე მანას მეომართა მამაცობასა და მათ შეუპოვარ წინააღმდეგობას.

აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „ტაბალები თავიანთ საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით იყვნენ განთქმულნი: აშურბანიპალი ამბობს, ტაბალს ხარკად მათი ქვეყნის სასიქადულო მაღალი ცხენები დაუწესეთო. ბერძენ და რომაელ მწერლების მოწმობითაც ეს ქვეყანა განთქმული იყო თავისი ცხენებით“<sup>1</sup>.

საქართველოს ძველი კულტურის შესწავლა საშუალებას იძლევა გავეცნოთ ქართველი ტომების სამხედრო იარაღსა და სამხედრო ხელოვნებას. იმდენად, რამდენადაც ფიზიკური მომზადება ამ პერიოდში უკვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხედრო საქმესთან, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ფიზიკური ვარჯიშობების თუ რა სახეობები იყო გავრცელებული ძველ საქართველოში და რა მიმართულება ჰქონდა ფიზიკურ კულტურას ამ პერიოდში.

ცნობილია, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველოში ორი კულტურული წრე გამოიყოფოდა: დასავლურ-ქართული

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951 წ., გვ. 22.

და აღმოსავლურ-ქართული. აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით ბრინჯაოს კულტურა საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

დასავლურ-ქართული ბრინჯაოს ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის აღსანიშნავია საბრძოლო იარაღი — სატევარი, საბრძოლო ცული, შუბისა და ისრის პირები, ლახტის თავები, ხოლო აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის — წვეტიანი, წვერმომრგვალებული და წვერმოკვეთილი მახვილები, ბრტყელი ისრის პირები, გრძელი შუბის პირები, სატევრები, საბრძოლო ცულები ნახევარწრიული მჭრელი პირით.

გარდა ზემოჩამოთვლილი იარაღებისა, ნაპოვნია აგრეთვე ხანჯლები, ხმლები, ფარები, ირმის რქისაგან ნაკეთები იარაღი და სხვ.

სამთავროში აღმოჩენილია ბრინჯაოს სარტყელი, რომელზეც გამოსახულია ცხენოსანთა ნადირობა ირმებზე. მსგავსივე ბრინჯაოს სარტყელი აღმოჩენილ იქნა თრიალეთში. ამ სარტყელზედაც ნადირობაა გამოსახული. მონადირენი ქვეითად არიან, მათ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავთ და ნადირს ტყორცნიან. ეს საინტერესო აღმოჩენები იმის დამადასტურებელია, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის საწყისს საუკუნეებში მონადირეობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი ჰქონია მიწათმოქმედი და შესაქონლე მოსახლეობაში.

არქეოლოგი გ. ლომთათიძე თავის ნაშრომში „წინაპართა ნაკვალევი“, ეყრდნობა რა საქართველოში წარმოებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების მდიდარ მონაცემებს, აგვიწერს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოსა და ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოს მეომართა აღჭურვილობას. „...ჩვენი წინაპრები აღჭურვილი ყოფილან სატევრებით, „კოლხური ცულებითა“ თუ „იბერული ჩუგლუგებით“, შუბებით, ხელშუბებით, ნაირნაირი ისრებით, ბრინჯაოსთავიანი ლახტებით, ბრინჯაო-აკრული ფარებით, წვეტიანი მუზარადებით, მუცლის მფარავი სარტყლებითა და სხვ. ამას თუ გავითვალისწინებთ, გა-

ზვიადებული არ იქნება თქმა, რომ ამ წინაპრებს მკაფიოდ გამოხატული, მეომრული, სანამაცო ზნე და სულისკვეთება ჰქონდათ. ცამეტ-თოთხმეტ წლის ბიჭებიც კი მეტ-ნაკლებად ალკურვილნი არიან ხოლმე დამარხული. სწორედ ასე ახასიათებენ, ერთხმად, ქართველ ტომებს დაახლოებით იმავდროული უცხოური ცნობები“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობა საქურველს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ასეთ პირობებში იარაღის გამოყენებასაც, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებით უნდა მოპყრობოდა.

იარაღის მრავალფეროვნება, მათი სპეციფიკური დანიშნულება მოითხოვდა ამ იარაღის ხმარებაში დახელოვნებასა და სისტემატურ წვრთნას. ასეთი სისტემატური წვრთნა იყო საჭირო შუბის, ლახვისა და მშვილდ-ისრის ტყორცნაში, სატევრებისა და ლახტის ხმარებაში ისევე, როგორც ცხენოსნობასა და სხვა სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებში.

ხსენებულ პერიოდში ფიზიკური ვარჯიშობები დაკავშირებული იყო შრომასთან, მაგრამ იგი სამხედრო საქმესაც მკიდროდ უკავშირდებოდა და მის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. ფიზიკურ აღზრდას ამ პერიოდში სამხედრო მიმართულება ჰქონდა.

## § 2. ფიზიკური კულტურა ანტიკური ხანის საქართველოში

საქართველოს ისტორიას ძვ. წ. VII—VI საუკუნემდე უმთავრესად არქეოლოგიური მასალებით ვეცნობით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთაში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევისწავლოთ ქართველთა ძველი ცხოვრება თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე (ძვ. წ. პირველ ათასეულწლის დამდეგიდან ახ. წ. VIII—IX საუკუნემდე). მაგ-

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე, წინაპრთა ნაკვალევი, თბილისი, 1952 წ., გვ. 124.

რამ დაწყებული ძვ. წ. VI საუკუნიდან, ჩვენ წერილობითი წყაროებითაც შეგვიძლია ვისარგებლოთ.

საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა მსოფლიო სატრანზიტო გზები აღმოსავლეთიდან (ინდოეთ-სპარსეთიდან) დასავლეთში (საბერძნეთში) და ჩრდილოეთიდან სამხრეთში. საქართველოს ინტენსიური ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებთან.

შავი ზღვის სანაპიროებზე არსებობდა ისეთი ნავსადგურები, როგორც იყო ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), პიტინტი (ბიჭვინთა), დაარსებული ბერძენთა მიერ.

ძველი ბერძნული და რომაული ცნობები ქართველთა საჭურვლზე და მათი საბრძოლო და ფიზიკური თვისებების შესახებ	ძველ ბერძნულ და რომაულ მწერლობაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობის, მისი მეურნეობის, კულტურისა და ზნე-ჩვეულების აღწერილობა. იქვეა აღნიშნული ძველ ქართველ ტომთა სამხედრო საქურველი, ფიზიკური თვისებები და ფიზიკური ვარჯიშობანი.
---	--

ავიწერს რა მოსახლების საქურველს, ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ. 480—425 წწ) მოგვითხრობს: „მოსახლეს თავზე ეხურათ ხის მუზარადები. ხოლო იარაღად ხმარობდნენ პატარა ფარებსა და შუბებს. შუბის პირები გრძელი იყო. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები გამოდიოდნენ სალაშქროდ ისეთივე შეიარაღებით, როგორითაც მოსახეი. მარები ატარებდნენ ადგილობრივ მოქსოვილ მუზარადებს და შეიარაღებული იყვნენ ტყავის პატარა ფარებითა და ხელშუბებით. კოლხები თავზე იხურავდნენ ხის მუზარადებს და ატარებდნენ მოუქნელი ტყავის პატარა ფარებს, მოკლე შუბებსა და საბრძოლო დანებს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ვ. ლატიშევი, ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობები სკვითებისა და კავკასიის შესახებ, ტ. I, გვ. I, გვ. 56—57. (რუს. ენაზე).

ხალიბების, მოსინიკების, მოსკებისა და სამხრეთ-ქართველი სხვა თემების ყოფა-ცხოვრებაზე მოგვითხრობს საქართველოში ნამყოფი ბერძენი მწერალი და სარდალი ქსენოფონტე (ძვ. წ. 444—354 წწ). ხალიბების ფიზიკური თვისებებისა და საქურვლის შესახებ იგი წერს: „ეს იყო უმამაცესი ხალხი, ყოველთა შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავის ლაშქრობის დროს, უკანასკნელებს მათთან მოუხდათ ხელჩართული ბრძოლა.“

ხალიბები ატარებდნენ სელის ჯავშანს, რომელიც მუცლამდე აღწევდა. ნაცვლად ბუმბულისა, ჯავშანს მიმაგრებული ჰქონდა მოქსოვილი ზორნები. მათ ჰქონდათ აგრეთვე ანკერი და მუზარადი, ხოლო ქამრებზე ეკიდათ სპარტანული მახვილის მსგავსი დანები... მათ ჰქონდათ აგრეთვე თხუთმეტი ნიდაყვის სიგრძე შუბები ერთ მხარეზე გამახვილებული რკინით“<sup>1</sup>.

ანაბაზისის მეორე ადგილზე (4) ქსენოფონტე წერს: „დღეს რა ფიცი ელინებთან, მოსინიკები წავიდნენ და მეორე დღეს გამოცხადდნენ 300 ნავით. თითო ნავში სამ-სამი კაცი იჯდა, რომელთაგან ორი ამოვიდა ნაპირზე, ხოლო ერთი დარჩა ნავში. ეს უკანასკნელნი ნავებით უკან გაბრუნდნენ, დანარჩენები კი შემდეგი წესით მოეწყვნენ: დალაგდნენ ასეულეზად, ერთმანეთის პირდაპირ, გუნდების მსგავსად; ყველას ჰქონდა ფოთლის მოყვანილობის დაწნული ფარი, შემოჭიმული ხარის თეთრი ტყავით. მარჯვენა ხელში ეჭირათ ექვსი ნიდაყვის სიგრძის ხელშუბი, რომელსაც წინ მახვილი პირი ჰქონდა, ხოლო უკან — მომრგვალებული ბოლო. მათ ეცვათ მოკლე პერანგები, რომლებიც მუხლებამდე ვერ სწევდებოდათ, ისეთი სქელი ქსოვილისაგან, როგორიც ტილოს ტომრებია, ხოლო თავზე პაფლაგონიელთა მსგავსი მუზარადი ეხურათ... გარდა ამისა, მათ ჰქონდათ რკინის საომარი ცულები. ამის შემდეგ ერთმა მათგანმა სიმღერა დაიწყო და დანარჩენებმაც სიმღერით დაიწყეს სიარული (ტაქტიში), გაიარეს ელინთა ჯარების რიგთა შორის, ერთბაშად გაემართნენ მტრის წინააღ-

<sup>1</sup> ვ. ვ. ლატიშევი, „ცნობები“... ტ. I, გამ. I, გვ. 73 (რუს. ენაზე).



მდეგ იმ სიმაგრისაკენ, რომელიც მათ უფრო მისაწვდომად მიაჩნდათ“<sup>1</sup>.

ძველ ქართველთ ქსენოფონტე ახასიათებს, როგორც გმირულს, გაბედულს, ამაყსა და თავისუფლების მოყვარულ ბაღსს, რომელიც გაათრებულ ბრძოლას უმართავდა მოწინააღმდეგებს. ტაოხები ს ქვეყანაში ელინთა ჯარების შესელის დროს მთელი ხალხი დადგა ფეხზე. ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ. ტაოხები თავისუფლების დაკარგვას სიკვდილს ამჯობინებდნენ და მტერს ტყვედ არ ნებდებოდნენ.

დრილები ს შესახებ ქსენოფონტე ამბობს, რომ ისინი ძნელად მისაწვდომ მთებში ცხოვრობდნენ და პონტოს ყველაზე უფრო მეომარ ხალხს წარმოადგენდნენ.

კადუსიანები ცხოვრობდნენ მთა-გორიან ქვეყნებში, ისინი მარდად აღიოდნენ მთებზე, საუცხოოდ ტყორცნიდნენ შუბს, როგორც მოწმობს სტრაბონი, და წარმატებით იბრძოდნენ კლდოვან ადგილებში ქვეითად ცხენოსნების წინააღმდეგ.

სტრაბონი (ძვ. წ. 61 წ. — ახ. წ. 24 წ.) სვანების შესახებ გვიამბობს: „სოანები ...სჭარბობენ, თითქმის პირველნი არიან (ადგილობრივ ხალხთა შორის) თავისი სიძლიერითა და შეძლებით. ყოველ შემთხვევაში, ისინი ბატონობდნენ მეზობელ ხალხებზე ...მათ ჰყავდათ მეფე და სამასთა საბჭო, ხოლო ომიანობის დროს, როგორც ამბობენ, 200.000-მდე კაცი გამოჰყავთ“<sup>2</sup>.

ქსენოფონტეს მოწმობით მოსინიკები კარგი მეზღვაურები იყვნენ.

ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი აგათანასქოლასტიკოსი ლაზების შესახებ წერს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზო-

<sup>1</sup> ვ. ვ. ლათიშვილი, „ცნობები“... ტ. I, გამ. I, გვ. 80 (რუს. ენაზე).  
<sup>2</sup> იგივე, გვ. 138.

მაზე მეტად ქედმაღლობდენ, შესაძლებელია არცაჲ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზისა და სიკქვეითი<sup>1</sup>. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ლაზები დახელოვნებული ნაოსნები ყოფილან. ამასთან ერთად, ისინი, რა თქმა უნდა, კარგი მოცურავეებიც იქნებოდნენ.

ძველი ქართველი ტომები განირჩეოდნენ თავიანთი საბრძოლო თვისებებით. როგორც ქსენოფონტე მოგვითხრობს, შეუიარაღებელ ქართველ ტომებთანაც კი ძნელი იყო ბრძოლა, განსაკუთრებით, როცა საქმე ალყის შემორტყმასა და იერიშზე მიდგებოდა, და ამის უმთავრესი მიზეზი იყო მათი ადგილების ბუნებრივი სიმაგრეები და მიუდგომლობა<sup>2</sup>.

მაგრამ საქმე მართო ბუნებრივ სიმაგრეებში როდი იყო. აქ სათანადო როლს თამაშობდა ქართველ ტომთა ფიზიკური გაწვრთნაც, მთის პირობებში მოქმედების შეგუებულობა, მთიელთათვის დამახასიათებელი სიმარდე და მოქნილობა, ცხენოსნობის საუცხოოდ დაუფლება, მშვილდიდან მარჯვედ ტყორცნა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ზოგჯერ უკეთესად შეიარაღებულ და უფრო მრავალრიცხოვან მტერზე გაძარცვებას.

ქართველ ტომთა ფიზიკურ ვარჯიშობებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცეკვებს, რომლებიც თავისი ხასიათით სამ ჯგუფად უნდა დაიყოს: 1. რელიგიასთან დაკავშირებული. 2. საყოფაცხოვრებო ანუ ხალხური, დაკავშირებული გართობა-დასვენებასთან, და 3. სამხედრო.

რელიგიური (ყულტის) ცეკვები დაკავშირებულია ძველ წარმართულ რწმენასთან, რომლის ნაშთები საქართველოს

<sup>1</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბილისი, 1939 წ., გვ. 50—51.

<sup>2</sup> ს. რ. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ნაწ. I, თბილისი, 1908 წ., გვ. 80.

სხვადასხვა კუთხეში დიდხანს იყო შემონახული. გაზეთ „კავკაზში“ (1878 წ. № 229—230) აღწერილია „გიორგობის“ დღესასწაულობა სოფელ აწყურში (კახეთი). 14 აგვისტოს აწყურში უამრავი მლოცველი იკრიბებოდა ქართლ-კახეთიდან, ქიზიყიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, თუშეთიდან. წირვისა და მთელი რიგი წეს-ჩვეულებათა ჩატარების შემდეგ ხალხი ეკლესიიდან გალავანში გამოდიოდა და ქუდმობილი მოწინებით უცქეროდა სარწმუნოებრივ ცეკვას, რომელსაც თეთრებში ჩაცმული „ხატის მონა“ ასრულებდა.

სოფ. სორში (რაქა) XX საუკუნის დასაწყისამდე იმართებოდა საეკლესიო დღესასწაული ნაციხურობა, რომლის დროსაც ეწყობოდა საერთო ფერხული და ცეკვები. როგორც ზემოაღნიშნულ, აგრეთვე ყველა მათ მსგავს დღესასწაულებს ამკობდა წეს-ჩვეულებანი, რომელნიც წარმართობის დროინდელ შორეულ გამოძახილს წარმოადგენდნენ და, მეტ წილად, ბუნებაზე წარმართულ შეხედულებას გამოსახავდნენ.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ანუ ხალხურ ცეკვებს, ისინი დაკავშირებული იყვნენ ხალხის გართობასთან, დროსტარებასთან და იმართებოდა დღესასწაულებისა და დასვენების დროს.

სამხედრო ცეკვის ნიმუშს წარმოადგენს გურიასა და აჭარაში დღემდე შემონახული ძველი სამხედრო ხასიათის ცეკვა ხორუმი, რომელიც საბრძოლო მოძრაობებს შეიცავს და ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გამოხატულია ბანაკისათვის ხელსაყრელი ადგილის შერჩევა. მეორე ნაწილში მოცემულია მტრის დაზვერვის ინსცენირება. მესამე ნაწილი გამოსახავს მტერთან შებმას და მეოთხე — მტერზე გამარჯვებას, ზეიმსა და შინ ბედნიერად დაბრუნებას. ამ ცეკვის ზოგიერთი ვარიანტი ბოლოვდება დაჭრილთა ბრძოლის ველიდან გამოტანით.

შეტად დამახასიათებელია, რომ ცეკვაში მოძრაობები (მიბარვა, ზვერვა; იერიში, თავდაცვა და სხვა) იმდენად გარკვეული და ნათელია, რომ მაყურებლისათვის სიტყვიერი

ახსნის გარეშეც სავსებით გასაგებია ცეკვის აზრობრივი შინაარსი.

**ფიზიკური კულტურის  
ელემენტების ანარქი-  
ლი ხალხურ ეპოსში**

ხურ ეპოსში. საქმარისია  
თქმულება ა მ ი რ ა ნ ზ ე .

ამ თქმულების მიხედვით ამირანი ღვთაებრივი თვისებებითაა დაჯილდოებული. იგი ჰგავს „შავს ღრუბელს საავდროდ გამზადებულსა“, ღონეც გმირული აქვს. ღვთაებრავმა ნათლიამ „ამირანს დაანათლა გაქანებული ხის სიჩქარე და სიმარდე დაქანებული ზევისა და თორმეტი უღელი ხარკამეჩის ღონე და მგლის მუხლი“.

ამირანი ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უჭირდა მისი ტარება. როდესაც ამირანი დევს დაეჭიდა: „მიწა და მყარი ხეიოდა, იმათ ნაომარ ადგილზედ სუ ქვა და ლოდი ცეიოდა: დევი დ' ამირან შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი“...

ასეთი ძალ-ღონის მქონეს, რა თქმა უნდა, იარაღიც სათანადო უნდა ჰქონოდა. და რადგან ჩვეულებრივი იარაღი ვერ უძლებდა, მან საგანგებოდ გამოაქვდინა ხმალი. ამირანი ამავე დროს საუცხოვო მონადირეა და ძაღლიც შესაფერისი ჰყავს. მას ისეთი თვისება ჰქონდა, რომ „ორს ნახტომზე ჯიხვს დაეწეოდა“.

**ქართველ მთიელთა  
სამხედრო - ფიზიკური  
აღზრდა ძვ. წ. I საუ-  
კუნის დამდეგს**

პირველი საუკუნის დამდეგს საზოგადოებრივი წყობილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემდეგ სურათს წარმოადგენდა: მთიელებს შენარჩუნებული

ჰქონდათ პირველყოფილ-თემური წყობილება, მაშინ, როდესაც ბარში საზოგადოებრივი თანასწორობა აღარ არსებობდა.

მთიელებს მკაცრი ბუნების პირობებში შრომის პრაქტიკული იარაღებით უზღებოდათ საერთო ძალით მოქმედება, რათა საარსებო სახსრები მოეპოვებიათ. ამიტომ აქ საზოგადოების წევრები თანასწორნი იყვნენ და თუ სვანებს ჰყავდათ

მთავარი, მისი უფლებები შეზღუდული იყო თემების 300 წარმომადგენელთა საბჭოს მიერ.

ქართველ მთიელთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საკითხს შესწავლა ხსენებულ პერიოდში მეტად რთულია, რადგან არ მოიპოვება მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მთიელთა იმ უძველეს ხანის ფიზიკურ კულტურას ეკუთვნოდეს. ამიტომ ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა ვისარგებლოთ იმ მონაცემებით, რომელთაც ქართველ მთიელთა (სვანების, ფშავეების, ხევსურების, თუშების) ეთნოგრაფიული ყოფა იძლევა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართველ მთიელთა შორის შემონახული იყო პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები. ამ გადმონაშთებში ფიზიკური კულტურის ელემენტების სიუხვე იმაზე მეტყველებს, რომ ეს უკანასკნელი იმ შორეულ ეპოქაში დიდ როლს თამაშობდნენ ქართველ მთიელთა ცხოვრებაში.

ზემო სვანეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს, რომელსაც სათემო ყრილობა განაგებდა. ყრილობა მართავდა თემის ყველა საქმეს. მასვე ეხებოდა სამართალი, აგრეთვე ზავისა და ომის საკითხები. სათემო საბჭოს კომპეტენციას შეადგენდა აგრეთვე სასჯელის განჩინება ადათის დარღვევისათვის.

თემის სათავეში იდგა მახვი, რომელსაც თემის ყველა სრულწლოვანი წევრი ირჩევდა (მათ შორის ქალებიც). ჩვეულებრივ, მახვის თანამდებობაზე ირჩევდნენ ყველაზე უფრო გამოცდილს, გონიერს, გულადსა და პატიოსან კაცს.

ყოველი სვანის წმიდათაწმიდა მოვალეობას წარმოადგენდა მტრებისაგან თემის ღირსების დაცვა. ამიტომაც თვით-ეული სვანი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად ძლიერი, მამაცი და სათანადოთ მომზადებული თავისი თემის დასაცავად. სწორედ ამიტომ გამძლეობას, ძალ-ღონეს, სიმარდესა და მოქნილობას სვანების ყოფა-ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ მახვის

თანამდებობაზე სწორედ ყველაზე გამოცდილ, გონიერსა და მამაც ადამიანს ირჩევდნენ.

თავის ნაშრომში — „საქართველოს გეოგრაფია“ — ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ თუშები მხნე მეომარნი და ძლიერნი არიან.

ფშაველთა ყოფა-ცხოვრების კარგი მცოდნე ნ. ხიზანაშვილიც ფშაველების მიმართ ამასვე ადასტურებს: „ფშაველს ხომ გულადობაში და ვაჟკაცობაში ვერავენ შეედრება“.

თუშეთში თემების სათავეში ხევისბერები იდგნენ, რომლებიც თემის ადათებს ხელმძღვანელობენ. ომიანობის დროს ხევისბერი დროშით ხელში მიუძღვოდა ჯარს.

თუშეთში, ისევე როგორც სვანეთში, თემის თვითეული წევრი მოვალე იყო დაეცვა თავისი თემი და მტრისათვის პასუხი გაეცა, ამიტომაც სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას აქ დიდი ყურადღება ექცეოდა.

ხევსურეთში, სვანეთში, თუშეთსა და სხვა ქართველი მთიელების თემებში გავრცელებული იყო სისხლის აღება. სისხლის აუღებლობა თემში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. შურისძიება ძველად რვა თაობამდე გრძელდებოდა, მაგრამ შემდეგში ეს ვადა განუსაზღვრავთ 80 წლით, რის შემდეგ თავდებოდა თავსისხლის საქმე და მკვლელი იხდიდა სისხლის საფასურს.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ კაცის სისხლი შეფასებული იყო 60 ძროხად, ხოლო ქალის — 30 ძროხად. და ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, რადგან მამაკაცი-მეომარი, თემის დამცველი, უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ქალი.

სისხლის აღება მეტად გავრცელებული იყო სვანეთში. სვანი ყოველ ნაბიჯზე მოელოდა მეშუღლეს, ამიტომ იგი იძულებული იყო მუდამ თან ეტარებინა იარაღი.

თავსისხლიანობასთან ერთად ხევსურეთში შურისძიების მეორე, უფრო მსუბუქი ფორმაც არსებობდა — კრია-კრილობა, რომელიც არ ეყრდნობოდა სისხლის აღებას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ხევსურული ფარეკობა, 1946 წ. (ხელნაწერი).

მისი გამომწვევი მიზეზი იყო ჩხუბი ან მტრული ურთიერთობა. კრა-კრილობა არსებითად წარმოადგენდა ფარეკაობის პახეს, რომლის დროსაც იყენებდნენ დაშნას და მცირე მრგვალ ფარს. ძველად არსებული ადათის მიხედვით მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის მსუბუქი კრილობა მიეყენებინათ. ხევისურები ფარეკაობაში სისტემატურად წვრთნას გადიოდნენ.

ადათის დარღვევისა და მოწინააღმდეგისათვის მძიმე კრილობის მიყენების შემთხვევაში კრა-კრილობის სისხლი გვარზე გადადიოდა და შუღლი დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე არ მოხდებოდა შერიგება.

აღსანიშნავია, რომ კრა-კრილობის დროს მძიმედ დაკრა ხევისურებს სასირცხვილოდ მიაჩნდათ; საკმარისი იყო მეშუღლის უმნიშვნელოდ დაკრა (მარტო სისხლის გამოდენა).

ხევისურეთში ძველი დროიდანვე დაწესდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქალის ჩარევა მამაკაცთა ბრძოლაში მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას იწვევდა. ამავე დროს, ვინც კი მეშუღლეებს შეესწრებოდა, უნდა გაეშველებინა ისინი.

კრა-კრილობის შემდეგ მეშუღლეები მიმართავდნენ ბჭეებს, რომლებიც, ხევისურული წესის მიხედვით, შეაფასებდნენ სისხლს.

განუწყვეტელმა ბრძოლებმა,

ფიზიკური კულტურის ელემენტები ქართველ მთიელთა სამხედრო - ფიზიკური მომზადების სისტემაში

რომელთაც აწარმოებდნენ ხევისურები მათი შემავიწროებელი მეზობელი მთიელების წინააღმდეგ, ხევისურეთს თავისებურ მეომართა თემის ელფერი მისცა, სადაც ყოფა-ცხოვრებითი წყობა

და ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა მიზნად ისახავდა ხევისურების მეომრად აღზრდას, ფიზიკურად ძლიერი, ჯანსაღი, გამძლე, შრომისა და ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდობის მომზადებას.

ფარეკაობის შესწავლა ხევისურეთში 6—8 წლიდან იწყება. ფარეკაობის დროს ბავშვები ხმარობენ ხის დაშნას და ხის ან

წნელისაგან მოწნულ ფარს. ამ იარაღს ბავშვები ხშირად თვითონვე აკეთებენ. ბავშვების სწავლება უმთავრესად კოლექტიურად მიმდინარეობს. მათ უფროსები წვრთნიან, უჩვენებენ ფარიკაობის ილეთებსა და უსწორებენ მოძრაობებს მეცადინეობის პროცესში. 15 წლის კაბუკი, რომელიც უკვე დაუფლებულია ფარ-ხმალს, ღებულობს საბრძოლო იარაღს და იწყებს ლითონის იარაღზე წვრთნას.

ბავშვების აღზრდა ხევისურეთში, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკურია. ადრიდანვე ბიჭები ფარიკაობასთან ერთად ვარჯიშობენ მშვილდ-ისრის სროლაში, თამაშობენ სხვადასხვა მოძრავ თამაშობებს და, ამრიგად, იძენენ ძალ-ლონეს, გამძლეობას, გამბედაობას, გულადობას, სისწრაფეს, მოქნილობას და სხვა ფიზიკურ და მორალურ თვისებებს.

ხევისურთა ფიზიკური მომზადების საშუალებანი მრავალფეროვანია და შეიცავს: მთაში სიარულს, რბენას სისწრაფეზე და გამძლეობაზე, ხტომას სიგრძეზე ადგილიდან და გამორბენით, თხრილზე, ნაკადულზე, ქვიდან ქვაზე ხტომას, ხტომას სიღრმეში (ჩამოხტომა გორაკიდან, ხიდან, კლდიდან, ჩახტომა ორმოში, თხრილში და სხვა), ხტომას ბუნებრივ დაბრკოლებებზე, ცოცვას კლდეზე, ხეზე, ქვის ტყორცნას მანძილზე და მიზანში (ხელით, შურდულით), მოძრავ თამაშობებს და ცეკვას მუსიკის თანხლებით. თხილამურებით სიარულს, ფარიკაობას, ისრის ტყორცნას, ცხენოსნობას („ცხენნი“ და „ცხენთროლება“), კიდაობას (ქართული კიდაობის ნაირსახეობა), ნადირობას<sup>1</sup>.

ხევისურთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ფარიკაობას, რომელიც იმით განსხვავდება კრა-კრილობისაგან, რომ უსისხლო ბრძოლას წარმოადგენს და ატარებს საწვრთნელ-შეჯიბრებით ხასიათს. ფარიკაობის ამ სახეობაში ხმლის დარტყმა წარმოებს სიბრტყით ან ყუით.

არანაკლები ყურადღებით სარგებლობს ფიზიკური აღზრდა სვანეთში.

<sup>1</sup> ე. ე. ლ ა შ ვ ი ლ ი, ხევისურული ფარიკაობა, 1946 წ. (ხელნაწერი). რუს. ენაზე.



ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის, რომლებიც წარსულში ვაკრელებული იყო სვანეთში და ნაწილობრივ ახლაცაა შემონახული, უნდა აღინიშნოს ორი სახის კიდაობა, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ქართული კიდაობის ნაირსახეობას იმ განსხვავებით (ძირითადად), რომ დამარცხებულად ითვლება მიწაზე წაქცეული, მიუხედავად იმისა, ბექებზე დაეცა იგი, თუ სხეულის სხვა რომელიმე ნაწილით შეესო მას (მიწას), ხოლო მეორე — თავისუფალი სახის კიდაობას.

სხვა ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის აღსანიშნავია: ხტომა-სიგრძეზე ადგილიდან და გამორბენით, ხტომა სიმაღლეზე გამორბენით, კოკით ხტომა სიგრძეზე, ხტომა დაბრკოლებებით (მდინარე, ორმო, ბუჩქი და სხვა). რბენის ნაირსახეობანი (უმთავრესად მოკლე და საშუალო მანძილზე), ქვის აწევა და გადატანა („ბაჩა ლიკელ“), ქვის კერა („ბარჯშ ლიკვანე ლაბა უშ“. „ბარჯშ ლიკვანე უბახად“), მცირე ქვის ნიშანში ტყორცნა („ლიშვილიელ ნიშანთე“), მცირე ქვის მანძილზე ტყორცნა („ჯვედიათე ლიშვილიელ“), ბრტყელი ქვის ტყორცნა — ბადროს მსგავსად („ლასურ მატნოშ ბაჩა ლიკვანა“), მცირე (იშვიათად დიდი) ბურთით თამაში („ლიბურთალ“), ხელშუბის ტყორცნა („ლიშნეგალ“), ხელ-ისრის ტყორცნა („ლიჯლითალ“), მშვილდ-ისრის ტყორცნა („ლიცვემდალ“), ცხენოსნობის სახეები („ლიჩაყი“), ცეკვები, ნადირობა და სხვ.<sup>1</sup>

ასეთივე დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას სხვა ქართველ მთიელთა ცხოვრებაშიც. ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც მოყვანილი აქვს ვაჟა-ფშაველას თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევებში — „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, — გვიჩვენებს ფშაველების ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას. ფშავეების ცხოვრებაში ფიზიკურ აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განკუთვნილი.

ნადირობა ფშავეში ფიზიკური მომზადების ნამდვილ სკოლას წარმოადგენს, ხოლო ახალგაზრდა ფშავეის აღზრდაში ფიზიკურ ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს.

<sup>1</sup> ი. თ. ა. ლ. ი. ა. ნ. სვანური ხალხური თამაშობანი, 1946 წ. (ხელნაწერი).

მაგრამ ყველა ზემოხსენებული ფიზიკური ვარჯიშობა, რომლებიც დამკვიდრებულია თანამედროვე ხევისურეთში, სვანეთსა და საქართველოს სხვა კუთხეში, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა გავრცელებული ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. უდავოა, რომ მრავალი ჩამოთვლილი ფიზიკური ვარჯიშობა არსებობდა იმ შორეულ ეპოქაშიც, მაგრამ მათ თანდათანობით განიცადეს ცვლილებანი და დროთა ვითარებაში უფრო სრულყოფილი ფორმა მიიღეს.

იგივე უნდა ითქვას, კერძოდ, ფარეკობაზე, რომლის ფუძე, მისი ჩანასახი უფრო შორეულ ეპოქაში უნდა ვეძიოთ.

**ფიზიკური კულტურის ელემენტები ქართველ მთიელთა რიტუალურ წესებში**

ქართველ მთიელთა მრავალი ფიზიკური ვარჯიშობა ძველ წარმართულ რწმენებთან და რიტუალურ წესებთან იყო დაკავშირებული. ასე, მაგალითად, რელიგი-

ური დღესასწაულის (ხატობის) ათნიგენობის დროს თუშეთში იმართებოდა თავისებური ფერხული, რომელსაც ქობზეღელას უწოდებდნენ. მამაკაცები წრეს აკეთებდნენ და ერთმანეთს მხრებზე მკლავებს გადასდებდნენ. ამ წრეზე აღიოდა მეორე წრე და მთელი ეს ორსართულიანი წრე ხატისაკენ დაიძვრებოდა სიმღერით. წრე დაუშლელად მივიდოდა ხატამდე, აქ სამჯერ შემოტრიალდებოდა და შემდეგ იშლებოდა<sup>1</sup>. ამავე დღესასწაულზე იმართებოდა დოღი.

ასეთივე ხატობა სოფელ გომელაურშიც სცოდნიათ. ამ დღესასწაულის დროს მეტად ორიგინალურ, სამხედრო თამაშობას მართავდნენ. ხატიდან 50 მეტრის მანძილზე ტყის ბილიკთან ჯოხებით შეიარაღებული ქალები გზას შეკრავდნენ. ხატთან თავმოყრილი ცხენოსნები ჰენებით ქალებისაკენ გაეჭანებოდნენ, რომ მათი წრე გაერღვიათ. ქალები საშინელი ყიჟინით ცხენებს ჯოხებს უშენდნენ. დამფრთხალი ცხენები ყალყზე დგებოდნენ, ზოგიც უკან გამორბოდა, მაგრამ მარჯვე ცხენოსნები მყისვე ამშვიდებდნენ გახელებულ ცხენებს.

<sup>1</sup> ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბილისი, 1933 წ., გვ. 201—202.

პირველ შეტევას მეორე და მესამე მოსდევდა. ქალები ცხენებს სცემდნენ და ყოჩაღად იგერიებდნენ ცხენოსნებს. ბოლოს ცხენოსანთა ერთი ჯგუფი სძლევდა, არღვევდა ზოლს და გადიოდა სოფელში. ამის შემდეგ ქალები ჯოხებს გადაყრიდნენ და ხელით იჭერდნენ ცხენოსნებს, ჩამოათრევდნენ ცხენიდან და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც ქალები იმარჯვებდნენ და მამაკაცებს ცალი ფეხით ფერდობზე ჩაათრევდნენ...<sup>1</sup>

ქართველ მთიელთა ზოგიერთი ფიზიკური ვარჯიშობანი დაკავშირებულია დაკრძალვის, ტირილისა და რიგის წესებთან. ასე, მაგალითად, თუშეთში რიგის დროს მართავენ ცხენების ქენებას, რომელსაც ს ა დ გ ი ნ ს უწოდებენ. სადგინში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად წვრთნიან ცხენებს. ქენების ადგილი და მანძილი წინასწარ განისაზღვრება. ფინიშის ადგილზე მიწაში ჩასმულია ალამი. შეჯაბრებაში მონაწილე მხედრები მოეწყობიან სტარტთან, სადაც მათ წინ უდგას მოხუცი კაცი ჯოხით ხელში და თვალს ადევნებს, რომ ნიშნის მიცემამდე ცხენი არავინ გააჭენოს. მოხუცის ნიშნისთანავე ყველანი ცხენებს გააჭენებენ. ფინიშთან კი, სადაც ალამია ჩასმული, დგას მეთვალყურე და ცხენოსნების მოსვლის მიხედვით ნომრებს არიგებს. იმ ცხენოსანს, რომელიც ყველაზე წინ მოირბენს ფინიშზე, ჯილდოდ ალამს აძლევენ. მეორეს მისცემენ ჩიუს, მესამეს — წინდას, მეოთხეს ხელთათმანებს და ა. შ.

ალამი მეტად საპატიო ჯილდოდ ითვლება.

დოლისათვის მზადების პერიოდში თუში ბავშვები ცხენოსნობის ერთგვარ სკოლას გადიოდნენ. ბავშვები ეჩვეოდნენ ცხენზე ჯდომასა და ცხენის მოვლას.

დოლის დაწყების წინ 3—4 დღით ადრე დოლში მონაწილენი თავიანთ ცხენებს ერთ თავლაში აყენებდნენ. ცხენებს მოსავლელად მიუჩენდნენ ბავშვებს, რომლებიც უვლიდნენ, აჭმევდნენ და ასუფთავებდნენ მათ, წყალზე წაყვანისას მოაჯდებოდნენ უუნაგრო ცხენებს და ჯირითობდნენ. ყოველივე

<sup>1</sup> ს... მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბილისი, 1933 წ., გვ. 203—204..

ამით ბავშვები იმდენად გატაცებული იყვნენ, რომ ხშირად ღამესაც კი თავლაში ათევდნენ<sup>1</sup>.

რიგის დროს თუშეთში იმართებოდა ღაბაჩი ანუ საირევილო. ღაბაჩი წარმოადგენს მიზანში მშვილდ-ისრის ტყორცნას. მიზნად დებდნენ სხვადასხვა ნივთს (პურს, წინდებს, ქისას და სხვა). ვინც მიზანში ისარს მოახვედრებდა, ნიშანიც მისი საკუთრება იყო. მშვილდოსანი, რომელიც პურს მოახვედრებდა, ჯილდოდ მარილს ან თოხლს მიიღებდა.

თუშეთის ზოგიერთ ადგილებში მშვილდ-ისრის ტყორც-ნის ნაცვლად რბენას აწყობდნენ. ის, ვინც პირველი მიი-რბენდა ნიშანთან, აიღებდა იმ ნივთს, რომელიც მას მოეწონე-ბოდა:

ხევსურეთში მიცვალებული მამაკაცის (იშვიათად დედა-კაცის) მოსაგონებლად აწყობდნენ დოღს, რომელსაც ცხენი ეწოდებოდა<sup>2</sup>. ცხენის მოწყობისას იმართებო-და დოღის სუფრა. ტაბლაზე დაალაგებდნენ ქადის კვერებს, ძეხვს, ერბოს, რძეს, ლუდს ან არაყს და სხვ. იქვე გაშლიდნენ მიცვალებულის ტანსაცმელს და იარაღს, ტაბლის ირგვლივ ქალები შემოეწყობოდნენ და მიცვალებულს ტიროდნენ.

ცხენი წარმოადგენდა დოღს, რომელშიც ცხენების კენტი რაოდენობა მონაწილეობდა.

ცხენის მომწყობი „ჭირის პატრონი“ იყო. ადათით და-წესებული იყო ჯილდოები (დოღეი). თუ ოჯახი მდიდარი იყო, ჯილდოდ გამოყოფდნენ ძროხას, მოზვერს, ცხვარს, იარაღს და ა. შ.

ნათესავეები მიცვალებულს ქელეხს უმართავდნენ და მხედრებიც პირველ რიგში გაემგზავრებოდნენ იქით, სადაც მიცვალებულის სადოღე სუფრა იყო გამართული. მხედრები მოტირალ დედაკაცებს სამკერ გარს შემოუვლიდნენ. ჭირის პატრონი სათანადო მიმართვის შემდეგ მათრახს გადასცემდა მას, რომელიც სულის ცხენზე იჯდა. ეს უკანასკნელი კი და-

1 ნ. შიშნიაშვილი, ხევსური და თუში ბავშვების გართობა-თა-ვაშობანი, 1947 წ. (ხელნაწერი).

2 ვ. ელაშვილი, „ცხენი“, 1947 წ. (ხელნაწერი).

ნარჩენებს წინ წაუძღვებოდა. მიცვალებულის ნათესაეები, რომლებიც სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, აწყობდნენ მიცვალებულის დოღის სუფრას და დოღში მონაწილე მხედრები ამ სოფლებისაკენ მიემართებოდნენ სწორედ იმ მარშრუტით, რომელსაც მათ ქირის პატრონი მიუთითებდა. ჩამოვივლიდნენ რა ამ სოფლებს, უკანასკნელი სოფლიდან იწყებდნენ ჰენებას. მხედრები ცდილობდნენ ერთი-მეორის გასწრებასა და ფინიშზე ყველაზე ადრე მისვლას. ფინიშზე პირველ მისულს პირველი ჯილდო ეძლეოდა.

ხევისურეთში გავრცელებული იყო აგრეთვე დაბახი (ნიშანში თოფის სროლა); მას ხშირად მართავდნენ მიცვალებულის „სულის“ მოსახსენებლად და პატივსაცემად. ნიშანს სპეციალურად აკეთებდნენ ფიცრისაგან. ჯილდოდ დასდებდნენ ერთ ხელს ტალავარს (ტანსაცმელს), ან ძროხას, ვერძს და სხვ. დაბახის ჩასატარებლად აირჩევდნენ მეღაბახეებს (მსაჯებს), ორ ან სამ კაცს, მათ შორის ერთს მიცვალებულის ბიძაშვილს, ხოლო მეორეს — სხვა სოფლის მცხოვრებს. მათ მოვალეობას შეადგენდა საღაბახო მანძილის გაზომვა. მანძილი იმდენად შორი უნდა ყოფილიყო, რომ მსროლელთ ადვილად ვერ მოერტყათ ნიშანში. ზოგიერთ სოფელში არჩეული ჰქონდათ მუდმივი საღაბახო მანძილი. მეღაბახეთა დაუსწრებლად სროლა აკრძალული იყო; მათ ევალებოდათ თვალყური ედევნებინათ მსროლელთათვის, რომ სროლის დროს სიყალბე არავის ჩაედინა. გაწეული შრომისათვის მეღაბახეებს ეძლეოდათ ყოველი გაცდენილი ტყვია.

მრავალი ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც დაკავშირებული იყო მთიელთა რელიგიურ წესებთან, რწმენებთან და სხვ. თემის წევრთა ფიზიკური გაწვრთნისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა.

მთიელთა პირველყოფილი თემური წყობილება მოითხოვდა ინტერესების მთლიანობას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სვანეთში, სადაც სტრატონის მოწმობით, მუდმივი ჯარი არ არსებობდა, სამხედრო საშიშროების დროს გამოდიოდა ყოველი მამაკაცი. სტრატონი სვანებს მოიხსენიებს, როგორც კარგ მეომარ ხალხს. ომისათვის ემზადებოდა

და ომში მონაწილეობდა მთელი მოსახლეობა. აქ ჯარა ვა ხალხი განუყრელ მთლიანს წარმოადგენდა.

ამ პერიოდის ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებს ეკუთვნის: რბენა, სტომა, ქვის, შუბისა და ხელშუბის ტყორცნა, მშვილ-ლოსნობა, ფარიკაობა, მოძრავი თამაშობანი და სხვ.

**ფიზიკური კულტურა ბარში ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს**

რაც შეეხება ბარს, აქ ამ დროს არ არსებობდა არც საზოგადოებრივი საკუთრება და არც საზოგადოებრივი თანასწორობა.

ხალხი ბარში ოთხ წოდებად იყოფოდა: პირველ წოდებას შეფის საგვარეულო შეადგენდა, რომელსაც „სეფე“ ეწოდებოდა, ხოლო მის წევრებს — „სეფე წულები“. მეორე წოდებას ქურუმები შეადგენდნენ, რომლებიც ამავე დროს საგარეო ურთიერთობას განაგებდნენ. მესამე წოდება თავისუფალი ხალხისაგან შედგებოდა. ისინი მიწას ამუშავებდნენ და ომშიც გადიოდნენ. მეოთხე წოდებას წარმოადგენდა მდაბიო ხალხი. ეს იყო თავისუფლებას მოკლებული გლეხობა. რომლებიც მან შინ მხოლოდ სეფე-სახლს ჰყავდა.

ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს იბერიაში ბლომად იყვნენ მონებიც; მაგრამ, როგორც ცნობილია, მონებს ანტიკურ მსოფლიოში საზოგადოების წევრებად არ თვლიდნენ.

ბარში ფიზიკურ კულტურას იმ დროს უკვე კლასობრივი ხასიათი ჰქონდა და სამი მიმართულებით ვითარდებოდა:

1. არისტოკრატთა ფიზიკური კულტურა; 2. თავისუფალი ხალხის ფიზიკური კულტურა და 3. მდაბიო ხალხის ფიზიკური კულტურა.

**არისტოკრატის ფიზიკური აღზრდა**

არისტოკრატთა, რომელიც ჯარს შეთავრობდა, ცდილობდა აღჭურვილი ყოფილიყო მძალი

ფიზიკური თვისებებით, რათა გაძლოლოდა ჯარს და ბრძოლაში წაგალითი მიეცა. მეორე მხრივ, მათ ეს თვისებები ესაჭიროებოდათ თავის უფლებების გასამტკიცებლად და ჩაგრულთა დასამორჩილებლად. ამიტომაც არისტოკრატის წარმომადგენელნი თავის ფიზიკურ და სამხედრო გაწვრთნას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ.

ასეთი მაღალი ფიზიკური თვისებებით არიან აღჭურვილი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფეები ფარნავაზი, ფარს-მან I და მისი შვილი რადამისტი, ამზასპ. II და სხვანი.

მეფეს ჰყავდა საკუთარი მცველი მხედრობა, რომლის ბირთვის სეფე-სახლის წევრები წარმოადგენდნენ. ეს ლაშქარი შედგებოდა ცხენოსნებისაგან. რომლებიც იყენებდნენ როგორც მსუბუქს, ისე მძიმე შეიარაღებას.

მძიმედ შეიარაღებულ მხედარს ცხენ-თოროსანი ეწოდებოდა.

მხედართა შეიარაღებას შეადგენდა ფარი, მშვილდ-ისარი, შუბი, მახვილი. ტანზე ეცვათ და ეხურათ ჯაჭვ-ჩაბალახი.

ბრძოლის დროს თავში ცხენ-თოროსნები მიდიოდნენ, ხოლო მათ უკან ქვეითები მიჰყვებოდნენ; ამ უკანასკნელთ შემდეგ მიდიოდნენ მსუბუქად შეიარაღებული მხედრები.

იბერიის მხედრობა განთქმული იყო თავისი ბრძოლისუნარიანობით. ჯარი სპეციალურ სამხედრო-ფიზიკურ გაწვრთნას გადიოდა.

ქართველთა ფიზიკური თვისებები და ბრძოლისუნარიანობა საკმაოდ ცნობილი იყო ძველ ბერძენთა, რომაელთა და სხვა ხალხებისათვის, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ქართველებთან.

ქართველებს ხშირად ვხვდავთ მხედართმთავრებად სხვა ქვეყნებში. აგათია სქოლასტიკოსს მოხსენებული ჰყავს დახელოვნებული სარდალი თეოდორე, რომით ქართველი, ფიზიკურად ერთობ ძლიერი, რომელსაც „რომაელ სამხედრო მეთაურთა შორის პირველი ადგილი ეკავა“<sup>1</sup>.

ევეკაპი სარდოსელს მოხსენებული ჰყავს ვინმე სუბარმარხი, რომელი შუბოსნებას მეთაური, რომელიც მეფეთა შთამომავალი ყოფილა, ნამდვილი კოლხი ფაზისიდან და საუცხოო მსროლელი.

„სეფე წულების“ აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ფიზიკურ აღზრდას ენიჭებოდა. ძალ-ღონის, გამძლეობის,

<sup>1</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბილისი, 1936 წ., გვ. 182.

გამბედაობის, მოქნილობის განვითარებას საზოგადოების თვალში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარ ჩვევებს სეფე წულები ბავშვობიდანვე იძენდნენ.

სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშობათა წყალობით მიღწეული მაღალი ოსტატობა მკლავნდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ხშირად ასპარეზზედაც, მრავალრიცხოვან მაყურებელთა წინაშე და არა მარტო საქართველოში, არამედ შორს, მის ფარგლებს გარეთაც.

მივმართოთ ისტორიულ წყაროებს.

რომაელი მწერალი დიონ კასიუსი მოგვითხრობს რომ, როდესაც რომის იმპერატორის ადრიანეს მიწვევით რომს გაემგზავრა მეფე ფარსმან II ცოლ-შვილით, მას დიდი პატივისცემით მიეგებნენ. იმპერატორმა ფარსმანს სამფლობელოები გაუფართოვა და თვით მასაც მეუღლითურთ არაჩვეულებრივი პატივი სცა: ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა და ცხენზე მჯდომი ფარსმანის ქანდაკება მარსის ველზე დადგა. მარსის ველზე იმპერატორმა ადრიანემ დიდის ყურადღებით ინახულა „სამხედრო ვარჯიშობანი ფარსმანისა, მისი ვაჟისა და წარჩინებულ ივერიელებისა“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, მარსის ველზე 14 მარტს იმართებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი რომაული თამაშობანი — პონტიფიკები.

ძველ ქართველ ტომთა შორის ეროვნულ ფიზიკურ ვარჯიშობათა გავრცელების შესახებ ნათლად მოწმობს ისტორიკოს ტაციუსის მიერ მოყვანილი ფაქტიც: „ფარსმანს ჰყავდა ვაჟიშვილი რადამისტი, მშვენიერი ტანადი, არაჩვეულებრივი ძალის მქონე, ყოველგვარ საერო ვარჯიშობაში დახელოვნებული და ყველა მეზობელ ერებში სახელგანთქმული“.

მესამე წოდების ფიზიკური კულტურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესამე წოდებას შეადგენდა თავისუფალი ხალხი, რომელიც, მარ-

<sup>1</sup> ე. ვ. ლათიშვილი, „ცნობები“... ტ. I, გამოც. I, გვ. 622. (რუს. ენაზე).



თალია, პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენით არ სარგებლობდა.

მესამე წოდების წარმომადგენლებს მეფის განკარგულებით ომში გასვლაც ევალებოდათ, ამიტომ, უდავოა, რომ მეფეებისა და არისტოკრატების გარდა, რომლებიც სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებს იყენებდნენ (ცხენოსნობა, მშვილდისრის ტყორცა, ფარიკაობა, შუბის ტყორცა და სხვა), ძირითადად ასეთივე ხასიათის ფიზიკური ვარჯიშობანი მისაწვდომი იყო მესამე წოდების წარმომადგენელთათვის, მაგრამ არსებობდა განსხვავება შეიარაღებაში. არისტოკრატთა ქონებრივი მდგომარეობა საშუალებას იძლეოდა მათ საუკეთესო იარაღი ჰქონოდათ და საუკეთესო ცხენებიც ჰყოლოდათ. განსხვავება არსებობდა სამხედრო-ფიზიკური მომზადების დონეშიც, რადგან არისტოკრატთა ფიზიკურ შრომას არ ეწეოდა. მას ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა და საშუალება ეძლეოდა უკეთესად გაწვრთნილიყო და მომზადებულიყო.

ჯარში ქვეითებს და მკვირცხლთა გუნდებს მეფეს, სწორედ, თავისუფალი მიწისმოქმედი ერი (ე.ი. მესამე წოდება) აწვდიდა.

მეოთხე წოდებას წარმოადგენდნენ მესეფე გლეხები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სეფე-სახლისათვის საკვების, ტანსაცმლისა და ყოველივე იმის მიწოდება, რაც კი ადამიანს ესაჭიროება. თავისუფლება შეზღუდულ და ფიზიკური შრომით დატვირთულ მდაბიო ხალხს, რა თქმა უნდა, არ ექნებოდა ფიზიკურ ვარჯიშობათა სისტემატურად წარმოების საშუალება. იგი მხოლოდ დროგამოშვებით — დღესასწაულების დროს — თუ შესძლებდა გართობა-თამაშობას. მდაბიო ხალხისათვის მისაწვდომ ფიზიკურ ვარჯიშობებს ეკუთვნოდა: რბენა, ხტომა, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, მშვილდოსნობა, მოძრავი თამაშობანი, ცეკვა და სხვ.

როგორც ზემოთ ვთქვით, იბერიაში ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს ბლომად იყვნენ მონები, რომელთაც მეფის გვარი, ქურუმები და სხვა მდიდარი ხალხი ჰფლობდა. მონებს იყენებდნენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე. ისინი მუშაობდნენ მშენებლო-

ბებზე, არხების გაყვანაზე, ხელოსნობასაც ეწეოდნენ. ყოველგვარ უფლებებს მოკლებულ და არაადამიანურ, იძულებითი შრომით დატვირთულ მონებს ფიზიკური ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდათ.

ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი ლიტერატურული წყარო, რომლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ე ა შ ი, გიმნაზიები არსებობდა.

ბერძენი მწერალი ტ ი მ ო ნ ა კ ს ი თავის თხზულებაში (წიგნი I) ამბობს, რომ იასონმა ჯერ კიდევ კოლხეთში შეირაო მ ე დ ე ა. ტიმონაკსი იქვე აღნიშნავს, რომ: „კონტოზე გავლისას მოსჩანს რაღაც ბალები, რომლებიც იასონის სახელს ატარებენ, ამ ბალებთან იგი ნაპირზე გადმოვიდა: ეაში — გიმნაზიებია, დისკოსები, მედეას კოშკი, რომელშიც მან იქორწინა, ქალაქთან აშენებულია იასონის საკურთხეველი და ამის კარდა, მრავალი სხვა საკურთხეველები“<sup>1</sup>.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ტიმონაკსი შეცდომით ახსენიებდეს გიმნაზიებისა და დისკოსების არსებობას კოლხეთში. მისთვის ეს დაწესებულებები უცხო როდი იყო. საკმაოდ ცნობილია, რომ შეძლებული ბერძნები ტანვარჯიშულ სკოლაში (გიმნაზიაში) იზრდებოდნენ. ასე რომ, ტიმონაკსისათვის კარგად იყო ცნობილი როგორც თვით დაწესებულებები (გიმნაზიები), აგრეთვე სავარჯიშო იარაღები, რომელთაც აქ იყენებდნენ (ამ შემთხვევაში დისკოსები). როგორ შეეძლო ტიმონაკსს მოეხსენებინა ქალაქ ე ა შ ი კოლხურ ფიზკულტურული დაწესებულებათა არსებობა, რომ მათ არ ჰქონოდა მსგავსება ბერძნულ ანალოგებთან.

იმდენად, რამდენადაც ეა (აია) წმინდა კოლხური ქალაქი იყო, ბერძენთა გავლენას მოკლებული, გიმნაზიების შექმნა ქალაქ ეაში თვით კოლხთა ინიციატივა უნდა ყოფილიყო.

არსებული წყაროების მიხედვით დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში უძველეს დროიდანვე არსებობდა სპორტული ნაგებობანი.

<sup>1</sup> ე. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი, „ცნობები“... ტ. I, გამოცემა II, გვ. 437 (რუს. ენაზე).

კოლხეთში იპოდრომის არსებობაზე მოგვითხრობს აპოლონ როდოსელი. თავის „არგონავტიკაში“ იგი აღნიშნავს, რომ „არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ბოლმე“<sup>1</sup>.

ბროკოპი კესარიელი გვიამბობს კოლხეთის განთქმულ ქალაქის აფსარუს შესახებ, რომ „ეს ქალაქი ძველად მრავალ-მოსახლიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და იგი შემკულ იყო თეატრითა და ჰიპოდრომით. მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივი ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერი დარჩენილა, გარდა ნაგებობათა საძირკველისა“.

---

<sup>1</sup> აპოლონ როდოსელი, „არგონავტიკა“, თბილისი, 1948 წ., გვ. 148—149.

## ფიზიკური აღზრდა ფეოდალურ საქართველოში

### §1. ფიზიკური კულტურა აღრეულ-ფეოდალურ და ფეოდალიზმის გამარჯვების პერიოდში

ფეოდალური წყობილების დროს კიდევ უფრო განმტკიცდა ფიზიკური კულტურის კლასობრივი დიფერენციაცია.

აზნაურები წარმოადგენდნენ არა მარტო მიწისმფლობელ, არამედ სამხედრო კლასსაც, რომლისათვის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

სამხედრო საქმისათვის ფიზიკურ მომზადებას დიდი როლი ენიჭებოდა და ისეთი ფიზიკური ვარჯიშობანი, როგორცაა რბენა, ხტომა, ცურვა, ტყორცნა, ფარიკაობა, ბურთაობა, ცხენოსნობა და სხვა, ანვითარებდნენ სამხედრო-გამოყენებით ჩვევებს.

აზნაურებს, რომლებსაც საუკეთესო იარაღიც გააჩნდათ და მიწის დამუშავებაც არ აწუხებდათ, შეეძლოთ თავისი დრო მთლიანად სამხედრო საქმისათვის მოენდომებინათ — კარგად დაუფლებოდნენ იარაღის ხმარებასა და ცხენოსნობას.

ფეოდალები ბავშვობიდანვე იწვრთნებოდნენ სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობაში. ისინი სწავლობდნენ ცხენოსნობას, ფარიკაობას, მშვილდის ტყორცნას და ამ გზით იძენდნენ სამხედრო საქმისათვის საჭირო ჩვევებსა და ცოდნას.

მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში ქართველმა ხალხმა გამოამყდა ანა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. იგი

გმირულად იბრძოდა შემოსეულ მტერთა ურდოებთან და სიცოცხლეს არ ზოგავდა მამულის დასაცავად. ამ ბრძოლების პროცესში ქართველებმა სამხედრო იარაღის და ტექნიკური პელოვნების კარგი დაუფლება გამოიჩინეს.

საქართველოს მიწა-წყლის დაცვის საქმეში გადამწყვეტ ძალას სახალხო ლაშქარი წარმოადგენდა. ლაშქრის მებრძოლთა მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახეც-რო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებს. საქართველოს ჯარს მეტწილად მტრის ცხენოსან ჯართან უხდებოდა ბრძოლა, ამიტომაც ფიზიკურ ვარჯიშობათა ცხენოსნური სახეობები საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

მრავალი თავდაცვითი ომის გამოცდილებამ დაგვანახვა, თუ რამდენად დიდი როლი ითამაშა ხალხის ფიზიკურმა გაწვრთნამ, გამძლეობამ, ძალ-ღონემ, გამბედაობამ. სიმტკიცემ და სხვა ფიზიკურმა და მორალურმა თვისებებმა, რომლითაც აღჭურვილი იყვნენ განთქმული ქართველი სარდლები და მეთაურები — უშიშარნი ბრძოლის დროს და დაუღალავნი ლაშქრობაში.

იმ შორეულ ხანაში, როდესაც სამხედრო ტექნიკა განვითარების დაბალ დონეზე იდგა, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მებრძოლთა ფიზიკურ თვისებებს, ამიტომაც ვახტანგ გორგასალი (V საუკუნე) დიდი ყურადღებით ეკიდებოდა როგორც სამხედრო ძალების ორგანიზაციის, ისე თვითეული მებრძოლის ფიზიკური მომზადების საქმეს.

მუდმივი ომები გარეშე მტრებთან, შინაბრძოლები სამთავროებს შორის, ასევე ბრძოლა თვით აზნაურთა შორის — ამ უკანასკნელთაგან მოითხოვდა მუდამ მზადყოფნასა და ამასთან დაკავშირებით სამხედრო გამოცენებითი ჩვევების გამომუშავებას. ამ პირობებში აზნაურობამ თანდათან გამოიმუშავა და შექმნა სამხედრო-ფიზიკური მომზადების სათანადო სისტემა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ გლეხთა ექსპლუატაციით და ამ უკანასკნელთ არ აძლევდნენ საშუალებას განეკითხებინათ თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალები. საპატ-

რონქმო გადასახადისა და სამუშაოების გამო გლეხობა დიდ შევიწროებას განიცდიდა. ფიზიკური კულტურის კლასობრივი ხასიათის გამო გლეხობისათვის მისაწვდომი იყო ფიზიკურ ვარჯიშობათა ისეთი სახეები, რომლებიც სპეციალურ მოკაზმულობასა და სათანადო ხარჯებს არ მოითხოვდა. ამიტომ გლეხობაში გავრცელებული იყო ჭიდაობა, სიმძიმეების წევა, მშვილდოსნობა, მოძრაი თამაშობანი, ცეკვა-გართობები და სხვ. მაგრამ გლეხთა ფიზიკური ვარჯიშობები თავისი ფორმითა და შინაარსით ღარიბი როდი იყო. პირიქით, უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალთა კლასის ფიზიკურ ვარჯიშობათა არსენალს აწორედ ხალხური სახეობები წარმოადგენდა. ფეოდალებს მშრომელი ხალხისაგან გადმოჰქონდათ ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეობები და სათანადო გადამუშავების შემდეგ ფართოდ იყენებდნენ მათ. მატერიალური მდგომარეობა კი ფეოდალებს საშუალებას აძლევდა უფრო გაერთულებინათ ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები და ზოგიერთი თამაშობა ცხენების გამოყენებითაც შეესრულებინათ.

ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა ხელს უწყობდა ახალგაზრდობის ძალ-ღონის გამაგრებას, ნებისყოფისა და ზასიათის განმტკიცებას, გამბედაობის, გამძლეობისა და სხვა ფიზიკური და მორალური თვისებების გამომუშავებას. ფიზიკური აღზრდა იძლეოდა იმ ჩვევებს, რომლებიც საჭირო იყო მშრომელი ხალხისათვის შრომისა და თავისი სამშობლოს მტერთაგან დაცვის საქმეში.

ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშობანი კარგადაა ასახული ძველ ხალხურ სიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, „ამირან-ღარეჯანიანიში“ მოხსენებულია იმდროინდელ საქართველოში გავრცელებული ვარჯიშობანი: „დავჰყავით მრავალნი დღენი, ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით და სიხარული იყვის დიდი. მშვილდოსანსა ყველასა მზე-ჭაბუკი სჯობდა, მოასპარეზესა ყველასა იმარინდო სჯობდა, ოროლითა შომღერალსა ყველასა დორათ დილაში სჯობდა, მონადირესა ყველასა მოსორ ნადირის ძე სჯობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამ-

ირ იამანელი სჯობდა, მცურავსა ყველასა ღამარ ღაზნელი სჯობდა. ესე მე თვით შინახავს ღამარ ღაზნელისაგან, რომელ რაზომცა დიდი წყალი იყვის შეკაზმული კაცი ღლიასა შემოიგდის და იმიერით გაიტანის და ჭაბუკად რომელი სჯობდეს, აწ სცანიოთ“<sup>1</sup>.

„ამირან-დარეჯანიანში“ მოცემულია რაინდთა ბრძოლის სურათი.

ამირან-დარეჯანისძე შეებრძოლა სეფედავლეს:

„შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა, შეუტივეს და შეიბნეს, დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰკვანდა მათი ომი და ჯახება. ხმალთა ცემა ჭეხასა ჰკვანდა. იბრძოლეს დიდი ხანი და ორთავე გაუტყდეს ხმალნი და მეორენი გამოიწვადნეს და კვლავე შეუტივეს ერთმანერთსა და ვერა შევატყევიოთ დაღბობა ერთსაცა...“

გაგრძელდა ომი და გაუტყდეს მეორენი ხმალნიცა და მესამენი გამოიწვადნეს. თავმან თქვენმან, უფიცხე შეიბნეს და ჩვენ ერთობ გაგვიკვირდა ეზომი სიკეთე ცხენთა და კაცთა, რომე არა დაღბეს“<sup>2</sup>.

აქვე მოცემულია ჯგუფური შებრძოლების სურათიც:

„შიკაზმეს ოც-ოცი ტაიჭი, გავიდეს და შეიბნეს. რა სეფედავლემ ჩამოაგდის და მოუკლის ცხენი, მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა ზარსა და დაუწყიან ცემა ბუქსა და დაბდაბსა. რა დარეჯანისძემან ჩამოაგდის და ცხენი მოუკლის, ეგრევე ჩვენ დავსციოთ ზარი და ვკპრიოთ ბუქსა და დაბდაბსა. მას დღესა ოცივე ცხენი მოუკლა სეფედავლემ ამირან-დარეჯანისძესა და თხუთმეტი ცხენი დარეჯანისძემან მოუკლა სეფედავლესა. დარჩომოდა ჯობნა მის დღისა სეფედავლეს...“

მეორესა დღესა შეიკაზმა ორმოცი ცხენი მან და ორმოცი მან და მას დღესა მოუკლა ამირან სეფედავლეს ორმოცივე ცხენი და ოცდაათი სეფედავლემ. დარჩა მას დღესა ჯობნა ამირან-დარეჯანისძისა. კერძ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, ამირან-დარეჯანიანი, თბილისი, 1939 წ., გვ. 142.

<sup>2</sup> იგოვე, გვ. 126.

<sup>3</sup> იგოვე, გვ. 124.

„ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით ბრძოლები დიდხანს გამოდიან, როგორც მემატთანეს აქვს აღწერილი (მშვილდ-ისარი, ხმალი, ლახვარი, ლახტი და სხვა).

ხსენებული ნაწარმოების მიხედვით რაინდები ან ზრდილობიანი წინადადებით იწვევენ ერთმანეთს საბრძოლველად, ანდა მუქარით.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ერთნაირადაა აღწერილი ბრძოლა როგორც „ამირან-დარეჯანიანში“, ისე მატთანეში: „შეუტივეს და შეიბნეს, დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგვანდა მათი ომი და ჯახება. ხმალთა ცემა ჭეხასა ჰგვანდა“, — ნამბობია „ამირან-დარეჯანიანში“; „ოდეს უხეტქნიან ჩუგლუგი იგი საჭურველთა მათსა ზედა მსგავს იყვის ხმასა უროსასა, რომელ იცემის მკედლისაგან გურდემლსა ზედა“ — მოგვითხრობს მემატთანე.

„ამირან-დარეჯანიანის“ გმირები ისეთივე შეიარაღებით გრძელდება — დილიდან საღამომდე, ანდა ორი-სამი დღე და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტ ხანს. ასევე ხანგრძლივია მატთანეში აღწერილი ორთა ბრძოლები.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ისრებს ტყორცნიან, შემოპკრავენ ხმალს, მაგრამ უფრო ხშირად ცდილობენ ერთმანეთის ცხენიდან ჩამოგდებას. მაყურებლები გამარჯვებულთ განსაკუთრებული პატივისცემით ექცევიან და თავის აღტაცებას გამოსთქვამენ.

გამარჯვებული ბრძოლის შემდეგ დახმარებას აღმოუჩენს დამარცხებულს და ხშირად ორივენი სამუდამოდ შეგობრდებიან და ძმობილები რჩებიან.

რაინდთა ბრძოლები და მასობრივი შეჯიბრებები სახეიმო ვითარებაში ტარდებოდა. გარდა მონაწილეებისა, შეჯიბრების ადგილზე დიდძალი მაყურებელი იკრიბებოდა. რაინდთა შეჯიბრებები, ჩვეულებრივ, ქალაქგარეთ იმართებოდა და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ამის გამო იქვე გაკეთებული იყო კარვები ღამის გასათევად.

მეორე ლიტერატურულ ნაწარმოებში „რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ შ ი“ აღწერილია ძველი ქართული თამაშობა — ყ ა ბ ა ხ ი.



ფიზიკურ ვარჯიშობათა ამ სახეში წვრთნა ბავშვობიდანვე იწყებოდა. ჯიმშედ ხელმწიფის აღზრდის შესახებ „რუსულანინანში“ ნათქვამია:

„ხუთის წლისა რომ გათავდა, ძალზე ცხენს არბევდა, ბურთობდა და ყაბახს ესროდა. არა ზნეობა და მოწიფულობა არა აკლდა რა, რომ არ იცოდა“<sup>1</sup>.

ყაბახი იმართებოდა დღესასწაულებისა და ქორწილის დროს.

ევროპაში ჯვაროსნული ომების დასაწყისიდან მაჰმადიან ქვეყნების ყურადღება ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაპირებისაკენ იყო მიპყრობილი და ამ გარემოებამ საშუალება მისცა საქართველოს წარმატებით გამოეყენებინა შექმნილი ხელსაყრელი პირობები.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს საზღვრები თანდათან მიიწვეს სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ — ტრაპეზუნტამდე და ხორანთამდე. უკვე თამარის მეფობის დროს საქართველოს დიდი ტერიტორია ეჭირა. მის საზღვრებში თითქმის მთელი კავკასია მოექცა.

საქართველოს ძლევამოსილებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მაჰმადიან მფლობელთა შორის. უძლიერესი თურქული სამეფოს — რუმის—სულტანმა რუკნადინმა მოკავშირეებთან ერთად 400.000 ჯარისკაცი შეკრიბა და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. ქართველები, მეფე დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით, სწრაფად დაიძრნენ საქართველოს სამხრეთ საზღვრებისაკენ. თურქები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ქართველებს დიდძალი ტყვე და ქონება ჩაუვარდათ ხელში. ეს იყო 1205 წელს („ბასიანის ომი“). ამ ბრძოლას, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ყარსის აღება. ამის შემდეგ საქართველოს ჯარმა 1210 წელს მოაწყო დიდი ლაშქრობა ირანში.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა დიდ და ძლიერ სახელმწიფოს.

<sup>1</sup> რუსულანინი, თბილისი, 1957 წ., გვ. 238.

საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაძლიერების საფუძველზე გაიფურჩქნა და აყვავდა ძველი ქართული, ფეოდალური ხანის კულტურა. დადგა საქართველოს საერთო პოეზიისა და ხელოვნების აყვავების ხანა.

ამ ეპოქაში შექმნილი იოანე შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხაძის „თამარიანი“ წარმოადგენენ მაღალმხატვრული ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს.

ამავე ეპოქას ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტის, გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

დიდ განვითარებას მიაღწია ფიზიკურმა კულტურამ ამ პერიოდის საქართველოში. სხვა წყაროებთან ერთად ამის დამადასტურებელია იმდროინდელი ნაწარმოებები და პირველ რიგში შ. რუსთაველის პოემა, რომელშიც ავტორი იშვიათი სილამაზის ლიტერატურულ ფორმებში მოგვითხრობს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე, თავგანწირულ მეგობრობაზე, გმირობაზე და ამასთან ერთად აგვიწერს საქართველოს მაღალ სპორტულ კულტურას.

სპორტს საქართველოში იმდენად საპატიო ადგილი ექირა, რომ მგოსანი ბურთაობაში დახელოვნებას ადარებს მელექსეთა ხელოვნებას:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
მობურთალსა—მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,  
ბართ აგრეთვე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,  
რა მისპირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,  
რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,  
არ შემოაყლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,  
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“...

მოვიყვანოთ პოემიდან მეორე ადგილიც, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ რამდენად აფასებდნენ ადამიანის ფიზიკურ თვისებებსა და სპორტულ მიღწევებს. მეფე როსტევანი დარდობს, რომ მას ვაჟი არა ჰყავს, მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტ სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფოში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს მასთან ფიზიკურ ვარჯიშობებში შეჯიბრება:

„ერთაი მიზის ასული ნაზარდი სათუთობითა;  
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი ვარ საწუთროსა თმობითა,  
ანუშეა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;  
კოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანე ნაზარდობითა“.

პოემის მიხედვით რუსთაველის ეპოქაში დიდად გავრცე-  
ლებული ყოფილა მშვილდოსნობა და ბურთაობა, ხოლო ვაჭ-  
კაცობა და ფიზიკური უპირატესობა შეჯიბრების საშუალებ-  
ებით წყდებოდა.

„ავთანდილ იტყვის: დავიწყო კადრება საუბნარისა:  
ნუ მოჰკეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა!“

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;  
ნაძლევი დაედვით, მოვახსნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია;  
მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია,  
გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია!“

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.  
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,  
კარგთა ყმასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,  
მერე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“

ნადირობა, როგორც სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვან-  
სახეობა, დიდად ყოფილა გავრცელებული. „ვეფხისტყაოსან-  
ში“ აღწერილია როსტევეან მეფისა და ავთანდილის სანადი-  
როდ გამგზავრება.

„უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,  
მშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,  
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“  
დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოვლთა მინდოროთა კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწთომელი,  
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლა მსლტომელი.  
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჰვრეტადმცა სჯობდა რომელი!  
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს.  
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიახსმიდეს;  
რა ისარი დაელივის, მონანიყე მიართმიდეს.  
მხეცი, მათგან დაკოდილნი, წალმა ბიქსა ვერ წასდგმიდეს“.

ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის აღზრდის ამბავს,  
ხაიდანაც ჩანს, რომ მის საერთო აღზრდაში დიდი ადგილი  
ეჭირა ფიზიკური აღზრდას და თუ იგი კარგი ფიზიკური აგე-

ბულებით, განვითარებითა და თვისებებითაა დაჯილდოვებული — ეს, რა თქმა უნდა, სისტემატური ვარჯიშობისა და წერტნის წყალობით:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა; დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა; ძალად ღომსა, თვალად მზესა, ტანად ეკვანდი ედემს ზრდილსა, სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“.

„მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან; მერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან; შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადგ ლხინსა ჩვეულმან; აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ზადახშეულმან!“

მო შ ა ი თ ბ ა, რომელიც ვრცლად აქვს აღწერილი არჩილ მეფეს თავის თხზულებაში — „საქართველოს ზნეობანი“, შოთა რუსთაველის ეპოქაშიც საკმაროდ ცნობილი ყოფილა:

„ესე თქვა და სიხარულით თამაშობა აღიდა,  
მგოსანი და მოშაითი უხმეს, პოვეს, რაცა სადა;  
ღია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა,  
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვადაც რა დაბადა!“

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,  
მასწავლენს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწერთიდიან;  
ასრე ვავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,  
ვინცა მკვერტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან“.

ბურთაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მუშაითობა, ნადირობა — აი ფიზიკურ ვარჯიშობათა ის სახეობები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული შოთა რუსთაველის ეპოქაში და ყოველივე ეს დიდ პოეტს შესანიშნავად აქვს გამოსახული თავის უკვდავ ნაწარმოებში.

ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების ჩასატარებლად, რა თქმა უნდა, სათანადო სპორტული ნაგებობანიც უნდა ყოფილიყო და, მართლაც, ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ძველად საქართველოში არსებობდა სტადიონები და იპოდრომები. ამ ნაგებობებზე იმართებოდა დიდი შეჯიბრებები, რომლებიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა:

ჩვენ, დიდ-ვაჟართა, ზედა გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა;  
მათ საბოძვრისა ბოძება ქმართელს მსგავსისა ჩვენისა;

ათ ღღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა,  
შოედანს შღერა, ბურთობა, ღრგიალი ცხენთა ღვენისა<sup>1</sup>.

რუსთაველის ეპოქაში საქართველოს გააჩნდა ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა, რომელსაც აშკარა უპირატესობა ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვათა — რაინდულ სისტემებთან შედარებით.

ფიზიკური ვარჯიშობანი, საერთოდ, და, განსაკუთრებით, ბურთაობა და ნადირობა ფართოდ იყო გამოყენებული ჯარისკაცთა ფიზიკური და სამხედრო მომზადების საშუალებად.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ომისაგან მოცლილი ან ომის მოლოდინში მყოფი საქართველოს ჯარი ფიზიკური ვარჯიშობებით იწვრთნებოდა. თამარ მეფის დროს — „სპანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა“<sup>1</sup>.

ფიზიკურ ვარჯიშობას ეწაფებოდნენ მეფენი და სარდლებიც. ფიზიკური ვარჯიშობანი სახელოვან და აუცილებელ საქმედ მიაჩნდათ თამარის დროს განთქმულ სარდლებს — მეფე დავით სოსლანს, ზაქარია მხარგრძელს და სხვ.

მეფე თამარის ისტორიკოსი აგვიწერს განთქმულ სპარსელ და ქართველ მობურთალებს შორის გამართულ შეჯიბრებას:

„უბრძანა მეფემან ამირ-სპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთა უხუცესსა ივანეს, ჰერეთისა ერისთავსა გრიგოლსა და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმანი მისითა დიდებულითა და მონითა, და თვით თამარ საქურეტელად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა. ისლიმნი, დამჯრებულნი თავისა მეცნიერობისანი, და მძღებრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მქმუნვებულნი“<sup>2</sup>.

როგორი იყო ხალხთა მასების ფიზიკური აღზრდა ხსენებულ პერიოდში?

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ზაქარია კიკინაძის გამოცემა, თბილისი, 1916 წ., გვ. 485.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, 1941 წ., გვ. 104.

როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეთა საქართველო ფეოდალური ქვეყანა იყო, სადაც ფეოდალური ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

გლეხები სავსებით დამოკიდებულნი იყვნენ თავიანთ ბატონებისაგან. გლეხთა უმწეო მდგომარეობა იწვევდა მათ წინააღმდეგობას. ამ მხრივ აღსანიშნავია თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში მომხდარი დიდი აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

ფიზიკურ აღზრდას ამ პერიოდში მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. ფეოდალები ფიზიკური აღზრდის ყველა საშუალებას თავისი კლასის ინტერესებისათვის იყენებდნენ. ამასთან ერთად, ფიზიკურ ვარჯიშობათა ზოგიერთი სახეობა ფეოდალთა კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა.

თუ ფეოდალები ბავშვობიდანვე იწყებდნენ წვრთნას, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, და ამგვარად ფიზიკური აღზრდის ერთგვარ სკოლას გადიოდნენ, ამას მოკლებული იყო გლეხობა. მათ არ ჰქონდათ სისტემატური ვარჯიშობის საშუალება, რადგან საამისო დროც არ მოეპოვებოდათ მძიმე ფიზიკური შრომის გამო. ამიტომ გლეხობის ფიზიკურ აღზრდას ნაკლებ ინტენსიური და ასევე ნაკლებ სისტემატური ხასიათი ჰქონდა. გლეხობას უქმე დღეებში თუ შეეძლო თამაშობებისა და შეჯიბრებების გამართვა. სამაგიეროდ ამ მცირე დროს იგი მთელი თავისი არსებითა და გატაცებით ანდომებდა საყვარელ ფიზიკურ ვარჯიშობებს, თამაშობებსა და გართობებს, რომელთა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ერთობ დიდი იყო. მათი საშუალებით ახალგაზრდობას უმტკიცდებოდა შრომისათვის საჭირო ჩვევები — ძალ-ღონე, ამტანობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ვარჯიშობებს აგრეთვე სამშობლოს დაცვისათვის. ხალხთა მასა თავგანწირვით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს. საჭირო იყო დიდი თავდადება, სიმტკიცე, გამძლეობა, სიმამაცე, რომ ხალხს შეენარჩუნებინა თავისი არსებობა. ამიტომაც მშრთმელი ხალხი ხალისით ეწაფებოდა ფიზიკურ ვარჯიშობას და იცავდა საკუთარ ფიზიკურ კულტურას, რომელიც მისი მატერიალური და სულიერი კულ-

ტურის განუყრელი ნაწილი იყო. მაგრამ ექსპლუატაციის ზრდის პირობებში მატერიალური დოვლათის შემქმნელთ უძნელდებოდათ ფიზიკური კულტურის ყველა ფორმის გამოყენება.

საქართველოს სამეფოს გაძლიერების ხანაში ფეოდალთა ბაეშვების აღზრდა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: 1) საერო აღზრდა (არსებითად სამხედრო) და 2) სასულიერო. აღზრდის ორივე სისტემა მისაწვდომი იყო მხოლოდ ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთათვის.

სასულიერო აღზრდა მიმდინარეობდა მონასტრებთან და არსებულ სპეციალურ სკოლებში. ამგვარ სკოლებს ეკუთვნოდა, მაგალითად, ათონის ლიტერატურული სკოლა, დაარსებული ათონის მონასტერში (ქალკედონის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთში). იოანე მთაწმინდელის მიერ X საუკუნის 80-ან წლებში და რომელმაც 100 წელი იარსება. მასალები ამ სკოლის აღზრდის საქმის დაყენების შესახებ მოცემულია ცნობილი მწიგნობრისა და ათონის იბერიის მონასტრის მოღვაწის გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში.

1060 წელს გიორგი ათონელი მეფე ბაგრატ მეოთხის მოწვევით ჩამოსულა საქართველოში, სადაც შეუქრებია 80 ობოლი ბავშვი და საქართველოშივე (ახალქალაქში) შედგომა მათ აღზრდას, ხოლო 1065 წელს, როდესაც საქართველო (და, კერძოდ, ჯავახეთი) თურქებს შეუვიწროებიათ, გიორგი იძულებული გამხდარა ათონში დაბრუნებულიყო და თან წაეყვანა თავისი მოწაფეები სწავლის გასაგრძელებლად.

გიორგი ათონელი მოწინავე, პროგრესული პედაგოგი იყო, ამავე დროს, დემოკრატი და სამშობლოს დიდი პატრიოტი. აღზრდისა და განათლების მიზნად გიორგი ათონელს მიაჩნია ადამიანის სულიერი და ფიზიკური განვითარება. იგი მოითხოვს გონების, ხასიათის სიმტკიცის, გამბედაობის, დამოუკიდებლობისა და ფიზიკური ძალ-ღონის განვითარებას.

როგორც გიორგის ბიოგრაფიიდან ჩანს, აღზრდა შეიდი წლიდან იწყებოდა. მოწაფეები გიორგის ასაკისდა მიხედვით ჰყავდა განაწილებული და აღზრდის ამოცანები ამ ასაკობრივი განაწილების მიხედვით იცვლებოდა. სამი ასაკობრივი

ჭვეფი იყო დაწესებული და ამის მიხედვით აღზრდის სამი საფეხური არსებობდა: 1) ყრმობის, რომელშიც მთავარი ყურადღება აღზრდას ექცეოდა; 2) ჰაბუკობის, რომლის ყურადღების ცენტრს სწავლება შეადგენდა, და 3) დასრულების, რომელშიც ადამიანი აღწევდა „სრულად განათლებას“.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის სასულიერო სკოლებიდან ფიზიკური აღზრდა განდევნილი იყო. ბავშვთა უბრალო გართობა და თამაშობაც ცოდვად მიაჩნდათ. საქართველოს სასულიერო სკოლებში, პირიქით, ფიზიკური აღზრდა საერთო აღზრდა-განათლების საქირო ელემენტად მიაჩნდათ და ბავშვები განსაზღვრულ დროს ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. ამის შესახებ გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ყოფილა: „ჩვეულებად ყმათა ველად განსვლისა მღერად და განცხრომად“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით მღერა და შექცევა თამაშობას ნიშნავს, ხოლო თამაშობა მას ასე აქვს განმარტებული:

„... თამაშობა ქართულად მღერა შექცევათა სახელია და ესეცა განიყოფების ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად“<sup>1</sup>.

ამ მრავალრიცხოვან ფიზიკურ ვარჯიშობათა კომპლექსიდან, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ რიგში ბავშვებისათვის გამოყენებულ იქნებოდა მათი ასაკის შესაბამისი ვარჯიშები.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიიდან მოყვანილი ცნობა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ფიზიკური აღზრდა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში საერთო აღზრდის ნაწილს წარმოადგენდა და ყველა აქ მოსწავლე ბავშვთათვის სავალდებულო ყოფილა.

მეტად საინტერესოა, რომ ათონის სკოლაში გონებრივ განათლებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შრო-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1940 წ., გვ. 133.



მიი ალზრდას. აქ ბავშვებს ასწავლიდნენ სხვადასხვაგვარ ხე-ლობას: დურგლობას, მკედლობას, ხარაზობას, ხუროთმოძღვრებას და სხვ. ამავე დროს აქ ასწავლიდნენ მებაღეობას, მევენახეობას და სხვ. გონებრივი და შრომითი აღზრდის ამგვარი შეხამება სრულებით უცნობი იყო როგორც ბიზანტიისათვის, აგრეთვე ამ პერიოდის ყველა სხვა ქვეყნისათვის.

ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები — აკადემიები. ასეთი აკადემიები მოთავსებული იყო თბილისში, გელათსა და იყალთოში. ისინი წარმოადგენდნენ საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კერებს. ჩვენ სრული საფუძველი ვაქვს განვაცხადოთ, რომ ხსენებულ აკადემიებში ფიზიკურ აღზრდას მეორეხარისხოვანი როლი არ ენიჭებოდა.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ყველა აკადემიის და, კერძოდ, გელათის აკადემიის მოღვაწეობას, ამ უკანასკნელში სპეციალურად მოიწვია დიდი ქართველი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და პედაგოგი იოანე პეტრიწი, რომლის აღზრდისა და სწავლების პროგრამა ითვალისწინებდა: 1) გონებრივ აღზრდას, რომელიც შეიცავდა გრამატიკის, რიტორიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, ისტორიის, მუსიკის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიის შესწავლას; 2) მოსწავლეთა ფიზიკურ გაჯანსაღებას; 3) ესთეტიკურ აღზრდას და 4) ზნეობრივ აღზრდას. ამრიგად, იოანე პეტრიწის აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც ყველაზე მოწინავე იყო XII საუკუნეში, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასაც ითვალისწინებდა.

დოცენტი ვ. ჭანტურია თავის ნაშრომში „Педагогика грузинского гуманизма XI—XII в. в.“ საფუძვლიანად გამოთქვამს იმ აზრს, რომ თბილისის აკადემიასთან არსებობდა სპეციალური სახლი სამხედრო-ფიზიკური ვარჯიშობისათვის („სახლთა სათამაშოთა“).

რაც შეეხება საერო აღზრდას, მას მთლიანად სამხედრო შიშართულება ჰქონდა. ახალგაზრდა ფეოდალების აღზრდა მეტწილად ფიზიკური იყო. შვიდი წლის ფეოდალს აღსაზრდელად რომელიმე თავადის ან ერისათვის ოჯახში გააბარებ-

დნენ. ყმაწვილებს სპეციალურად მიჩნეული ჰყავდათ აღ-  
მზრდელები (მამამუძე და გამზრდელი), რომლებიც მათ ინ-  
დივიდუალური წესით ასწავლიდნენ. ფეოდალთა ვაჟები ყო-  
ველმხრივ ფიზიკურ აღზრდას ღებულობდნენ. მათ ასწავლი-  
დნენ ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, ბურთაობას, შუბისა-  
და ლახვრის ტყორცნას, ფარიკაობას, სამხედრო ხასიათის თა-  
მაშობებს და ვარჯიშობებს. ამავე დროს ფიზიკურ აღზრდას-  
თან ერთად გონებრივ აღზრდასაც ღებულობდნენ.

ისტორიული წყაროების მიხედვით სასულიერო აღზრდას  
ქალებიც ღებულობდნენ. გიორგი ათონელის მშობლებმა თა-  
ვიანთი ასული თეკლე, როცა იგი შვიდი წლის გახდა, მონ-  
ასტერში გააბარეს აღსაზრდელად. კულტურულ-განმანათ-  
ლებელი კერები ქართველ ქალთათვის საქართველოს გარე-  
თაც იქმნებოდა, მაგრამ ქალები საქართველოში საერო აღზრ-  
დასაც ღებულობდნენ.

ქალთა აღზრდის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა  
გამოვარკვეოთ: საქართველოში ღებულობდნენ თუ არა ქალები  
ფიზიკურ აღზრდას. მართალია, ლიტერატურულ წყაროებ-  
ში ამის შესახებ უშუალო მითითება არ მოიპოვება, მაგრამ  
უფრო მოგვიანო პერიოდის მასალების მიხედვით საშუალება  
გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ფიზიკური ვარჯიშობანი ქალთა-  
თვისაც მისაწვდომი უნდა ყოფილიყო.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში იძლევა ფი-  
ზიკურ ვარჯიშობათა თავისებურ კლასიფიკაციას. მას ფიზი-  
კური ვარჯიშობები (როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ) ექვს ჯგუფად  
აქვს დანაწილებული, რომელთა შორის ჩვენთვის ამჟამ-  
მად ორი ჯგუფია საინტერესო, სახელდობრ: „ფუნდრუკი“  
და „ხუნტრუცი“.

„ფუნდრუკი“, — ამბობს სულხან-საბა ორბელიანი —  
„არს ვაჟებთა მიერ სრბოლა, ხლდომა და სხუანი მრავალნი  
სახენი საკისკასენი“<sup>1</sup>. ე. ი. „ფუნდრუკი“, თანამედროვე  
სპორტულ ენაზე, რომ გადმოვიტანოთ, რბენა, ხტომა და

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1940 წ., გვ. 133.

მცდელობის სხვა სახეობა ყოფილა. „ხუნტრუს“ საბა ასე ვანმარტავს: „ხუნტრუსი არს ქალთა მიერნი ფუნდრუსი ძალისაგებ მათისა“<sup>1</sup>. ე. ი. ფუნდრუსიდან, რომელიც მამაკაცებისათვის გათვალისწინებულ ვარჯიშობათა კომპლექს წარმოადგენდა, შერჩეული ყოფილა ქალებისათვის შესასრულებლად მისაწვდომი სახეები.

მაშასადამე, საქართველოში მრავალ ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის არსებობდა სპეციალური ვარჯიშობათა კომპლექსი — ხუნტრუსი, რომელიც ქალებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

შეუძლებელია შემოხსენებული ვარჯიშობათა კომპლექსები და კერძოდ „ხუნტრუსი“ სულხან-საბა ორბელიანის დროს აღმოცენებულიყო. ეს კომპლექსები წინა საუკუნეებშიც არსებობდნენ და მათ საბას დრომდე მოადწიეს. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ საქართველოში, საშუალო საუკუნეთა უფრო ადრინდელ პერიოდშიც, ფიზიკური აღზრდა ქალთათვისაც მისაწვდომი ყოფილა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში საქართველოში არსებობდა ასპარეზები და იპოდრომები. ძველ საქართველოში სპორტულ ნაგებობათა არსებობას ადასტურებენ აქადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებიც.

ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ ივ. ჯავახიშვილი მოიხსენიებს ზოგიერთი ფიზკულტურული ნაგებობის არსებობას საქართველოში. ხსენებული ნაშრომის მეორე კარში — „ქალაქი და მისი ნაგებობანი“ — იგი წერს:

„არსებობს ერთი საყურადღებო ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოში (დედაქალაქი უნდა იყოს ნაგულისხმევი) საერო ნაგებობათა შორის ყოფილა იპოდრომებიც. იპოდრომი მოხსენებული აქვს შავთელს: თუ ვუქო რამეო. უპირველესად სასახლეები და

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1940 წ., გვ. 133.

„გალავანისა შემკულობანი...  
ქართოსტოვანი,  
ერთასტოლანი,  
იპოდრომისა განხმულობანი“-ო 1.

როგორც ვხედავთ, შავთელი იყენებს ბერძნულ ტერმინს: იპოდრომს, მაგრამ არსებობს შესაფერისი წმინდა ჭარ-თული ტერმინიც — ცხენთსარბიელი. საქართველოში მესამე ტერმინიც არსებობდა — ასპარეზი. „ტერმინების ასეთი სიუხვე ამ ერთნაირი დანიშნულების ნაგებობისათვის, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ქრონოლოგიურ განსხვავების გარდა რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო თვით ნაგებობათა შორის“<sup>2</sup>.

შავთელი ერთ შემთხვევაში თუ ტერმინს — იპოდრომს — ხმარობს, მეორე შემთხვევაში მას ნახმარი აქვს ტერმინი — ასპარეზი:

„რიტორი, ბრძენი,  
მეფეთა ძენი  
ასპარეზთა ზედ  
მსპარაზნობელი“.

არა ვფიქრობთ, რომ ამ ორივე ტერმინით („იპოდრომი“, „ასპარეზი“) ერთი და იგივე სპორტული ნაგებობა ჰქონდეს: ნაგულისხმევი შავთელს, მით უმეტეს, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „...ლექსთა წყობის მხრივ მისი არჩევანი ოდნავაც შეზღუდული არ ყოფილა და „იპოდრომისა განხმულობანი“-ს მაგიერ თავისუფლად შეეძლო „ასპარეზისა განხმულობანი“ ეხმარა. თუ შავთელმა აქ მაინც იპოდრომი იხმარა, უეჭველია, ეს იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ დაწესებულებას საქართველოში მაშინ სწორედ ასე უწოდებდნენ“<sup>3</sup>.

ცხენოსნობისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში ყურადღება ექცეოდა არა

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946 წ., გვ. 69.

<sup>2</sup> იგივე, იქვე.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 134.

მაოტო ასპარეზებისა და იპოდრომების აგებას, არამედ ცხენების მოშენებასა და საჯინიბოების აგებას.

საჯინიბოები ცხენების მოსაშენებლად ქალაქგარეთ ეწყობოდა. გარდა ამგვარი საჯინიბოებისა, არსებობდა აგრეთვე ჩვეულებრივი საჯინიბოები. ყოველი შეძლებული ფეოდალისათვის კარგად მოწყობილი საჯინიბო აუცილებელი იყო, რადგან ცხენს, გარდა სამეურნეო მნიშვნელობისა, დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა, მით უმეტეს, რომ იმდროინდელი ომის ტექნიკა და ხასიათი უპირატესობას ცხენოსანთა ჯარს ანიჭებდა.

ცხენების მოშენებისა და საჯინიბოების აშენების დიდი მნიშვნელობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „საყურადღებო ცნობები ამ საკითხის გასაშუქებლად გიორგი მესამის ერთიანს სიგელში მოიპოვება. ირკვევა, რომ მეცხენეობა რთული მეურნეობა ყოფილა, რომლის წარმოების წესები და თვით ამ საქმის ორგანიზაცია, ამ სამეურნეო დარგისა, მაშინდელი საქართველოსათვის უაღრეს მნიშვნელობას კარგად ცხადყოფს“<sup>1</sup>.

საქართველოში ძველი დროიდანვე აშენებდნენ აბანოებს, რომლებსაც დიდი სანიტარულ-ჰიგიენური და სამკურნალო მნიშვნელობა ჰქონდათ. არმაზის არქეოლოგიური კვლევა-ძიება ადასტურებს იქ უძველესი დროიდან აბანოს არსებობას. ხსენებული ნაგებობა აშენებული ყოფილა ძველ საბერძნეთსა და რომში გავრცელებული ტერმების გეგმით. ასეთივე აბანოები სხვაგანაც ყოფილა საქართველოში (თბილისში, გეგუთში, დმანისსა და სხვა ადგილებში).

საქართველოში სანადირო სასახლეებსაც აშენებდნენ. ეყრდნობა რა სათანადო წყაროებს, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ გეგუთის საზამთრო სასახლე თავდაპირველად სანადირო სასახლეს წარმოადგენდა. ეს იყო თავისებური ბაზა ზამთრობით დიდი ნადირობის მოსაწყობად იმ პერიოდში, როდესაც მეფე იქ იმყოფებოდა.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, „მასალები“... თბილისი, 1946 წ., გვ. 30.

როგორც ცნობილია, ნადირობა საშუალო საუკუნეთა საქართველოში ფეოდალებისათვის თავისებურ სპორტს წარმოადგენდა. იგი ამავე დროს სამხედრო-ფიზიკური მომზადების საუკეთესო საშუალება იყო და ამიტომაც ფეოდალები მეტად ეტანებოდნენ მას. გარდა ასპარეზებისა და იპოდრომებისა, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, თამაშობებისათვის საქართველოში სპეციალური სახლებიც არსებობდა ე. წ. „სახლთა სათამაშოთა“. ასეთი სახლი მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“ („ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი“). სადაც ნათქვამია „ხოლო ცნა ესე მეფემან მეფეთამან ნაქარმაგევსა სახლსა სათამაშოსა შინა“...

„სახლთა სათამაშოთა“ — ეს ის სახლები იყო, სადაც წარმოებდა სისტემატური წვრთნა და ვარჯიშობა. სამწუხაროდ, დღემდე მათ შესახებ ძალზე მცირე რამაა ცნობილი.

## **§ 2. ფიზიკური კულტურა საქართველოში XIII ხაუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნემდე**

### **ა) ფიზიკური კულტურა მონღოლთა ბატონობისა და თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში (1286—1405 წწ.)**

1225 წელს ხვარაზმელების გამოლაშქრებამ საქართველოს სამეფო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ ჯერ კიდევ ხვარაზმელების თავდასხმისაგან არ იყო ქვეყანა დამშვიდებული, რომ აღმოსავლეთიდან საქართველოს მონღოლთა დიდი ურდოები მოადგა. საქართველო დიდ განსაცდელში ჩავარდა.

მხოლოდ XIV საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლეთის სახელმწიფოს დაშლამ ხელი შეუწყო საქართველოს სამეფოს კთლიანობის აღდგენას. მეფე გიორგი მეხუთემ (1314—1346 წწ.) შეძლო მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარება სამეფოში, საქართველოს გაერთიანება და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაგრამ 1386 წლიდან დაიწყო თემურ-ლენგის შემოსევები. გაათურებით იბრძოდა ქართველთა ჯარი, მაგრამ მისი წინააღმდეგობა მტერმა სძლია. თემურ-ლენგმა უბრძანა თავის ჯარს გაეჩეხა ბალები, ბოსტნე-

ბი, ეენახები, დაენგრია სასახლეები, ეკლესიები და სხვა შენობები, გადაეწვა სოფლები, 60.000 ქართველი გადასახლებულ იქნა ცენტრალურ აზიაში.

თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მონღოლები თარეშობდნენ საქართველოში და სრულ განადგურებამდე მიიყვანეს იგი. მონღოლებმა შეარყიეს საქართველოს ეკონომიური სიძლიერისა და სახელმწიფოს პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი.

სახალხო მეურნეობის დაქვეითებასთან ერთად დაქვეითდა კულტურის დონეც.

შექმნილმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა ფიზიკური კულტურის განვითარებაზეც. შეფერხდა ფიზიკური აღზრდის შემდგომი განვითარება.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მთებში და მიუვალ ადგილებში გაიხიზნა. სახალხო დღესასწაულები, რომლებთანაც დაკავშირებული იყო მრავალი ხალხური ფიზიკური ვარჯიშობა, გართობა და თამაშობა, დროებით გადავიარდა.

მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობას არ შეურყევია ქართველი ხალხი, მას არ დაუკარგავს მომავლის იმედი, თავისი შემოქმედებითი უნარი და ენერჯია.

შეუდრეკელი იყო ქართველი ხალხის ნება სამშობლოს დაცვისადმი და იგი თავს არ იზოგავდა მტერზე გამარჯვებისათვის.

ამ მეტად მძიმე პირობებში ხალხმა შემოინახა თავისი საყვარელი ფიზიკური ვარჯიშობანი, რომლებიც ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა მტერთან ბრძოლისათვის. მზადყოფნის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ფიზიკური აღზრდის ზოგიერთი საშუალება შეზღუდულ იყო, სამხედრო მომზადების საქმეში ფიზიკურ ვარჯიშობებს საკმაოდ დიდი როლი ენიჭებოდა.

მონღოლთა შემოსევის შედეგად მეფის უფლება ძალზე შესუსტდა, ხოლო ფეოდალები კი გაძლიერდნენ.

დიდი ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

XV საუკუნეში დამთავრდა აზნაურთა წოდების წიაღი-დან თავადობის წარმოშობის პროცესი. დიდად გაუარესდა ყმა-გლეხობის მდგომარეობა. გაიზარდა ძველი გადასახადები მემამულე-ფეოდალთა სასარგებლოდ და ამასთან ერთად შემოღებულ იქნა ახალიც. გამწვავდა ბრძოლა ფეოდალთა და ყმა-გლეხობას შორის. გლეხობა გამოდიოდა თავისი მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა ყოველთვის გლეხობის დამარცხებით მთავრდებოდა.

ეკონომიური დეგრადაციისა და ხალხთა მასების ექსპლუატაციის გაძლიერების პროცესში ჩვენ ვამჩნევთ, ერთი მხრივ, ფიზიკური აღზრდის საშუალებათა ნაწილობრივ შემცირებას და, მეორე მხრივ, ფიზიკური კულტურის კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერებას.

#### ა) ფიზიკური კულტურის განვითარება XVI—XVII საუკუნეებში

XVI საუკუნის დასაწყისში საქართველო ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დაიყო. შინაქიშობამ და ბრძოლამ კიდევ უფრო გაართულა ქვეყნის მდგომარეობა.

XV საუკუნიდან დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ირანსა და ოსმალეთს შორის და ამიერიდან საქართველო განუწყვეტლივი ომების ასპარეზად იქცა.

ირანთან და ოსმალეთთან ბრძოლაში ვითარდებოდა ქართველი ხალხის ფიზიკური კულტურა, რომელსაც, არსებული მდგომარეობის გამო, სამხედრო გამოყენებითი მიმართულება მიეცა.

გარეშე მტრებისაგან თავდაცვა და მათთან განუწყვეტელი ბრძოლის წარმოება მოითხოვდა სამხედრო საქმის რეორგანიზაციას, რომლის ჩატარებას ცდილობდა საქართველოს ზოგიერთი მეფე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მეფის უფლების გაძლიერებას და, მეორე მხრივ, უფრო აქტიური და ეფექტიანი მოქმედების წარმოებას გარეშე მტერთა წინააღმდეგ.



ქართლის მეფის დავით მეათის მეფობის დროს ჩატარდა სამხედრო რეორგანიზაცია. ქვეყანა ოთხ სამხედრო ოლქად დანაწილდა, რომელთაც სადროშო ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს — დროშას — წარმოადგენდა, რომლის სარდლობაც ამა თუ იმ თავადის სახლს ეკუთვნოდა. ასეთივე სამხედრო რეორგანიზაცია საქართველოს სხვა სამეფოებშიც ჩატარდა.

ქახეთის მეფემ ალექსანდრემ 15.000 კაცისაგან შემდგარი რჩეული ლაშქარი შექმნა. აქედან 3.000 კაცი ქვეითი ჯარს შეადგენდა, ხოლო დანარჩენი 12.000 ცხენოსანი იყო. 500 ქვეითი ჯარისკაცი შეიარაღებული იყო ხელთოფით. ამ ჯარების სამხედრო გაწვრთნაში ფიზიკურ მომზადებას საპატიო ადგილი ეკირა. მეომრის სამხედრო მომზადებისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო მწყობრის შესწავლა, მშვილდისა და შუბის ტყორცნა, ფარიკაობა. ცხენოსნის მომზადებისათვის, ხსენებულ ვარჯიშობათა გარდა, პირველ რიგში, საჭირო იყო საცხენოსნო სპორტის სახეობების დაუფლება. ცხენოსნობის შესწავლისას მხედარს მოეთხოვებოდა ხელის დაუხმარებლად ცხენზე შეჯდომა, სვლის დროს სწრაფად ჩამოხტომა, ცხენის უაღვიროდ მართვა, ცხენის კენება, მისი აღმართზე აყვანა და დაღმართზე დაშვება და ა. შ. მაგრამ მხედარს კარგ ცხენოსნობასთან ერთად ცხენის მოვლაც უნდა ცოდნოდა, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში — მისი მკურნალობაც. ყოველივე ამასთან ერთად მხედარი დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ხმლით ფარიკაობაში და კარგად ცოდნოდა შუბლისა და ლახერის გამოყენება როგორც ქვეითად, ისე ცხენზე ჯდომის დროს.

ფეოდალურ საქართველოში ჯარის სისტემატური წვრთნისათვის სპეციალური ნაგებობანი — ასპარეზები — არსებობდა. ასეთი ასპარეზი, ისტორიული წყაროების მიხედვით, არსებობდა, მაგალითად, ძველ ქუთაისში, უქიმერიონის ციხის დასავლეთით. ამგვარ მოედნებზე წარმოებდა მებრძოლთა წვრთნა სპეციალური მწვრთნელების, ე. წ. მემატრახეთა ხელმძღვანელობით („მემატრახე“ სულ-

ხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „მებრძოლის წურთენელ“-ს).

არსებული წყაროები საშუალებას იძლევა დაეასკვნათ, რომ სახელმწიფოს მმართველნი დიდად იყვნენ დაინტერესებული ცხენოსნური სპორტის ორგანიზაციით. ეს საქმე საქართველოში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო და მას, როგორც ჩანს, ყო რ ჩ ი ბ ა შ ი ედგა სათავეში<sup>1</sup>.

გარეშე მტრებთან მუდმივი ბრძოლებით დაქანცული საქართველო ძალზე საჭიროებდა მოკავშირეებს, ამიტომაც მისი ყურადღება ერთმორწმუნე რუსეთისაკენ იყო მიპყრობილი.

XVI საუკუნიდან საქართველოს ორიენტაცია საბოლოოდ რუსეთზე შეჩერდა და ივანე მრისხანეს დროიდან საქართველომ გააბა მოსკოვის სახელმწიფოსთან დიპლომატიური კავშირი.

ირანთან ბრძოლის პროცესში მეფე თეიმურაზ პირველმა რამდენიმეჯერ მიმართა მოსკოვს. ჯერ კიდევ 1615 წელს თეიმურაზის თაოსნობით საქართველოს ყველა მეფე-მთავარმა მოსკოვში საერთო ელჩი გაგზავნეს, ხოლო ალექსი მიხეილისძის მეფობის დროს თეიმურაზი თვითონ გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ის დიდი პატივით იქნა მიღებული.

საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა. მეფე არჩილი მტკიცედ უჭერდა მხარს რუსეთის ორიენტაციას. 1699 წელს იგი გადასახლდა რუსეთში თავისი დიდი ამალით. თავის ვაჟ ალექსანდრესთან ერთად იგი დასახლდა სოფელ ვსესვიატსკოეში (მოსკოვის მახლობლად) და საფუძველი ჩაუყარა ქართველთა კოლონიას რუსეთში. ამ კოლონიამ დიდი როლი ითამაშა რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთ დაახლოებისა და მეგობრობის საქმეში.

ცნობილია, რომ მეფე არჩილის ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც მოსკოვში იზრდებოდა, მეტად დაახლოებული იყო პეტრე პირველთან და ორთავეს მჭიდრო მეგობ-

<sup>1</sup> ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე, ცხენბურთი, თბილისი, 1952 წ., გვ. 25

რობა აკავშირებდა. პეტრესთან ერთად ალექსანდრე მონაწილეობდა სამხედრო თამაშობებში, რომლებიც სოფელ პრეობრაჟენსკოეში იმართებოდა. პატარა ალექსანდრე მუდამ თანახლდა ჭაბუკ პეტრეს თამაშობების დროს და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა მათ მეგობრობას.

მეფე არჩილსაც გაგონილი ჰქონდა ამბავი პეტრე პირველის სამხედრო თამაშობების შესახებ, რომელშიც მისი ვაჟი ალექსანდრეც მხურვალე მონაწილეობას იღებდა<sup>1</sup>.

არჩილის შემდეგ მეფე ვახტანგ მეექვსეს მოუხდა მოსკოვში გადასახლება თავისი დიდი ამალით. ვახტანგ მეექვსემ მისმა შვილმა ვახუშტიმ და მრავალრიცხოვანმა ქართველმა მეცნიერებმა მოსკოვში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღეს. ქართველთა კოლონიის მოსკოვში არსებობამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული კავშირის შემდგომ განვითარებას.

რუსეთში გადასახლებულმა ქართველობამ დიდი ერთგულება გამოამჟღავნა თავისი მეორე სამშობლოსადმი. ბევრი ქართველი დაწინაურდა რუსეთში როგორც სამხედრო მოღვაწე.

პეტრე პირველის დროს რუსეთის დიდებისათვის გმირულად იბრძოდნენ ქართველი მეომრები. მრავალ ქართველთან ერთად შეედებთან ომში მონაწილეობდა არჩილის ვაჟი ალექსანდრე, რომელიც პეტრე პირველმა დანიშნა რუსეთის არტილერიის უფროსად (გენერალ-ფელდცეხმეისტერად). ეს თანამდებობა მაშინ პირველად შეიქმნა. ასე, რომ ალექსანდრე რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი იყო. პაველე პირველის დროს მთელი რუსეთის არტილერიის ინსპექტორად დანიშნული იყო გენერალ-ლეიტენანტი ამბერსაძე. ქართველი მებრძოლები შვიდწლიან ომშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

ცნობილია, რომ რუსეთში გადახვეწილ ქართველთაგან შემდგარი იყო ჰუსართა პოლკი.

<sup>1</sup> ვ. ტ ა ტ ი ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1950 წ.

თავის ნარკვევში პოეტ-აკადემიკოსს გიორგი ლეონიძეს მოჰყავს ზოგიერთი ცნობა ქართველ ჰუსართა პოლკის მოღვაწეობის შესახებ. ქართველთა სამხედრო მოქმედებას ალტაე-ბაში მოჰყავდა რუსეთის სარდლობა. რუსეთის არმიის ფელდ-მარშალი მინიხი აღნიშნავს: „ქართველები ისე იქცეოდნენ, როგორც ეს მამაც და სანდო ხალხს შეეფენის... სამსახურში განწესებული ქართველები, მოვალეობას ერთობ მამაცად ისრულებდნენ, ასე რომ მეტის მოთხოვნა შეუძლებელია“ აქვე მინიხი აღნიშნავს ქართველი ხალხის სანდოობას და ას-კვსის: „მეტად სასურველია, რომ ასეთი ხალხი კიდევ უფრო მეტი გვეყავდესო“<sup>1</sup>.

ქართველთა პოლკმა პირველი ბრძოლისთანავე დიდი ეაყ-კაცობა გამოიჩინა. ეს პოლკი მრავალ ომსა და ბრძოლაში მონაწილეობდა, მათ შორის ბერლინის აღებაშიც 1760 წელს.

ქართველ მებრძოლთა მაღალი ფიზიკური და მორალური თვისებები, რომელთა შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ როგორც რუს, ისე უცხოელ სამხედრო მოღვაწეებს, შედეგი იყო სპორტის ხალხურ სახეობებში სისტემატური წვრთნისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით საინტერესო საკითხი იბადება: განიცდიდნენ თუ არა მოს-კოველი ქართველები და ადგილობრივი რუსი მოსახლეობა რაიმე ურთიერთ გავლენას ფიზიკური აღზრდის დარგში?

პოეტ გ. ლეონიძეს მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის დროს სოფელ ვსესვიატსკოეში სასახლის გარშემო გამართული ყოფილა პირისფარეშთა, სასახლის დურგალთა, მელუმეღეთა სადგომები. აქვე ცალ-კე ყოფილა აგრეთვე საბაზიერო. ვსესვიატსკოეში საბა-ზიეროს არსებობა ნათელი საბუთია იმისა, რომ აქაური ქართველი წარჩინებულნი ეწეოდნენ შევარდნებით, მიმი-ნოებითა და ქორებით ნადირობას. თავადაზნაურობისათ-ვის კი ნადირობა პირველ რიგში გართობისა და ფიზი-კური გაწვრთნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან; „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 9.

ნადირობასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო ცხენოსნობა და სროლაც.

ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსკოვში გადახვეწილ ქართველებს პირველ ხანებში მაინც დავიწყებოდნენ თავიანთი ზნე-ჩვეულება და მასთან ერთად ქართული ფიზიკური ვარჯიშობანი. ეს აზრი სავსებით დასაშვებია, მით უმეტეს, რომ ბევრი ქართველი განაგრძობდა სამხედრო სამსახურს რუსეთის ჯარის რიგებში.

დასაშვებია აგრეთვე, რომ ქართველებს ზოგიერთი ფიზიკური ვარჯიშობა გადმოეღოთ რუსი ხალხისაგან და თავის მხრივ იქ, რუსეთში, ცოტა რამ გადაეცათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის. შესაძლებელია ამგვარი ურთიერთ-გავლენა უფრო დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა და სხვადასხვა გზით — რუსეთიდან საქართველოში და საქართველოდან კი რუსეთში — გადადიოდა ზოგიერთი ფიზიკური ვარჯიშობა და თამაშობა.

სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია და მას სპეციალური გამოკვლევა ესაჭიროება. შესაძლებელია, რომელიმე ძველ არქივში, მიწერ-მოწერაში, აქტებში, გამოუქვეყნებელ მემუარებში ან სხვა ხასიათის საბუთებში, რომლებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ეხება, აღმოჩნდეს მასალები, რომლებიც ერთგვარ შუქს მოჰფენენ ამ საინტერესო საკითხს.

<sup>1</sup> XVI—XVII საუკუნეებში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშობათა მრავალი სახეობა ვრცლად აღწერილი ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. მოშაითობა, რომელიც ხსენებულ პერიოდშიც საკმაოდ შემონახულ იყო, ვრცლად აქვს აღწერილი მეფე არჩილს თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“.

მოშაითობის ერთ-ერთი სახეობა რუს მოგზაურსა და მწიგნობარს არსენ სუხანოვსაც აქვს აღწერილი. ეს უკანასკნელი 1639 წელს ეწვია მეფე თეიმურაზ პირველს, რომლის ბრძანებითაც სტუმარს სანახაობა (მოშაითობა) გაუმართეს.

ამავე პერიოდში გავრცელებულ ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ბურთაობა და ყაბაჩი.

ბურთაობასა და ყაბახს აგვიწერს თეიმურაზ მეორე თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა“.

ვახუშტის ყაბახი შემდეგნაირად აქვს აღწერილი:

„ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა, და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და, რომელმან მხარემან აჯობის, იყო მხარეთა ლარნი სამეფონი და მისციან მათ თვითთა თვითო (ეგრეთვე ქორწილისა. დიდ გამოჩვენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა)“<sup>1</sup>.

მეგრელების სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაზე და სამეგრელოში გავრცელებულ ფიზიკურ ვარჯიშობათა შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის ნაშრომში „სამეგრელოს აღწერა“. ლამბერტი ეხება სამეგრელოს სოციალურ წყობას, აგვიწერს სამეგრელოს ბუნებას, მოსახლეობას, მის ზნე-ჩვეულებას, მეგრელთა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას, ფეოდალურ თამაშობებს, გართობებსა და ა. შ.

ლამბერტი მოგვითხრობს სამეგრელოში ნადირობის ფართო გავრცელებაზე, რომელიც, მისი სიტყვით, „მეგრელების უმთავრესი მოსაქმეობაა და ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი მას ეტანება“.

შემდეგ აღნიშნავს, რომ მეგრელებს „ანდაზაც აქეთ... ბედნიერი კაცი ის არისო, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო“.

ყოველ თავადს სამეგრელოში თავისი სანადირო ტყე ჰქონდა, რომელშიც თვით მთავარსაც კი არ ჰქონდა უფლება ენადირა ნებართვის გარეშე, რადგან მან თვითონ გამოსცა კანონი, რომელიც კრძალავდა სხვის ტერიტორიაზე ნადირობას.

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ., გვ. 21—22.

„ნადირობის კარგად მოწყობისათვის მთავარი ისე ბევრსა ხარჯავს მწვეთარ-მეძებრებზე და ქორ-მიმინოებზე და ბაზიერებზე, რომ არა მგონია მოიძებნოს სხვა მთავარი, რომელიც გადააქარბებს მას ამ ხარჯში“<sup>1</sup>.

ნადირობის მოწყობის დროს მთავარი მოიწვევდა სამეგრელოს დიდებულებს, რომლებიც გამოცხადდებოდნენ საუკეთესო ცხენებზე. წინა დღეს მონადირეები ძაღლებით მიდიოდნენ ტყის შესაკრავად. ნადირს აშინებდნენ და მორეკავდნენ ნადირობისათვის დანიშნულ ადგილზე. მეორე დღეს, დილით ადრე, მთავარი შეჯდებოდა ცხენზე და გაემგზავრებოდა იმ ადგილისაკენ. მას თან მიჰყვებოდნენ ცხენოსნები და მრავალი ქვეითი.

„როგორც კი მივლენ ადგილზე, მთავარი გაჩერდება, დაათვალიერებს თავის მხლებლებს, დააწყობს რიგისამებრ და თვითეულს მიუჩენს თავის ადგილს. ყველა თავთავის ადგილზე უნდა იყოს გაჩერებული და ხელში მზად ეჭიროს მშვილდ-ისარი. მონადირეები რომ შენიშნავენ მოახლოვდაო, კიდევ უფრო წინ გამოდგენიან ხმაურობით და ძაღლების ყეფით. როცა ნადირი საკმაოდ მოახლოვდება თვითეული თავის ადგილიდან დაიძვრის, ცხენს გააქნებს, მომართავს მშვილდს და გაისროლის ისარს. ვინც ნადირს პირველად დაჰკოდავს, თუნდაც სხვამ მოჰკლას, თავი იმას ეკუთვნის მთავრისაგან დადებულის კანონით. ასე ნადირობენ სალამომდე“<sup>2</sup>.

დამახასიათებელია, რომ ზოხობზე ნადირობას თავადაზნაურობა მდებრიო ხალხს ანდობდა, რადგან ზოხობზე ნადირობა ცხენით შეუძლებელი იყო, ხოლო ფეხით დევნა (ქორით ხელში) — არასასიამოვნო. „ამიტომაც, — ამბობს ლამბერტი, — ზოხობზე სანადიროთ ბატონები არ მიდიან და გზავნიან თავიანთ მონადირეებს“.

ლამბერტი აღნიშნავს მეგრელების მამაცობას. მისი სიტყვით, მეგრელები ისე ჩვეულნი არიან ომს, რომ პატარებიც დაჰყავთ ლაშქრობაში და აჩვევენ ყოველგვარ გაჭირებას.

<sup>1</sup> ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938 წ., გვ. 56.

<sup>2</sup> იგივე. გვ. 59.

„ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდსა, თითქოს, დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას. ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ ხელობას, რომ მუდამ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობის დროს; საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დალაღვენ; საუკეთესო სურსათს აგრეთვე ინახავენ ლაშქრობისათვის. ყოველი იარაღი ისე გამოწყობილი აქვთ, რომ მთავრის პირველსავე ბრძანებისამებრ შეეძლოთ ლაშქრად გასვლა. გარდა ამისა ლოგინში რომ ისვენებენ, მშვილდ-ისარი, ფარხმალი, აბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან უდევთ ხოლმე, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ“<sup>1</sup>.

მთავრის ბრძანებით ყოველი მამაკაცი, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ქვეყნის დაცვაში.

ლამბერტის მოწმობით კოლხიდაში ხალხი შეჩვეული ყოფილა ყოველგვარი გაჭირვების გადატანას და ფუფუნებას არ ეძლეოდა. „...პატარა ბავშვებს და ნორჩ ახალგაზრობას თვით სასტიკ ზამთარშიც ფეხთ არ აცმევენ და ამრიგად აჩვევენ თოვლში ფეხშიშველ სიარულს. საშინელ პაპანაქება სიცხეში სანადიროდ მიდიან. ხშირად შიშვლები გავლენ ხოლმე უდიდეს მდინარეებში. ყოველსავე ამას იმიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩვიონ ამ გასაჭირს, რომელიც ჩვეულებრივ ომიანობას თან მოაქვს“<sup>2</sup>.

ლამბერტი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს, საჭიროების შემთხვევაში, გამოჰყავდა კარგად გამოწვრთნილი და გავარჯიშებული ოცდაათი ათასი ცხენოსანი მეომარი, და ბრლოს დასძენს: „არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჯარი ისე სამაგალითოდ მოწყობილი გამოდიოდეს ლაშქრად, როგორც მეგრელების ჯარი“.

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938 წ., გვ. 86—87.

<sup>2</sup> ი. ბ. ე. ვ. გვ. 87.



ლამბერტი აღტაცებულია მეგრელი ქალების კარგი ცხენოსნობით. „როცა ოდიშის რომელსამე დიდებული თავადის ცოლი ცხენით სადმე წავა, დიდის ამბით იახლებს ცხენოსან ქალებს, რომელნიც მეტად კარგად გამოწყობილნი არიან თავისი საუცხოვო მოქარგულის ყაბალახებით, წაღებით და კაბებით. ერთს მხლებელთაგანს ზურგით მიაქვს პატარა სკამი ხაკერდით გადაკრული და ვერცხლით შემკული, რომელსაც თავადის ცოლი ხმარობს ცხენზე შეჯდომისას და ცხენიდან ჩამოხტომის დროს. როცა მთავრის ოჯახი ერთის ადგილიდან მეორეზე გადადის, მაშინ შეიძლება შეხვდეთ ასეთ ქალთა მთელ რაზმებს მშვენივრად და საუცხოვოდ მორთულთ, რომელნიც ისე მარჯვედ და დახელოვნებულად სხედან ცხენზე, რომ ძველი ამორძალები მოგაგონდებათ“.

ლამბერტის სამეგრელოში გავრცელებული ფეოდალური თამაშობებიც აქვს აღწერილი, მათ შორის ყაბახი და ბურთაობა.

სამწუხაროდ, ლამბერტი თავის წიგნში ფეოდალთა ფიზიკური აღზრდის საშუალებებს ეხება, ხოლო გლეხთა ფიზიკურ ვარჯიშობებს ჩრდილში ტოვებს.

შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, ბურთაობა, ყაბახი, ჯირითი, ჩოგანბურთი, ჭიდაობა და მრავალი სხვა ფიზიკური ვარჯიშობის სახეობები წარმოადგენდნენ ქართველ მებრძოლთა ფიზიკურ გაწვრთნის საუკეთესო საშუალებას ამ პერიოდში.

ფიზიკურ ვარჯიშობათა საშუალებით შექმნილი სამხედრო-გამოყენებითი ჩვევები უადვილებდა ქართველ ხალხს მტრებთან ბრძოლის წარმოებას, უნერგავდა შეუპოვრობას, სიმტკიცესა და მტერზე გამარჯვების სურვილს.

ფეოდალთა ფიზიკური აღზრდა მეფე არჩილის თხზულების „საქართველოს ზნეობანის“ მიხედვით

აღნიშნულ პერიოდში, როდესაც მთელი საქართველო სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნულ სახეებს, როგორც სამხედრო მომზადების საშუალებას, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საკმარისია მოვიგონოთ მეფე არჩილის თხზულება „საქართველოს ზნეობანი“, რომ დავრწმუნდეთ,

თუ რა დიდი წონა ჰქონდა ფიზიკურ აღზრდას ხსენებულ პერიოდის საერთო აღზრდის სისტემაში.

არჩილის თხზულება: „საქართველოს ზნეობანი“ საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ფეოდალურ აღზრდასა და განათლებას.

თხზულების მიზანია „ზნეობის სწავლება“; იგი წმინდა პრაქტიკული ხასიათის მიზანს ისახავდა — მიეწოდებინა ფეოდალებისათვის სწავლების სახელმძღვანელო.

ავტორს თავის თხზულების საგანი ორ დიდ ჯგუფად აქვს დაყოფილი: 1. ზნეობა საღვთო და 2. ზნეობა სამხედრო. აკადემიკოსი ს. ჯანაშია თავის შრომაში: „მეხედულება ფეოდალურ აღზრდისა და განათლების შესახებ და მისი წესები მე-17 საუკუნის საქართველოში“, წერს: „სამხედრო ზნეობას არჩილი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს: „ზნეობა მშვეებლის და მოვაგლახარის, ლაშქრობის, ნადირობის, საქციელისა და სამსახურის“ წესები, მაგრამ თვით თხზულებაში ვრცელი ცნობები მოიპოვება ისეთი დარგების შესახებ, რომლებიც ამ წინასწარ დაყოფაში არ შესულა. განვიხილოთ თვითელი ცალკე.

ა) „მშვეებლის ზნეობად“ ჩვენ, რა თქმა უნდა, ის წესები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა იგი, დღიურ საზრუნავს მოშორებულნი, დასვენებასა და მხიარულებას არის მოწადინებული. ქართველი ფეოდალი თავისუფალ დროს სხვადასხვა თამაშობაში (ასპარეზობა, ტანვარჯიშობა, ანუ ფუნდრუკი — საბას ტერმინოლოგიით — „მღერა“ ანუ „ყუმარი“) და ლხინში ატარებდა. ამავე ჯგუფს ეკუთვნის თავისი ხასიათით ნადირობაც, მაგრამ ვინაიდან მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და რადგან იგი არჩილსაც ცალკე აქვს განხილული, აქედან უნდა გამოიყოს. ასპარეზობასა და ტანვარჯიშობას გართობაზე ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ ერთგვარს წინასწარს სამხედრო სკოლას წარმოადგენდნენ, სადაც იმდროინდელი მეომარი (ჩვეულებრივ, ფეოდალი) სწავლობდა იარაღის ხმარებას, ცხენზე ჯდომას, სიკქვიტესა და სიმარჯვეს მოძრაობაში და სადაც საზოგადოთ სხეულს ივითარებდა. ამიტომაც ავ-

კობდნენ მას ასეთს ყურადღებას. არჩილიც ამიტომ მოითხოვს, რომ თვითეულმა იცოდეს „მშვილდ-ისარი და ბურთაობა“, თუ „ბურთის სროლა“, „აშფაშაქი და ყაბახი“ (ე. ი. მიზანში სროლა), „ხელძალიან ჯირითობა“. ეს თამაშობანი ცხენზე, ამხედრებულად, უნდა შესრულებულიყო შესაფერისის სიცქვიტით:

„მშვილდ-ისარი და ბურთაობა, ორივე ცხენ-ფიცხელები“. მაგრამ კარგი ცხენოსნობა თავისთავადაც საჭირო თვისებად ითვლებოდა: „კარზე ცხენის გაქენება“ არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული. სამაგიეროდ, „ქვეითობაც“ საპატიოა, „ის უწინაც ვარგებულა“, ამბობს არჩილი და მის დროსაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს. „მოუტდენი მეთოფობაც“ ასეთს სავალდებულო ცოდნას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ არჩილის სიტყვით თოფი ახალი შემოსული ყოფილა ხმარებაში: „ახლა ესეც ზნედ დაიდვა“-ო. მოხსენებულია აგრეთვე „მესეფქობა“, სპეციალური ტერმინი უნდა იყოს; „სეფქა“ თავისთავად ისარის ერთს ტიპსა ჰქვია, მაგრამ ეს ტერმინი რას ჟნდა ნიშნავდეს, არ ვიცით. განცალკევებულია „ნავთ-ხმარება“, მეტად საჭირო ცოდნა, რომელიც, არჩილის აზრით, მცურაობასაც სჯობია. კერძოდ ტანვარჯიშობას უნდა მივაკუთვნოთ: „ცურაობა“, „ხტომა“, „ქვისგდება“, „რკინობა“ (ე. ი. ჭიდაობა და მისი ატრიბუტები — „მოგვერდი“, „ფანდი“ და სხვა), „ხარდიორდა“ და „ჩალიჩი“ („ჩალიჩი“ საფუნდრუკო საგვემელი ტილოსი“, „ხარდიოდა — მოგვერდი, ფუნდრუკი“ — საბა). ცალკე კატეგორიის, გონებრივი ხასიათის გასართობს ეკუთვნოდა „ქადრაკისა და ნარდის მღება“ და „სხვა რაც რამა ყუმარი“. მათი ცოდნა „კარგ ზნედ“ ითვლებოდა...

2) იმ დროს, როდესაც საქართველო ერთს მუდმივ სამხედრო ზანაკს წარმოადგენდა, ცხადია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო საქმეში გაწვრთნასა და დახელოვნებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ამ თვისებებს ფეოდალის სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისითაც, რადგანაც მას ძალიან ხშირად პირად და დამოუკიდებელი ფიზიკური ჩარევაც სჭირდებოდა თავისი კლასო-

ბრივი ინტერესების დაცვის საქმეში. სწორედ ამ მიზნებს, ისევე როგორც ასპარეზობა, ემსახურებოდა ნადირობა. თავისთავად, ნადირობაც ფეოდალისათვის გასართობი საქმე იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მის უაღრესად რეალურსა და მნიშვნელოვან ინტერესებს აკმაყოფილებდა: იგი ანვითარებდა იმ თვისებებს, რომლებიც საუკეთესო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აუცილებელი სამკაული იყო მოლაშქრისათვის. ასეთი იყო: „მეჯინიზობა“ (ე. ი. ჭინიბის ანუ მარქაფა ცხენის ტარება, თუ ცხენის მოვლა), მხედრობა, ცხენოსნობა, „სარდლობა, ზავითი სარჯლისა, დღედაღამ დაუზარობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვის მწვე მიმხედარობა... შემართვა მებრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა, რაზმის გაწყობა კარგ გვარად“... იარაღის ხმარება „ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა“ და საერთო სიმარჯვე. ეს თვისებები, როგორც ვსთქვით, სათანადო წრეების საარსებო ინტერესებს აკმაყოფილებდა და ამიტომაც აქცევს არჩილი მათ ასეთ ყურადღებას და მოითხოვს მათს შექენას. ამ თვისებების უქონლობა საკმაო საფუძველი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის, რომ გაეკიცხა თავისი გაუწვრთნელი და უსარგებლო წევრი: „ვისცა არა აქვს, უზრახავენ, სხვამან სხვას მიუუბნისა“...<sup>1</sup>

არჩილი მოიხსენიებს ცეკვებსაც, მაგრამ საკიროდ არ მიაჩნია მათზე ყურადღების შეჩერება, მხოლოდ აღნიშნავს, რომ უმჯობესია ცეკვა ხალხისათვის დავტოვოთ. როგორც ჩანს, არჩილი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ცეკვებს არ ჰქონდა სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა და ამ თვალსაზრისით ვერ მოუტანდა ფეოდალებს რაიმე პრაქტიკულ სარგებლობას. ამგვარად, ცეკვები დაბალ წოდებისათვის იყო შემოტოვებული.

თავის თხზულების მიხედვით არჩილი გვევლინება როგორც ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მომხრე. იგი თავის ნაწარმოებში ლაპარაკობს არა მარტო ფიზიკურ, არამედ მორალური და გონებრივი განვითარების შესახებაც.

<sup>1</sup> მასალათა კრებული — სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, თბილისი, 1937 წ.

ამავე პერიოდის მწარმოებელი კლასების ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებას ქიდაობა და კრივი წარმოადგენდა. ფიზიკურ ვარჯიშობათა იგივე სახეობები გავრცელებული იყო ქალაქის ხელოსნებსა და ქარგლებს შორის. ქიდაობა, კრივი, სიმძიმეების აწევა, ფარიკაობა, ბურთაობა (ქვეითად), მრავალი მოძრავი თამაშობა, რბენა, ხტომა, ცეკვა-ვართობები და სხვ. წარმოადგენდა ჩაგრულთა ფიზიკური აღზრდისა და დასვენების ორგანიზაციის საშუალებას.

ზემოჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალი თამაშობებისა და ფიზიკური ვარჯიშობებისაგან ყალიბდებოდა ხალხური ფიზიკური კულტურა, რომელიც ხალხის კულტურის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა.

ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო ნადირობაც, თუმცა მას არ თვლიან ფიზიკურ ვარჯიშობად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი მშრომელი ხალხისათვის პირველ რიგში საზრდოობის დამატებითი წყარო იყო, მაგრამ ნადირობა თავისთავად ადამიანში ავითარებს მთელ რიგ მორალურ და ფიზიკურ ჩვევას — ხასიათის სიმტკიცეს, გამბედაობას, ამტანობას, ძალ-ღონესა და სხვ. მაგრამ ნადირობა გლეხობისათვის მძიმე ბეგარასაც წარმოადგენდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ნადირობის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „...სამხედრო ვარჯიშობის მაგიერი იყო და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა“. სანადირო ბეგარა დაკავშირებული იყო სამხედრო ბეგარასთან.

გლეხთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბეგარას ლაშქრობა წარმოადგენდა. მეფის ლაშქარში მონაწილეობა ყველასათვის სავალდებულო სამხედრო ბეგარა იყო და მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. სალაშქროდ გამოსულს თან უნდა ჰქონოდა თავისი საჭურველი და საგზალი. ერთობ ხშირი და საშინაო და საგარეო ომიანობა მწარმოებელ კლასს მეურნეობისაგან სწყვეტდა და ფიზიკურადაც ანადგურებდა მას, რადგან, ფეოდალებისაგან განსხვავებით, გლეხობა მეტწილად შეადგენდა ცუდად შეიარაღებულ ქვეით ლაშქარს და მსხვერპლიც მათ შორის ბევრად მეტი იყო.

ფეოდალთა ფიზიკური კულტურა დროთა ვითარებაში სულ უფრო და უფრო შორდებოდა ხალხურ ფიზიკურ კულტურას. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად იცვლებოდა ფეოდალთა ფიზიკური მომზადება. ფეოდალთა ფიზიკური აღზრდა სულ უფრო და უფრო კასტურ ხასიათს იღებდა. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალებმა ბევრი ხალხური ფიზიკური ვარჯიშობა და თამაშობა გადმოიღეს და გამოიყენეს ფიზიკური აღზრდის თავისი სისტემაში.

მშრომელ ხალხს ფიზიკურ ვარჯიშობათა და თამაშობათა დაუშრეტელი მარაგი გააჩნდა. მძიმე ექსპლუატაციის პირობებში ქართველმა გლეხობამ ხალხური ვარჯიშობების წყალობით შეინარჩუნა თავისი დადებითი ფიზიკური და მორალური თვისებები და გაუძლო ეპოქის ჭირვარამს.

## § 8. ფიზიკური კულტურა XVIII საუკუნეში

დაუცხრომელ ბრძოლას განაგრძობდა მტრებით გარშემორტყმული საქართველო XVIII საუკუნეშიც. ამ გმირულ ბრძოლას კვლავ ქართლი ედგა სათავეში.

სპარსეთის ბატონობის მიუხედავად XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლი როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად წინ მიდიოდა და თანაც მისი გავლენა სხვა ქართველ სამეფოებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ამ დროს ქართლში ვახტანგ მეექვსე მეფობდა. ვახტანგმა დიდი საკანონმდებლო მუშაობა ჩაატარა. მნიშვნელოვანი იყო მისი სამეურნეო მოღვაწეობაც. ამასთან ერთად ვახტანგი დიდ კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა. ხელს უწყობდა სწავლა-განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. ვახტანგ მეექვსის დროს საქართველოში დაარსდა სასულიერო სემინარიები, რომელთა სასწავლო გეგმასა და სწავლის ორგანიზაციას რუსეთის სემინარიების გავლენა ემჩნეოდა. სასულიერო სემინარიების სასწავლო მუშაობისა და რეჟიმის ორგანიზაცია ვახტანგ მეექვსის დროს რუსეთის სემინარიების წესდების დიდ გავლენას განიცდიდა. ამ წესდებაში, რომელსაც „სასულიერო რეგლამენტი“ ეწოდება, მისმა ავტორმა თეოფანე

პროკოპოვიჩმა სამი პარაგრაფი სპეციალურად ფიზიკურ აღზრდას მიუძღვნა, სადაც ნათქვამია: „...На всяк день два часа определить на гуляние семинаристов, а именно: по обеде и по вечерни, и тогда б не вольно никому учиться и ниже книжки в руках иметь. А гуляние было бы с играми честными и телодвижными: летом в саде, а зимой в своей же избе... Ибо сне и здоровию полезно есть, и скуку отгоняет. А еще лучше таковые избирать, которые с потехой подают полезное некое наставление; такое, например, есть водное на регулярных судах плавание, геометрические размеры, строения регулярных крепостей и прочая»<sup>1</sup>.

თუმცა ფიზიკური აღზრდა სემინარიების სასწავლო გეგმის დისციპლინად არ გამხდარა, მაგრამ სკოლის გარეშე წესით სწავლისაგან თავისუფალ საათებში მათ გარკვეული ადგილი დაეთმო.

არა გეგონია ამ საქმეში რუსეთის სემინარიებს ჩამორჩენოდა საქართველოს ამავე ტიპის სასწავლებლები და ისიც იმ დროინდელ პირობებში, როდესაც პრივილეგიური კლასის ახალგაზრდობა ფიზიკურ მომზადებას ეწაფებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ფეოდალთა პირველი სწავლა-აღზრდა შეიცავდა წიგნის კითხვას, წერას, სიმღერა-გალობასა და სამხედრო ხელოვნებას. ასე იზრდებოდა ვახუშტი და მისი ძმა ბაქარი მეფის კარზე. ასეთივე აღზრდას ლებულობდნენ სხვა ფეოდალთა შვილებიც. სამხედრო ხელოვნებასთან მჭიდროთ დაკავშირებული იყო ფიზიკური მომზადება, რომელშიც დიდი ადგილი ეჭირა ფეოდალთა სპორტულ ვარჯიშობებს. ვერც იმდროინდელი სასწავლებლები აუხვევდნენ გეერდს ფიზიკურ აღზრდას.

მალე მეფე ერეკლე მეორე აერთიანებს ქართლ-კახეთს და ცდილობს საქართველოს მთლიანობის აღდგენას.

ერეკლემ მუდმივი ლაშქარი, ეგრეთ წოდებული „მორიგე ხარი“ დააარსა. ამ ღონისძიებამ საქართველო გაათავისუფლა

<sup>1</sup> *Феофан Прокопович, Духовный регламент, Петербург, 1721 г.*

ლეკების თარეშისაგან. მუდმივმა ლაშქარმა საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ერეკლე დიდ მზრუნველობას იჩენდა ჯარის ორგანიზაციაზე.

ქართველთა ჯარი ამ პერიოდში სამი დარგისაგან შედგებოდა: ქვეითი, ცხენოსანი ჯარისა და არტილერიისაგან. ქართველთა ჯარის სიმამაცეს განცვიფრებაში მოჰყავდა როგორც რუსი გენერლები, ისე დასავლეთ ევროპის წარმომადგენელნი. ასე, მაგალითად, გენერალი ლაზარევი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში (1801 წ.) დიდ აღტაცებას გამოთქვამს ქართველთა ცხენოსანი ჯარის შესახებ: „ეს ჯარი საუკეთესოდ გაწვრთნილი და მომზადებულია, რომ შეიარაღების მხრივ ღარიბი არ იყოს“.

ცხენოსან ჯარს არც ქვეითნი ჩამორჩებოდნენ. ისინი მამაცი, ფიზიკურად გაწვრთნილნი და კარგად მომზადებულნი იყვნენ.

ერეკლეს დროს ქართველთა ჯარში თვალსაჩინო ადგილი ეკირა გლეხობას, რომლის ფიზიკური გაწვრთნის საშუალებას კვლავ ხალხური სახეობები შეადგენდა. გლეხობა ჯარში გასვლამდე ერთგვარ წინასწარ ფიზიკურ მომზადებას გადიოდა, რომელიც შემდგომ მათ დიდად უწყობდა ხელს.

ქვეყნის დაცვაში ქალაქის მოსახლეობაც (კერძოდ, ხელოსნები) მონაწილეობდა. ამქართა ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა ქალაქის დაცვა. ამ მხრივ თბილისელი ამქრები შეადგენდნენ ქალაქის თავისებურ გარნიზონს, რომელიც აქტიურად იცავდა ქალაქს. ამგვარი გარნიზონი ამქრების მიხედვით ყალიბდებოდა. საქმე ისაა, რომ ვაჭრები და ხელოსნები სამხედრო ბეგარას იხდიდნენ. ისინი ქალაქის უშიშროების უზრუნველსაყოფად მორიგეობით დარაჯობდნენ ქალაქის მახლობლად მდებარე საყარაულო პუნქტებზე, ხოლო ქალაქზე მტრის თავდასხმის შემთხვევაში იარაღით ხელში იცავდნენ მას. ამ ფუნქციის შესასრულებლად მოქალაქეებს, რა თქმის უნდა, სათანადო სამხედრო-ფიზიკური მომზადება ესაჭიროებოდათ. ამგვარ მომზადების საუკეთესო საშუალებას ქალაქად, პირველ რიგში, კრივის ნაირსახეობანი წარმოადგენდა.



ერეკლე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯარის ფიზიკურ გაწვრთნას. ჯარის გასაწვრთხელად გამოყენებული იყო ფიზიკური ვარჯიშობათა როგორც ფეოდალური, ისე ხალხური სახეობები. სხვა ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის ბურთაობას მეტად საპატიო ადგილი ეკირა. ბურთაობაში განსაკუთრებით კარგად დახელოვნებული იყვნენ ცხენოსანი მეომრები და მათი ოსტატობა მაღალ დონეს აღწევდა. ამის შესახებ ამომწურავი ცნობები მოჰყავს ერეკლე მეორის შვილიშვილს ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურ-ორბელიანს: „ერთ დროს მეფე ირაკლიმ, დიახ გამოჩენილი პურობა გადაიხადა თელავს იმ თავის სალხინოში, სადაც გალობა, სიმღერა და დიღინი, მხიარულ-სიხარულით გარდიხდებოდა წარჩინებულების ნადიმზე..“

დასრულდა ნადიმი და მეფე გამობრძანდა უცხოთ მორთული გარეთ. წელზე ნადირშას ხმალი ეკრა ძვირფასის თვლებით შემკობილი და საქართველოს გამოჩენილთ ვაჟკაცთ გადახედა დიდი სიამოვნებით, იმ ვაჟკაცთა, რომელთაც ძლიერის მტრის დამარცხება არ უჭირდებოდათ იმ გულოვანთ! ამ დროს შეხედეს მეფეს ირაკლისა, ერთ მშვენიერს ლურჯა ცხენსა მოაფრინდა ვითა შავარდენი ფრიალოსა და სადავე გაუსწორა რვა ლურსმით დაჭედილსა ცხენსა, რომელსაც ამ ცხენს ერქო შაისევან ანუ საყვარელი ხელმწიფისა.

— „ამ ცხენს უზანგი ჰქრა მეფემ და ისეთი სიარულით წავიდა, მდინარე წყალს წარმოქცევასა გვანდაო...“

თავმოწონებული მეფის ირაკლის მცირე რაზმი უკან მისდევდა მეფეს. დაწყებული ორი ათასი, თუ მეტ-ნაკლები, საქართველოს თავადაზნაურნი, უცხოს დახატულს და საუცხოვოს ცხენებითა, რომელიც ათი ათას მტერსა არ დაერიდებოდნენ და შეუპოვრად შეუტევდნენ, ვითა გავაზი გუნდსა ტრედისასა. ყოველთ ამათ თვითეულად მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებულები და ზოგი სხვადასხვა ფერად დაკრელებული.

ერთიანი ესე რაზმი თელავის ქვემოლ მინდორზე ჩავიდა; ორს რაზმად გაიყვნენ ამ მინდორზე. ერთი ერთს მხარეს დადგა და მეორე მეორეს მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებ-

ლი მინდორი შუაში დაიგდეს და თვითო ბაირაბი თავთავის რაზმს თავსა მიწაში დაურქვეს. ეს დრო იყო გაზაფხულის ღღე მშვენიერი. ამასთან მეფე ირაკლიმ ოქროს ფერი მოვარაყულის ჩოგნით, წითელი სმოგვის ბურთი, პატარა ყმაწვილის თავის ტოლა, ჩოგნით აიღო და ჩოგანში თამაშობით, შეისევანი ცხენი გაიგდო, დიახ, სწრაფი გამქცევი, ორს რაზმებთა შორის, ვიზედაც თვალი ეკირა ყველას, რომელს რაზმსა გადაუგდებს ბურთსა. ჯერ კარგი ხანი ასე ათამაშა სხვადასხვა ნავარდობით, მას უკანი პირველ რაზმსა შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა. თვითონ თავის დიდკაცებით გამობრუნდა. მოვიდნენ და ესენიც ფანჩატურაში დასხდნენ მწყირვად მაყურებელი ბურთაობისა.

მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი, ერთი-ერთმანერთზე გადათამაშებით, უნდოდათ მეორე მხრის ბაირალთან გაეტანათ და ამითი ჯარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერივნენ ერთმანერთში: ხან აქეთ და ხან იქით გადაუგდებდნენ ბურთსა ერთმანერთს რაზმის მხედარნი, უნდოდათ ერთი-ერთმანერთისათვის მოეტაცნათ ბურთი და როგორმე გაეტანათ თავთავის დანიშნულ მხარეზე.

იბრძოლეს და იბრძოლეს, მაგრამ არა ეშველათ რა ვერც რომელმა ვერ გაიტანა და მზეც დაეწვერა ჩასასვლელად იტყოდნენო.

— იმ დღეს ასე გაფრთხილებული იყვნენ მებურთალ-მეჩოგნენიო, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ასე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდევ ატრიალებდნენო, არც დასასვენებლად დამდგარანო მზის ჩასვლამდისით; ცხენების შეჯახება ხომ დიდი სირცხვილი იყო და ამის განსაცდელი რაღა მოხდებოდაო, მაშინ როდესაც რომ ერთმანერთში არეული მოაქვნიებდნენ და ბურთს დაუცხრომლად შესტყორცნიდნენ გასატანადაო...

მზის ჩამოსვლამდისინ ვერა რომელმან მხარემ რომ ვერ გაიტანა ბურთი ცხენაკაცინათაც დიდად დაიღალნენ, მეფემ უბრძანა გაშველება და ამასთან თელავისაკენ წამოვიდნენ ერ-

თობ მადრიელ მეფისა საჩუქრითა. ეს ამგვარი ბურთაობა, დიახ, ხშირად ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ძველის დროებიდანვე, უკანასკნელს დრომდის“.

მოყვანილ ხელნაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ფიზიკური ვარჯიშობა გამოყენებული ყოფილა ჯარში, როგორც მეომართა სამხედრო-ფიზიკური მომზადების საშუალება, სავალდებულო და აუცილებელი ყველასათვის. აღ. ჯამბაკურ-ორბელიანს ამ შემთხვევაში აღწერილი აქვს არა ჩვეულებრივი წვრთნა მეომრებისა, არამედ შეჯიბრება, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ხშირად იმართებოდა.

ჯარის წვრთნა ძველი დროიდანვე იყო შემოღებული. მოვიგონოთ თამარის ისტორიკოსის სიტყვები: „სპანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა“.

წვრთნა უნერგავდა მეომრებს ორგანიზებულობას, წესმორჩილებას, ანვითარებდა ფიზიკურ თვისებებსა და სწრაფი ორიენტაციის უნარს. სისტემატური კოლექტიური წვრთნა ანვითარებდა ისეთ მორალურ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა, სიმტკიცე, სწრაფვა გამარჯვებისაკენ და სხვ. ცნობილია, რომ თვითონ ერეკლემ გონებრივ განათლებასთან ერთად კარგი ფიზიკური აღზრდა მიიღო. იგი კარგი ცხენოსანი იყო, საუკეთესოდ ფლობდა ხმალს, საუცხოვოდ ისროდა მიწანში და ოსტატურად ბურთაობდა. ერეკლემ ჯანმრთელობა და ბრძოლის უნარიანობა ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა.

XVIII საუკუნის დამლევს საქართველოს სამეფოს მდგომარეობა ერთობ გართულდა. შინაუთანხმოებებმა, ბატონყმობამ და გარეშე მტრებთან განუწყვეტელმა ბრძოლამ საქართველო დააქვეითა ეკონომიურად, კულტურულად და ფიზიკურად. მას ფიზიკური განადგურება მოელოდა, რომ იგი რუსეთს არ შეერთებოდა.

ამ მხრივ რუსეთთან საქართველოს შეერთება ისტორიულად აუცილებელ აქტს წარმოადგენდა. რუსეთი ერთადერთი პროგრესული ძალა იყო, რომელსაც შეეძლო საქართველოს დახსნა მტერთა თარეშისაგან, მისი დაქსაქსული ნაწილების გაერთიანება და სათანადო პირობების შექმნა ქვეყნის განვითარებისათვის.

## თავი III

# ზიზიკური კულტურა რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1801—1821 წწ.)

### § 1. ზიზიკური კულტურა XIX საუკუნეში

XIX საუკუნიდან დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდი. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამეფებულა იყო ნატურალური მეურნეობა, მრეწველობა თითქმის არ არსებობდა, ხოლო ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული. ამის უმთავრესი მიზეზი ბატონყმობა იყო.

ცარიზმი საქართველოში დაეყრდნო ადგილობრივ თავადაზნაურობას, რომელიც მალე გათანასწორებულ იქნა უფლებებში რუსეთის „კეთილშობილ წოდებასთან“, ხოლო გლეხობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ექსპლუატაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით გამწვავდა ურთიერთობა მემამულეთა და გლეხთა შორის. დიდ შევიწროვებას განიცდიდა გლეხობა მეფის მოხელეებისაგანაც. ყოველივე ეს იწვევდა გლეხთა უკმაყოფილებასა და აჯანყებებს, რომელთაც ცარიზმი დიდი სისასტიკით აჭრობდა.

XIX საუკუნეში გლეხთა მრავალ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. ამ აჯანყებებში გლეხობამ დიდი სულიერი სიმტკიცე და ფიზიკური ამტანობა გამოამჟღავნა. თავისუფლებისათვის

ბრძოლის საქმეში გლახობა ფართოდ იყენებდა ხალხური ფიზიკური ვარჯიშობებისა და თამაშობების საშუალებით შექმნილ ფიზიკურ და მორალურ თვისებებს.

XIX საუკუნის დამდეგს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა სხვა მიმართულება მისცა საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარებას.

XIX საუკუნის დამლევამდე ქართველი გლახობა თავისუფალი იყო ქარში გაწვევისაგან, რის გამოც გლახთა ფიზიკურმა ვარჯიშობამ დაჰკარგა ქარში გაწვევამდე წინასწარი წვრთნის ხასიათი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლახობამ შეინარჩუნა თავისი სიყვარული ფიზიკური ვარჯიშობებისადმი და უქმედებებში მათი გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, ბურთაობა, მოძრავი თამაშობანი და სხვა მრავალი ფიზიკური ვარჯიშობა და ხალხური გართობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ბატონყმობის გაუქმებამ, კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ქართველთა გაერთიანებას ერთ მთლიან ბურჟუაზიულ ერად.

რუს ხალხთან მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცების ნიშნად საქართველოში ჩაისახა სპორტის კლასიკური სახეობები. მაგრამ საქართველოში ეს პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, მანამდე კი, ძირითადად, ფიზიკური ვარჯიშობათა ეროვნული სახეობები იყო გავრცელებული.

თავადაზნაურობა თავის ახალგაზრდობას მომეტებულად სამხედრო სამსახურისათვის ამზადებდა, ამიტომაც მათი აღზრდის სისტემაში სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას კვლავ დიდი ადგილი ეკირა.

XIX საუკუნეში თავადაზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდიან ალექსანდრე ორბელიანი და ნიკო ბაგრატიონი.

მოგვიტხრობს რა თავის სწავლა-აღზრდის შესახებ, ალ-ორბელიანი ამბობს: „სიცელქეს და თამაშობასაც კი არ მიწილდნენ ჩემს ტოლ-ამხანაგებთან და კრივშიც წამიყვანდნენ ხოლმე უფრო იმისათვის, რომ ვაეკაცობის გული მიეცესო-

ცხენითაც ხშირად მატარებდნენ. იმავე ყმაწვილობითვე ასე კარგად ვიჭეკი ცხენზე და ასე კარგად ეხმარობდი, როგორც კარგი მხედარი“.

ნიკო ბაგრატიონი თავის მემუარებში „ბურებთან“ ასე მოგვითხრობს თავის ბავშვობას:

„აღმზრდელმა და მისმა თანაშემწეებმა დაიწყეს ჩვენი მამაკაცური, მკაცრი აღზრდა: წერა-კითხვის გარდა გვასწავლიდნენ ცხენზე ჯდომას, თოფ-იარაღის ხმარებას და გვაჩვენებდნენ ყოველგვარი სიძნელეების ატანას“<sup>1</sup>. სიძნელეთა ატანას, გამძლეობისა და გამბედაობის გამომუშავებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ამის შესახებ ნ. ბაგრატიონი გვიამბობს: „...აქ ოცნებაში გართული, უეცრივ ზაქრომ (ნიკოს აღმზრდელი. მ. გ.) ხელით ამიტაცა, თავის ცხენზევე უკან შემომისვა და მიბრძანა მისი ქამარი ხელში მაგრად მჭეროდა; ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჩემს ძმებსა და სხვა აღმზრდელებთან ერთად მოქექუსლეთ, რომ მამას დავწეოლით და მასთან ერთად გვევლო.“

ამ გიჟურ ქენებაში, უნდა გამოვტყდე, მღელვარებისაგან კი არ ვცახცახებდი, არამედ შიშისაგან, — მეშინოდა, რომ ცხენიდან გადმოვარდებოდი, ზაქროს კი ერთხელაც არ მოუხედნია ჩემსკენ, რომ გავგო, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი.

მე კი მრცხვენოდა მეთქვა მისთვის, რომ მეშინოდა და მთელი მგზავრობა ისე გადავიტანე, ერთი სიტყვითაც არ გამომიმულავნებია ჩემი შიში.

აი, ასეთი სასტიკი ზომებით, ყოველგვარ პირობებში, გვაჩვენებდნენ მდგომარეობასა და გამძლეობას.

შემდეგ, როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა მომიხდა, არაერთხელ მომგონებია და მადლობის გრძნობით განვმსქველულვარ ჩემი მკაცრი, მაგრამ მაინც საყვარელი ზაქროსადმი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ჩაეგონებინა ჩემთვის, რომ საერთოდ მამაკაცი, და მისი აზრით, განსაკუთრებით ბატონიშვილი, უნდა იყოს ნამდვილი ვაჟკაციო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ნიკო ბაგრატიონი, ბურებთან, თბილისი, 1952 წ., გვ. 2—3.

<sup>2</sup> \* გივი, გვ. 5—6.

მაგრამ ამგვარ აღზრდას არა მარტო ფეოდალთა ვაჟები ლებულობდნენ, არამედ ხშირად — ქალებიც. ლიტერატურაში ცნობილი მრავალი მაგალითიდან ჩვენ აქ მხოლოდ ერთს მოვიყვანთ. ცნობილია, რომ ცხენოსნობაში განთქმული ყოფილან პოეტ ალექსანდრე ქავკავაძის ასულნი ნინო და ეკატერინე-ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოჰყავს ი. ბალახაშვილს: „1853 წელს, როცა თურქი დამპყრობლები შემოესიენ საქართველოს ეკატერინე ყაბალახწყარული და იარაღასხმული, ზმლით ხელში, ცხენზე მჯდომი მიუძღოდა სამშობლოს დამცველთა რაზმს. კ. ბოროზდინი გადმოგვცემს: „ეკატერინე მეგრელთა მილიციას გაუძღვა და მონაწილეობა მიიღო რამდენჯამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალეთის წინააღმდეგ. ნაბადი ჰქონდა მოსხმული, თავი ყაბალახით წაქრული, ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშვერდა გულს და მისი ზუზუნნი ზშირად ესმოდა“<sup>1</sup>.

გლახთა ფიზიკური აღზრდის საშუალებები XIX საუკუნეში ბევრი არაფრით განსხვავდებოდა წინა საუკუნესთან შედარებით. გლახობის ფიზიკურმა ვარჯიშობებმა და თამაშობებმა დიდი როლი ითამაშეს მათი ფიზიკური და სულიერი სიმჭნევის შენარჩუნებაში ბატონყმური ექსპლუატაციის მძიმე პირობებში. თავისებურმა ფიზიკურმა მომზადებამ და გაწაფვამ სათანადო როლი ითამაშა გლახთა ბრძოლებში ექსპლუატატორთა წინააღმდეგ.

მშრომელთა მასების ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა ჭიდაობას, კრივს, ბურთაობას (ლელო), ფარიკაობას (უმთავრესად ხევსურეთსა და თუშეთში), სიმძიმეთა აწევასა და გადატანას, მრავალ სხვა ფიზიკურ ვარჯიშობასა და მოძრავ თამაშობას.

XIX საუკუნეში გავრცელებულ ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ჭიდაობას, რომელიც ძველთაგან დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. იგი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

1. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, 1951 წ., გვ. 28.

ქიდაობა იმართებოდა კვირა დღეებში და დღესასწაულებზე. ისეთი კვირა დღე ან დღესასწაული არ ჩაივლიდა, რომ სოფლად (ბევრგან ქალაქშიც) ქიდაობა არ გამართულიყო. თითოეულ სოფელს ან კუთხეს გამოყავდა თავიანთი ფალანგები, რომელნიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ბაზნში.

XIX საუკუნეში ქიდაობა თბილისშიც დიდად ყოფილა ვავრცელებული. იგი იმართებოდა თბილისის სხვადასხვა უბანში — ფიქრის გორაზე. ოქროყანაში, ისანში, ნაძალადევსა და სხვა ადგილებში. თითოეულ უბანს თავისი განთქმული ჯალანგები ჰყავდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში აუარებული წერილი და ცნობაა მოთავსებული ქიდაობის შესახებ. ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ უფრცველაძე გაზეთ „დროებაში“ (1867 წ., № 35) ვრცელ წერაღას ათავსებს ქართული ქიდაობის შესახებ და აღტაცებას გამოთქვამს მაშინ კიდევ სრულებით ახალგაზრდა მოქიჯაგის ხიზანბარელის ქიდაობის გამო.

XIX საუკუნეში გავრცელებულ სპორტის ქართულ, ეროვნულ სახეთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე „ლელო-ბურთი“, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში (უმთავრესად კი გურია-სამეგრელოში). არც ერთი დიდი დღესასწაული არ ჩატარდებოდა, რომ ლელო არ ეთამაშნათ. გლეხები და ქალაქის მცხოვრებნი (მაგალითად, ფოთის) ლელოს აკვირა დღესაც თამაშობდნენ.

ამ თამაშით გატაცებული იყო არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ხანში შესულები და მოხუცებიც. ლელოში მონაწილეთა რაოდენობა არ იყო განსაზღვრული. ერთი სოფელი ეთამაშებოდა მეორეს, ან ერთი და იმავე სოფლის ფარგლებში ცოლიანები ეჯიბრებოდნენ უცოლოებს, ერთი უბნის მცხოვრებნი მეორე უბნის მცხოვრებთ და ა. შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესაში ხშირადაა მოხსენებული ლელო-ბურთი. ასე, მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის № 98-ში ნათქვამია, რომ პირველ მაისს ფოთში „დიდი ბურთის თამაში იცოდნენ“-ო. ამ დღესვე ქ. ფოთში



იწყებოდა „იარმუეობა“, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა ზოლმე. ამ დროს აქ, თურმე, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა გურია-სამეგრელოდან სავაქროდ და ნაცნობებსა და მოყვარეებში დროს გასატარებლად.

„როგორც ყოველთვის, — ნათქვამია გაზეთში, — წრეულსაც ერთ მხარეს იყენენ მეგრელები და მეორეს გურულები, იმერლები და სხვ. ლელო გურულებმა გაიტანეს“.

გაზეთ „ივერიის“ 1899 წლის № 92-ში მოთავსებული შემდეგი საინტერესო წერილი:

„კვირაცხოვლობას ჩვეულებრივი ბურთაობა გამართეს გურულებმა და მეგრელებმა კახაბერში, სადაც დიდძალი საზოგადოება შეიკრება, ზოგნი მოთამაშენი და ზოგნი კიდევ მაყურებელნი. დიდ უზარ-მაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდან ხუთის ნახევრამდე და გადასცეს ერთ კაცს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო და გადააგორა დანიშნულ ლელოს შუაგულზე და თან დაიძახა: „არიქა, ყმაწვილებო, ვაშა, ვაშაო, ლელო დასავლეთით მეგრელებისა და ხონელებისააო და აღმოსავლეთით გურულებისა, თათრებისა და სომხებისაო!“ შეიქმნა ყიჟინა, ვაშას ძახილი და ბურთი გააქანეს პირველად მეგრელებმა და ის იყო ლელოსთან უნდა მიეტანათ, ამ დროს გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ლელოსაკენ, მაგრამ ბურთი ისევ მეგრელებმა და ხონელებმა გაიტანეს. ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში, სადაც არშინის სიმალეზე წყალი იდგა. თქვენ არ მოგიკვდეთ წყალმა არც ერთი მხარე არ შეაშინა. ჩაცვივდნენ შიგ; მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო; ბოლოს ისევ მეგრელებმა და ხონელებმა იგდეს ხელთ, გააქანეს თავიანთ ლელოსაკენ და მერე ზღვაში ჩააგდეს. თამაშმა მთელ სამ საათს გასტანა. მოთამაშენი სიმღერითა, ცეკვითა და დამბაჩების სროლით დაბრუნდნენ სახლში“.

თუ რამდენად დიდი ყოფილა ხალხის გატაცება ბურთაობით, ნათლად ჩანს იმავე გაზეთში მოთავსებულ შემდეგ წერილიდან:

„მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ფოთში მეგრელები არიან და თითონ ქალაქსაც მეგრული ხასიათი აქვს, მეგრული

ფერი სწევს. ამას ამტკიცებს თუ გინდ ის გარემოება, ორნ ფოთში ყოველ პირველ მაისს ბურთის თამაში იმართებოდა და თამაშში ერთკენ არიან მარტო მეგრელები, მეორეთკენ — კი გურულები, იმერლები, ერთი სიტყვით. ყველანი, გარდა მეგრელებისა.

სამწუხაროდ წრევანდელი პირველი მაისი ჩვეულებრივზე ნაკლები იყო... ნაწირევს მაინც შეიკრიბა ჩვეულებრივად ხალხი ეგრედწოდებულ პარკში, გაშლილს ტყეში, რომელსაც დიდი მინდორი აქვს. აქ იარმუკა იყო გამართული, აქვე გადაიხადეს მღვდლებმა პარაკლისი, ანუ „აკურთხეს პარკი“, როგორც აქ ამბობენ. პარაკლისიც გათავდა და ხალხიც დაშალა სადილის საჭმელად. ნასადილევს ბურთის თამაში უნდა ყოფილიყო და მეგრელები თავგამოდებულნი იყვნენ, — წრეულსაც არ ექამოთ სირცხვილიო. შარშან ბურთი გურულებსა და იმერლებს გაეტანათ. ნასადილევს კიდევ უფრო ბევრი ხალხი შეიკრიბა პარკში, ვიდრე სადილობამდის და ყველა რაღაცას ელოდა, ყველა სიამოვნებით იცქირებოდა იქითკენ, სადაც უნდა გავარდნილიყო ბურთი.

დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ბურთი მეგრელებმა გაატანეს და იმათს მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მშვენიერი სანახავი იყო, როცა გამარჯვებულნი, მეთაურების მალა-მალა სროლით და „კირიელეისონის“ გალობით, წამოვიდნენ ლელოდამ<sup>1</sup>.

რადგან ლელოს თამაშობის დროს დიდძალი ხალხი იკრიბებოდა, მეფის მთავრობა ამაში ერთგვარ საშიშროებას ზედავდა და ამიტომ ზოგიერთ პერიოდში ბურთაობა მეფის უნდარმებმა კიდევაც აკრძალეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის № 75-ში მოთავსებული შემდეგი წერილი:

„ბათომი: აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იყო. კერაცხოვლობა დღეს აქაური ქართველობა შეიკრიბა კახაბერის მინდორზე და დაიწყეს ბურთაობა. მაყურებლადაც ბევრი იყვნენ მოსულნი და დიდადაც გაჰკვირდნენ და სიამოვნებამ თამაშის ცქერით იმათ. ვისაც პირველად ეწახა ბურთის

<sup>1</sup> „ივერია“, 1889 წ., № 108.

თამაშობა. მაგრამ სიამოვნება იაფად არ დაგვიჯდა და, ვიდრე ბალხი ისიამოვნებდა, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს მოთამაშებებმა. როცა პირველად გამოვარდა ბურთი, მოვიდა ბოქაული ყაზახებით და სთხოვა ხალხს, მომეცით ბურთი, უფრო შუა ადგილას ავაგდებო. ბურთი მისცეს. მან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წააღებინა: ბურთის თამაში არ შეიძლება, აკრძალულიაო. ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის ააგდო. მოვიდა მასუკან პოლიციის უფროსი და დაუშალა ხალხს ბურთაობა. მან მოიყვანა ცეცხლისმქრობელნი ცეცხლის ქრობის მოწყობილობით და უბრძანა გაწუწუთ ბალხი და დაიშლებათ. ხალხს ხუმრობა ეგონა გაწუწუვა თავისი და ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ ცეცხლის მქრობელთ, რომ წაერთმიათ მაშინები და ახლა ისინი გაეწუწუათ. ამ ბალაქუნობაში სულ ერთიანად წახდა მაშინები და თვით პოლიციის უფროსსაც ატკინეს თვალი. ბოლოს ამ ვაივაგლახმა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწემდინაც მიაღწია. თანაშემწემ თ. ერისთავმა უბრძანა პოლიციის უფროსს, რომ ხალხს ჩვეულებადა აქვს ბურთის თამაშობა და ნუ დაუშლითო. მართლაც დაიწყო თამაშობა და ბოლომდე ისე გათავდა, რომ არავითარი უწესობა და ურიგო არ მომხდარა-რა“.

კრივი მეტად გავრცელებული ყოფილა XIX საუკუნის თბილისში. იგი ქალაქის მოსახლეობის გართობისა და ვარჯიშობის საყვარელ სახეს წარმოადგენდა. კრივში მონაწილეობდნენ ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენები, პირველ რიგში, ვაჭრები, ხელოსნები და ქარგლები.

გარდა თბილისისა, კრივი საქართველოს სხვა ქალაქებშიც იმართებოდა. XIX საუკუნის ქართულ პრესაში კრივი ხშირად მოხსენიებული ქალაქ გორში, თელავში. პრესაში აღწერილია კრივის გამართვა ქუთაისშიც. ჩანს, კრივი გავრცელებული ყოფილა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც.

ბ. ესაძის გადმოცემით კრივში შეჯიბრების დროს თბილისი ორ ნაწილად იყოფოდა (ჩრდილოეთი და სამხრეთი), ავლაბრის ჩრდილოეთი ნაწილი, ჩუღურეთი, კუკია, გარეუბანი, მთაწმინდა. თვით ქალაქი კი სიონიდან ფეთხაინამდე წარმო-

ადგენდა ზემო უბანს. ადგილები: სამხრეთით, სიონ-ტეატრის-  
ნის ზაზისაგან კი მაიდანის, აგრეთვე სეიდაბადის, ხარფუზის, ავ-  
ლაბარის და შავი სოფელი შეადგენდნენ ქვემო უბანს. ყველა-  
ზე უფრო განთქმული ყოფილან კუკიისა და მთაწმინდის მო-  
კრივენი.

მცირე მასშტაბის კრივი ხშირად იმართებოდა, განსაკუთ-  
რებით კი კვირა დღეებსა და დღესასწაულებზე, მოღინის.  
მოედანზე, სალაყბოზე. კირიანთ ხევში, ნახშირის უბანში,  
აბასაბადის მოედანზე და სხვა ადგილებში.

თავისი მასშტაბით ყველაზე უფრო განთქმული იყო „ავ-  
ლაბარის კრივი“, რომელიც იმართებოდა კვირაცხოვლობის  
დღეს ამავე სახელწოდების ეკლესიის მახლობლად.

ყველაზე გავრცელებული იყო ე. წ. „მუშტის კრივი“ და  
„ქვის კრივი“. მუშტის კრივს მართავდნენ ზაფხულობით ქა-  
ლაქის ქუჩებში, ხოლო „სარდასტის კრივს“ ზამთარში ქალაქ-  
გარეთ. კრივს, საერთოდ, ქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვე-  
ულებზე დამყარებული. კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით  
იწყებოდა, შემდეგ 18—20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდ-  
ნენ ერთმანეთს, ჭაბუკებს 25—30 წლის ვაჟკაცები შეეკლიდ-  
ნენ, ხოლო ამათ—დარბაისელი და გამოცდილი ფალანგები.  
ამ უკანასკნელთა კრივი ნამდვილ კრივად ითვლებოდა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კრივი აკრ-  
ძალეს, მაგრამ ციციანოვის მმართველობის დროს კრივი,  
ხალხის თხოვნით, კვლავ განაახლეს; ხოლო XIX საუკუნის  
50-იან წლებში, ვორონცოვის დროს, როდესაც ერთ-ერთ  
კრივში რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა და ქალაქის ფარგ-  
ლებში წესი დაირღვა, ნიკოლოზ პირველმა სავსებით აკრძა-  
ლა კრივი ქალაქის ფარგლებში და ასეთი ბრძანება გამოსცა:  
„კრივი ნებადართულია ქალაქ გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ  
მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არაეინ იხმაროს“. კრივში  
ბრძოლების მეთვალყურეობა ამიერიდან პოლიციას ევალე-  
ბოდა.

კრივი თანდათანობით გადავარდა და შემდეგ სრულ მივი-  
წყებას მიეცა.

საქართველოში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ხის მძღვებით ბრძოლა — „სარდასტის კრივი“. იგი წარმოადგენდა თავისებურ სამხედრო თამაშობას, რომელიც ყველიერში იმართებოდა ბოტანიკური ბაღის მახლობლად, თათრების სასაფლაოსთან დაბახანის ხევში.

დ. ბებუთოვის აღწერით, ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი აირჩევიდა თავიანთ შაჰს. მათ მდიდრულად შემოსავდნენ და დასვამდნენ გამოსაჩენ ადგილზე, საიდანაც კარგად შეიძლოთ ყველა გამვლელ-გამომვლელის დანახვა. შაჰებს ჰყავდათ საუცხოოდ მოკაზმული ცხენები, იქვე იდგა მათი „ჯარი“ თავიანთი დროშებით. რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მებრძოლები. რამდენიმე დღის განმავლობაში აგროვებდნენ ხარკს შაჰის სასარგებლოდ. დაგროვილ თანხას შემდეგ ხარჯავდნენ (ქეიფობდნენ) თამაშობის მონაწილენი. დიდმარხვის პირველ ორშაბათს შაჰებს შორის იმართებოდა დიდი ბრძოლა. კვირა დღით იწყებოდა მოწინააღმდეგეთა მოლაპარაკება. თითოეული შაჰი ცდილობდა მოწინააღმდეგეთა მთელი რაზმების ან კალკეული მებრძოლების თავის მხარეზე გადმობირებას.

იმავე კვირას, ნაშუადღევს, ორივე შაჰი ქალაქგარეთ გადიოდა. არსებული ცერემონიალის მიხედვით წინ მიჰქონდათ თითოეული რაზმის დროშა, შემდეგ მიდიოდნენ შაჰის მხლებლები, თვით შაჰი და შემდეგ „ჯარი“ სურსათ-სანოვაგით. კოლონებს წინ მიუძღოდნენ მუსიკოსები, რომლებიც უკრავდნენ ზურნაზე, დაირებზე, დაფდაფებზე და დიდ ბუკებზე; მომღერლები მღეროდნენ სამხედრო სიმღერებს, ხოლო მოცეკვავეები და მასხარები ართობდნენ მებრძოლებს. გავიდოდნენ თუ არა ქალაქგარეთ, თითოეული შაჰი ცდილობდა დაეჭირა სტრატეგიული პუნქტი. ყოველი მხარე ანაწილებდა პატრულებს, აგზავნიდა მზვერავებს მტრის შესახებ ცნობების შესაკრებად და ორივე მხარე დღის დანარჩენ დროსა და მთელ ღამეს დილის რიყრყამდე ქეიფობდა. დღით, აღრიანად, ქალაქიდან მოდიოდა მაყურებელი ხალხი (ქალე-

ბი და ბავშვები) და გამოეფინებოდნენ ირგვლივ მდებარე მთებზე.

იწყებოდა ბრძოლა, რომელშიც დიდი და პატარა მონაწილეობდა. ბრძოლას იწყებდნენ ბავშვები. მებრძოლნი ისროდნენ ქვებს შურდულით, ხოლო თავის დასაფარავად თითოეულ მებრძოლს ჰქონდა ნაბადი. როდესაც მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მიუახლოვდებოდნენ, ისინი გადადიოდნენ ხის ხმლებით ბრძოლაზე, ამის შემდეგ შურდულის გამოყენება აკრძალული იყო და იწყებოდა გააფთრებული ბრძოლა, რომელშიც უფროსები მონაწილეობდნენ.

ამგვარი სამხედრო თამაშობა იმართებოდა სოფელ ტაბაბმელას, ოქროყანას, სოლოლაკის ტერიტორიაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემონახული იყო ცხენოსნური სპორტის ზოგიერთი სახე. თუ წარსულში ცხენოსნური სპორტი ფეოდალური კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა, ახლა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ცხენოსნური სპორტის სახეები (ჯირითი, მარულა და სხვა) ხელმისაწვდომი ხდება გლეხობის განსაზღვრული ნაწილისათვის.

ცხენოსნური სპორტის ეროვნული სახეები განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამეგრელოსა და აფხაზეთში, თუშეთსა და ხევსურეთში, სვანეთსა და ოსეთში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთში. იშვიათი იყო ისეთი დღესასწაული, რომ აქ ცხენოსნობაში შეჯიბრება არ ჩატარებულყო. როგორც სამეგრელოში, ისე აფხაზეთში ფართო გავრცელება ჰქონდა მარულას. სარბენი მანძილი 15—25 კილომეტრს უდრიდა. მარულას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც 2—3 თვე გრძელდებოდა. ცხენი სპეციალურ დიეტაზე ყავდათ, რომ წონა დაეკლო. ამასთან ერთად, ცხენს გამძლეობა და ძალა ემატებოდა. თანაც ცხენს წვრთნიდნენ, ხოლო მარულის წინ რამდენიმე დღით ასვენებდნენ. მარულაში მხედარს 10—12 წლის ბიჭი წარმოადგენდა; მასაც მოსამზადებელი პერიოდი უნდა გაეკლო: წვრთნიდნენ ცხენოსნობაში და ამჟღევებდნენ, რომ წონაში დაეკლო. მარულის დროს მხედარ ბიჭს წითელ ხალათს ჩააცმევდნენ. მარულის ჩასატარებელი ადგილი წრეს წარმოადგენდა.

სამეგრელოსა და აფხაზეთში ხშირად იმართებოდა თარ-  
ჩიაც. აი როგორ აგვიწერს თარჩიაში შეჯიბრებას აფხაზეთში  
გაზეთი „ივერია“: „... ნასადილევს ცხენოსნები იწყებენ ცხე-  
ნით თამაშს, რომელიც ბევრად წააგავს საშუალო საუკუნე-  
ების ევროპულ რაინდთა ტურნირებს... მშვენიერის სქესის  
წარმომადგენელთაგან გატენილია სახლის აივანი... ახალგაზ-  
რდა ცხენოსნები, იმათ წინაშე შეგუფულნი, სცდილობენ  
გამოიჩინონ სიტყვა-პასუხი მოსწრებულის ლაპარაკით, ხოლო  
ცხენოსნობით — ვაჟკაცობა...

... ცხენით თამაში „თარჩი“ შემდეგში მდგომარეობს: ერ-  
თი რომელიმე ცხენოსანი ღებულობს მასპინძლებისაგან ან  
„უმშვენიერესის ქალის ხელისაგან“, ჩითის ნაჭრებს, შეკე-  
რილს წულებს, აკინძულ წაბლსა ანუ ბევრ რასმეს და მიი-  
ღებს თუ არა „თარჩიას“, გააქნებს ცხენს; სხვები იმას გა-  
მოეკიდებიან, რომ შეაჩერონ და გამოართვან „თარჩი“. მაგ-  
რამ პირველი წინ მრბენი ცხენის განდაგან აქეთ-იქით ტრია-  
ლით სცდილობს თავი არ დააქერიოს. უკან მდევნელნიც  
თავისის მხრით ცდილობენ ცხენებს გამოაჩენინონ მთელი თა-  
ვისი ძალ-ღონე და როგორმე მოეწიონ... ცხენოსანი თუ დაი-  
ჭირეს, მაშინ „თარჩიის“ დამჭერს აძლევს და ახლა ამას გა-  
მოეკიდებიან; თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ იგი ბრუნდება, საი-  
ღამაც გამოიქცა, გამარჯვებულიც არის და დარწმუნებულია  
კიდევ, რომ უმშვენიერესის ქალების ყურადღებაც მიიპყრო.  
შემდეგ „თარჩი“ მიაქვსთ სხვებს... ...ალაპზედ სხვანაირადაც  
თამაშობენ ცხენებით: ცხენების ერთი მეორის დაჯახება,  
ცხენის უკანა ფეხებზე შეყენება, გაჭენებულ ცხენიდან ან  
თეთრი ფულის მიწიდან აღება და სხვ. ნიშანში სროლაც  
იცია.

ალაპზე ხშირად იმართება მარულა (დოლი). თუ ალაპი  
ფილია, მაშინ წინა დღეებში იმართება გამოწყობილ ცხენე-  
ბის ჭენება; ხოლო მეორე დღეს იმართება ნამდვილი მარულა.  
გამოწყობილ ცხენებისა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“, 1888 წ., № 176.

თუ მარულა ალაპის დროს იმართებოდა, ჯილდოდ (მახა-  
ცემად) ნიშნავდნენ მიცვალებულის ცხენს ან სხვა საქონელს.  
მარულა ცხენს ზურგზე ნაბადს ან წითელ მაუდს გადაათარებ-  
დნენ. ამ ცხენს თან გამოყვებოდა მისი მომხრეები (პარტია)  
და ზარის თქმითა და დამბაჩების სროლით გაემართებოდნენ  
მარულის ადგილზე. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მარულა-  
ში მხედარს 9—10 წლის ბიჭი წარმოადგენდა; ბიჭს წითელ ხა-  
ლითს ჩააცმევდნენ და წელზე ყაბალახს შემოასხევდნენ, რო-  
დესაც მარულას ადგილისკენ გაემართებოდნენ. ამგვარად გა-  
მოწყობილი ბიჭი ცხენის ზურგზე უკან შემოუდგებოდა ვის-  
მეს, საშინლად გაჰკიოდა და წინასწარ გაიძახოდა, რომ მისი  
მარულა გაიმარჯვებს. ამნაირადვე თვითეული მარულა ცხენის  
მომხრენი მისდევდნენ თავიანთ ცხენს. მარულაში შეჯიბრას  
დროს ყველა მომხრე (პარტია) თავის ცხენსა და მხედარს ამბ-  
ნეებდა. ამათგან ბევრად დამოკიდებული იყო პირველი ჯილ-  
დოს მოგება.

დიდი მწერლის ილია ქავჭავაძის პირად მეგობარს პეტრე  
უმიკაშვილს 1874 წლის „სასოფლო გაზეთის“ № 11—12-ში  
აღწერილი აქვს „ჯირითი“ (ახლანდელი „ისინდი“). ეს თაზა-  
ში მას სოფელ ნაგომარში უნახავს.

„ჯირითი გაიმართა შაბათს მკათათვის ოცსა. მუდამ თბი-  
ლისში მცხოვრებელ კაცს კარგა ხანია დაეიწყებია ჯირითი.  
ათასში ერთხელ ამალღება დღეს დამოქნის ქუჩაზე წინ და  
უკან ცხენების ქენებას გამართავენ უშნოთ, ერთმანეთის ჯო-  
ხების სროლით; ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ უფრო იყო,  
ეხლა დაავიწყდათ, ამის გამო თბილისში მცხოვრებისათ-  
ვის საამო საყურებელია ეს ჯირითი და მგონია ყველასათვი-  
საც, რადგან მთელ საქართველოში ისე არსად არ დარჩენილა  
ეს მშვენიერი ვარჯიში, როგორც გურიაში წარმოებს... გამო-  
ვიდნენ ბევრი ცხენოსანნი, მაგრამ მოჯირითე თხუთმეტზე მე-  
ტი არ ყოფილა. უფრო გამოჩენილად იჯირითეს რვა-ცხრა  
კაცმა. იმათში ხუთმა ქობულეთელმა, დანარჩენმა ოთხმა გუ-  
რულმა. ქობულეთელები ყოველთვის უკეთესად ჯირითობენ  
და ამჟამადაც იმათ გაიმარჯვეს...



პეიდანის შუაზე იყოფა, ისე რომ ერთი მხარე მოჭირითე-ების ერთ მხარეზე დგება, მეორე ბოლოში. ერთი მხრიდან მოჭირითემ ქენებაში და ჯირითის სროლაში შეამიჯნას ძალიან არ უნდა გადააცილოს და ცხენი ისევ უნდა შემოაბრუნოს თავის ადგილას; ძალიან გადაცილება და მოპირდაპირეების რიგში შესვლა მოჭირითესათვის სირცხვილია. პირველად დაწყების ერთი მხრიდან მოჭირითე მოდის შუაადგილთან და მეორე მხრის კაცს გამოიწვევს: — „ცხენი მოაბრუნე შენთან მოვალა“ და ესერის ჯირითის ცხენს და ამიტომ აბრუნებინებს, რომ ჯირითის სროლა ყოველთვის უკანათ უნდა და არა პირდაპირ. რაკი ერთი გაისროლა ჯირითი დამწყები გამორბის თავისაკენ და მოპირდაპირე მოსდევს ჯირითის სასროლად. შუა ადგილამდის უნდა ეცადოს, რომ მოუსწროს, მარჯვით ესროლოს და გამობრუნდეს; რაკი გაისროლა და ჯირითი მოხვდა ან არ მოხვდა, ეს მოპირდაპირე ცხენს აბრუნებს და მერე მოსდევს ამას ჯირითის სასროლად. ასე ამგვარად ერთმანეთს გამოეკიდებიან და თითო სამჯერ-ოთხჯერ მეტად ისვრის ჯირითსა. სიმარჯვე იმაშია, რომ წინა მოჭირითემ უკანის ჯირითი აიცილინოს, არ მიიკაროს, ან ხელში დაიჭიროს, ცხენი მარდათ მოაბრუნოს და მოპირდაპირეს გამოუდგეს. უკანა მომდევნო თავისის მხრით უნდა ცდილობდეს მოწევას და ჯირითის სროლას, მაგრამ, თუ ძალიან დაუახლოვდა, ჯირითის სროლა სირცხვილია, ლაჩრობათ და სისულელეთ ჩეთვლება; იტყვიან: „ორბიჯზე მუშტის მოქნევასაც შეიძლება, ჯირითის სროლა რაღა საჭირო იყო“.

მაინცდამაინც ქობულეთელებმა დაამშვენეს ეს ჯირითი, შვეწოდათ ცხენზე ჯდომა გურულად ჩაცმულებს (ქობულეთშიც გურული ტანისამოსი აცვიათ), მარდათ აქროლებდნენ ცხენებსა, მარჯვით ისროდნენ ჯირითსა და მკვირცხლად იცდენდნენ და იჭერდნენ მოპირდაპირის ნასროლს. ჯირითის ჯოხები კი წინათვე მომზადებული არა სცოდნიათ, როგორც ადრე ქალაქში გვინახავს ლამაზად გამოთლილი (ბილიარდის კიებსავით); რაც ხედებოდათ ვეებერთელა როკი ან სარებს ისროდნენ და ბევრს მათგანს გვერდები კარგა დაუზილეს — მეტადრე გურულებს“...

განეთ „დროების“ 1882 წლის №№ 143 და 145-ში მოთავსებულია წერილი, რომელშიც აღწერილია ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნული სახეები, ჯერ კიდევ შემონახულნი XIX საუკუნის პირველ და, ნაწილობრივ, მეორე ნახევარში.

ჩვენ აქ მოგვყავს ხსენებული წერილი შემოკლებით:

„ეხლანდელ ვერის ხიდის გაღმით, მცხეთა-თბილისის გზატკეცილის მარცხნივ, გადაშლილია მინდორი საბურთალო. ადრე აქ იმართებოდა ბურთაობა, რომელსაც ჰქონდა ხასიათი სამხედრო ვარჯიშობისა. საქართველოს მეფენიც კი იღებდნენ მონაწილეობას ამ თამაშში და გამარჯვებულს მიერთებოდა ოქროს ვაშლი — მოოქრული მეტალის ბურთი. დაწვრილებით ცნობას ამ თამაშობისას არ მოუწვევია ჩვენამდის; უეჭველია ის უნდა გადავარდნილიყო ირაკლის მეფობის უკანასკნელ წლებში... აქაური ახალგაზრდობა ახლაც შეექცევა ხოლმე ბურთაობას.

25 წელიწადია მას უკან, ეხლანდელს ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილის ალაგას, — ტფილისში იყო მოედანი, რომელზედაც პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს შემდეგს:

„ქალაქის კედლის ჩრდილოდ, მეფე იესეს სასახლის პირდაპირ იყო მოედანი ხალხის თავშესაქცევად და სამხედრო ვარჯიშობისათვის. ძველ დროში უწოდებდნენ მას ასპარეზს. შემდეგ დაარქვეს ყაბადი, სპარსული სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს ანძას (МАУТА), რომელზედაც იყო საჩუქარი იმისთვის, ვინც ნიშანში ამოიღებდა. ამგვარი ანძა, თასარი ორი იყო გაკეთებული ამ მოედანზე.

ამ თასრებზე საუკეთესო მებისრესათვის დასდებდნენ ხოლმე სამიზნებლად ოქროს თასებს. ამ მაიდანზევე იმართებოდა ბურთაობა, მარულა, სამხედრო ვარჯიშობანი. მოედნის სიგრძე იყო 250 საყენი და სიფართე 120“.

მოხსენებული შვილდისრობა ალბად დიდი ხანია უნდა გაუქმებულიყოს, რადგან ჩვენის დროის მოხუცთ არ ახსოვთ ეს თავისშექცევა, ერთი ამ თასართაგანის კვალი კიდევ სჩანდა ამ საუკუნის დასაწყისში.

ერთ უსაყვარლეს თამაშთაგანს ქართველ ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით თავადაზნაურობისათვის, შეადგენდა ჩვენ დრომდის დარჩენილი ცხენოსნობა ან ჯირითობა.

ტფილისში 15 თუ 20 წელიწადია, რაც ეს თამაში გადა-  
ვარდა, მაგრამ საქართველოს სოფლებში დღესაც შეხვდებით  
კარგ მოჭირითეს. ეს თამაშობა უფრო სოფლის დღეობაში,  
ხატობაში და ქორწილებში იმართებოდა ხოლმე...

ტფილისში ჯირითი იმართებოდა ხოლმე: თელეაობას.  
სამხრეთ ქალაქის კარების გარედ ორთაქალისაკენ და მთაწ-  
მინდობას ესლანდელ გოლოვინის პროსპექტზე. სპეციალურ  
ალაგად კი ყველა ამ დროს გატარებათათვის ყაბახი იყო და-  
ნიშნული.

იმ დღესასწაულზედ იკრიბებოდნენ თავადაზნაურთა ახალ-  
გაზრდები ქართლისა და კახეთისა ხავერდის ქულაჯებით  
და მდიდრულად გაწყობილს ცხენის იარაღებით. ამ დროს-  
გატარებაში ტფილისში მაჰმადიანების ბეგებიც და ალაღარე-  
ბიც იღებდნენ მონაწილეობას.

ტაძრის დღესასწაულებზედ, ეკლესიებზედ და მონასტ-  
რებზედ მუდამ აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ამავე დღესას-  
წაულზედ იკრიბებოდნენ განთქმული მოკიდავენი.

ხალხს უყვარს ძალითა და სიმარდით განთქმული ფალა-  
ვანი. დგმიდამ-დგმაზე გადადის ჩვენში სახელი განთქმულის  
ქართველ მოკიდავისა ჩიტოსი, რომელიც ჩვენი პაპების დროს  
კიდაობდა.

ტფილისის მცხოვრებთათვის საყვარელ თავშესაქცევს შე-  
ადგენდა მუშტი-კრივი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ  
მშვიდობიანი მოქალაქენიც, ვაჭრებიც და ხელოსანი ხალ-  
ხიც“...

განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ კრავსა და  
კიდაობაში გამარჯვებულნი. ფალავნებს ლექსებსაც უძღვნი-  
დნენ.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა..  
რომელიც გატაცებული იყო კრივით და ხშირად ესწრებოდა  
შეჯიბრებებს, რამდენიმე ლექსი მიუძღვნა განთქმულ მოკრი-  
ვეს ლოპიანას. პოეტი მეგობრობდა ლოპიანასთან ისევე, რო-  
გორც სახელგანთქმულ მოკიდავე დავით ხიზამბარელთან.

ხსენებულ პერიოდში ისევე, როგორც ძველად საეკლესიო  
დღესასწაულებზე, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. ამ დღესას-

წაულებს მარტო რელიგიური საფუძველი როდი ჰქონდა, მნიშვნელოვანია მათი ეკონომიური მხარეც. ხალხი მათ უფარდებდა „იარმუკობას“ (ბაზრობა). აგრეთვე გართობას, ფიზიკურ ვარჯიშობებში შეჯიბრებას. ამ უკანასკნელთ დღესასწაულებში სპატიო ადგილი ექირა. იმართებოდა შეჯიბრება ცხენოსნობაში, ჭიდაობაში, ბურთაობაში, ეწყობოდა სამხედრო და მოძრავი თამაშობანი, ცეკვა და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული აღწერილია გაზეთ „ზაკავ-კახსკაია რეჩ“-ის 1912 წლის № 190-ში. ავტორი ეხება დღესასწაულის (დღეობის) „ფიზკულტურულ ნაწილსაც“. ყოფილ დუშეთის მაზრაში, სამების მთის მწვერვალზე მოთავსებული ძველი ეკლესიის ეზოში, რომელსაც „ოქროს კარს“ უწოდებდნენ, 15 აგვისტოს (მარიამობის დღეს) იმართებოდა დღეობა, რომელზედაც სამი ხევის — ახალგორის, ანანურისა და დუშეთის — მოსახლეობა იყრიდა თავს. ძველი დროიდანვე დაწესებული ჩვეულებით აქ იმართებოდა შეჯიბრება ცხენოსნობასა და ჭიდაობაში; აქვე მართავდენ ცეკვასა და თამაშობებს.

სამების მთაზე ხალხი თავის მოყრას იწყებდა 14 აგვისტოს საღამოდან და დღესასწაული იწყებოდა მაშხალებით, ბენგალური ცეცხლითა და სროლით. ამას მოსდევდა ცეკვა დუდუკის, ზურნის, არღნისა და გარმონის თანხლებით.

მეორე დღეს (15 აგვისტოს) წირვის შემდეგ იწყებოდა შეჯიბრება. მონაწილენი მწყობრად ეწყობოდნენ რაზმებად და დროშებით მიემართებოდნენ შეჯიბრების ადგილზე. შემდეგ იწყებოდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებულთ ხანდახან ჯილდოებსაც აძლევდნენ.

მაგრამ ყოველთვის კი არ შეეძლო ხალხს სპორტის ეროვნულ სახეობებში შეჯიბრების ჩატარება. როგორც ზემოთ ვთქვით, მეფის მთავრობა სდევნიდა სპორტის ხალხურ სახეობებს, კრძალავდა შეკრებებს, რომლებიც ეწყობოდა შეჯიბრებებთან დაკავშირებით.

ამ პერიოდის პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილებიც, რომლებშიც აშკარა პროტესტი გამოსჰვიოდა მთავრობის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

ასე, მაგალითად, „დროების“ 1880 წლის № 58-ში მოთავსებულია შემდეგი შინაარსის მოწინავე წერილი:

„გავლილ ოთხშაბათს ჩვენმა ქალაქის რჩევამ ხანგრძლივი ბაასისა და მოლაპარაკების შემდეგ გარდაწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ხალხს არ ჰქონდეს აკრძალული ზურნა, ყეენობა და საზოგადოდ ჩვეულებრივი საყველიერო მხიარულება და დროს გატარება.

სანამ რჩევა ამ საგანზე მოილაპარაკებდა და ამ გარდაწყვეტილებას მიიღებდა, მთელი ქალაქი სჩიოდა იმაზედ, რომ პოლიცია ამ უკანასკნელ ხანებში ნებას არ აძლევდა ხალხსა არც ზურნის დაკვრისას, არც ყეენობას და არც სხვაგვარ მხიარულებისას ყველიერში და სხვა დღესასწაულებში. შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენი ქალაქის რჩევა იძულებული იყო დაექმაცყოფილებინა ეს საზოგადო საჩივარი უსაფუძვლო აკრძალვაზედ....

ყველა ხალხს თავისი საკუთარი ხასიათი და თვისება აქვს; ყველამ თავისებურად იცის მხიარულებაც და მწუხარებაც...

ერთი მითხარით — ვის რას უშლიდა ჩვენი ყეენობა, ჩვენი ზურნა, ჩვენი ქუჩის ბიჭების ქართულად გადაცმა და ხტუნვა-თამაში?..

სხვა ქვეყანაში, რომ ჰქონდა. ჯირითი, მუშტი-კრივი სკოლნოდათ მთავრობა და საზოგადოება ეცდებოდა, რომ ამგვარ თამაშისა და ვარჯიშობისათვის ყოველი შემწეობა აღმოეჩინა და ხელი მოემართა, რადგან ეს სასარგებლო იქნებოდა ხალხის ჯანმრთელობისათვის, გამხნეებისათვის.

ჩვენში კი ყველა ამგვარი ვარჯიში და დროს გატარება ბარბაროსულ ხალხის დროს გატარებად მიაჩნიათ და ხელის შეწყობის მაგივრად კრძალავენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა მიიღებს მხედველობაში იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში იმისთანა დროს გატარებას, როგორცაა ყეენობა, ბურთაობა, ჰიდაობა და სხვა ამგვარი, და შეიწყნარებს ქალაქის რჩევის შუამდგომლობას; ახსნის იმ აკრძალვას, რომელიც ზურნაზე და ამგვარ მხიარულებაზედ უსაფუძვლოდ დასდო ჩვენმა პოლიციამ“.

ჩანს, რომ ხალხის კანონიერი მოთხოვნა არ ყოფილა დაკმა-  
ყოფილებული, რადგან 1882 წელს იმავე „დროებაში“ (№ 69)  
კვლავ მოთავსებულია ანალოგიური შინაარსის წერილი:

„...ჩვენ საქართველოს ხალხსაც გვაქვს ჩვენი თამაშობა,  
ვარჯიშობა და დროს გატარება. ჩვენ გვიყვარს ბურთაობა,  
ჯირითი, კიდაობა; ტფილისის ხალხს ძველთაგანვე კრივი  
უყვარს. არც ერთ ამ ჩვეულებაში მავნებელი და საზარალო  
არა არის რა; პირიქით ბურთაობა, ჯირითი, ისეთი დროს გატა-  
რებაა, რომელიც ხალხის სხეულს ავარჯიშებს. ძვალსა და  
ხორცს უმაგრებს კაცს, მხნეობას აჩვევს, მკლავს უმხნეებს  
და სხვ... ამიტომაც ჩვენ გვაკვირვებს, რომ ჩვენი პოლიცია ასე  
გულმოდგინეთ უშლის ხალხს ამგვარ თამაშსა და დროს ტა-  
რებას.

გავლილ კვირაცხოვლობას თითქმის მთელი ტფილისის  
არსენალის ახლო-მახლო ადგილებს მოეფინა და ჩვეულებ-  
რივად დროს გატარებას ეშაადებოდა. კიდაობა გამართეს.

ჯერ ყაზახებმა და პოლიციის სალდათებმა ნება არ მოსცეს:  
— ბრძანება არ არისო! მერე მოვიდა პრისტავი და გამოაცხადა,  
რომ კიდაობის ნება ვაქვთო. ესოლოდ კრივი არ შეიძლებაო.  
გახარებულმა ხალხმა „ურა“ დასძახა. იმწამსვე გამართეს წრე,  
თვით პოლიციაც დაეხმარა წრის გამართვაში და ორი პატარა  
ბიჭი დასჭიდეს ერთმანეთს; მაგრამ ჯერ კიდევ ამ ბიჭებს  
ერთმანეთისათვის ხელი არ ჩაევლოთ, საიდამაც იყო გამოჩნდა  
მეორე პრისტავი რამდენიმე ყაზახით და ხიშტიანი სალდათე-  
ბით და მათრახითა და საშინელის უშვერის ლანძღვა-გინებით  
გადათელეს, გარეკეს ხალხი.

„თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო! ვერ გაიგეთ, რომ არ შეი-  
ძლება კიდაობა და არც სხვა რამ დროს გატარებაო! წადით  
გაიფანტეთ თქვე...“ და სხვა და სხვა. და მირეკა ხალხი იმ  
ადგილას, არსენალის წინ, სადაც პივოთი და არაყით სავსე  
ბოქვები იდგა და გაჩაღებული ლოთობა იყო!

ჩვენ არ გვგონია, რომ ეს იყოს უმაღლესის ადმინისტრატ-  
ციის განკარგულება, არ გვგონია იმიტომ, რომ ბურთაობა და  
კიდაობა ამგვარ დღესასწაულის დროს არავისათვის მავნე-  
ბელი არ არის; იმიტომ რომ ეს ბურთაობა და კიდალი მუდამ

ძველთაგანვე ჩვეულებად ჰქონდა ქართველ ხალხს და ამ ჩვეულებას, თუ არა სარგებლობა, არავისათვის არავითარი ენება და ზარალი არ მოუტანია; არ გვგონია კიდევ იმიტომ, რომ თუ უმაღლეს ადმინისტრაციას აღეკრძალა, ყველას ეცოდინებოდა, მთელს პოლიციას შეტყობილი ექნებოდა, და აქ კი ერთი პრისტავი ნებას აძლევს და მეორე კი ლანძღვა-გინებითა და მათრახით ჰგანტავს ხალხს; არა გვგონია კიდევ იმიტომ, რომ ამ მოქმედებას პრისტავისას, რომელიც არაყისა და პივოსაკენ ირეკდა ხალხს, ისეთი ხასიათი ჰქონდა, თითქოს მთავრობას ის ურჩევნიაო, რომ ხალხი არაყითა და პივით დაითროს, დაითროს იმან და სხვანაირად კი არ იმხიარულოს, არ შეიქციოს თავიო. და ამას ჩვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოვიდგენთ. ამის გამო ჩვენ ვაცხადებთ კანონიერ საზოგადო სურვილს: უმაღლესმა პოლიციურ მთავრობამ გამოუტყხადოს წვრილ პოლიციის მოხელეებს, რომ არ აღუკრძალოს ხალხს ისეთი მშვიდობიანი და უვნებელი დროს გატარება, როგორც მაგალითად ჭიდაობა, ბურთაობა, ჭირითი, ზურნის დაკვრა, ყეენობა და სხვა ამგვარები და ამასგარდა ჩააგონოს ამ პოლიციის მოხელეებს, რომ უფრო ზრდილობიანად მოექცნენ ხალხს, ვინემ ახლა ექცევიან: ლანძღვა-გინება. მათრახი — თვითონ უწყესობაა და წესიერების დამცველ უფლებას ამგვარი საშუალების ხმარება არ შეუშენის“.

ჩვენს მიერ ზემომოყვანილი წერილი მოთავსებულია „დროებაში“ როგორც მოწინავე. ჩვენ არ ეფიქრობთ, რომ რედაქცია იმდენად გულუბრყვილო ყოფილიყო, რომ არ სცოდნოდა თუ ვისი მითითებით მოქმედებდნენ „წვრილი პოლიციის მოხელეები“, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო რედაქცია ვერ დასდებდა დანაშაულს „უმაღლეს პოლიციურ მთავრობას“.

სპორტის ხალხურ სახეობათა დევნის შემთხვევები განსაკუთრებით განშირდა XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ბევრგან აკრძალეს კიდევ საჯარო ჭიდაობა, ბურთაობა, ჭირითი და სხვ. არა ერთხელ გაურეკნიათ საბურთაოდ, საჭიდაოდ, ანდა ვასართობად შეკრებილი ხალხი, რადგან მეფის მთავრო-

ბას ეშინოდა რევოლუციისადმი სიმპატიით განწყობილი ხალხის შეკრებისა, ეშინოდა რევოლუციური მოძრაობისა.

სპორტის ხალხური სახეობების გარდა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ხალხური მოძრავე თამაშობანი. საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია ამგვარი თამაშობებით, რომელთაგან ბევრი დღემდე შემონახულია. ამ თამაშობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ორიგინალურია და მარტო საქართველოში გვხვდება.

გარდა თამაშობებისა, საქართველოში გავრცელებული იყო ცეკვები. აჭარასა და გურიაში, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, დღესაც შემონახულია ძველებური სამხედრო ხასიათის ცეკვა — ხორუმი. ცეკვები საყოველთაოდ იყო გავრცელებული და არც ერთი დღესასწაული, კვირა დღე და შეკრება არ ჩაივლიდა ისე, რომ ხალხს ცეკვა არ გაემართა, მიუხედავად ჰეფის პოლიციის მიერ მისი აკრძალვისა და დევნისა.

## § 2. ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში არსებობდა მხოლოდ 2 ვაჟთა და 2 ქალთა გიმნაზია, 1 რეალური სასწავლებელი, 2 ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელი, 1 კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, 3 პროგიმნაზია, 1 სამასწავლებლო სემინარია, 1 სამასწავლებლო ინსტიტუტი, 1 სასულიერო სემინარია; არსებობდა აგრეთვე დაწყებითი სკოლები.

1864 წელს რუსეთში გამოიცა საშუალო სასწავლებლების ახალი დებულება, რომლის საფუძველზე დაარსდა ორი ტიპის სასწავლებელი — კლასიკური და რეალური. ამავე წესდებით, ამ ტიპის სასწავლებლებში შემოღებულ იქნა ტანვარჯიშის გაკვეთილები კლასგარეშე მუშაობის სახით.

1871 წელს განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა საშუალო სკოლების დებულების დამატებანი და ცვლილებები, რომელთა მიხედვით ტანვარჯიშობის მასწავლებლები შტატგარეშე მომუშავეებად ითვლებოდნენ. როგორც ჩანს, მაშინდელ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა მოქალაქეობრივ,



უფლებებს მოკლებული ყოფილა და არასავალდებულო საგნად მიაჩნდათ.

ფიზიკური აღზრდა 1861 წელს თბილისის ვაჟთა გიმნაზიის პანსიონში უკვე შემოღებული ყოფილა, რადგან სსენებულ წელს ტანვარჯიშის მასწავლებლად საარქივო მასალებში მოხსენებულია პრაპორშჩიკი რუსეცკი.

1866 წლისათვის ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაშიც ფიზიკური აღზრდა უკვე შემოღებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ხსენებულ გიმნაზიის პანსიონთან სატანვარჯიშო ბაქანი მოუწყვიათ 1866 — 67 სასწავლო წელში. იგი აკმაყოფილებდა მხოლოდ პანსიონში მყოფ მოსწავლეებს (ას კაცს), ამიტომ 1869 წელს იგი გაუფართოებიათ და უკვე მომსახურებას უწევდა 200 კაცს<sup>1</sup>.

როგორც თბილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზიის საარქივო მასალებიდან ჩანს, ტანვარჯიშს ასწავლიდნენ ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები.

„მიმდინარე წელს, — ნათქვამია გიმნაზიის 1886 წლის ანგარიშში, — ტანვარჯიშს და მწყობრს ხელმძღვანელობს შტაბს-კაპიტანი რაკოვი, ამ ხელოვნების ინსტრუქტორი თბილისის კადეტთა კორპუსში, რომელიც ღებულობს 50 მანეთს თვეში და რომელიც მოვალეა იყოლიოს თანაშემწეებად უნტერ-ოფიცრები“.

გიმნაზიაში იყენებდნენ პასიურ ტანვარჯიშს (ასე უწოდებდნენ უიარაღო ვარჯიშებს — მ. გ.). იარაღებზე იშვიათად თუ ვარჯიშობდნენ და ისიც მხოლოდ პანსიონში მცხოვრებე მოსწავლენი.

1886 წელს ტანვარჯიშსა და მწყობრს, პანსიონში მყოფი მოსწავლეების გარდა, სწავლობდნენ აგრეთვე პირველი ოთხი კლასის მოსწავლეებიც. მეცადინეობა წარმოებდა მოსიარულეთათვის გაკვეთილების შემდეგ, პანსიონში მცხოვრებთათვის კი — დილით ადრე ან სადილის წინ. გარდა ამისა, პანსიონერებისათვის ეწყობოდა გასეირნება სასულე ორკესტრის თანხლებით.

<sup>1</sup> ზ. შერაზადიშვილი, ფიზიკური აღზრდა მე-19 საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოს სკოლებში, 1957 წ.

ამავე ანგარიშში აღწერილია შემთხვევა, როდესაც „გამნა-  
ზიელების მეცადინეობით დაინტერესებულმა კავკასიის მთა-  
ვარმართველმა მისმა ბრწყინვალეებმა თავადმა დონდუკოვმა  
კეთილინება და დაესწრო ერთ-ერთ ამგვარ ვარჯიშობას  
კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, კორპუსის მეთაურის  
თავად ჭავჭავაძის და თბილისის კომენდანტის გენერალ-მაიო-  
რის ერნსტის თანხლებით“... ასეთი ვიზიტი, რა თქმა უნდა, არ  
იყო შემთხვევითი. სწორედ 1886 წელს კავკასიაში შემოღებულ  
იქნა სამხედრო ბეგარა.

უფრო მოგვიანებით (80—90-იან წლებში) სამხედრო  
ტანვარჯიში და მწყობრი შემოღებული იყო თბილისის ვაჟთა  
მე-2 და მე-3 გიმნაზიებსა და ქუთაისის კლასიკურ გიმნა-  
ზიაში.

ფიზიკური აღზრდის დარგში ცარიზმის მიზანს შეადგენდა  
მოსწავლე ახალგაზრდობის მილიტარიზაცია და მისი სამხედრო  
სამსახურისათვის მომზადება.

1885 წლის ივლისში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნ-  
ველი სახალხო განათლების მინისტრს წერდა: „... ჩვენს იმპე-  
რიაში სავალდებულო სამხედრო ბეგარის არსებობის გამო და  
ასეთივე ბეგარის ამიერკავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში  
შემოღების მოლოდინში მეტად სასარგებლოდ მიმაჩნია  
განათლების სამინისტროს სასწავლებელთა მოწაფეებისათვის  
თოფის ილეების სწავლება. ეს, ჩემის აზრით, გაცილებით  
უფრო მეტ ნაყოფს მოუტანს მოსწავლეთ, ვიდრე ტანვარჯიში,  
რომელსაც სასწავლებლების დიდ უმრავლესობაში ასწავლიან  
სათანადო მომზადების არა მქონე პირნი“.

ახალგაზრდობის მილიტარიზაციის და ჯარში გაწვევამდე  
მისი ფიზიკური მომზადებისა და გაწვრთნის მიზნით განათლე-  
ბის სამინისტროსთან შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა  
სამოქალაქო უწყებათა სასწავლებლებისათვის ტანვარჯიშობის  
პროგრამისა და სათანადო ინსტრუქციის დამუშავება. ამ  
ინსტრუქციაში ხაზგასმულია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის  
სამხედრო ამოცანები. ინსტრუქციის პირველ პარაგრაფში  
ნათქვამია:

„... ტანვარჯიში აცნობს ბავშვებს სამხედრო დისციპლი-  
ნის პირველდაწყებით საფუძვლებს და უნერგავს მათ საკუთარი  
მოძრაობის ამხანაგთა მოძრაობებთან შეხმატებილების უნარს-  
ეს საგრძნობლად შეუმსუბუქებს მოსწავლეთ სამხედრო წყო-  
ბრის შესწავლას, როდესაც მათ სამხედრო სამსახურში გასვლა  
მოუწევთ. ამასთან ერთად იგი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა  
პატრიოტული გრძნობის გაღვივებას და მოაგონებს ჭაბუკებს,  
რომ მათაც თავის დროზე მოუხდებათ მეფის ტახტისა და  
მამულის დამცველთა რიგებში ჩადგომა“.

ანაღლებდა რა სამხედრო მინისტრის შეკვეთას, რომელსაც  
სურდა მიეღო ჯარში „არა სრულებით ნეღლი მასალა, არამედ  
ნახევრად მაინც მომზადებული ჯარისკაცები“, თბილისის  
ვაჟთა 1-ლმა გიმნაზიამ, გარდა ტანვარჯიშისა, სამხედრო  
მწესობრი და ფარეკაობაც შემოიღო.

1887, 1888, 1889 და 1890 წლების ოფიციალური ანგარი-  
შებიდან ჩანს, რომ ფარეკაობა გიმნაზიაში 1887 წელს შემო-  
უღიათ. პირველ ხანებში რაპირებით მეცადინეობდნენ, ხოლო  
1892 წლიდან შემოუღიათ ესპადრონით ფარეკაობა. გიმნა-  
ზიის ანგარიშებიდან ჩანს, რომ ფარეკაობას მოსწავლეთა  
შორის დიდი ინტერესი გამოუწვევია. ყოველწლიურად საან-  
გარიშო შეჯიბრებაში თორმეტიდან ოცამდე მოფარეკავე  
მონაწილეობდა.

როგორც 1874—1883 წლების საარქივო მასალებიდან  
ჩანს, თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში ფიზიკური აღზრდა  
ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ტანვარჯიშის მასწავლებლის  
ჯამაგირის სიმცირის გამო (250 მან. წლიურად) აქ ვერ მოე-  
წვიათ გამოცდილი მასწავლებელი, ასე რომ ხსენებული  
წლების განმავლობაში ტანვარჯიში ან სრულებით არ ისწავ-  
ლებოდა, ანდა გაკვეთილების ჩატარება მინდობილი ჰქონდათ  
ამ დარგში სრულებით მოუმზადებელ კლასის დამრიგებლის  
თანაშემწეთ. ტანვარჯიშს ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში დათმობილი  
ჰქონდა კვირაში ერთი გაკვეთილი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Памятная книжка Тифлисской II муж. гимназии за первые  
10-лет ее существования, გვ. 61.

1889 წელს ამავე გიმნაზიაში შემოუღიათ სამხედრო ტან-  
ვარჯიში და მასწავლებლად მოუწვევიათ სამხედრო პირა. მეცა-  
დინეობა ტარდებოდა დიდი დასვენების დროს, რომელიც  
ნაცვლად 25 წუთისა ერთი საათი გრძელდებოდა. ყოველ-  
დღიურად თითო ჯგუფი მეცადინეობდა 150 კაცის შემადგენ-  
ლობით, დანარჩენი მოწაფეები კი ამ დროს უსაქმოდ ატარებ-  
დნენ, რადგან ბინის სიფიწროვისა და მასწავლებელთა სიმცი-  
რის გამო შეუძლებელი ხდებოდა ყველა მოსწავლის ერთ-  
დროულად მეცადინეობა.

საშუალო სკოლების სასწავლო გეგმების გადატვირთვის  
გამო ზოგიერთ სხვა სასწავლებელშიც ტანვარჯიშში მეცადინე-  
ობა იწყებოდა დიდი დასვენების დროს, რაც უხერხულობას  
იწვევდა. მეცადინეობა უსისტემოდ ტარდებოდა და აზოიწუ-  
რებოდა მხოლოდ მწყობრითა და „თავისუფალი მოძრაობით“  
და კიდევ უფრო დაღლილი და დაქანცული მოწაფეები კვლავ  
მერხებს უსწდებოდნენ და საკლასო მეცადინეობას განაგრ-  
ძობდნენ.

ფიზიკური აღზრდის საქმე არც თბილისის რეალურ სასწავ-  
ლებელში ყოფილა უკეთ დაყენებული. აქ 1889 წელს ჯერ კი-  
დეც ტარდებოდა სამხედრო ტანვარჯიში, რომელსაც ერთი  
მასწავლებელი და ორი უნტერ-ოფიცერი ასწავლიდა კვარაში  
ორჯერ. მოსწავლენი ასეულებად, ოცეულებად და ათეულებად  
იყვნენ განაწილებული. გარდა ამისა, იწყებოდა „სამხედრო  
გასეირნებები“, რაც სასწავლებელს გამოყენებული ჰქონდა  
როგორც მოსწავლეთა მილიტარიზაციისა და მათი ფიზიკური  
გაჯანსაღების საშუალება. ასე, მაგალითად, 1889—90 სასწავლო  
წლის განმავლობაში თბილისის რეალურ სასწავლებელს ოთხი  
სამხედრო გასეირნება მოუწყვია. ერთ-ერთი ამგვარი გასეირ-  
ნების დროს გამოცხადებულა ქალაქის კომენდანტი გენერალი  
ერნსტი და მიუმართავს მოსწავლეებისათვის სიტყვით, რომ-  
მელშიც აღუნიშნავს სამხედრო მწყობრის, ტანვარჯიშისა და  
სხვა ამგვარი ღონისძიების დიდი მნიშვნელობა „ქეფის  
ტანტის ახალ დამკველთა“ მომზადების საქმეში. ამგვარი  
„სამხედრო გასეირნებები“ ქალაქგარეთ სასულე ორკესტრის  
თანხლებით სხვა სასწავლებლებშიც იმართებოდა. ამ გასეირ-

ნებეზსა და გამოუცდელი მასწავლებლების ხელმძღვანელობით წარმოებულ სამხედრო ტანვარჯიშს მეტად მცირე სარგებლობა მოჰქონდა.

სასწავლებლებში განმტკიცებული რეჟიმი, მოსწავლეთა ანუ უმაღლესი დროის გადატვირთვა, უხეიროდ დაყენებული ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუარესებას.

მეფის მოხელეები მოწაფეთა რელიგიურ აღზრდაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მათ ფიზიკურ განვითარებაზე. კავკასიის სასწავლო ოლქის 1881 წლის ანგარიშში ნათქვამია: „...ქრისტიანული სარწმუნოებათა ყველა მოსწავლემ თან უნდა იქონიოს წმიდა სახარება და დროგამოშვებით კითხულობდეს მას“<sup>1</sup>.

ფიზიკური აღზრდის უკეთესად დაყენების მიზნით თბილისის 1-ლი გიმნაზიის დირექციამ 1889 წელს ტანვარჯიშის მასწავლებლად მოიწვია პრადის სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“ („შევარდენის“) ერთ-ერთი წევრთაგანი, რომელმაც შემოიღო გიმნაზიაში მეცადინეობა „სოკოლის“ სისტემით. 1-ლი გიმნაზიის მაგალითს მიბაძა თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიამ, ხოლო შემდეგში საქართველოს ზოგიერთმა სხვა საშუალო სასწავლებელმაც.

გარდა სავალდებულო საათებისა, ტანვარჯიშში მოსწავლეთათვის იქმნებოდა განსაკუთრებული ჯგუფები. რომლებსაც სპეციალურად წვრთნიდნენ.

მთელი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შეჯამებისა და მიღწევათა დემონსტრაციის მიზნით თბილისის ვაჟთა 1-ლი და მე-2 გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ ზოგიერთ სხვა სასწავლებელში, იმართებოდა ყოველწლიური საჯარო ტანვარჯიშული გამოსვლები.

საქართველოს სკოლებში ფიზიკური გაჯანსაღების საშუალებებად გამოყენებული იყო ტანვარჯიში, მწყობრი და სამხედრო ვარჯიშობანი, ფარიკაობა, მოძრავი თამაშობანი და ექსკურსიები. გარდა ამისა, თბილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზიაში,

1. Отчет попечителя Кавказского учебного округа за 1881 г. Замечание.

სკოლის გარეშე მუშაობის ხაზით, თამაშობდნენ ფეხბურთს, ჩოგბურთს, კრიკეტს და კროკეტს, თუმცა ხელმძღვანელები თვითონვე აღიარებენ, რომ „ეს თამაშობები ფეხს ვერ იკიდებდნენ, ხოლო ფეხბურთი, გარდა ამისა, საბჭოს მიერ ცნობილია მავნე თამაშად. გაცილებით უფრო ეტანებიან ბავშვები რუსულ და ადგილობრივ თამაშობებს“.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ფეხბურთს მოსწავლეები არაოფიციალურად თამაშობდნენ, რადგან პედაგოგიური საბჭო მას „მავნე თამაშად“ ცნობდა. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ძველი სკოლის უარყოფითი განწყობილება ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობებისა და მოძრავი თამაშობებისადმი. ბავშვების მისწრაფებასა და სიყვარულს ხალხურ მოძრავ თამაშობებისადმი პედაგოგიური საბჭო სრული ვულგარილობით პასუხობდა. ასეთი იყო მეფის სკოლის პოლიტიკა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მოსწავლეთა ჩამოცილებას ყოველი იმ მოვლენისაგან, რომელიც ოდნავ მაინც დაკავშირებული იყო მშრომელთა მასებთან, ხალხის შემოქმედებასთან.

უფრო ცუდად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდა სახალხო სკოლებში. საქართველოში 60-იან წლებამდე თითქმის არ მოიპოვება სახალხო სახალხო სკოლები. 1848 წლის დებულების მიხედვით საქართველოში გაიხსნა სულ სამი სკოლა, რომლებშიც შეძლებულ გლეხთა შვილები სწავლობდნენ. მხოლოდ 1864 წლის რეფორმის შემდეგ გლეხობა თვითონ შეუდგა საზოგადოებრივი სკოლების გახსნას, რომლებიც მათივე ხარჯით ინახებოდა.

მეფის არმიისათვის ახალწვეულთა ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებლად სახალხო სკოლა ითვლებოდა, ამიტომ მეფის მთავრობა მოწადინებული იყო: რათა ამ სკოლებში მილიტარიზაცია ჩაეტარებინა.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ 1889 წლის ცირკულიარით გაითვალისწინა ტანვარჯიშის შემოღება დაწყებით და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში კვირაში სამი საათის რაოდენობით, ფაქტიურად საქართველოს

დაბალ სკოლებში XIX საუკუნის მანძილზე ფიზიკური აღზრდა იშვიათად თუ სადმე ხორციელდებოდა.

ტანვარჯიშის გაკვეთილების ჩატარებისათვის საჭირო ელემენტარული პირობების უქონლობა (მეცადინეობის ადგილი, ინვენტარი), ტანვარჯიშის მასწავლებელთა კადრების სიმცირე, სახსრების უქონლობა (როგორც მასწავლებელთა მოსაწვევად, ისე სხვა ღონისძიებათა ჩასატარებლად) საშუალებას არ აღძვედა სკოლების ადმინისტრაციას განეხორციელებინა განათლების სამინისტროს წინადადებანი ფიზიკური აღზრდის შემოღების შესახებ.

ითვალისწინებდა რა დაწყებითი სახალხო სკოლების მილიტარიზაციის აუცილებლობას, განათლების სამინისტრო 1906 წელს უგზავნის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს შემდეგი შინაარსის ცირკულიარს: „სამხედრო მინისტრმა აცნობა განათლების მინისტრს, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ ინება ყურადღება მიექცია რათა შემოღებულ იქნეს სოფლის სკოლებში ბავშვთათვის მწყობრისა და ტანვარჯიშის სწავლება სათადარიგო და სამსახურიდან გადამდგარ უნტერ-ოფიცრების მიერ მცირე ხელფასით. ამასთან ერთად მეფე-იმპერატორმა კეთილ ინება ებრძანებინა სამხედრო მინისტრისათვის, რათა იგი მოლაპარაკებოდა სახალხო განათლების მინისტრს მისი უდიდებულესობის მიერ მითითებული ღონისძიების შესახებ ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარების და მისი სამხედრო სამსახურისათვის მომზადების გაუმჯობესების მიზნით“<sup>1</sup>.

მაგრამ ამდაგვარ ცირკულარებს ნაყოფი არ გამოუღია და საქართველოს სახალხო სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმე მოუწესრიგებელი რჩებოდა.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის მოხსენებიდან ჩანს, რომ სკოლებში ტანვარჯიშის გაკვეთილებს ატარებდნენ არა სპეციალისტები, არამედ ზოგადგანმანათლებელი საგნების მასწავლებლები. „ქარგად მომზადებულ“ მასწავლებლად ითვლებოდნენ თვენახევრიანი სატანვარჯიშო კურსდამთავრებულნი. ტანვარჯიშის გაკვეთილებს ატარებ-

<sup>1</sup> ЦГИА Грyа. ССР. ф. 422. д. 3677, л.: 5.

დნენ სხვა საგნის მასწავლებლები, რომელთაც ამ მუშაობის ჩატარებაში სპეციალური ხელფასი არ ეძლეოდათ.

თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი კაკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ატყობინებდა. რომ გარდა იშვიათი გამონაკლისისა, სახსრების უქონლობის გამო, შეუძლებელია სოფლის სკოლებში უნტერ-ოფიცერთა მოწვევა და ამიტომაც ტანვარჯიშს სკოლებში სხვა საგნების მასწავლებლები ასწავლიანო.

თბილისის გუბერნიის მესამე უბნის სახალხო სკოლების ინსპექტორი წერდა, რომ სოფლის სკოლებში ფიზიკური აღზრდის შემოღება „ვერ შევსძელით ნაწილობრივ კლიმატური პირობების გამო, უმთავრესად კი იმიტომ, რომ ვერ მოვნახეთ ტანვარჯიშის მასწავლებლები, ხოლო რაც შეეხება სოფლის მასწავლებლებს ტანვარჯიშის სწავლებისათვის, ისინი მოუშაგებლები აღმოჩნდნენ. შემდეგში გამოვნახეთ რამდენიმე მასწავლებელი, რომლებიც ცოტაოდნავ ერკვეოდნენ მწყობრსა და შვედურ ტანვარჯიშში... ამჟამად ტანვარჯიში ისწავლება სოფლის მასწავლებელთა მიერ ალასტანის, ბარალეთის, ედიშის სასწავლებლებში, ხოლო გორელოვკის სასწავლებელში ტანვარჯიშს ასწავლის სათადარიგო ჯარისკაცი... სოფლის მასწავლებლებს არ გაუვლიათ სამხედრო სამსახური და არ შეუძლიათ სათანადო ენერჯით და სიზუსტით ჩაატარონ ტანვარჯიშის სწავლება. კარგი და გამოცდილი უნტერ-ოფიცრები, ჩემის აზრით, გაცილებით უფრო კარგად დააყენებენ ამ საქმეს, მაგრამ ასეთების გამონახვა ტანვარჯიშის მასწავლებლად ძნელია“<sup>1</sup>.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა როლში სამხედრო პირთა გამოყენების უპირატესობის შესახებ თავის აზრს გამოთქვამდნენ ცარიზმის სკოლის სხვა მუშაკებიც. როგორც ჩანს, წერა-კითხვის უცოდინარი და გაუნათლებელი უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები ახალგაზრდობის „აღმზრდელთა“ როლში იმდენად სასურველი და სანატრელი ყოფილან, რომ მათ შესახებ ოცნებობდნენ და ამიტომაც თბილისის გუბერნიის მესამე უბნის სახალხო სკოლების ინსპექტორი სიამაყით

<sup>1</sup> ЦГИА Груз. ССР. ф. 422, д. 9829, л. 42—43.



აღნიშნავს. რომ ჩემი უბნის ერთ-ერთ სკოლაში ტანვარჯიშის მასწავლებლად სათადარიგო ჯარისკაცია მოწვეულიო.

არც უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში (სამოქალაქო სასწავლებლები) ყოფილა დაყენებული ფიზიკური აღზრდა სათანადო სიმაღლეზე.

X X საუკუნის დასაწყისში ტანვარჯიში და მწყობრი ისწავლებოდა თბილისის 1-ლ და მე-3, თბილისის რკინიგზის, ქუთაისის 1-ლ და მე-2. გორის; თელავის, ახალციხის, ახალქალაქის და სხვ. სამოქალაქო სასწავლებლებში.

1905 წელმა დიდი როლი ითამაშა მოსწავლე-ახალგაზრდობის გარეკოლუციურების საქმეში. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა რევოლუციური წრეები. ეწყობოდა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა გაფიცვები და დემონსტრაციები. მოსწავლე-ახალგაზრდობა მუშებსა და გლეხობასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთელი რეაქციული ძალები დაირაზმნენ ყოველგვარი რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად. ცარიზმმა გააძლიერა პოლიციური რეჟიმი სასწავლებლებში.

ფიზიკური აღზრდა მეფის მთავრობას ამიერიდან მიაჩნდა არა მარტო მილიტარიზაციის, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოცილების ერთ-ერთ საშუალებადაც.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს სასწავლებლებში გავრცელებულ „სოკოლის“ სისტემას, მეფის მოხელეთა აზრით, ხელი უნდა შეეწყოს ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის.

რამდენადაც ეს მოვლენა საერთო იყო მთელი რუსეთისათვის, ინტერესს მოკლებული არ იქნება ვიცოდეთ, თუ რა როლს ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას სკოლაში ქალაქ იალტის გიმნაზიის დირექტორი გოტლიბი, რომელიც განათლების დარგში მოღვაწეთა რეაქციული ნაწილის წარმომადგენელი იყო. იგი ამბობდა: „სოკოლის“ წრე იალტის გიმნაზიასთან 1905 წელს დაარსდა. ამ თავისებური ორგანიზაციის სათავეში

სამი წლის მანძილზე ყოფნისას მე ვლოცავდი ჩემს ბედს იმ ბედნიერ აზრისათვის, რომელმაც გეიკარნახა უფროს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ასეთი საშუალება... აღსანიშნავია, რომ 1905—1906 მძიმე წლებში გიმნაზიამ თავი შეინარჩუნა ვახრწინილებისაგან და სამხრეთ რუსეთის საშუალო სასწავლებელთა შორის, იგი ამ მხრივ ბედნიერ გამოწაკლისს წარმოადგენდა“<sup>1</sup>.

კავკასიის სასწავლო ოლქის მოღვაწეობა მიმართული იყო კავკასიისა და კერძოდ საქართველოს სასწავლებლებში „სკოლის“ სისტემის განვითარებისაკენ და 1905 წლის რევოლუციის შემდეგ „სკოლის“ სისტემა. გარდა თბილისის სასწავლებლებისა, თანდათან შემოღებულ იქნა საქართველოს სხვა ქალაქების სასწავლებლებშიც (ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ხონი და სხვა).

მაგრამ ცარიზმი ფიზიკური აღზრდის მილიტარისტულ მიზნებსაც არ ივიწყებდა. კავკასიის სასწავლო ოლქის აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩა სამხედრო სამინისტროს მიერ და 1910 წელს სამხედრო მინისტრი სუბომლინოვი განათლების მინისტრს წერდა: „სამხედრო უწყება ჰემმარიტი კმაყოფილებით მიეგებება კავკასიის სასწავლო ოლქის წამოწყებას, რადგან მის მიერ დასმული მიზანი—ფიზიკური განვითარება საშუალო და დაბალ სკოლის მოსწავლეებისა, რომელთა უმრავლესობა შემდეგში არმიის რიგებში შევა—სავსებით ემთხვევა სამხედრო სამინისტროს ინტერესებს, რომელიც, ამის წყალობით, ახალგაზრდათა სახით მიიღებს არა სავსებით ნედლ მასალას, არამედ ნახევრადმომზადებულ ჯარისკაცებს“.

კავკასიის სასწავლო ოლქი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ექსკურსიების მოწყობას. გარდა ჩვეულებრივი ექსკურსიებისა, რომლებიც ხშირად იმართებოდა ცალკეული სასწავლებლების მიერ, 1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქმა ქ. ქუთაისში მოაწყო თბილისის საშუალო სასწავლებლების სასწავლო-საჩვენებელი ექსკურსია. ექსკურსიაში მონაწილეობდა თბილისის ოთხი გიმნაზია, პროგიმნაზია და რეალუ-

<sup>1</sup> Г о т л и б. Физическое воспитание в средней школе по сокольской системе, 1905 г.

რი სასწავლებელი; სულ 350 მოსწავლე. ხსენებული ექსკურსიის დროს ქუთაისის რეალური სასწავლებლის ეზოში მოეწყო თბილისის ვაჟთა 1-ლი და მე-2 გიმნაზიის მოსწავლეთა ტანვარჯიშული გამოსვლა. ეს ქუთაისისათვის ჯერ უნახავი ამბავი იყო და გამოსვლამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ამავე დღეს თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებმა გამართეს საჩვენებელი შეჯიბრება ფარიკაობაში. თბილისის სასწავლებელთა მოწაფეების მიერ ჩატარებულ იქნა აგრეთვე საჩვენებელი თამაშობა ფეხბურთში. ტანვარჯიშულ დღესასწაულში მონაწილეობდნენ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეებიც, რომლებმაც დამსწრეთ უჩვენეს ეროვნული ხასიათის ტანვარჯიშული ცეკვები, გურული ხალხური ცეკვა „ხორუმი“, გუნდობები და მოძრავი თამაშობანი.

აღნიშნულმა ექსკურსიამ თავისი ტანვარჯიშული და სპორტული გამოსვლებით დიდი როლი ითამაშა ქუთაისის სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის განვითარების საქმეში.

იმავე წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის მიერ შეძენილ იქნა სატანვარჯიშო იარაღები და ტანვარჯიშში მეცადინეობა წარიმართა „სოკოლის“ სისტემით. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ადმინისტრაციამ 1911 წელს ჩეხეთიდან მოიწვია ტანვარჯიშის მასწავლებელი ბოგუსლავ ბალევიკი.

1910—1915 წლებში ფიზიკური აღზრდის საქმის კარგი დაყენებით გამოირჩეოდნენ თბილისის 1-ლი და მე-2 გიმნაზიები. კარგად იყო დაყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა აგრეთვე თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც ტანვარჯიშის მასწავლებლად მოღვაწეობდა ამჟამად სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, საბჭოთა კავშირის უზუცესი ტანმწვარჯიშე გ. ს. ეგნატაშვილი. შედარებით კარგად იყო მოწესრიგებული ფიზიკური აღზრდის საქმე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში.

მრავალ ნაკლთან ერთად საქართველოს სასწავლებელთა ცხოვრებაში დადებით მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი სასწავლებლის ცხოვრებაში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ტანვარჯიშის მასწავლებელთა

ვანსაზღვრული ნაწილი თავისი ინიციატივით იყენებდა სკოლებში ხალხურ თამაშობებსა და ვარჯიშობებს. ასე, მაგალითად, თბილისის ქართულ გიმნაზიაში მეცადინეობის პროცესში ფართოდ იყო გამოყენებული ქართული მოძრავი თამაშობანი. გიმნაზიისათვის უცხო არ იყო ქართული ჭიდაობაც, რომლის კარგ მცოდნედ ითვლებოდა ტანვარჯიშის მასწავლებელი გ. ეგნატაშვილი.

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში 1909—1910 წლებში ფართოდ იყო გამოყენებული ტანვარჯიშული ხასიათის ქართული ხალხური ცეკვები (ხორუმი, ფერხული და სხვა). გარდა ამისა, რეალურ სასწავლებელში ტანვარჯიშობის მასწავლებელ ი. გაბაშვილის მეთვალყურეობით სისტემატურად — ევირაში 2—3-ჯერ — დიდი დასვენების დროს ორგანიზებულად იმართებოდა ლელო-ბურთის თამაში.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობის განსაზღვრული ნაწილის სპორტისადრინი მისწრაფება. მოწაფეთა ცალკე ჯგუფების აქტიობითა და ინიციატივით ფეხი მოიკიდა სპორტის ცალკეულმა სახეობებმა საქართველოს საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა შორის.

სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის არაღამაქმეაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მასწავლებელთა კადრების სიმცირე იყო. ცუდად იყო ორგანიზებული ტანვარჯიშის მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეც. მთელ საქართველოში 13—15 სასწავლებელში თუ იყვნენ მომზადებული მასწავლებლები. სასწავლებელთა მცირე რიცხვს ჰყავდა მოკლევადიანი კურსდამთავრებული მასწავლებლები, ხოლო სკოლების უმრავლესობას სრულებით არ ჰყავდა ფიზიკური აღზრდის დარგში მომუშავენი.

ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებლად კავკასიის სასწავლო ოლქმა, დაწყებული 1909 წლიდან, ზედიზედ, რამდენიმე კურსები მოაწყო. ასე, მაგალითად, 1909 წელს მოეწყო ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები ეკატერინოპოლში, სტავროპოლსა და ნოვოროსიისკში. 1910 წელს ასეთივე კურსები მოეწყო ქუთაისში, 1911 წელს — თბილისში, ხოლო 1912 წელს — თბილისსა და ვლადიკავკაეში. მაგრამ

ასეთი სახის თვე, თვენახევრიანი კურსები ვერ ამზადებდა ფიზიკური აღზრდის კვალიფიციურ მასწავლებლებს.

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ საქართველოს მხოლოდ რამდენიმე სკოლაში იყო შემოღებული ფიზიკური აღზრდა. სასწავლებლებს არ გააჩნდა სათანადო ბაზები მეცადინეობისათვის. გარდა თბილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზიისა, მთელ საქართველოში 8—9 სასწავლებელს თუ ჰქონდა სატანვარჯიშო დარბაზი.

სასწავლებლებში ცუდად იყო დაყენებული საეჟიმო კონტროლი. სასკოლო ეჟიმები, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ძალზე სუსტად ერკვეოდნენ ფიზიკური აღზრდის საკითხებში და გერ უწევდნენ დახმარებას ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს. მტკიცე პროგრამების უქონლობა, მეცადინეობისათვის საჭირო ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობა, ტანვარჯიშის მასწავლებელთა სიმცირე, მუშაობისათვის საჭირო სახსრების არასაკმარისობა ხელს უშლიდა საქართველოს საშუალო და დაბალ სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმის მოწესრიგებას.

უფრო ცუდად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდა საქართველოს ქალთა სასწავლებლებში.

თბილისის ქალთა 1-ლ გიმნაზიაში უარი განაცხადეს თამაშობების ჩატარებაზე, რადგან „გიმნაზიაში არ მოიპოვება სპეციალური, საამისოდ მოწყობილი ბინა“.

თბილისის ქალთა მე-3 გიმნაზიაში მოსწავლეები ტანვარჯიშს იმ საათებში გადიოდნენ, როდესაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი გერმანული ან ადგილობრივი ენების გაკვეთილებზე იყვნენ დაკავებული.

ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში 1907—1908 სასწავლო წლიდან ტანვარჯიშს გადიოდნენ მხოლოდ მოსამზადებელ და პირველ სამ კლასში.

გორის ქალთა გიმნაზიის საბჭოს თავმჯდომარემ 1908 წლის მარტში საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „ჩვენი გიმნაზია სრულ უდარდელობას იჩენს ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვის საქმეში“.

თბილისის ქალთა მე-4 გიმნაზიაში 1910—11 სამოსწავლო წელს ტანვარჯიში არ ისწავლებოდა, რადგან გიმნაზიას არც ბინა ჰქონდა და არც მასწავლებელი ჰყავდა.

ბათუმის ქალთა გიმნაზიის 1911 წლის პატაქში აღნიშნულია, რომ გიმნაზიაში ისწავლება შვედური ტანვარჯიში. იმავე პატაქიდან ჩანს, რომ მხოლოდ მე-8 კლასის მოსწავლეები გადიოდნენ ტანვარჯიშსა და მოძრავ თამაშობებს. ამ მიზნით ისინი, საკუთარი ბინის უქონლობის გამო, დაიარებოდნენ ვაკეთა გიმნაზიაში.

თბილისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში 1913--14 სასწავლო წელს ისწავლებოდა პედაგოგიური ტანვარჯიში და თამაშობები. მასწავლებლად მოწვეული იყო შინაური განათლების მქონე ქალი, რომელსაც ცეკვის კურსები ჰქონდა დამთავრებული.

საქართველოს სკოლებში ფიზიკური აღზრდის ცუდად დაყენების შესახებ არა ერთ ქართველ მწერალს, პედაგოგსა და პუბლიცისტს გამოუთქვამს თავისი აზრი. ამ საკითხს ეხებოდნენ დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.

იმდროინდელ პრესაში („დროება“, „ივერია“, „განათლება“ და სხვა) მრავალი წერილი და მოწინავე სტატია დაიბეჭდა ფიზიკური აღზრდის საკითხზე, მაგრამ საქართველოს მოწინავე ადამიანების პროტესტები და წინადადებები რჩებოდა „ზმად მლალადებელთა უღაბნოსა შინა“.

პირველი მსოფლიო ომის წინ მეფის მთავრობამ კიდევ ერთხელ სცადა ფიზიკური აღზრდის რეფორმის ჩატარება. ამ მიზნით დაარსებულ იქნა სპეციალური კომისიები სროლის საქმისა და ფიზიკური აღზრდის დარგში ღონისძიებათა დამუშავების მიზნით. ამ ღონისძიებებს უნდა უზრუნველყო მოსწავლე ახალგაზრდობის სასროლო და ფიზიკური მომზადება. ახალი პროექტის განხორციელება მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა 1915—1916 სასწავლო წლიდან, მაგრამ დაწყებულ ომთან დაკავშირებით მთავრობა იძულებული გახდა უფრო „ეფექტური“ ღონისძიებისათვის მიემართა.

როგორც ცნობილია, უკვე ომის ქარცეცხლში მეფის მთავრობა შეეცადა „სპორტის მობილიზაციის“ გატარებას. „სპორტის მობილიზაციის“ ამოცანათა შესახებ დებულებაში ნათქვამია: „სპორტის მობილიზაცია წარმოადგენს მწვევამდელ ახალ-

გაზრდობის მომზადებას ჩვენი არმიის რიგებში ნაყოფიერი სამხედრო სამსახურისათვის. ამ დიდად პატრიოტული ამოცანის შესრულება უნდა იყოს ჩვენი მამულის ყველა სპორტულმა და ტანვარჯიშულმა საზოგადოებამ და სკოლამ“.

„სპორტის მობილიზაციის“ დებულების საფუძველზე განათლების სამინისტრომ გამოსცა ცირკულარი, რომლის მიხედვით საშუალო სასწავლებლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეებს, ნაცვლად ჩვეულებრივი მეცადინეობისა, მაისის თვეში უნდა გაეცლოთ „მწვევამდელი მომზადება“. მაგრამ მეფის მთავრობის ყველა ცდამ, რომელიც მიმართული იყო ახალგაზრდობის მილიტარიზაციისა და მათ უშუალოდ საომარი მოქმედებისათვის მომზადებისაკენ, ამაოდ ჩაიარა.

ამგვარად; საქართველოს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა განხილულ პერიოდში არადაამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. გარდა მცირე გამონაკლისისა, საქართველოს სასწავლებლების დიდი უმრავლესობა ფიზიკური აღზრდის გარეშე რჩებოდა. არ არსებობდა კადრების მომზადების მთლიანი სისტემა, არც ფიზიკური აღზრდის მთლიანი პროგრამა, ხოლო ბაზების უქონლობა და საექიმო კონტროლის მოუწესრიგებლობა კიდევ უფრო აუარესებდა ფიზიკური აღზრდის არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობას საქართველოს სკოლებში.

### **§ 3. სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობის განვითარება XIX საუკუნის დამლევიდან საქართველოში საბოლოო ხელისუფლების დამყარებამდე**

კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში თანდათანობით გავრცელდა სპორტის კლასიკური სახეობები და ტანვარჯიში.

მძლეოსნობის, ძალოსნობის, ფარიკაობის, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობების განვითარებისათვის საქართველოში ნიადაგი საკმაოდ მომზადებული იყო. ასე, მაგალითად, თანამედროვე მძლეოსნობის სახეობები — სიარული, რბენა, ხტომა, ტყორცნა და სხვ. — ძველი დროიდანვე გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში.

მძლეოსნობაში შემავალი ფიზიკური ვარჯიშობანი ცალკე ჯგუფებად აქვს ჩამოყალიბებული არჩილს თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“.

ზნეობათა შორის არჩილი „მღერასაც“ ასახელებს, რომელიც სხვა თამაშობებთან და ვარჯიშობებთან ერთად ქვისა და ხელშუბის ტყორცნას შეიცავდა. გარდა ამისა, არჩილს მოხსენებული აქვს „ფუნდრუკი“, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ილია ფალიანის მიერ შეკრებილ სკანურ თამაშობათა შორის აღწერილია ჭოკით სიგრძეზე ხტომა, ნაბადზე გადახტომა, ბრტყელი ქვის ტყორცნა (ბადროს მსგავსად), ქვის კერა (ბირთვის მსგავსად), შუბის ტყორცნა და სხვ. მძლეოსნობის მრავალი ხალხური სახეობა გავრცელებული იყო ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ასევე საქართველოში გავრცელებული იყო თანამედროვე ძალოსნობის ხალხური სახეობები — სიმძიმეების აწევა, ქართული კიდაობა და კრივი. ბოლო ხანამდე მოაღწია ფარიკაობამ. დიდი გავრცელება ჰქონდა ჩვენში ბურთაობასაც. მისი ნაირსახეობა, რომელიც ფეხბურთს მოჰგავდა, გავრცელებული იყო გურიაში „ფეხგაკერიეს“ სახელწოდებით.

სპორტის კლასიკურ სახეობათა შორის საქართველოში ყველაზე ადრე ფარიკაობა ჩაისახა (1887 წელს). თავდაპირველად მისი გავრცელების ცენტრს თბილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზია წარმოადგენდა. 1894 წელს თბილისში დაარსდა ფარიკაობის მოყვარულთა წრე, სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრის პ. ე. სალტიკოვის ხელმძღვანელობით. იმავე პ. ე. სალტიკოვის მიერ 1900 წელს თბილისში გაიხსნა საფარიკაო დარბაზი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „კავკაზის“ 1900 წლის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია შემდეგი შინაარსის განცხადება: „მთავრობის ნებართვით პ. ე. სალტიკოვი 1900 წლის 1-ლი თებერვლიდან ხსნის რაპირით და ესპადრონით ფარიკაობის კურსებს ორთავე სქესის პირებისათვის და აგრეთვე ბევრშეთათვის (8 წლის ასაკიდან). მეცადინეობა იწარმოებს რვა-რვა კაცისაგან შემდგარ ჯგუფებთან, საერთო დარბაზში. პირთა რიცხვი ჯგუფებში შეიძლება ნაკლებიც იყოს. გარდა ამისა,



სახლში მიწვევითაც აძლევს გაკვეთილებს. დაწვრილებით-  
ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მისამართით: მიხელის  
პროსპექტი № 100, შესავალი ეზოდან, შუაღლის 12 საათიდან  
სალამოს 7 საათამდე“.

1912 წელს ფრანგმა მატემ თბილისში ვერის დაღმართზე  
(ელბაქიძის დაღმართი) გახსნა ფარიკაობის დარბაზი. მაგრამ  
მას დიდხანს არ უარსებნია.

1918 წელს ლ. ვ. გოლოვნიამ (ამჟამად სპორტის დამსახუ-  
რებული ოსტატი) დააარსა ფარიკაობის მოყვარულთა წრე,  
რომელიც მალე თბილისის ძალოსნურ საზოგადოებას შეუერთ-  
და.

1888 წელს თბილისში ველო-სპორტის მოყვარულთა საზო-  
გადოება დაარსდა. ამასთან დაკავშირებით 1892 წელს გაიხსნა  
საქართველოში პირველი, საკმაოდ პრიმიტიული ველო-ტრეკი,  
რომელიც აგებული იყო იმ ადგილზე, სადაც დღეს მარჯანიშ-  
ვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობა დგას. ხსენე-  
ბული ტრეკი კერძო პიროვნებას ეკუთვნოდა და, რა თქმა უნ-  
და, პირველ რიგში კომერციულ მიზნებს ისახავდა.

როგორც ჩანს, ველო-სპორტის მოყვარულთა საზოგადოე-  
ბას არცთუ ისე კარგად ჰქონია მოწესრიგებული თავისი მუშა-  
ობა. გაზეთ „კავკაზის“ 1900 წლის № 91-ში ამ საზოგადოე-  
ბის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

„...საზოგადოებას გააჩნია საშუალო ვარჯისობის სარბენი  
გზა და ადგილი მაყურებლებისათვის, მაგრამ არ ჰყავს მორ-  
ბენლები და მათი მაყურებლები. იმისათვის, რომ საზოგადო-  
ება გამოვიდეს ამ სამწუხარო მდგომარეობიდან და გადაურ-  
ჩეს დახურვას, ველოსიპედისტთა საზოგადოების თავმჯდომე-  
არემ წინადადება შემოიტანა, რათა ჩატარებული იქნეს შემდეგი  
ლონისძიებანი:

1) სადმე ქალაქის მახლობლად დაქირავებული იქნეს დიდი  
პარკი ველოსიპედის სატარებელ გზებით; 2) არსებულ პროგ-  
რამაში შეტანილი უნდა იქნეს რაც შეიძლება უფრო მეტი ნა-  
ირფეროვნება — კეგლის, კროკეტის, ტენისის, ბურთაობის  
შემოღებით; 3) უნდა მოეწყოს სატანვარჯიშო ბაქანი, საფარი-  
კაო დარბაზი და ტირი“...

საზოგადოებას დიდი გეგმა დაუსახაჯს და მოუსურკებია ველო-წრის ნამდვილ სპორტულ კლუბად გადაკეთება, სადაც სპორტის ყველა სახეობა იქნებოდა თავმოყრილი (ველო-სპორტი, ჩოგბურთი, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში და სხვა). მაგრამ მისი განხორციელება მისთვის შეუძლებელი გამსდარა.

ამ პერიოდის განთქმული ველოსიპედისტები იყვნენ ცნობილი მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო კავსაძე და ნიკოლოზ გაბრიელოვი, რომელნიც არა ერთხელ გამოსულან ველო-შეჯიბრებაში რუსეთის ქალაქებში და ჰოუპოვებით გამარჯვება.

ცურვის მოყვარულთა პირველი წრეები საქართველოში (ბათუმსა და ფოთში) XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა. მაგრამ ამ წრეების მოღვაწეობას თითქმის არაერთი კვალი არ დაუტოვებია. ცოტად თუ ბევრად ღირშესანიშნავი იყო წყალზე მაშველი საზოგადოების ხელმძღვანელის გოცარძის მიერ ბათუმში დაარსებული მოცურავეთა წრე. ეს წრე იმითაა საინტერესო, რომ აქ პირველად იქნა შემოღებული ყაღდის ცურვის სწავლება.

XIX საუკუნის 90-ანი წლების დამდეგს ბათუმში ღირსშესანიშნავ მიღწევას ჰქონდა ადგილი, ბათუმის მაშველი სადგურის ცნობილმა მოცურავემ მამედ ბედიამ უჩვეულო და წარმოუდგენელ პირობებში ბათუმიდან ფოთამდე გასცურა და ამგვარად წყლიდან ამოუსვლელად 53 კილომეტრი მანძილი განვლო.

ეს ფაქტი სრულებით შეუმჩნეველი დარჩა პრესისათვის და მალე დავიწყებას მიეცა. მაგრამ, როდესაც ფრანგმა მიშელმა ლა-მანშის სრუტე (32 კმ-მდე) გადასცურა, თითქმის, მთელი მსოფლიოს ყურნალებმა და გაზიებმა მოათავსეს წერილები და ამ მოცურავის სურათები; ფრანგები ამაყობდნენ ამით. რუსეთის ბურჟუაზიული პრესაც გამოეხმაურა ამ ამბავს, ხოლო მიღწევა, რომელიც მამედ ბედიამ უჩვენა. შეუმჩნეველი დარჩა.

1901—1913 წლებში ბათუმში სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრება ცურვაში ხუთი კილომეტრის მანძილზე. მო-

კურაგეთა შორის უნდა აღვნიშნოთ ძმები ჭანკვეტაძეები, მაკან-ტარაშვილი, ავალიშვილი, ლისოვეცკი, მეჩიდ ბედია (მამედის შვილი) და სხვ.

ფეხბურთმა საქართველოში ფეხი მოიკიდა XIX საუკუნის დამლევს. ჯერ ფოთსა და ბათუმში, ხოლო უფრო მოგვიანებით — სოხუმში. კერძოდ, ფოთში ფეხბურთს 1895 წლიდან თამაშობდნენ. თბილისში ფეხბურთის თამაში 1905 წლიდან დაიწყო. იგი თანდათან იკიდებდა ფეხს უმთავრესად მოსწავლე-ახალგაზრდობაში და 1912 წელს თბილისში რვა გუნდი არსებობდა. იმავე წელს ჩატარდა ქალაქის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა (1-ლი, მე-2 და მე-3 ვაჟთა გიმნაზიებისა და კომერციული სასწავლებლის გუნდები). გამარჯვება წილად ხვდა ვაჟთა მე-2 გიმნაზიის გუნდს.

1912—1918 წლებში ყოველწლიურად იმართებოდა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე ფეხბურთში. ამ პერიოდში შედარებით ძლიერ გუნდებად ითვლებოდნენ სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“, მე-2 და მე-4 გიმნაზიების ფეხბურთელთა გუნდები და გუნდი „კომეტა“.

პირველი საქალაქთაშორისო შეხვედრა თბილისის ნაკრებ გუნდს ჰქონდა ბაქოს გუნდთან 1913 წელს.

ფეხბურთის სპეციალური მოედნები იმ დროს არ არსებობდა და მოთამაშენი სრულებით მოუწყობელ მიწებზე თამაშობდნენ. ერთადერთი ადგილი, სადაც ოფიციალური შეხვედრების მოწყობას ახერხებდნენ, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ეზო იყო (ძველად იუნკერთა სასწავლებელი).

ძალოსნობის (სიმძიმეების აწევა, ჭიდაობა, კრაფი) კლასიკური სახეების განვითარება საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდან იწყება. ძალოსნობის ჩანერგვისა და განვითარების საქმეში სათანადო როლი ითამაშა თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში გამართულმა პროფესიონალ-მოჭიდავეთა ჩემპიონატებმა.

1907 წლიდან ამ ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი რუსი და ქართველი მოჭიდავეები: ი. პოდლუბნი, ი. ზაიკინი, ი. შჩემიაკინი, ნ. ესებუა, კ. მაისურაძე, ი. ცერაძე,

ივ. ქიზიყელი, ა. სტაროშვილი, ს. კანდელაკი, მ. მაჩაბელი და სხვ. ძალოსნობით გატაცებული ახალგაზრდობა, რომელსაც ხელმძღვანელობას არავინ უწევდა, თვითონვე ცდილობდა თვითმასწავლებლის საშუალებით, აგრეთვე ჩემპიონატებზე ნანახის გამოყენებით შეესწავლა კიდაობა, სიმძიმეების აწევა და კრიგი.

ძალოსნობის მოყვარულთა პირველი წრე თბილისში 1912 წელს დაარსდა პეტრე მარდანიძის მეთაურობით. ამ წრეში, რომელსაც „ატლეთიკური არენა“ ეწოდებოდა, 26 კაცი მეცადინეობდა. საერთოდ ამ წრეს დიდი როლი არ უთამაშნია ძალოსნური სპორტის განვითარებაში.

ძალოსნობის დარგში მუშაობის გაერთიანების მიზნით 1913 წელს პეტერბურგში დაარსდა სრულიად რუსეთის ძალოსანთა კავშირი. დამუშავებულ იქნა შეჯიბრებათა წესები და შემოღებულ იქნა რეკორდების აღნუსხვა. სრულიად რუსეთის კავშირი მალე საერთაშორისო ძალოსანთა ფედერაციაში შევიდა.

იმ პერიოდის ისოფლიო რეკორდსმენთა შორის (სიმძიმეების აწევაში) უნდა მოვიხსენიოთ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჩიკვაიძე, რომელმაც 1915 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მძლეოსნობის კლასიკური სახეები საქართველოში ცარიზმის დროს თითქმის უცნობი იყო. მართალია, სატანეარჯიშო საზოგადოება „სოკოლი“ მეცადინეობის დროს იყენებდა რბენას, ხტომასა და მძლეოსნობის სხვა სახეობებს, მაგრამ მათ ცოტა რამ ჰქონდათ საერთო მძლეოსნურ სპორტთან. აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ თბილისის საშუალო სასწავლებლთა მოსწავლეების მცირე ჯგუფის ინიციატივით (თბილისის 1-ლი და მე-2 გიმნაზიები), თვითმოქმედებითი წესით, მოეწყო მეცადინეობა მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაში. მოსწავლეები აგროვებდნენ თანხებს და თვითონვე იძენდნენ საჭირო ინვენტარს (ბირთვს, ბადროს, შუბს). მოსწავლეთა ამ ჯგუფში აქტიურად მონაწილეობდა გ. ბ. ჩიკვაიძე, რომელიც შემდეგში, სტუდენტობის დროს, ქ. კიევში ჩაება მძლეოსნურ სპორტში. 1914 წელს იგი სჯიდა საქალაქთაშორისო შეჯიბრე-

ბას, რომელიც მოსკოვისა და კიევის მძლეოსანთა შორის გაიმართა.

1909—1911 წლებში საქართველოს მსხვილ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი და სხვა) და ზოგიერთ აგარაკზე (სურამი) მოწყობილ იქნა „სკეტინგ-რინგები“—მოასფალტებული მრგვალი ფორმის მოედანი, რომელზედაც დასრიალებდნენ ბორბლებიანი ციგურებით. მაგრამ, „სკეტინგ-რინგი“ უფრო კომერციული წამოწყება იყო, ვიდრე ფიზიკური განვითარების საშუალება; იგი კარგ შემოსავალს აძლევდა მის ორგანიზატორებს.

საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს ტანვარჯიშის განვითარებას.

ქალაქ პრაღიდან ანტონ ლუკეშის ჩამოსვლისთანავე თბილისის ვაჟთა 1-ლ ვიმნაზიასთან ჩამოყალიბდა ტანვარჯიშის მოყვარულთა წრე, რომლის ბაზაზე შემდეგში სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლი“ აღმოცენდა. საზოგადოება ოფიციალურად 1900 წელს გაფორმდა.

კლასობრივი საზოგადოების პირობებში ფიზიკური აღზრდის ხალხური სახეობები უფრო კარგად ანვითარებენ მშრომელი ხალხის ფიზიკურ და მორალურ თვისებებს, ვიდრე ხელოვნურად შექმნილი ფიზიკური აღზრდის ბურჟუაზიული სისტემები, რომლებიც ყოველთვის გაურბოდნენ ხალხის მიერ საუკუნეობით დამუშავებულ დადებით ტრადიციებს.

იმპერიალიზმის ეპოქაში მეფის რუსეთის ოფიციალურ ფიზიკურ კულტურას ანტიხალხური ხასიათი ჰქონდა. რუსეთის სინამდვილეში საზოგადოება „სოკოლი“ რეაქციულად განწყობილი ორგანიზაცია იყო.

საქართველოს პირობებში „სოკოლი“ ადგილობრივ მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობდა და ნიადაგს მოკლებული იყო. ამით აიხსნება „სოკოლის“ საზოგადოებათა მცირერიცხოვნობა საქართველოში.

თბილისის „სოკოლის“ საზოგადოებაში 1909 წელს ითვლებოდა 185 ნამდვილი წევრი და 25 გარეშე მოსიარულე. როგორც თბილისის სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“ წლიურ ანგარიშიდან ჩანს, 1912 წელს საზოგადოებაში მხოლოდ 75 წევრი ირიცხებოდა, ხოლო 1913 წელს — 94.

კიდევ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა ქუთაისის „სოკოლი“, რომელიც 1912 წელს დაარსდა და რომელმაც დაასლოებით ერთი წელიწადი იარსება. ამ საზოგადოებაში 42 წევრი ირიცხებოდა.

არასახარბიელო იყო ბათუმის „სოკოლის“ არსებობაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირობებში საზოგადოება „სოკოლის“ მონარქისტული სულისკვეთება საკმაოდ ნეიტრალიზებული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ „სოკოლი“ არც რუსეთში სარგებლობდა დიდი პოპულარობით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ, 1914 წელს, რუსეთის 26 ქალაქში ითვლებოდა სულ 42 „სოკოლის“ საზოგადოება, რომლებშიც სულ 5 660 წევრი ირიცხებოდა.

1907 წელს თბილისის „სოკოლის“ წევრები მონაწილეობდნენ სრულიად „სოკოლის“ მეხუთე მოფრენში (ქ. პრალაში) და დაბალ თანრიგში პირველი ადგილი დაიკავეს. 1912 წელს თბილისის „სოკოლი“ კვლავ მონაწილეობდა „სოკოლის“ მეექვსე მოფრენში (ქ. პრალაში) და იმავე თანრიგში კვლავ პირველობა მოიპოვა.

1901—1904 წლების პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ბუშათა რევოლუციური მოძრაობა. გაიზარდა და განმტკიცდა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. „ეკონომისტების“ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში იმარჯვებს ლენინური „ისკრის“ რევოლუციური ხაზი.

მუშათა კლასის მოძრაობის ზრდამ გამოიწვია სხვა კლასებისა და ინტელიგენციის დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერება.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით თავგამოდებით იბრძოდა სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესებისათვის. ბოლშევიკური პარტია თანმიმდევრობით იცავდა მარქსისტულ პოზიციებს ფიზიკური აღზრდის დარგში.

მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საკითხის სრულად გადაწყვეტა ვ. ი. ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს, მაგრამ კაპიტალიზმის პირობებშიც კომუნისტური პარტია შეუძოვარ ბრძოლას აწარმოებდა. მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების წინააღმდეგ.

მასების ფიზიკური აღზრდის საკითხებს ლენინი მჭიდროდ უკავშირებდა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას, მუშათა კლასის რევოლუციურად აღზრდას.

როგორც ცნობილია, 1905 წლის შემოდგომისათვის რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო და უდიდესი ძალით იზრდებოდა.

ძლიერი რევოლუციური მოძრაობა მოედო საქართველოსაც. მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ფოთსა და ქუთაისში გამოიწვია გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, განსაკუთრებით კი გურიისში, სადაც გლეხობამ მეფის ხელისუფლებას თავისი მოთხოვნები წაუყენა.

ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

1905 წელს საქართველოს მრავალ კუთხეში ჩამოყალიბდა რევოლუციონერთა წითელი რაზმები. წითელ რაზმელების გაწვერთნას და სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სამხედრო საქმის შესწავლასთან ერთად რაზმელები ფიზიკურ გაწვერთნასაც გადიოდნენ. ისინი იწრთობოდნენ რბენასა და ხტომაში, თხრილებსა და მესერზე გადასვლაში, ხოხვასა და ცოცვაში, სხვადასხვა წინაღობის დაძლევაში და სხვ. რაზმელების ფიზიკური მომზადება მათი სამხედრო საბრძოლო მომზადების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის ექსპლუატატორულმა კლასებმა შექმნეს ანტისაბჭოთა კოალიცია და დააარსეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატისტები მეთაურობდნენ.

ქართველი მენშევიკები აშკარად უწყობდნენ ხელს რუსეთის კონტრრევოლუციას. მენშევიკები იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და სდევნიდნენ რევოლუციურად განწყობილ მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს.

ამ პერიოდში მთელ ამიერკავკასიაში ყალიბდება ნაციონალური ნაწილები.

1917 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „საქართველოს მხედართა კავშირი“; იმავე წელს ხსენებულ კავშირთან დაარსდა სატანვარჯიშო საზოგადოება „ამირანი“, რომელსაც თავისი გამგეობა არ გააჩნდა და უშუალოდ „მხედართა კავშირს“ ემორჩილებოდა.

საზოგადოება „ამირანი“, რომელიც მომსახურებას უწევდა სამხედრო პირებს, საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. მეცადინეობა აქ „სოკოლის“ სისტემით მიმდინარეობდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადა. ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოიშალა რკინიგზის ტრანსპორტი, შემცირდა მრეწველობა. ამასთან დაკავშირებით შემცირდა მუშათა რაოდენობა და საოცრად დაეცა მათი ხელფასი, გაიზარდა უმუშევრობა, დაეცა სოფლის მეურნეობა, გაუარესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, რამაც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია.

თუ წარსულში ქართველი ხალხის ფიზიკური და მორალური სიმხნევის შენარჩუნების ერთ-ერთ წყაროს ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები წარმოადგენდა, ბურჟუაზიულ-მენშევიკური ხელისუფლების დროს ისინი მივიწყებას მიეცა. მენშევიკებს აზრდაც არ მოსვლიათ სპორტის ხალხური სახეობების აღდგენა და განვითარება, რადგან მათთვის მშრომელთა მასების ინტერესები უცხო იყო.

საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ახალი ბურჟუაზიული სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“. 1918 წლის 25 აგვისტოს თბილისში შედგა თბილისის პირველი სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ დამფუძნებელი კრება. საზოგადოება „შევარდენი“ მოთავსდა საუკეთესო სატანვარჯიშო დარბაზში, რომელიც მეფის



დროს განკუთვნილი იყო ოფიცერთა საოლქო სატანვარჯიშო-საფარეკო სკოლისათვის. ეს დარბაზი აგებულ იქნა მას შემდეგ, რაც სამხედრო უწყების მიერ ქ. პრალაში სპეციალურად მივლინებულ იქნა სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი დენისენკო.

მეცადინეობა „შევარდენში“ მთლიანად „სოკოლის“ სისტემით წარმოებდა.

საზოგადოება „შევარდენი“ ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოება იყო.

თბილისის პირველი „შევარდენის“ დაარსების შემდეგ თბილისში „შევარდენთა“ საზოგადოების რიცხვი თანდათანობით იზრდება. 1922 წლისათვის თბილისში უკვე 8 საზოგადოება არსებობდა, ხოლო საქართველოში კი მთლიანად — 22 საზოგადოება (თბილისში — 8, ქუთაისში — 2, აჭარაში — 3, დიდ-ჯიხაიში, ზესტაფონში, სილნალში, სენაკში, ფოთში, აბაშაში, თელავში, საგარეჯოში, კასპში — თითო-თითო საზოგადოება). წევრთა რაოდენობა ყველა ამ საზოგადოებებში 10.000 კაცს არ აღემატებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა საქართველოს ტანვარჯიშულ მოძრაობას წარსულთან შედარებით ერთგვარი წინსვლა დაეტყო, (რიცხოობრივი ზრდა, ტექნიკური მიღწევების ამალგება, მტკიცე დისციპლინა და სხვა), მაგრამ მენშევიკების ბატონობის ხანაში ტანვარჯიშულმა მოძრაობამ მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელება ვერ ჰპოვა.

საზოგადოება „შევარდენმა“ იკისრა არა მარტო ტანვარჯიშული, არამედ მთელი სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელობა, მან აიღო მონოპოლია სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციების მოწყობაზე.

ზოგიერთმა „შევარდენულმა“ საზოგადოებამ ჩამოაყალიბა მძლეოსნობის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, ფარეკაობის, ძალოსნობის სექციები. ასე, მაგალითად, თბილისის პირველ „შევარდენთან“ დაარსდა მძლეოსნობის, ძალოსნობის, ფარეკაობის, ჩოგბურთის, სასროლო სპორტის სექციები. ქუთაისის „შევარდენთან“ არსებობდა მძლეოსნობის, ველოსპორტის, ფეხბურთისა და მოხალისე მებანძრეთა სექციები. თელავისა და ახალ-

სენაკის საზოგადოებებთან ჩამოყალიბებული იყო მძლეოსნობის სექცია. ყველა ამ სექციაში ჩაბმული იყო 200 კაცამდე. სექციების ინსტრუქტორთა უმეტესი ნაწილი სათანადოდ არ იყო მომზადებული და დაუფლებული სპორტულ ტექნიკას.

სკოლებში ფიზიკური აღზრდის ჩატარება და კონტროლი ფაქტიურად „შევარდენს“ ჰქონდა მინდობილი, მაგრამ მენშევიკური მთავრობის განათლების სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სკოლებში ფიზიკური აღზრდის განვითარებას. სკოლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნდა სამეცადინო ბაზები. არ ჰყავდა ტანვარჯიშის მასწავლებლები და არც ხელმძღვანელთა, ინსტრუქტორთა და მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმე იდგა სათანადო სიმაღლეზე. ერთადერთი მოკლევადიანი კურსები კადრების მოსამზადებლად არსებობდა თბილისის პირველ „შევარდენტან“.

1921 წლის იანვარში დაარსებულ იქნა „სრულიად საქართველოს შევარდენტა კავშირი“. „შევარდენტა“ საზოგადოებები საქართველოში განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც (1922 წლის დამლევამდე).

---

**ფიზიკური კულტურა საქართველოს  
საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში**

**§ 1. ფიზიკური კულტურა საქართველოში საბჭოთა  
ხელისუფლების გამარჯვების, სოციალისტური  
მშენებლობის დასაწყისის და სახალხო მშურნეობის  
აღდგენისა და რეკონსტრუქციის წლებში  
(1921 — 1929 წწ.)**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ქართველმა ხალხმა თავი დააღწია ბურჟუაზიულ-მენშევიკური მონობის უღელს და ფეხი შედგა თავისი ისტორიის ახალ, ბრწყინვალე ხანაში.

დიდ რუს ხალხთან და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან მჭიდრო კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველო სწრაფად დაადგა ეკონომიური და კულტურული განვითარების გზას და დასავლეთის იმპერიალისტებისაგან დამოკიდებულ, ჩამორჩენილ ქვეყნიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ აყვავებულ და მოწინავე რესპუბლიკად.

საქართველომ ფიზიკური კულტურის დარგშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა შორის.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „შევარდენი“ ერთ ხანს კიდევ განაგრძობდა თავის არსებობას (1922 წლის ნოემბრამდე). ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე ფაქტიურად ამ ორგანიზაციის ხელში იყო. ამ ხნის განმავლობაში „შევარდენმა“ არ გარდაქმნა თავისი მუშაობა საქართველოს მშრომელი-

მოსახლეობის მომსახურების მიმართულებით. ნათელი გახდა, რომ „შევარდენთა“ საზოგადოებებს არ შეეძლოთ საბჭოთა ქვეყნის ფიზიკური აღზრდისათვის მიეცათ საჭირო მიმართულება. პარტია და კომკავშირი მოზარდი თაობის აღზრდას ხემოაღნიშნული ორგანიზაციის ხელში ვერ დატოვებდა და ამიტომ დაისვა საკითხი „შევარდენულ“ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის შესახებ. 1922 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება მთელ საქართველოში „შევარდენის“, „სკაუტისა“ და „სოკოლის“ ორგანიზაციათა დაშლისა და მათ ნაცვლად წითელი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ დაარსების შესახებ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ იქნა ახალი საზოგადოება „სპარტაკი“.

„შევარდენის“, „სოკოლისა“ და „სკაუტის“ ორგანიზაციათა ყოფილი წევრები 14 წლის ასაკამდე პირდაპირ იქნენ გადარცხული საზოგადოება „სპარტაკში“, ხოლო 14 წლიდან 16 წლის ასაკამდე მოზარდების წევრად ჩარიცხვა ხდებოდა საზოგადოება „სპარტაკის“ დამფუძნებელი კომისიის გადარჩევით.

ამ პერიოდში მეტად მწვავედ იდგა ინსტრუქტორთა კადრების საკითხი. ამ დროს საქართველოში არ მოიპოვებოდა ფიზკულტურის ინსტრუქტორები მუშათა და კომკავშირელთა რიგებიდან. აუცილებელი ხდებოდა საზოგადოება „შევარდენისა“ და „სოკოლის“ ყოფილი ინსტრუქტორების გამოყენება.

„შევარდენის“ ლიკვიდაციის შემდეგ მისი მწვრთნელთა მცირე ნაწილმა სრულებით თავი მიანება ფიზიკური აღზრდის დარგში მუშაობას. მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი და შეგნებული ნაწილი თავიდანვე გამოეხმაურა პარტიისა და კომკავშირის მოწოდებას, აქტიურად ჩაება საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში და ნაყოფიერ მუშაობას შეუდგა.

საბჭოთა ფიზიკური კულტურა საქართველოში ჩაისახა და განვითარდა კლასობრივი ბრძოლის პროცესში. საბჭოთა ფიზიკური კულტურის იდეური საფუძველი ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა. საბ-

კოთა ფიზიკური კულტურა დღიდან მისი ჩასახვისა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს დაექვემდებარა.

საბჭოთა ფიზიკური კულტურის ისტორია საქართველოში 1923 წლიდან იწყება: პირველი ფიზკულტურის წრეები საქართველოში, პროფკავშირთა ხაზით, 1923 წელს დაარსდა. ამ პერიოდში თბილისის პროფკავშირების ზოგიერთ კლუბთან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაარსდა ფიზკულტურის წრეები.

პროფკავშირებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული ფიზკულტურული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ერიდებოდნენ ფულად ხარჯებს ფიზკულტურული მუშაობისათვის და ზედმეტად მიაჩნდათ კავშირებში ფიზკულტურული მუშაობისათვის სპეციალური ორგანოების დაარსება.

პროფკავშირებში ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელობის მიზნით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან გამოყოფილი იყო ერთი მუშაკი, რომელიც სპეციალურად ამ დარგში მუშაობდა.

ფიზკულტურული მუშაობის მოწესრიგების, მისი ერთ, მთლიან ორგანოში გაერთიანების, მუშაობის საერთო მიმართულებისა და სამეცნიერო-მეთოდურ და სასწავლო დარგში ხელმძღვანელობის მიზნით სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო.

ამის შემდეგ ყველა ნაციონალური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოები.

1923 წლის დეკემბერში საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი საქართველოს ფიზიკური კულტურის საბჭოს დაარსების შესახებ.

1924 წელს სამაზრო ცენტრებშიც შექმნილი იყო ფიზკულტურის სამაზრო საბჭოები, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის სს

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ-კომიტეტებთან დაარსდა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოები. დაარსებულ იქნა ფიზკულტურის საბჭო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მომეტებულად ტანვარჯიში იყო გავრცელებული, მაგრამ 1923 წლიდან თანდათანობით, ჯერ თბილისში, შემდეგ რაიონებშიც, გავრცელდა სპორტის სხვადასხვა სახეობა.

აღსანიშნავია. რომ სპორტის ყველა სახეთა შორის საქართველოში ფეხბურთი უფრო სწრაფად ვითარდებოდა და მან ფართოდ მოიკიდა ფეხი როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში (ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, სამტრედიისში). ახლად ჩაისახა ხელბურთისა და კალათბურთის გუნდები.

1924—25 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში მოპოვებულმა მიღწევებმა ხელი შეუწყვეს მშრომელთა დოვლათიანობის ზრდას, რითაც ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საბჭოთა კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის. ფიზიკური კულტურის დარგში მოპოვებული პირველი მიღწევები აღინიშნა მოსკოვში 1924 წლის აპრილში ჩატარებულ ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პირველ თათბირზე, რომელმაც შეაჯამა ფიზკულტურის საბჭოების მიერ ერთი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები. თათბირმა აღნიშნა ფიზკულტურის აღმავლობა არა მარტო ცენტრალურ ქალაქებსა და ოლქებში, არამედ პერიფერიებშიც.

საბჭოთა ფიზკულტურის განვითარება ამ წლებში მიმდინარეობდა უცხო და მტრულ გადახრებთან ბრძოლაში. ამ გადახრებმა, რომლებიც უფრო მკაფიოდ ცენტრში ვლინდებოდა, თავისი გამოძახილი ნაწილობრივ საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობაშიც ჰპოვა.

რუსეთის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წლის 13 ივლისს გამოიტანა ისტორიული დადგენილება ფიზიკური კულტურის შესახებ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში არსებულ ნაკლოვანების გამოსწორებასა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ

განვითარებას. ხსენებულ დადგენილებაში ნათლად იყო გაშუქებული საბჭოთა ფიზკულტურის შინაარსი და ამოცანები. დადგენილება მკაფიოდ განსაზღვრავდა ფიზიკური კულტურის იდეურ-პოლიტიკურ მხარეს. მასში ნათქვამი იყო, რომ ფიზიკური კულტურა განხილულ უნდა იქნას არა მარტო ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების თვალსაზრისით და როგორც ახალგაზრდობის კულტურულ-სამეურნეო და სამხედრო მომზადების ერთ-ერთი მხარე, არამედ, როგორც მასების აღზრდის ერთ-ერთი მეთოდი და ამასთან ერთად, როგორც მუშათა და გლეხთა ფართო მასების გაერთიანების საშუალება ამა თუ იმ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციათა ირგვლივ, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება მუშათა და გლეხთა მასების ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირში ფიზკულტურის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, რადგან საბჭოთა კავშირის მშრომელთა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი საზღვარგარეთის მუშურ ორგანიზაციებთან კიდევ უფრო განამტკიცებენ საერთაშორისო მუშურ ფრონტს. ფიზიკური კულტურა არ უნდა ამოიწურებოდეს, მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშობით—სპორტის, ტანვარჯიშის, მოძრავ თამაშობათა სახით, არამედ იგი უნდა შეიცავდეს აგრეთვე შრომისა და ყოფის როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ჰიგიენას, ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებას, შრომისა და დასვენების წესიერ რეჟიმს და სხვ.

ხსენებული დადგენილება ნათლად მოწმობს იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც იჩენდა და იჩენს ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია და მთავრობა ფიზკულტურის განვითარებისადმი.

ამ პერიოდში ფიზიკური კულტურის სწრაფ განვითარებას აბრკოლებდა ფიზკულტურის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კადრების სიმცირე, ფიზკულტურის თვორიაში ბევრ-ფუჭაზიული სპორტული მოძრაობის ნაშთების გავლენა, სპორტის შეუფასებლობა ზოგიერთი უწყებისა და ორგანიზაციის

წარმოადგინა და სხვ. მიუხედავად ამისა, ფიზკულტურული მოძრაობა საქართველოში თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პროცესში პროფკავშირებმა გააძლიერეს ფიზკულტურული მუშაობა წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შორის, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში სპორტმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საჭირო განვითარება.

პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა 1926—1929 წლებში დიდი სიძნელეები გადალახა და მიადწია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გამარჯვებას. საფუძველი ჩაეყარა მძიმე ინდუსტრიას და მიღებულ იქნა სოციალისტური მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმა.

აღნიშნული პერიოდი ხასიათდება წარმატებებით მრეწველობაში, ასევე პირველმნიშვნელოვანი მიღწევებით სოფლის მეურნეობაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ პერიოდში საშუალო გლეხობამ საბოლოოდ იბრუნა პირი კოლმეურნეობისაკენ. ამავე პერიოდში დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლა საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვდა მთელი თავისი ძალების მობილიზაციას. ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი დარგების მშენებლობასთან ერთად საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და განმტკიცება, რადგან კაპიტალისტური ქვეყნები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განვითარება.

ყოველივე ეს ფიზკულტურული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა მათი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებას ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დარგში. ამ მიმართულებით მუშაობა სუსტად იყო დაყენებული, განსაკუთრებით კი — პროფკავშირებში.

1926 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოწვეულმა პარტიის XV კონფერენციამ განიხილა პროფკავშირთა ფიზკულტურული მუშაობის პრაქტიკის საკითხები. ამ კონფერენციის გადაწყვეტილება წარმოადგენდა ფიზიკური კულტურის შესახებ პარტიის 1925 წლის დადგენილების შემდგომ გაღრმავებასა და



კონკრეტიზაციას. კონფერენციამ საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფკავშირები ფიზკულტურული მუშაობის დარგში. დაგმო სპორტისადმი და შეჯიბრებითი მეთოდისადმი უყურადღებობა. კონფერენციამ დასახა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მორიგი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის პირობებში და მოითხოვა მუშათა მასების თვითმოქმედების განვითარება, სპორტსა და ტანვარჯიშში შეჯიბრებითი მეთოდის ფართო გამოყენება.

XV პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებამ დიდ როლი ითამაშა ფიზკულტურის სასწავლო-მეთოდური და სპორტულ-ტექნიკური მუშაობის გარდაქმნაში.

მუშაობის საუკეთესო ფორმად ცნობილი იყო სექციური მუშაობა ტანვარჯიშისა და სპორტის ცალკე სახეობებში. ფიზკულტურული მუშაობის სექციური ფორმა ფიზკულტურის თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის ძირითად ფორმად იქცა.

XV პარტიული კონფერენციის დადგენილების შემდეგ ფიზკულტურული მუშაობა საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში გაუმჯობესდა.

კიდევ უფრო განვითარდა სპორტის სხვადასხვა სახეობები, განსაკუთრებით — კალათბურთი.

1926 წელს სახელი გაითქვა საქართველოს კალათბურთელთა უძლიერესმა გუნდმა „სინათლემ“, რომელმაც დიდ როლი ითამაშა საქართველოში კალათბურთის გავრცელების საქმეში. მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო რესპუბლიკაში უძლიერესი გუნდების ჩამოყალიბებას („სტროიტელი“, უფრო გვიან თბილისის „დინამო“, ქუთაისის ნაკრები გუნდი და სხვა). შემდეგში კალათბურთმა ისეთი განვითარება ჰპოვა საქართველოში, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი გუნდი (წითელი არმიის სახლის, ქუთაისისა და თბილისის „დინამოს“ კოლექტივები) უძლიერეს გუნდებად ითვლებოდნენ საბჭოთა კავშირში.

ხსენებულ პერიოდში გაცხოველდა ფიზკულტურული მუშაობა საქართველოს კურორტებზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ დასვა საკითხი მშრომელთა მასებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოების.

შესახებ. ამასთან დაკავშირებით კურორტებზე დიდი ყურადღება დაეთმო ფიზიკურ კულტურას და იგი აღიარებულ იქნა მშრომელთა გაჯანსაღების მძლავრ ფაქტორად.

1927 წლიდან განშირდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ამ წელს თბილისში ჩატარდა სრულიად საქართველოს შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც პირველობა ბათუმის გუნდმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბათუმის ფეხბურთელთა გუნდი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხშირად ამარცხებდა არა მარტო თბილისის გუნდებს, არამედ საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებსაც. ბათუმის გუნდს ბეგრად არც ფოთის გუნდი ჩამოუვარდებოდა.

1927 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ჩატარდა სრულიად საქართველოს შეჯიბრება კალათბურთში; ხოლო იმავე წლის ნოემბერში თბილისში მოეწყო სრულიად საქართველოს შეჯიბრება მძლეოსნობაში.

1928 წლის 2—9 ივნისს თბილისში ჩატარდა სრულიად საქართველოს პირველი ფიზკულტურული დღესასწაული. ეს დღესასწაული საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში ცნობილია როგორც სრულიად საქართველოს პირველი სპარტაკიადა, რომელიც წინ უძღოდა 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადას.

საქართველოს პირველ სპარტაკიადაზე მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს რაიონების (ფოთის, ახალციხის, გორის, თელავის, ჭიათურის, სენაკის, ზესტაფონის და სხვა) 650 ფიზკულტურელი.

ეს სპარტაკიადა რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა და მან ბევრად შეუწყო ხელი ჩვენში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ამ სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსენეები სომხეთისა და აზერბაიჯანის კოლექტივებთან ერთად მონაწილეობდნენ საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც მოსკოვში 1928 წლის აგვისტოში ჩატარდა. გარდა საბჭოთა კავ-

შორის 7 000 ფიზკულტურელისა, სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთელი მუშათა სპორტული ორგანიზაციების 600-მდე წარმომადგენელმა.

1928 წელს რესპუბლიკაში სახელი გაითქვეს ფეხბურთელთა გუნდებმა „დინამომ“, „მესტრანმა“, „მეტალისტმა“ და სხვ. ამ პერიოდის ფეხბურთელთა შორის უნდა აღინიშნოს ჟორდანი, გ. სიხარულიძე, ა. გონელი, გ. შხვაცაბაია, ს. პანდელოვი, დ. ცომაია და სხვ.

მთელი რიგი შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში 1929 წელს. მათ შორის აღსანიშნავია სრულიად საქართველოს პირველი შეჯიბრება წყალჭომარდობაში, რომელიც ბათუმში მოეწყო. მასში მონაწილეობდა ბათუმის, სოხუმის, ფოთის, თბილისისა და ქუთაისის ფიზკულტურული კოლექტივების 120 წარმომადგენელი.

ამ პერიოდში თანდათან განმტკიცდა საქართველოს სპორტამენთა კავშირი სხვა მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან. ასე, მაგალითად, 1929 წლის სექტემბერში თბილისელი ჩოგბურთელები ხარკოვში შეხვდნენ უკრაინელ ჩოგბურთელებს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს (9:0).

ამავე პერიოდში საქართველოს სპორტსმენებს საზღვარგარეთელ სპორტსმენებთანაც ჰქონდათ შეხვედრა. 1929 წელს საქართველოს დედაქალაქს ეწვია ფრანგი მუშა-ველოსიპედისტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თბილისში ჩატარებულ ევლო-შეჯიბრებაში ქალაქის პირველობაზე.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების კავშირი არა მარტო სპორტული შეჯიბრებებით ამოიწურებოდა, არამედ ხშირად იმართებოდა გაერთიანებული თათბირები ფიზიკური კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. ასე, მაგალითად, 1929 წელს თბილისში ჩატარდა თათბირები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მონაწილეობით. ამ თათბირთა შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფიზიკური კულტურის საბჭოების მდივნების თათბირი და ამიერკავკასიის სკოლების მუშაკთა თათბირი.

1929 წლის მაისში შედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოების პასუხისმგებელი მდივნების თათბირი, რომელშიც ამიერკავკასიის მსხვილი ქალაქების ფიზკულტურის საბჭოების მდივნებიც მონაწილეობდნენ. თათბირმა განიხილა კადრების მომზადებისა და საზამთრო მუშაობის საკითხები; მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება კომკავშირის როლის შესახებ ფიზკულტურულ მუშაობაში და სხვ. თათბირმა აღნიშნა ფიზკულტურული მშენებლობის სუსტი მიმდინარეობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ნაციონალურ ენებზე ფიზკულტურული ლიტერატურის უქონლობა.

1929 წლის ივნისში ჩატარდა ამიერკავკასიის სკოლების მუშაკთა თათბირი, რომელმაც მოისმინა საქართველოსა და აზერბაიჯანის განათლების კომისარიატების ფიზიკური აღზრდის ინსპექტორთა მოხსენებები სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის შესახებ და მიიღო სათანადო ღონისძიება.

აღნიშნულ პერიოდში სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი ბავშვთა ფიზიკური აღზრდის დარგში. ფიზიკური აღზრდის განვითარებას სკოლებში ზიანი მიაყენა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს (FVC) მიერ შემოღებულმა სწავლების კომპლექსურმა მეთოდმა, ხოლო უფრო გვიან პროექტების მეთოდმა. ასეთი მეთოდების გამოყენებისას ფიზიკური აღზრდა „კომპლექსური თემის“ ნამატი ხდებოდა და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ფაქტიურად არაჯითარი სარგებლობა არ მოჰქონდა.

პედოლოგიის მავნე გავლენამ ბავშვთა თვითმოქმედ ფიზკულტურულ მოძრაობაშიც შეაღწია. ფიზკულტურის სასკოლო წრეების მუშაობა არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი გაკვეთილებისაგან. ბავშვთა ინდივიდუალური მიდრეკილებასა და მოთხოვნილებებს ანგარიში არ ეწეოდა. ამიტომაც ფიზკულტურის წრეები ბავშვებს ნაკლებ აინტერესებდა და არ იზიდავდა.

არც პიონერთა ორგანიზაციებში იყო უკეთ დაყენებული ფიზიკური აღზრდა, მაგრამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივნისის გადაწყვეტილებამ, რომელშიც მითი-

რეზულტი იყო პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის სისტე-  
მასა და მეთოდებში არსებულ ნაკლოვანებებზე, საგრძნობ-  
ლად შეუწყო ხელი ბავშვთა თვითმოქმედი ფიზკულტურული  
მუშაობის გაუმჯობესებას.

პიონერთა თვითმოქმედი ფიზკულტურული მუშაობის შემ-  
დგომ გაუმჯობესებასა და განმტკიცებას ხელი შეუწყო აგ-  
რეთვე 1929 წლის აგვისტოში ქ. მოსკოვში მოწვეულმა პიო-  
ნერთა საქავეშირო შეკრებამ. ეს შეკრება, რომელშიც 7 400  
პიონერი მონაწილეობდა, მსხვილი მასშტაბის ღონისძიებას წარ-  
მოადგენდა. შეკრების პროგრამაში დიდი ადგილი ჰქონდა და-  
თმობილი პიონერთა სპორტაკიადას, რომლის პროგრამაში შე-  
დიოდა შეჯიბრება ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნო-  
ბაში, ცურვასა და სხვა სახეობაში.

მიუხედავად ფიზკულტურული მოძრაობის ზოგიერთი მიღწე-  
ვისა (ფიზკულტურული ორგანიზაციების ზრდა, სპორტის სხვა-  
დასხვა სახეობების განვითარება, ზოგიერთი სპორტულ-ტექ-  
ნიკური მიღწევა), ხსენებულ პერიოდში ფიზიკური კულტურა  
მოწყვეტილი იყო ქვეყნის წინაშე დასმული პოლიტიკური და  
აამჟღერნეო ამოცანებისაგან. ფიზიკური აღზრდა ვერ უზრუნ-  
ველყოფდა შრომისუნარიანობის ამაღლებას; იგი შედარებით  
სუსტ როლს თამაშობდა მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში.  
ფიზკულტურული მოძრაობა ასევე ვერ უზრუნველყოფდა ფიზ-  
კულტურელთა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას, რომელიც  
ესეოდენ საჭირო იყო სოციალისტური მშენებლობის ამოცანა-  
თა განხორციელებისათვის; იგი მომსახურებას უწევდა მხო-  
ლოდ ფიზკულტურელთა მცირე ჯგუფს, რომელიც ყოველ-  
გვარ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარეშე მისდევ-  
და სპორტულ-ტექნიკურ მიღწევათა ამაღლებას. ასეთი მდგო-  
მარეობა, უწინარეს ყოვლისა, აიხსნებოდა პროფკავშირის  
სუსტი ხელმძღვანელობით. სუსტად ხელმძღვანელობდნენ მოძ-  
რაობას ფიზიკური კულტურის საბჭოებიც. გარდა ამისა, ფიზ-  
კულტურული ორგანიზაციების სტრუქტურა და მათი მუშაო-  
ბის პრაქტიკაც საშუალებას არ აძლევდა არც თვით ფიზკულ-  
ტურელებსა და არც მუშათა მასებს მონაწილეობა მიეღოთ  
ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

ამავე პერიოდში სუსტად იყო დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა სოფლად. ეს აიხსნებოდა არა მარტო ფიზკულტურის ადგილობრივი საბჭოების სუსტი მუშაობით, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა უწყურადღებობითაც.

ასევე სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა ბაეშვთა და მოზარდთა შორის მუშაობას.

კომუნისტურმა პარტიამ არა ერთხელ ამხილა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ნაკლოვანებები და მიუთითა მათი აღმოფხვრის გზები და საშუალებები.

1929 წლის 23 სექტემბერს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ფიზკულტურული მუშაობის ძირეული გარდაქმნის შესახებ. დადგენილებაში ფიზკულტურული მუშაობა შეფასებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად (მუშათა ფართო მასების ფიზკულტურაში სუსტი ჩაბმა, რეკორდსმენული გადახრა. პარალელურად მუშაობაში და სხვა). ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საჭიროდ ცნო ფიზკულტურულ მუშაობაში შეუთანხმებლობის აღმოფხვრა, მასში უფრო მეტი გეგმიანობის შეტანა, ფიზკულტურული მუშაობის საერთო მასშტაბის გაფართოება, ფიზკულტურულ მოძრაობაში მუშათა მასების ჩაბმის უზრუნველყოფა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გადაუდებელ ამოცანად ცნო ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა, პირველ რიგში ფიზკულტურულთა ფართო მასების კლასობრივ-რევოლუციური აღზრდა, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ფიზიკური კულტურის მკიდრო დაკავშირება საწარმოო ამოცანებთან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაავალა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს დაარსება სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციებით. მართლაც, 1930 წელს შეიქმნა საკავშირო ფიზკულტურის საბჭო სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციებით.

## § 2. ფიზიკური კულტურა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის წლებში (1930—1941 წწ.)

აღნიშნული პერიოდი საინტერესოა იმით, რომ ამ წლებში ბოლშევიკურმა პარტიამ შესძლო წვრილი მესაკუთრულ-გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა საკოლმეურნეო გზაზე. ამ პერიოდში აშენებულ იქნა სოციალისტური ეკონომიის საძირკველი და შეიქმნა პირობები მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ამავე პერიოდში მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ამ წლებში ფიზიკური კულტურის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა: მას ხელი უნდა შეეწყოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო იყო იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომელიც მითითებული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში. ამ დადგენილების განხორციელებას საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები ძირითადად 1930 წლიდან შეუდგნენ. 1930 წლის 2—3 მარტს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს პროფკავშირთა პირველი ფიზკულტურული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ფიზკულტურული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნას. კონფერენციამ დაადგინა, რომ ცალკე კლუბებთან არსებული ფიზიკური კულტურის წრეების ნაცვლად უშუალოდ წარმოებებთან დაარსებულიყო ფიზკულტურის კოლექტივები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელმძღვანელობით. ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სპეციალურ არჩევით ორგანოს — კოლექტივის ბიუროს, რომელიც წარმოების (დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლის) პროფკავშირულ ორგანიზაციას ემორჩილებოდა.

1930 წლის აგვისტოში მოწვეულ იქნა ფიზკულტურის წრეების ბიუროების, ინსტრუქტორებისა და ფიზკულტურულ-

ლი აქტივის გაფართოებული თათბირი, რომელმაც მოისპინა საკავშირო ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის მოხსენება ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოველაენდა პროფკავშირთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კამათმა გამოარკვია, რომ მთელ რიგ საწარმოში ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნა ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა (ტრამვაის პარკი, საქსოვი ფაბრიკა და სხვა). თათბირზე აღინიშნა ფიზკულტურელთა შორის სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, კვალიფიციური კადრების სიმცირე, სოფლად ფიზკულტურული მუშაობის ჩამორჩენილობა და სხვ. თათბირმა დასასნა პრაქტიკული ღონისძიებანი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მწკავედ იდგა კადრების მომზადების საკითხი. ამიტომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სასკოლსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე 1930 წლის შემოდგომაზე ქ. ბაქოში დაარსდა ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც ოთხი სექტორი (რუსული, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული) მუშაობდა. ობილასში 1-ლ პედაგოგიურ ტექნიკუმთან გაიხსნა ფიზკულტურული განყოფილება.

როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, 1930 წლის აპრილში გამოქვეყნდა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ფიზიკური კულტურის საკავშირო უმაღლესი საბჭოს დაარსების შესახებ. ხსენებულ საბჭოს მიენიქა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფლება ფიზკულტურის დარგში ყველა იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციაზე, რომლებიც თავიანთ სისტემაში ატარებდნენ ფიზკულტურულ მუშაობას.

ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ახალი ადამიანის—სოციალიზმის მშენებლის—აღზრდის საქმეში ფიზიკურ კულტურას დიდი როლი ენიჭება. საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან ამ დარგში დიდი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ამეამად ფიზკულ-



ტუჩოს წინაშე დასმულია მუშათა ფართო მასების ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმისა და სოფლად მუშაობის გაძლიერების აუცილებლობის საკითხი. ფიზიკური კულტურა გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც შრომისნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი.

ყოველივე ამის გამო საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ფიზიკური კულტურა სცნო „პირველხარისხიან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ“ და კონკრეტული დავალებები დააკისრა განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, შრომისა და სამხედრო კომისარიატებს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და სხვ.

ფიზკულტურული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან ბოლო მოუღო ფიზკულტურული ორგანიზაციების მოწყვეტას ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან.

ფიზიკური კულტურის სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობის განმტკიცებამ და ფიზკულტურული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნამ ორგანიზაციულად გააძლიერა და განამტკიცა ფიზკულტურული მოძრაობა, მაგრამ ახლა საჭირო იყო ფიზკულტურული მუშაობის შინაარსის, ფორმისა და მეთოდების გარდაქმნა.

უკვე მომწიფებული იყო საკითხი ფიზიკური კულტურის მთლიანი საბჭოთა სისტემის შექმნის შესახებ და ამ სისტემის საფუძველი უნდა გამხდარიყო კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“.

„მშთ“ კომპლექსის პროექტი და დებულება დამტკიცებულ იქნა 1931 წელს, ხოლო ფიზკულტურელთა მოთხოვნით 1932 წელს შემოღებულ იქნა „მშთ“ კომპლექსის მეორე საფეხური.

„მშთ“ კომპლექსის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ გარდაქმნასა და განმტკიცებას.

„მშთ“ კომპლექსის I საფეხურის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 6 ივლისს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც ხაზგასმულია „მშთ“ კომპლექსის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ დადგენილებამ დააეალა პროფკავშირებს, ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თბილისის საბჭოს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ჩაეტარებინათ სათანადო ღონისძიებანი „მშთ“ კომპლექსის დარგში სახელმწიფოებრივი დავალებების განსახორციელებლად.

ფიზკულტურული ორგანიზაციების სასწავლო სპორტული მუშაობის კომპლექსის საფუძველზე გარდაქმნამ კარგი შედეგები გამოიღო როგორც მოსახლეობის ფიზკულტურაში ჩაბმის, ისე სპორტულ-ტექნიკური მიღწევათა ამაღლების საქმეში.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს რესპუბლიკაში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. სსრ კავშირის მოძმე ხალხთა დახმარებით საქართველოს მშრომელებმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს, რის შედეგადაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავებული სოფლის მეურნეობისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად იქცა. დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგშიც. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის სასწავლებლები, აგებულ იქნა პირველხარისხიანი ფიზკულტურული ნაგებობანი, აღდგენილ იქნა და ფართო გავრცელება ჰპოვა სპორტის ეროვნულმა სახეობებმა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის გავრცელებას მოზარდთა შორის.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოწესრიგების აუცილებლობამ საკითხი დასვა ამ დარგში სამეცნიერო დაწესებულების დაარსების შესახებ.

1931 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1933 წელს თბილისში გაიხსნა ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მოსამზადებლად, ხოლო 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი, რომლის ბაზაზე შემდგომში აღმოცენდა თბილისის ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

1934 წლიდან დიდი გამოცოცხლება დაეტყო ფიზკულტურულ მუშაობას საშუალო სკოლებში. სკოლებთან დაარსდა ფიზკულტურის წრეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. რესპუბლიკის ნორჩმა სპორტსმენებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. საქართველოს განათლების კომისარიატი აწყობს სასკოლო სპარტაკიადებს, ფიზკულტურულ ღღესასწაულებსა და შეჯიბრებებს.

1934 წლიდან საქართველოში დაარსდა პირველი სპორტული სკოლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რამაც დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა სპორტული ტექნიკის ამადლებას.

ფართოდ გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ხაზითაც. გაიზარდა საექიმო კაბინეტების ქსელი რესპუბლიკის რაიონებში, მოეწყო ფიზიკური კულტურის დარგში ექიმთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან დაარსდა ფიზიკური კულტურის კათედრა, რომელსაც სათანადო ცოდნა უნდა მიეცა მომავალ ექიმთა კადრებისათვის ფიზკულტურის დარგში. ფართოდ იქნა გამოყენებულა ფიზიკური კულტურა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. სათანადო ადგილი დაიკავა ფიზკულტურამ რესპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

სოფლად ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო ფიზკულტურის მუშაკთა კადრების მომზადება. ამ მიზნით 1935 წელს თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ხაშურში, მახარაძესა და აღბულაღში მრეწყო სპეციალური კურსები, რომელთა საშუალებ-

ნით მოიზადებულ იქნა 300-მდე ფიზკულტურის ინსტრუქტორი სოფლად მუშაობისათვის. გარდა ამისა, მოეწყო ფიზკულტურის მუშაკთა სამთვიანი რესპუბლიკური კურსები, რომელიც 68 კაცმა დაამთავრა.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა კვალიფიციურ სპორტსმენტთა კადრების მომზადებას. 1935 წელს საქართველოში მთელი რიგი სპორტული სკოლები დაარსდა. თბილისში გაიხსნა ცენტრალური სატანვარჯიშო სკოლა. ამ პერიოდში რესპუბლიკაში სულ 16 სპორტული სკოლა არსებობდა, რომლებშიც 460 ახალგაზრდა მეცადინეობდა. ფიზკულტურის დარგში კონკურს-დათვალიერების შემდეგ სპორტული სკოლების რიცხვი 67-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი — 2 878-მდე.

დიდი წარმატებებით შეხვდნენ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავს. ამ დროს საქართველოში ითვლებოდა 1 120 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც 60 000-მდე მოვარჯიშე ირიცხებოდა (გარდა მოსწავლე ფიზკულტურელებისა); მათ შორის სოფლად არსებობდა 364 ფიზკულტურული კოლექტივი 10 116 წევრით. გარდა ამისა, საქართველოში არსებობდა 146 საბავშვო ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც სისტემატურად მეცადინეობდა 12 294 ბავშვი. რესპუბლიკაში სულ „მშთ“ I საფეხურის 110 000 ნიშნოსანი ითვლებოდა.

ამაღლდა სპორტსმენტთა ტექნიკური მიღწევათა დონე. დამყარებულ იქნა მრავალი რესპუბლიკური, ამიერკავკასიისა და საკავშირო რეკორდი. მარტო 1935 წელს დამყარებულ იქნა 21 საკავშირო რეკორდი. გარდა ამისა, საქართველოს სპორტსმენტთა კოლექტივებმა მოიპოვეს ამიერკავკასიის პირველობა თხილამურებში, კალათბურთში, ჩოგბურთში, ველო-სპორტში, სროლაში, ტურვაში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ჯადრაცსა და შაშვი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს მოწინავე ადამიანთა დელეგაცია; მის შემადგენლობაში

იყვნენ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის წარმომადგენლებიც — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტანვარჯიშში გულო რცხილაძე, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენები დიმიტრი იოსელიანი და ელენე გოციელი, რომლებიც დაჯილდოებულ იქნენ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ განვითარებას ანელებდა ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოთა მოუქნელობა. იგი ვერ აკმაყოფილებდა საგრძნობლად გაზრდილ მოთხოვნილებებს და საჭიროებდა გარდაქმნას.

ფიზიკური კულტურის დარგში გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ფიზიკური აღზრდის სისტემის მოსაწესრიგებლად და ფიზიკურ კულტურაზე სახელმწიფო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით 1935 წლის 21 ივნისს საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ გამოიტანეს დადგენილება საკავშირო სახკომსაბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დაარსების შესახებ.

ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დაარსების შემდეგ მალე ჩამოყალიბდა ფიზკულტურის კომიტეტები რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში. 1936 წლის ივლისში საქართველოს სახკომსაბჭოსთან დაარსდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი.

თითქმის ერთდროულად ჩვენს რესპუბლიკაში დაარსდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები. რომლებმაც ბევრად გააუმჯობესეს ძირეული კოლექტივების სპორტული და მასობრივი მუშაობა. ცალკეულ საწარმოთა წევრულ კოლექტივებს შესაძლებლობა მიეცათ მოეხდინათ თავიანთი სპორტული ძალებისა და მატერიალური საშუალებების კონცენტრაცია. ამან ხელი შეუწყო კოლექტივების გაძლიერებასა და ფიზკულტურულთა უკეთ მომსახურებას. განმტკიცდა დისციპლინა და, რაც მთავარია, საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ უფრო დემოკრატიული ხასიათი მიიღო (რამდენადაც ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა

ყველა ხელმძღვანელ ორგანოს თვით ფიზკულტურელები ირჩევენ).

თუმცა ამ პერიოდში რესპუბლიკაში არსებობდა კადრების მოსამზადებელი ქსელი, მაგრამ მაინც საგრძნობლად შეიმჩნეოდა სპეციალისტთა სიმცირე, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მქონე კადრებში. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს პარტიულმა ორგანოებმა. 1936 წლის 4 აგვისტოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ფიზკულტურული კადრების შესახებ. დადგენილებამ აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ფიზკულტურის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდის, რომ უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული განათლებით საქიროა 1500 კაცი, სოლო სინამდვილეში ამჟამად 74 კაცი მუშაობს. იქვე აღნიშნული იყო, რომ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა შორის 660 კაცს ფიზკულტურული განათლება არ აქვს. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიება დაახი და სათანადო მითითებანი მისცა განათლების სახალხო კომისარიატს, ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტს. საშუალო და არასრული საშუალო სკოლებისათვის საქირო კადრების მოსამზადებლად საქართველოს განათლების კომისარიატს დაევა 1936 წლის სექტემბრიდან თბილისისა და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტებთან ფიზიკური კულტურის ფაკულტეტების დაარსება. სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან გაიხსნა ფიზკულტურის განყოფილება არსებული კადრების გადასამზადებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წინადადება მიეცა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტზე სწავლების ვადა ოთხ წლამდე გაეზარდა. გარდა ამისა, განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა გაეხსნა თბილისში სპორტული სკოლა 500 კაცისათვის და ასეთივე სკოლები დაეარსებინა ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

ამ პერიოდში ფართო გაქანება ჰპოვა სპორტის ეროვნულ-მა სახეობებმა. სოფლად და ქალაქად გავრცელდა ქართული კი-დაობა, ლელო, ცხენოსნური სპორტის სახეები — ჭირითი, ყა-ბახი, ისინდი, მარულა, თარჩია და სხვ. სისტემატურად იმარ-თებოდა შინასარაიონო ჯგუფური და რესპუბლიკური შეჯიბ-რებები სპორტის ეროვნულ სახეებში, ვარსკვლავური გადარ-ბენები. პირველობის გათამაშება ჯილდოებზე და სხვ.

ეს შეჯიბრებები მრავალ მონაწილესა და მაყურებელს ინიდავდა.

სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებამ ხელი შეუ-წყო სოფლად ფიზიკურ ვარჯიშობათა კლასიკური სახეობების ფართოდ გავრცელებას.

ეს გარემოება მოითხოვდა სოფლისათვის ფიზკულტურის დარგში საჭირო კადრების მომზადებას. კოლმეურნეობების ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებლად 1936 წელს მოეწყო ექვსთვიანი კურსები.

იზრდებოდა საქართველოს სპორტსმენთა ტექნიკური შე-დეგები. 1936 წელს რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ დამ-ყარებულ იქნა 250 რესპუბლიკური და ამიერკავკასიის რე-კორდი, რომელთა შორის 25 საკავშირო მიღწევა იყო.

გაიზარდა სპორტული ნაგებობათა რიცხვიც. 1936 წელს თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი, ჩოგბურთის ახალი მოედანი, ხოლო მცხეთაში — წყალჭომარდობის სადგური და სხვ.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესე-ბამ. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების შექმნამ, ფიზიკურ კულტურაზე სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელო-ბის გაუმჯობესებამ გამოიწვია საბჭოთა ფიზკულტურული მო-ძრაობის შემდგომი აღმავლობა. გახშირდა და უფრო მასობრი-ვი გახდა ფიზკულტურული ღონისძიებანი. 1937 წლის 18 მაისს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლის-თავთან დაკავშირებით თბილისში გაიმართა ფიზკულტურელ-თა დიდი პარადი, ხოლო იმავე წლის 12 ივლისს საქართველოს ფიზკულტურელებმა მონაწილეობა მიიღეს ფიზკულტურელ-თა პირველ საკავშირო პარადში.

წითელ მოედანზე გამართული ფიზკულტურული გამოსვლები გამოხატავდნენ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ურყევი მეგობრობისა და საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევათა დემონსტრაციას.

ფიზკულტურული მოძრაობის ზრდასთან ერთად მალღებობდა საბჭოთა სპორტსმენების ტექნიკური მიღწევებიც.

ჩვენი სპორტსმენების მაღალი ოსტატობა გამოვლინდა 1937 წელს ანტვერპენის მესამე მუშურ ოლიმპიადაზე. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, ძალოსნებმა, მოცურავეებმა და ფეხბურთელებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა შორის იმყოფებოდნენ საქართველოს ცნობილი ტანმოვარჯიშენი გ. რცხილაძე და ა. ჯორჯაძე.

ამ პერიოდში საქართველოში სპორტული მოძრაობა იმდენად გაიზარდა და განვითარდა, რომ ჩვენი რესპუბლიკა სპორტის დარგში ერთ-ერთი მოწინავეთაგანი გახდა.

მთელ საბჭოთა კავშირში სახელი გაითქვა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებმა; ასევე მძლავრად გამოჩნდნენ საკავშირო სარბიელზე ჩვენი ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები. მოკრივეები; თბილისის გუნდმა საკავშირო პირველი ადგილი დაიჭირა სასტენდო სროლაში და სხვ. უფროს სპორტსმენებს მოზარდებიც არ ჩამორჩებოდნენ. ასე, მაგალითად, საქართველოს ნორჩმა ჩოგბურთელებმა საბჭოთა კავშირის 8 ქალაქის (მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი, კიევი, გორკი, სარატოვი, როსტოვი და ორჯონიკიძე) მოსწავლეთა კოლექტივების შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. ამავე წელს მოსწავლეთა გუნდებს შორის ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე თბილისის ბავშვთა გუნდი „მოლოტი“ გამოვიდა გამარჯვებული.

სათანადო პირობები ხელს უწყობდა საქართველოში ალპინიზმის განვითარებას. ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოდ ითვლება. მარტო 1936 წლამდე საქართველოს ალპინისტებმა იერიშით აიღეს კავკასიონისა და პამირის ასზე მეტი მწვერვალი. მათ შორის 30 უმაღლეს მწვერვალზე პირველად მოეწყო ასვლა.



1937 და 1938 წლებში ჩატარდა სვანეთის პირველი და მეორე აღპინიადა, რომელშიც 400 სვანი მონაწილეობდა. მათ შორის 18 ქალი. 1938 წელს მოეწყო სრულიად საქართველოს პირველი აღპინიადა 120 კაცის მონაწილეობით.

მრავალი ასვლის პროცესში იზრდებოდნენ და ეაჯკაცდებოდნენ მთასვლელობის ბრწყინვალე ოსტატები: საბჭოთა აღპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, სახელგანთქმული მთასვლელები სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ივანე შარი და სხვ.

დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოში საქადრაკო სპორტი. 1937 წელს 171 ტურნირში მონაწილეობდა 2 148 კაცი, რომელთაგან 1 121 მოჭადრაკემ საკავშირო კვალიფიკაცია მიიღო. ამ დროისათვის თბილისი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ საქადრაკო ცენტრად ითვლებოდა. თბილისში 150-მდე საქადრაკო-საშაშე წრე ირიცხებოდა. საქადრაკო-საშაშე კლუბები არსებობდა თბილისში, ქუთაისში, გორში. ახალციხეში, ახალქალაქში. ხსენებულ პერიოდში საქართველოს ძლიერ მოჭადრაკეთა შორის გამოირჩეოდა საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე, რომელმაც მთელი რიგი გამარჯვება მოიპოვა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ცნობილ ოსტატებზე.

1938 წელს ჩვენმა ახალგაზრდობამ, საბჭოთა კავშირის ხალხებმა იღღესასწაულეს ლენინური კომკავშირის 20 წლის-თავი.

კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარა. საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. საქართველოს კომკავშირს, როგორც საკავშირო კომკავშირის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ფიზკულტურის განვითარების დარგში. საქართველოს კომკავშირი. მტკიცედ იბრძოდა საბჭოთა ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის. სპორტულ მოძრაობაში ყოველგვარი ბურჟუაზიული და ანტი-საბჭოთა გავლენის სრული აღმოფხვრისათვის.

კომკავშირის სახელოვანი ღღესასწაული რესპუბლიკაში მთელი რიგი ფიზკულტურული ღონისძიებით აღინიშნა: ქუ-

თაისში ჩატარდა პირველი საკოლმეურნეო სპარტაკიადა, თბილისში მოეწყო სრულიად საქართველოს შეჯიბრება ქართულ კიდაობაში, ჩატარდა სრულიად საქართველოს პირველი ველოტური, რომლის მანძილი 1 259 კმ უდრიდა.

მოეწყო სააგიტაციო მოტოგადარბენა — თბილისი-ერევანი-თბილისი. 30 ოქტომბერს თბილისის ცენტრალურ მძღვოსნურ სკოლაში ჩატარდა „რეკორდების დღე“, რომელზეც დაწყებულ იქნა 60 რესპუბლიკური და 6 საკავშირო რეკორდი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო სტუდენტთა აღპინიადა 119 კაცის მონაწილეობით.

ხსენებულ პერიოდისათვის რესპუბლიკაში საგრძნობლად განმტკიცდა და გაიზარდა ფიზკულტურული მოძრაობა, ამაღლდა სპორტსმენთა ოსტატობა. საბჭოთა კავშირში ცნობილი იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რცხილაძე, ა. ჯორჯაძე, ელ. გოკიელი, დ. იოსელიანი; ფართოდ გათქვეს სახელი ტანმოვარჯიშეებმა გ. ბაბილოძემ, ლ. ყანჩაელმა, ნ. თაყაიშვილმა; მოჭიდავეებმა შ. ჩიხლაძემ, ლ. ძეკონსკიმ, ა. კელიძემ, ვ. მაჩალიანმა, თ. მაყაშიელმა; მძღვოსნებმა ნ. დუმბაძემ, გ. ათანელაშვილმა, ბ. დიაჩკოვმა; მოკრივეებმა ლ. ლუღუშაურმა, გ. ვართანოვმა, ა. ნავასარდოვმა, შ. გორგასალიძემ, ა. ბაქრაძემ; ძალოსნებმა მ. ჟღენტმა, მ. კასიანიკმა, ვ. კალმახელიძემ, პ. გუმაშიანმა; ფეხბურთელებმა ბ. პაიჭაძემ, შ. შავგულიძემ, ა. დოროხოვმა, გ. გაგუამ, მ. ბერძენიშვილმა, გ. ჭეჭელავამ, ვ. პანიუკოვმა, ა. კიენაძემ და სხვ. საქართველოში ცნობილი იყვნენ კალათბურთის ოსტატები: ლ. ფალავანდიშვილი, ა. წერეთელი, ს. ოგანეზოვი, ლ. ელენსკი, შ. ყიასაშვილი, რ. მდივანი, ძმები გ. და ო. ავალიშვილები, ლ. ძეკონსკი, ბ. სარქისოვი, მ. ფილიპოვი, და სხვ.; სათხილამურო სპორტის ოსტატები ლ. ფანჯაკიძე, გ. მიქაბერიძე, ლ. მესხიშვილი, ვ. კოსმაჩევსკი, ი. მიხინა; მოცურავენი ს. ილინი, ძმები ნ. და შ. მუსასტიკოვეები, გ. კალანდაძე და სხვ.; ჩოგბურთელები ა. ელერდაშვილი, მ. კლდიაშვილი, კრუპენიკოვი, სერებრენიკოვი, გულიაშვილი და სხვ.; მოფარიკავენი გ. ძოწენიძე, ო. დიდებულიძე, ა. გაფრინდაშვილი, ვ. კობახიძე, გონაძე და სხვ.; ქართული კიდაობის ოსტატები ა. შვეკოვი-

შვილი, ონაშვილი, ნაკასაშვილი, ცინცაბაძე, გავნიძე და სხვ.; უფროსებს არც ნორჩი სპორტსმენები ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, 1940 წელს საქართველოს მოსწავლეებს 26 საკავშირო რეკორდი და პირველი ადგილი ეკუთვნოდათ. რესპუბლიკაში მუშაობდა 31 სპორტული სკოლა, სადაც 600 სასწავლო ჯგუფი შეცადინებოდა. საქართველოს ბავშვთა შორის ფიზკულტურული მუშაობის მოწინავე გამოცდილება არა ერთხელ ყოფილა საკავშირო თათბირების მსჯელობის საგანი.

პარტიის XVIII ყრილობამ დასახა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დასრულებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გეგმა. ამ გეგმის განხორციელებისათვის საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის ყველა საშუალების მობილიზაცია და გამოყენება. ცხადია, ფიზკულტურულ მოძრაობასაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ამ საეროდ იდ საქმეში და საგრძნობლად გაეუმჯობესებინა თავისი მუშაობა. სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭირო გახდა ფიზკულტურული კომპლექსის -- „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“—გაუმჯობესება. 1939 წლის 26 ნოემბერს საკავშირო სახკომსაბკომ დაამტკიცა ახალი კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სპორტის მასობრივ განვითარებასა და სპორტულ-ტექნიკური ოსტატობის შემდგომ აღმავლობას.

დიდი მიღწევები ჰქონდა ფიზკულტურულ მოძრაობას ომის წინა წლებში. 1941 წლის იანვრისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 2 465 ფიზკულტურული კოლექტივი, ამათგან სოფლად— 1 489 კოლექტივი; ფიზკულტურელთა რიცხვი 87 000 კაცს აღემატებოდა.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ფიზკულტურულ მუშაობაში ხსენებულ პერიოდში სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი. სუსტად მიმდინარეობდა სოფლად ფიზკულტურული მუშაობა (განსაკუთრებით სპორტის კლასიკურ სახეებში), ჯერ კიდევ არ ტარდებოდა ფიზიკური აღზრდა რესპუბლიკის ყველა სკოლაში (განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში), არადამაკმაყოფილებლად იყო გაშლილი ფიზკულტურული მუშაობა ქალთა შორის, ნელი ტემპით მიმდინარეობდა ფიზკულტურული ნაგებობათა მშენებლობა და სხვ.

### § 3. ფიზიკური კულტურა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.)

საბჭოთა კავშირზე გერმანელ-ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ 1941 წლის ივნისში საშიშროება შეუქმნა ჩვენს სამშობლოს. კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა საბჭოთა ხალხს დარაზმულიყო მტერთან საბრძოლველად და მთელი ჯაიისი მუშაობა საბრძოლო ყაიდაზე გარდაექმნა.

პარტიის მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა ადამიანების გულში და უმოკლეს ხანში ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ, ყველა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გარდაქმნა თავიანთი მუშაობა საომარ ყაიდაზე.

მუშაობა გარდაქმნეს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმაც. რომელთა უმთავრეს ამოცანებს სამამულო ომის პერიოდში შეადგენდა ფრონტისათვის დახმარების აღმოჩენა საბჭოთა არმიის საბრძოლო რეზერვების მომზადების საქმეში, დაჯრილ მებრძოლთა ბრძოლისუნარიანობის აღდგენა სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებით. მაგრამ ფიზკულტურულ მოძრაობას სხვა ამოცანებიც ჰქონდა დაკისრებული: ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცება, სპორტული მუშაობის გაშლა და სპორტული ოსტატობის ამაღლება. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ახალი კადრების ჩაბმა, ფიზკულტურელთა მოწინავე როლის უზრუნველყოფა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი დახმარება, ჯარში გაწვეულთა ოჯახებისადმი დახმარება და სხვ.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მონაწილეობა საყოველთაო-სამხედრო სწავლებაში

დიდი სამამულო ომის წლებში ფიზკულტურული მოძრაობა საყოველთაო-სამხედრო სწავლების განუყრელი ნაწილი გახდა. აღვლებზე საყოველთაო-სამხედრო სწავლების შემოღებისთანავე

(1941 წლის ოქტომბერი) შეიქმნა საყოველთაო-სამხედრო სწავლების განყოფილებები სამხედრო კომისარიატებთან და

სამხედრო-სასწავლო პუნქტები, რომლებიც მოსახლეობის სამხედრო და ფიზიკური მომზადების ცენტრებად იქცა.

სამხედრო-სასწავლო პუნქტებმა საქართველოში სამამულო ომის წლებში ათიათასობით მებრძოლი და ოფიცერი მოამზადა, რომელთაგან ბევრმა თავი ისახელა გერმანელ-ფაშისტებთან გამირულ ბრძოლაში.

საქართველოში დიდი მატერიალური ბაზა იყო შექმნილი მშრომელთა სამხედრო მზადებისათვის. სამხედრო-სასწავლო პუნქტების ფართო ქსელი სავსებით უზრუნველყოფდა ყველა იმ მოქალაქეთა მომზადებას, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ სამხედრო მომზადება გაეელოთ.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას უწევდნენ საყოველთაო სამხედრო მომზადების პუნქტებს მებრძოლთა ფიზიკური მომზადების საქმეში.

საყოველთაო-სამხედრო სწავლების მებრძოლთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის სპორტის ეროვნული სახეობებიც იყო გამოყენებული. ასე, მაგალითად, სამხედრო-სასწავლო პუნქტებთან ცხაკაიაში, ზუგდიდში, ქუთაისში, სიღნაღში, გეგეჭკორში, გალში, გუდაუთსა და ოჩამჩირეში ჩამოყალიბდა ცხენოსნური სპორტის სკოლები წვევამდელთა მოსამზადებლად.

საყოველთაო-სამხედრო სწავლების პუნქტებთან მიმაგრებული ფიზკულტურის ინსტრუქტორთა აქტიური დახმარებით სამამულო ომის პერიოდში ათიათასობით მოფარევე, ყუმბარმტყორცნელი, მოცურავე, მოთხილამურე, მთასვლელი, „მშო“ კომპლექსის ნიშნოსნები იქნა მომზადებული. საყოველთაო-სამხედრო სწავლების მებრძოლთათვის სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრებები, სპარტაკიადები და კროსები.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა მოსახლეობის მასობრივი სამხედრო - ფიზიკური მომზადების დარგში

დიდი მუშაობა ჩატარა საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოსახლეობის მასობრივი სამხედრო-ფიზიკური მომზადების დარგში.

ჩერ კიდეც 1941 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ფიზკულ-

ტურულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს 13 000-ზე მეტი ხიშ-  
ტით მოფარიკავე.

1941 წლის სექტემბერში საქართველოს ალკა ცენტრალ-  
ურმა კომიტეტმა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული  
ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად შეაჯამა  
მასობრივი დაუსწრებელი შეჯიბრების შედეგები ყუმბარის  
ტყორცნაში.

ამ შეჯიბრებამ დიდად გამოაცოცხლა სამხედრო-ფიზკულ-  
ტურული მუშაობა რესპუბლიკის რაიონებში. შეჯიბრებაში  
მონაწილეთაგან 61 000 ფიზკულტურელმა შეასრულა „მშთ“  
კომპლექსის ნორმა ყუმბარის ტყორცნაში.

1941 წლის შემოდგომაზე საქართველოს ალპიურმა კლუბ-  
მა ჩაატარა წვევამდილთა გასამხედროებული ლაშქრობები  
კავკასიონის მწვერვალებზე ასვლით. ამ ლაშქრობებში ათასამ-  
დე წვევამდელმა მიიღო მონაწილეობა.

ალპინიზმის ინსტრუქტორთა ახალი კადრების მოსამზადებ-  
ლად 1942 წელს საქართველოში სპეციალური კურსები მოეწ-  
ყო. ასეთივე სამზადისი წარმოებდა სამთო-სათხილამურო  
სპორტსა და სხვა სახეობებში ინსტრუქტორთა კადრების მომ-  
ზადების მიზნით.

საქართველოს თოვლიან რაიონებში შეიქმნა სამთო-სათხი-  
ლამურო შენაერთები. ასე, მაგალითად, 1942 წელს დუშეთის  
რაიონსა და ზემო სვანეთში შეიქმნა სამთო-სათხილამურო რაზ-  
მები საბჭოთა არმიის დასახმარებლად.

ზოგიერთ ადგილზე შეიქმნა ეოროშილოვისებური ცხენო-  
სანთა რაზმები, რომელნიც შემდეგში სახელოვანი საბჭოთა  
არმიის ცხენოსანთა ნაწილების საუცხოო რეზერვად გახდნენ.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სისტემატურად მიმდინა-  
რეობდა საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა კადრების მომზადე-  
ბა ბელჩართულ ბრძოლაში, ცურვაში, სათხილამურო სპორტ-  
ში, ალპინიზმში, ველოსპორტში და სხვ.

ფიზკულტურული ორგანიზაციების ყველა ამ ღონისძიე-  
ბის მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა არმიისათვის კარგად  
გაწვრთნილი და ფიზიკურად მომზადებული რეზერვების მიწო-  
ღება.

სკოლის ახალგაზრ-  
დობის სამხედრო-ფი-  
ზიკური მომზადება

1942 წლის ოქტომბერში გამო-  
ქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს  
დადგენილება არასრული და სრუ-  
ლი საშუალო სკოლების მე-5—10

კლასებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა დაწყებითი და  
წვევამდელი მომზადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით  
1942 წელს სკოლებში შემოღებულ იქნა მოსწავლეთა სამხედ-  
რო და ფიზიკური მომზადების ახალი პროგრამა.

მუშაობის გარდაქმნა მოსწავლეთა და პიონერთა ფიზიკუ-  
რი აღზრდის დარგში ფაქტიურად დიდი სამამულო ომის პირ-  
ველსავე დღეებიდან დაიწყო. 1941 წლის ზაფხულზე ბავშვე-  
ბისათვის იმართებოდა შეჯიბრებები, გასამხედროებული თამა-  
შობანი, ლაშქრობები მთებსა და ბარში; ამ ღონისძიებებში  
ათიათასობით ბავშვი მონაწილეობდა.

ამავე პერიოდში თბილისის პიონერთა სასახლესთან ჩამო-  
ყალიბდა ე. წ. „ნორჩ არმიელთა კორპუსი“. სამხედრო სპეცი-  
ალობის შესასწავლად აქ შეიქმნა სამხედრო-ფიზკულტუ-  
რული წრეები, მათ შორის სროლის შემსწავლელი, რადიო-  
კავშირის, ხელჩართული ბრძოლის, ცურვის, ტანვარჯიშისა  
და სხვ.

სკოლებში ფიზიკური აღზრდის მუშაობის გარდაქმნასთან  
დაკავშირებით, საქართველოს განათლების სახალხო კომისარია-  
ტის მითითებით, განათლების ადგილობრივმა განყოფილებებ-  
მა ჩაატარეს სპეციალური სემინარები ფიზიკური კულტურის  
მასწავლებელთა კადრების გადასამზადებლად.

დიდი სამამულო ომის წლებში ფართოდ გაიშალა სკოლის-  
გარეშე ფიზკულტურული მუშაობა საშუალო სკოლებსა და  
პიონერთა რაზმებში. ამ პერიოდში საქართველოში ბავშვთა  
50 სპორტული სკოლა ითვლებოდა, რომელთაგან 19 სკოლა  
1944 წელში გაიხსნა. ამ სკოლებში 6 943 მოსწავლე მეცადინე-  
ობდა.

მიუხედავად ომიანობის პირობებისა, 1944 წელს თბილისში  
ჩატარდა მოსწავლეთა სრულიად საქართველოს შეჯიბრება,  
რომელშიც მონაწილეობდა 938 ბავშვი. რესპუბლიკურ შეჯიბ-

რებას წინ უძღოდა ადგილობრივი შეჯიბრებები, რომლებშიც 25 000 მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ბავშვთა სპორტული სკოლების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ამ პერიოდში აღიზარდნენ ნიჭიერი ნორჩი სპორტსმენები: დ. ციმაკურიძე, ვ. ილურიძე (მოჭიდავეები), ლ. სანაძე (მძლეოსანი), პ. მშვენიერაძე (მოცურავე) და მრავალი სხვ.

**საქართველოს ფიზ-კულტურული ორგანიზაციების მონაწილეობა დაქრილ მებრძოლთა ჯანმრთელობის აღდგენის საქმეში**

სახელოვანი საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადებასთან ერთად ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე იდგა მეორე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა—ავადმყოფ და დაქრილ მებრძოლთა ჯანმრთელობის აღ-

დგენა სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებით. სამკურნალო ფიზიკური კულტურა სამამულო ომის პერიოდში ფართოდ იყო გამოყენებული სამხედრო ჰოსპიტლებში, როგორც დაქრილ და ავადმყოფ მებრძოლთა ჯანმრთელობის აღდგენის საშუალება. ამ მხრივ საევაკუაციო ჰოსპიტლებში დიდი მუშაობა ჩაატარა საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა. რომელმაც სპეციალური ბაზა შექმნა სამკურნალო ფიზკულტურისათვის საჭირო ინსტრუქტორ-მეთოდისტების კადრების მოსამზადებლად.

ჯანმრთელობის კომისარიატი იწვევდა თათბირებსა და კონფერენციებს სამკურნალო ფიზკულტურის დარგის მუშაკთათვის. მოაწესრიგა სათანადო ლიტერატურის გამოცემა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ჰოსპიტლებში სხვადასხვა პროცედურაში ჩაბმული იყო დაქრილ და ავადმყოფ მებრძოლთა 75%. ამ დარგში საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმაც დიდი მუშაობა ჩაატარა. ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულზე მოეწყო სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტთა მოსამზადებელი კურსები. 1941 — 42 სასწავლო წლიდან გაძლიერებულ იქნა სამკურნალო ფიზკულტურის კურსის სწავლება.



ინსტიტუტი შეფობას უწევდა მთელ რიგ ჰოსპიტლებს. ამ მიზნით ინსტიტუტმა ჰოსპიტლებს მიამაგრა სტუდენტთა ბრიგადები, რომლებიც ატარებდნენ დაქრილ და ავადმყოფ მებრძოლებთან დილის ჰიგიენურ ტანვარჯიშს, ინდივიდუალურ მეცადინეობას ექიმების მითითებით. სპეციალურ მეცადინეობას აწარმოებდნენ მორჩენის გზაზე დამდგარ მებრძოლებთან და სხვ. ამგვარი ღონისძიებებით საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა მარტო 1942-43 წლებში მომსახურეობა გაუწიეს 12 000-ზე მეტ დაქრილ მეომარს. გარდა ამისა, ინსტიტუტი ამარაგებდა საშეფო ჰოსპიტლებს სათანადო ინვენტარითა და ლიტერატურით, დაქრილთა და ავადმყოფთათვის აწყობდა ფიზკულტურულ საღამოებს, გამოსვლებს და ა. შ.

საქართველოს	ფიზ-	საბჭოთა კავშირის	სხვა მოძმე
კულტურელები	და	ხალხებთან ერთად	ქართველმა
სპორტსმენები	დიდი	ხალხმა ასიათასობით თავიანი	შვილი
სამამულო ომის	ფრონ-	ლი გაგზავნა	სამამულო ომის
ტებზე		ფრონტებზე.	მათ შორის ცოტა

როდი იყვნენ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის წარმომადგენლები. მრავალმა მათგანმა ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად თავი ისახელა ჰიტლერულ ურდოებთან შეუპოვარ ბრძოლებში. ბევრმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე საყვარელ სამშობლოს.

ათასობით გამოწრთობილი და გულადი ალპინისტი მისცა საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სამამულო ომის ფრონტებს.

კავკასიის დაცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელოვანი ქართველი ალპინისტები. მათ შეასწავლეს მთასვლელობის ტექნიკა საბჭოთა არმიის ნაწილებს. ამ ქართველ ალპინისტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ ლ. ელიავა, შ. ასათიანი, პ. მარჩენკო, კ. ონიანი, ზ. მაისურაძე, ი. არუთინოვი, დ. ჯაფარიძე, შ. რევიშვილი, ბ. ახოზაძე, მ. ცატუროვი, ვ. ბაბუნაშვილი, მ. გეგეჭკორი, ა. შახნაზაროვი, გ. გვანარია, გ. მელია, ნ. ხიმშიაშვილი, მ. ერისთავი, მ. გავა და სხვ. სამთო-ტექნიკურ

მომზადებას ხელმძღვანელობდნენ და ამავე დროს სამხედრო ნაწილებს წვრთნიდნენ ალპინისტი ოფიცრები: ა. გვალია, გ. სულაქველიძე, გ. რამიშვილი, კ. ასტახიშვილი, ვ. ლევაია, ა. ივანიშვილი, ვ. მოლოვიჩკო, დ. იაშვილი, ე. მასი, ვ. კოსმაჩევსკი, მ. ბურჯანაძე, ლ. ჯაფარიძე, ნ. მიქაბერიძე, ზედგენიძე, ბ. ტუროვსკი და სხვ. როგორც სამხედრო-ტექნიკური მომზადება-განხორციელებაში, ისე საბრძოლო ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებაში სარდლობას უშუალო დახმარებას უწევდნენ ალპინისტი ოფიცრები: დ. ფურცელაძე, ლ. მარუაშვილი, რ. ჩხეიძე, დ. წერეთელი, ი. მარი და სხვ.

სვანმა ალპინისტებმა შექმნეს პარტიზანული რაზმი, რომელიც ღირსეულად ასრულებდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის ფრიად საპასუხისმგებლო დავალებებს. ამ რაზმის შერბოლებმა გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა, გოჩა ზურებიანმა, მურზაყან ჯაფარიძემ და სხვებმა მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს.

ასევე მამაცად იბრძოდნენ მოხევე-ალპინისტები, განთქმული ქართველი გამძლოლი-ალპინისტის იაგორ კაზალიკაშვილის სამი ვაჟი — სტეფანე, ალექსი და ისიდორე, აგრეთვე გიგუშა და გოგი კირიკაშვილები, ო. კაზალიკაშვილი და სხვ.

ალპინისტის, პოლკოვნიკ ს. გელაშვილის ხელმძღვანელობით კავკასიის უძნელეს უღელტეხილებზე ჩატარებულმა მუშაობამ უზრუნველყო ამიერკავკასიის ფრონტი ზუსტი კარტოგრაფიული მასალებით. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი ალიოშა ჯაფარიძე, სპორტის ოსტატი დ. წერეთელი, ლეიტენანტი ლ. მარუაშვილი, კ. ონიანი, შ. შხვაცაშია, ო. გიგინეიშვილი, ლ. სუჯიშვილი და სხვ.

ცნობილი ქართველი ალპინისტი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე ასრულებდა სპეციალურ დავალებებს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურის დარგში, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა ორდენით. თავგანწირული შრომის ნიმუში უჩვენეს აგრეთვე ყაზბეგის მაღალმთიანი სადგურის მუშაკებმა.

ქართველი ალპინისტები და მათ მიერ აღზრდილი კადრები მამაცურად იბრძოდნენ შემდეგში კარპატების მთებსა და ნორვეგიაში.

დიდი სამამულო ომის წლებში თავიანთი გმირული მოქმედებით სახელი გაითქვა საქართველოს ბევრმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა. მათ შორის უნდა დავასახელოთ: სოხუმის სპორტული სკოლის მოკრივე ავთანდილ კილურაძე, მოჭიდავე ნატროშვილი, ახალგაზრდა თბილისელი სპორტსმენი, მფრინავი მიხეილ მაჩაბელი, რომელიც შიშის ზარს სცემდა გერმანელ-ფაშისტ მფრინავეებს და სხვ.

სანიმუშო ვაჟაკობა გამოიჩინა გერმანელ დამპყრობლებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ფეხბურთელმა გრიგოლ ჟღენტმა. მისმა ბატალიონმა ღამით ყველაზე პირველმა მოახერხა დნეპრის გადალახვა და მის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა. ორიოლთან ბრძოლაში თავი ისახელა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა მიხეილ ბარბაქაძემ. ასევე სახელმწიფო კახა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი-არტილერიისტი ვლადიმერ ბარნაბიშვილი. სამამულო ომის ფრონტებზე მედგრად იბრძოდნენ აგრეთვე ქართველი სპორტსმენები ვლ. სამსონაძე, ნ. ჯორჯიკია, შ. სვანიძე, ა. ქოიავა, შ. ელიაშვილი, მ. მაისურაძე და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის ვახტანგ ლეკავასა და თბილისის სპორტული სკოლის ყოფილი მოსწავლის თენგიზ ჯათარაძის განსაკუთრებული მამაცობა აღინიშნა მათთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებით. საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა აგრეთვე თბილისელ ტანმოვარჯიშეს, არქიტექტორ ირაკლი ციციშვილს, რომელმაც თავი გამოიჩინა მდინარე დნეპრზე გადასვლის დროს ხიდების აგებაში.

ასოცი საბჭოთა კავშირის გმირი მისცა სამშობლოს ქართველმა ხალხმა. მათ რიგებში არა ერთი სპორტსმენია: ცნობილი პარტიზანი, მოჭიდავე დავით ბაქრაძე, გულადი მოჭირთე მელიტონ ჭანთარია, რომელმაც დიდი რუსი ხალხის შვილთან მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა ბერლინში რაიხსტაგის შენობაზე, ტანმოვარჯიშე ი. ციციშვილი, ფეხბურთელი წიქარიძე, მოჭიდავე და ფეხბურთელი ნ. ურუშა-

ძე, მოკიდავე ს. გალუსტაშვილი, ძალოსანი ბალაშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ვ. ლეჟავა, თბილისის სპორტული სკოლის ყოფილი მოსწავლე თ. ჭათარაძე, გუდაუთის რაიონის ფიზკულტურელი ვ. ხარაზია, ფიზკულტურელი აქტივისტები: მფრინაი გ. მერკვილაძე, ლ. ჩუბინიძე და სხვ.

საქართველოს ფიზკულტურელთა მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლაში

ასი ათასობით საბჭოთა პატრიოტი აღსდგა ჰიტლერულ ავაზაკებთან საბრძოლველად. ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობა ტყეებში გაიხიზნა,

ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმები, რომლებიც გამორულ ბრძოლას აწარმოებდნენ ჰიტლერული ბანდიტების წინააღმდეგ.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პარტიზანულ მოძრაობაში საქართველოს ფიზკულტურელებიც. ქართველი ხალხისათვის კარგად ცნობილია პარტიზან დავით ბაქრაძის სახელი.

გამოჩენილი სახალხო შურისმძიებელი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი ს. ა. კოვაკი, რომლის დივიზიაშიც იმყოფებოდა ამხ. დ. ბაქრაძე, მოგვითხრობს: „დავით ილიას ძე ბაქრაძე, წარსულში ინჟინერ-მშენებელი, ჩვენ რაზმში მივიღეთ სტარაია-გუტაში, სადაც იგი გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოიქცა. ჩვენს მებრძოლებს მოსვლისთანავე შეუყვარდათ იგი. ყველასათვის მეტად სასიამოვნო იყო, რომ ჩვენ, სახალხო შურისმძიებლებს: უკრაინელებს, ბელორუსებს, რუსებს, შეგვემატა ქართველი ერის მამაცი წარმომადგენელი. დავით ილიას ძე მოგვეწონა იმიტაც, რომ იგი ნამდვილი გოლიათური ძალ-ღონის მქონე იყო. მის მოსვლამდე პარტიზანთა შორის ყველაზე უძლეველად გლუხოვცების მეთაური კულბაკა ითვლებოდა. ბაქრაძემ საჭიდაოდ გამოიწვია კულბაკა; სწრაფად, ცალი ხელით სძლია და ბეჭებზე დასდო ის... დავით ილიას ძე კიდევ უფრო შეუყვარდათ პარტიზანებს, როცა უფრო ახლო გაიცნეს. გოლიათურ სხეულში გოლიათური სული ბუდობდა. საბრძოლო დავალება მისთვის წმიდათა წმიდა იყო. ბრძანების შესრულებაში მისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა“.

უკრაინის 1-ლი პარტიზანული პოლკის უფროსმა დავით ბაქრაძემ ბრძოლით გაიარა 21 000 კილომეტრი და მონაწილეობა მიიღო 168 ბრძოლაში. მისმა პოლკმა 5 000-ზე მეტი ჰიტლერელი გაელიტა, 557 ტყვედ წამოიყვანა, გაანადგურა 67 ტანკი, 19 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, მოსპო მოწინააღმდეგის 9 ეშელონი სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალით. ხელთ ჩაიგდო 8 ეშელონი (ამათგან სამი ტანკებით დატვირთული), 2 500 ავტომატი, 48 დაზვის ტყვიამფრქვევი, 300-ზე მეტი ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

გულადი მეთაური დ. ბაქრაძე მრავალჯერ იქნა დაჭილდოებული ორდენებითა და მედლებით. მას საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ქართველი-პარტიზანი კომკავშირლების სახელოვანი გმირობის შესახებ დ. ბაქრაძემ ბევრი საინტერესო რამ მოუთხრო საქართველოს კომკავშირის მე-14 ყრილობას. კომკავშირლები ყველგან და ყოველთვის მოწინავეობას იჩენდნენ. ისინი თავგამოდებით ებრძოდნენ გერმანელ დამპყრობლებს, ანადგურებდნენ მტრის ზურგის საწარმოებს, არღვევდნენ გერმანელთა კომუნიკაციებს, აფეთქებდნენ ხიდებსა და სხვ.

ყველაზე უფრო რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს გენერალი კოვპაკი ახალგაზრდა ქართველ პარტიზანებს ანდობდა.

„თქვენ კავკასიიდან ხართ. იქ ვაჟკაცი ხალხი ცხოვრობს. მე ბევრი რამ გამიგონია ქართველი ხალხის გმირობაზე“, — ხშირად ამბობდა კოვპაკი.

მამაცად იბრძოდნენ ქართველი პარტიზანები უკრაინასა და ბელორუსიაში. მათ სისხლით შეადუღეს ჩვენი ხალხთა მეგობრობა...

„სამამულო ომმა ნათლად დაგვანახვა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურად ძლიერი თაობის აღზრდას სამშობლოს ღირსეულ დამცველთა მომზადებისათვის. ამ საქმეში ფიზიკურ კულტურასა და სპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მე მტრის ზურგში ორ წელზე მეტს ვცხოვრობდი და ვომობდი ტყვეებსა და ქაობებში და ჩემმა ჯანმრთელობამ არც ერთხელ არ „მიღა-

ლატა“ და არ გამოიყვანა წყობილებიდან, ეს მხოლოდ სპორტის წყალობით, რომელსაც ბავშვებიდან ვეტანებოდი“.

ბელორუსიაში მოქმედ სახელოვან ქართველ პარტიზანთა შორის იმყოფებოდა მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი იოსელიანი.

გერმანელ ფაშისტებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დ. იოსელიანი მძიმედ დაიჭრა და მტრის ზურგში აღმოჩნდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გერმანელებისაგან ფარულად უმკურნალეს დ. იოსელიანს. განკურნების შემდეგ დიმიტრიმ პარტიზანებს მიაშურა. ბელორუსიის ტყეებსა და ჰაობებში დ. იოსელიანი ორ წელიწადნახევარს თავგამოდებით იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ყოველი რთული და საპასუხისმგებლო ოპერაციების დროს იგი პირველ რიგებში იმყოფებოდა. სტალინის სახელობის პარტიზანულ რაზმში დ. იოსელიანმა ისეთი ნდობა და ავტორიტეტი დაიმსახურა, რომ პარტიზანმა კომუნისტებმა იგი რაზმის პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. მტრის ზურგში თავდადებული ბრძოლისათვის ა. მ. დ. იოსელიანი მთავრობის მიერ დაჯილდოებული იქნა ორდენითა და მედლებით.

**სპორტული მუშაობა  
დიდი სამამულო ომის  
პერიოდში**

დიდი სამამულო ომის პერიოდში სპორტული მუშაობა საქართველოში როდი შეწყვეტილა. საქართველოს სს რესპუბლიკის სახ-

კომსაბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1943 წლის ივლისში გამოიტანეს დადგენილება საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაძლიერების შესახებ. დადგენილებამ სათანადო ღონისძიებანი დასახა. ეს ღონისძიებები კონკრეტულად ეხებოდა:

1) ფიზკულტურის კოლექტივების ორგანიზაციულ განმტკიცებას, 2) ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაძლიერებასა და 3) „მშთ“ კომპლექსსა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში (სათხილამურო სპორტი, ცურვა, ფარიკაობა, ალპინიზმი და სხვა) სახელმწიფოებრივ დავალებათა შესრულებას და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა ომის დაწყებიდანვე

ფრონტზე წავიდა, ზურგში დარჩენილი სპორტის ოსტატები, თანრიგოსნები და რიგითი სპორტსმენები საყოველთაო-სამხედრო სწავლების ხაზით საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მზადებასთან ერთად იბრძოდნენ ახალი სპორტული მიღწევებისათვის და იმაღლებდნენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას.

სამამულო ომის პერიოდში სისტემატურად იმართებოდა სპორტული შეხვედრები და შეჯიბრებები. მართალია, მათი რაოდენობა ომის პირველ წლებში შემცირდა, მაგრამ შემდეგში ამ შეხვედრებმა თუ შეჯიბრებებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

თუ 1944 წლამდე რესპუბლიკური შეჯიბრებები მხოლოდ ზოგიერთ სახეობაში ტარდებოდა, 1944 წელს შეჯიბრებები ჩატარდა ცურვაში, სათხილამურო სპორტში, ხელჩართულ ბრძოლაში. ფარიკაობაში, ტანვარჯიშში, კრივში, კლასიკურ ჭიდაობაში. სიმძიმეების აწევაში, ველო-სპორტში, კალათბურთში, ფეხბურთში, ცხენოსნური სპორტის ხალხურ სახეობებში, ქართულ ჭიდაობასა და ჭადრაკში.

1945 წელს, გარდა ხსენებული სახეობებისა, შეჯიბრება ჩატარდა აგრეთვე თავისუფალ ჭიდაობასა და ლელოში.

საბჭოთა კავშირის 1945 წლის ჩემპიონის წოდება კრივში თბილისის მოკრივეებმა მოიპოვეს, ხოლო საქართველოს სპორტულ საზოგადოება „სპარტაკის“ მოკრივეთა გუნდებმა კვლავ დაიმსახურა საზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო ჩემპიონის წოდება. კალათბურთში საკავშირო პირველობის გათამაშებაში ჩემპიონის წოდება თბილისის წითელი არმიის საზღლის გუნდს ხვდა წილად, ხოლო ქუთაისის „დინამოს“ გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა.

ხსენებულ პერიოდში კარგ შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა: ნ. დუმბაძემ, ე. გოკიელმა, გ. ათანელაშვილმა, ა. გორჯაძემ, ნ. თაყაიშვილმა, რ. ზაალიშვილმა, მ. კასიანიკმა, მ. ჟღენტმა, შ. ჩიხლაძემ, ა. მაჩკალიანმა, ა. მეკოკიშვილმა, დ. ციმაკურიძემ, ვ. ილურიძემ, ვ. კუხიანიძემ, გ. ვაძელაშვილმა, გ. ხანუკაშვილმა. შ. გორგასლიძემ, ბ. მელაძემ, ვ. ვართანოვმა, შ. დვალმა,

ლ. ღუდუშაურმა, ა. ნავასარდიცმა, ა. გუნიამ, ლ. ფანჯაკიძემ, გ. მიჭაბერიძემ და სხვ.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ჩვენი ქვეყნის ადამიანთა ძალების გაერთიანება და მათი საერთო მიზნისაკენ მიმართვა. სამამულო ომის წლებში კომუნისტური პარტია, რაზმავდა რა საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალებს მტრის გასანადგურებლად, განუწყვეტლივ აღვივებდა ჩვენს ხალხში სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულს და უნერგავდა მას გამარჯვებისადმი რწმენას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახელოვანი კომკავშირის როლი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებაში დიდი სამამულო ომის პერიოდში. ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი, დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული, საქართველოს კომკავშირის ასიათასამდე წევრი თავდადებით იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს კომკავშირმა სამშობლოს 30 საბჭოთა კავშირის გმირი მისცა.

მაგრამ ზურგში დარჩენილი კომკავშირლები გმირული შრომით აქტიურ დახმარებას უწევდნენ ფრონტს და თავისი მაგალითით რაზმავდნენ ახალგაზრდათა მასებს. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართო დახმარება აღმოუჩინეს აგრეთვე ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ბევრი კომკავშირელი აქტიურად მონაწილეობდა წითელი არმიისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმეში. გარდა ამისა, კომკავშირლებმა დიდი დახმარება გაუწიეს ფიზკულტურულ მოძრაობას სპორტული ბაზების აგებითა და ინვენტარის დამზადებით.

კომკავშირელ ფიზკულტურელთა ინიციატივით წარმოებებსა და კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა ფიზკულტურული ბრიგადები, საქართველოს კომკავშირლები ინიციატორები იყვნენ ე. წ. „ფიზკულტურული ჰექტარებისა“, რომელთა მოსავალი მთლიანად სამამულო ომის ფრონტებზე გაწვეულთა ოჯახებს ხმარდებოდა.



დიდი სამამულო ომი წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების გამოცდასა და შემოწმებას, საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური და მორალური აღზრდის დარგში ჩატარებული მუშაობის მკაცრ გამოცდას, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა მოქმე რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა (მათ შორის საქართველოს ორგანიზაციებმაც) წარმატებით ჩააბარეს.

სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხალხმა კვლავ განაგრძო მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. ახორციელებდა რა კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებით მოკლე ვადაში ახალი თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

#### **§ 4. ფიზიკური კულტურა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პერიოდში (1946—1958 წწ.)**

დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი ენერგიულად შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას და სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ მისი გადაჭარბება. კომუნისტურმა პარტიამ ნათლად დასაბა სახალხო მეურნეობის აღორძინების უდიდესი პერსპექტივები და განსაზღვრა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მუშაობის გეგმა უახლოესი ხუთი წლის მანძილზე.

საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მეოთხე ხუთწლედ იქნა შესრულებული (ოთხ წელსა და სამ თვეში).

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა გადაწყვეტაში მეტად მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ფიზიკურ კულტურას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მასობრივ-ფიზკულტურული

მუშაობის დონემ გადააჭარბა ომამდელ მდგომარეობას. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში განსაზღვრული იყო საბჭოთა კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები. კანონი მოითხოვდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, ფიზკულტურულ ნაგებობათა ქსელის აღდგენასა და გაფართოებას, ახალი სტადიონების, მოედნების, სპორტ-დარბაზებისა და სხვა სპორტული ბაზების აგებას, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის დამზადების გაფართოებას და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, საბჭოთა მთავრობამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაზე. მართო ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიერ ზედღედ სამი დადგენილება იქნა მიღებული (1945 წლის 28 აგვისტოს, 1946 წლის 27 ივლისს, 1946 წლის 13 აგვისტოს). ამ დადგენილებათა საფუძველზე ფართოდ გაიშალა მუშაობა და დღეს საქართველოს რესპუბლიკას დიდი მიღწევები აქვს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის დარგში.

ომის შემდგომ პერიოდში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მთავრობის სათანადო დადგენილებებმა (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 სექტემბრის დადგენილება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 ივლისის დადგენილება).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 სექტემბრის დადგენილების მიხედვით ფიზიკური კულტურის საკავშირო კომიტეტს ეკისრებოდა ხელმძღვანელი კადრების მომზადება, სპორტული სკოლების ქსელის გაფართოება, ყოველწლიური საწვრთნელი შეკრებების ჩატარება სპორტის წამყვან სახეობებში. ამავე დადგენილებით ფიზკულტურის საკავშირო დარესპუბლიკურ კომიტეტებში შემოღებულ იქნა სახელმწიფო მწვრთნელების თანამდებობა სპორტის ძირითად სახეობებში. შემოღებულ იქნა მკერდზე სატარებელი ნიშნები სპორტის

ოსტატებისათვის, აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე თან-რიგის სპორტსმენთათვის და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 ივლისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ჯილდოები (მედალები და ნიშნები) ბრწყინვალე სპორტული მიღწევებისათვის. ამ დადგენილებამ დიდად შეუწყო ხელი სპორტულ მიღწევათა შემდგომ აღმავლობას.

ზემოაღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებამ ჩვენს რესპუბლიკაში რამდენადმე გააუმჯობესა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მოღვაწეობა, ხელი შეუწყო მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას, ფიზკულტურის კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და სხვ.

1948 წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში მიღწეულ იქნა ფიზკულტურელთა რაოდენობის ომამდელი დონე, ხოლო ტექნიკური მიღწევების მხრივ გადაჭარბებულ იქნა ომამდელი მაჩვენებლები. მაგრამ ფიზკულტურული მოძრაობისათვის შექმნილ ხელსაყრელ პირობებში არსებული მიღწევები ვერ აკმაყოფილებენ რესპუბლიკის მზარდ მოთხოვნილებებს. საჭირო იყო ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში აღმზრდელობითი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესება, საჭირო იყო ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა კადრების წამოწევა და მათი მზადება. ამავე დროს არადააკმაყოფილებლად იყო დაყენებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა.

ეს ნაკლოვანებანი დამახასიათებელი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ფიზკულტურული მოძრაობისათვის.

სწორედ ამ ნაკლოვანებებზე მიუთითებდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ. ხსენებულ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურულ მოძრაობაში მასობრიობის შემდგომი ზრდისა და საბჭოთა სპორტსმენების სპორტული ოსტატობის ამაღლების საქმეში.

ფიზკულტურულ მუშაობაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთავარ ამოცანად დასახა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარება. სპორტული ოსტატობის ამაღლება და ამის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის წამყვან სახეობებში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სოფლისა და ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის. ამავე დადგენილებამ დააკისრა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სისტემატური დახმარება გაეწიათ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისათვის თავიანთ საქმიანობაში.

დადგენილება ავალებდა ფიზიკური კულტურის საკავშირო კომიტეტს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და საკავშირო რესპუბლიკების კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტებს ზომები მიეღოთ სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მისაღწევად, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განწყობებისათვის და ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ სპორტის ხალხური სახეობების განვითარებისათვის.

დადგენილება შეეხო აგრეთვე ფიზკულტურის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და მოითხოვდა უფრო კაეძლიერებინათ ფიზიკური აღზრდის თეორიის, მეთოდისა და სპორტის ტექნიკის საკითხების მეცნიერული დამუშავება.

ზემოხსენებულმა დადგენილებამ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დადგენილების საფუძველზე ჩვენს რესპუბლიკაში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ

დასახული ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1949 წლის მარტში გამოიტანა დადგენილება, რომელიც მიპართული იყო ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაძლიერებისა და განმტკიცებისაკენ.

პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა და სპორტულმა საზოგადოებებმა, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და სასწავლებლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ჩაატარეს კრებები, პლენუმები და აქტივისტთა შეკრებები ფიზკულტურული მოძრაობის კონკრეტული ამოცანების განსახილველად პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის დადგენილების საფუძველზე. მათ იმსჯელეს თავიანთ შესაძლებლობებზე და იკისრეს ახალი, კიდევ უფრო გაზრდილი ვალდებულებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შედეგად საქართველოს სს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა 1950 წლის დამლევისათვის. საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი, გადაჭარბებით იქნა შესრულებული „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის ნორმების ჩაბარება. I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა შესრულდა 114,3 პროცენტით, ხოლო II საფეხურისა—115,1 პროცენტით. „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა შესრულებულ იქნა 111,0 პროცენტით. გადაჭარბებით იქნა შესრულებული აგრეთვე თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

**ფიზიკური კულტურა  
და სპორტი საქართვე-  
ლოს პროფკავშირებში**

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების განხორციელების პროცესში საქართველოს პროფკავშირებმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს. გამრავლდა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებისა და მათში მომეცადინე ფიზკულტურელთა რაოდენობა.

პროფკავშირებში ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლის სურათს იძლევა შემდეგი ციფრები:

	ირიცხებოდა		
	1949 წ. დასაწყისათვის	1957 წ. დასაწყისათვის	1958 წ. დასაწყისათვის
1. ფიზკულტურის კოლექტივი	519	1.160	1.264
2. ფიზკულტურელი	36.685	106.546	117.400

ამასთან ერთად იზრდებოდა „მშთ“ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა რიცხვი.

პროფკავშირთა ფიზკულტურის კოლექტივები განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, გაძლიერდა მათი მასობრივი მუშაობა. სპორტულ სექციებში ახლად იქნა ჩაბმული მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა. ამაღლდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი და ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობა.

სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა ახალი კადრები. საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში ირიცხებოდა:

	1956 წ.	1959 წ.   I/I
სპორტის ოსტატი	126	308
I თანრიგის სპორტსმენი	1.543	1.921
II თანრიგის სპორტსმენი	4.754	6.916
III თანრიგის სპორტსმენი	15.922	18.735

პროფკავშირების ყველაზე უფრო მსხვილ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას რესპუბლიკაში წარმოადგენს „ბურევესტნიკი“ („ქარიშხალა“), რომელშიც 1957 წ. 1-ლი იანვრისათვის ითვლებოდა 56.172 ფიზკულტურელი. მსხვილ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას წარმოადგენს აგრეთვე „ლოკომოტივიც“.

1957 და 1958 წლებში საქართველოს ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებები, მონაწილეობდნენ რა თავიანთ ცენტრალური საბჭოების პირველობაზე შეჯიბრებებში, სპორტის მთელ რიგ სახეობებში საპრიზო ადგილები დაიკავეს. ასე, მაგალითად, საზოგადოება „ბურევესტნიკის“ გუნდებმა ცენტ-

რალური საბჭოს პირველობაზე 1957 წელს პირველი ადგილი დაიკავა სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობასა (ქალები) და ავტოსპორტში, ხოლო ჩოგბურთში—მეორე ადგილი. „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს საბჭოთა კავშირის პირველობებში რიგი საპრიზო ადგილები აქვთ დაკავებული სპორტის სხვადასხვა სახეობებში. 1957 წელს რიგ საერთაშორისო შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა. ვ. ბალავაძემ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, რ. აბაშიძემ და ა. ქორიძემ ახალგაზრდათა მსოფლიო მე-7 საერთაშორისო თამაშობების ჩემპიონობა დაიმსახურეს, ხოლო ზ. მჭედლიძე მეორე ადგილზე გამოვიდა (თავისუფალ ჭიდაობაში). ამავე თამაშობებზე მოფარიკავეებმა რ. ცირეკიძემ, გ. გოგელიამ და ი. ოსიპოვმა მეორე ადგილი დაისაკუთრეს. 1957 წელს „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები შეხვედრენ თურქეთის გუნდს „გალათ სარაის“ და მოიგეს თამაში ანგარიშით 64:42.

საზოგადოება „განთიადის“ მოკრივეებმა გ. დარბაისელმა და რ. გრიგორიანმა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს 1958 წლის საქართველოს პირად პირველობაში. ამავე წელს პირად-გუნდურ პირველობაში რესპუბლიკის ჩემპიონი სამბოში გახდა გ. სულაშვილი. საბჭოთა კავშირის ზონალურ პირველობაში საქართველოს მოკრივეებმა ნ. დარბაისელმა და ამაშუკელმა მეორე ადგილები დაისაკუთრეს. ახალგაზრდათა საკავშირო პირველობაში „განთიადის“ სპორტსმენმა კონრეიძემ ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სიმძიმეების აწევაში საქართველოს პირველობაზე ვ. რადიმაშვილი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა, მანვე ახალგაზრდათა საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა და ა. შ.

საზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრები ლ. ანთაძე, პისკარიოვი და სხვ. შედიან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. 1958 წელს ლ. ანთაძე მონაწილეობდა ბრიუსელში ჩატარებულ რკინიგზელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში და 100 მ რბენაში ჩემპიონობა მოიპოვა. მანვე მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სხვა სპორტსმენებთან ერთად ამანატრბენში 4×100 მ. ამ შეჯიბრებებში ლ. ანთაძემ ორი ოქროს მედალი დაიმსახურა. საერთაშორისო შეხვედრებში

მოცურავე პისკარიოვიც მონაწილეობდა. საზოგადოება „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონებია ლ. ანთაძე, გიგაური, თოფჩიშვილი, პისკარიოვი, ასათიანი, ავგალიანი და სხვ.

საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებებს ცოტა როდი ჰყავთ ფიზკულტურის მოწინავე კოლექტივები—საზოგადოება „განთიადის“ საუკეთესო კოლექტივად ითვლება თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებულია 1 560-ზე მეტი ფიზკულტურელი. ამ კოლექტივში 18 სპორტული სექცია მუშაობს. „მშთ“-ს და თანრიგოსანთა გეგმა ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება. აქ ირიცხება 12 სპორტის ოსტატი და მრავალი თანრიგოსანი. 1958 წ. სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი საკავშირო თასს დაეუფლა ძირეულ კოლექტივთა შორის შეჯიბრებაში.

საზოგადოება „განთიადის“ საუკეთესო კოლექტივთა რიცხვს შეიძლება მივაკეთვნოთ აგრეთვე თბილისის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, დიმიტროვის სახელობის ქარხანა, საქსოვ-სატრიკოტაჟო კომბინატი, თბილისის მაუდის კომბინატი. მაგრამ ფიზკულტურის მოწინავე კოლექტივების სია ამით როდი ამოიწურება. საზოგადოებას ბევრი სხვა მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივიც ჰყავს, როგორცაა, მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ი. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივები და სხვ.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საუკეთესო კოლექტივებია საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივები და სხვ.

საზოგადოება „ლოკომოტივისაც“ მთელი რიგი მოწინავე კოლექტივი ჰყავს—სამტრედიის სავაგონო დეპოს, თბილისისა და ხაშურის საელმავლო დეპოების, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივები.

საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ბევრი მოწინავე ფიზკულტურელი და სპორტსმენი ამჟამად



ღმრის წარმოების საუკეთესო მუშაკები არიან და შრომაშიც კარგ შედეგებს აღწევენ.

ფიზიკური კულტურა  
სოფლად

სოციალისტური სოფლის მე-  
ურნეობის მძაფრმა ზრდამ განა-  
მტკიცა საკოლმეურნეო წყობის

ეკონომიური საფუძვლები და გამოიწვია საკოლმეურნეო გლე-  
ხობის დოვლათის ამღობება, რამაც სოფლად შექმნა ხელ-  
საყრელი პირობები სოციალისტური კულტურის აყვავებისა  
და მასთან ერთად ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის  
შემდგომი განვითარებისათვის.

მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა, სოფლად ფიზკულტუ-  
რული მუშაობა თვითმოქმედი ფიზკულტურული მოძრაობის  
ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური  
კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებამ სოფლად  
ფიზკულტურული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. ამ  
დადგენილების საფუძველზე ფიზიკური კულტურისა და სპორ-  
ტის საქმეთა კომიტეტებმა; კომკავშირის ორგანიზაციებმა,  
კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა პარტიული ორგა-  
ნიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით დიდი მუშაობა  
ჩაატარეს სოფლის მოსახლეობის ფართო მასების ფიზკულტუ-  
რასა და სპორტში ჩაბმისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების  
განხორციელების მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკის ზო-  
გიერთმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ პირველად განა-  
ხორციელა ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების სოფ-  
ლის კოლექტივებზე შეფობა. ასე, მაგალითად, საქართველოს  
ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს შეფობა ჰქონდა  
აღებული გორის რაიონის სოფლების—კარალეთისა და მე-  
ჯვრისხევის —სპორტულ კოლექტივებზე. აღნიშნულ სოფლებ-  
ში ინსტიტუტმა მოაწყო სპეციალური სპორტული გამოსვლები  
ტანვარჯიშში, სიმძიმეების აწევაში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში,  
ჩაატარა ლექციები სპორტის აქტუალურ საკითხებზე და ა. შ.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“  
საბჭო პრაქტიკულ დახმარებას უწევდა სასწავლო-სპორტულ  
მუშაობაში სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა ფიზკულ-  
ტურულ კოლექტივებს. სპორტული საზოგადოების „მედიკის“

ნაბჭო ახორციელებდა შეფობას სოფელ წნორის კოლმეურნეობა „წითელ მეურნეზე“, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი—კასპის რაიონის კოლმეურნეობებზე, სპორტული საზოგადოება „პიშივეიკი“— თბილისის გარეუბნის კოლმეურნეობებზე და ა. შ.

ამჟამად საშეფო მუშაობას რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფიზკულტურულ კოლექტივებზე ახორციელებს მთელი რიგი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება. ასე, მაგალითად, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ შეფობა აქვს აღებული თელავის რაიონის კოლმეურნეობებზე, სადაც იგი აწყოებს სპორტულ გამოსვლებს, ლექციებსა და საუბრებს. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ შეფობას უწევს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობას, სადაც ადგილობრივ ფიზკულტურელთა შორის ჩატარებულ იქნა საუბრები და რჩევა-დარიგებანი. გარდა ამისა, „ლოკომოტივმა“ კოლმეურნეობას დახმარება გაუწია სპორტული ინვენტარის მიწოდებით.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკი“ წითელწყაროსა და გორის რაიონის კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების შეფია.

სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ შექმნამ. მთელი რიგი ღონისძიების განხორციელების საფუძველზე სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ თავისი საქმიანობა გაშალა სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

შესამჩნევად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი სოფლად. სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის პროცესში სოფლის ახალგაზრდობა იმალლებს სპორტულ ტექნიკას და სხვადასხვა შეჯიბრების დროს აბარებს „მშთ“ კომპლექსის ნორმებს. ფიზკულტურელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ნიშნოსანთა რიცხვიც.

1959 წლის 1-ლი იანვრისათვის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ აერთიანებდა 2 306 ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივს, რომელშიც 131 203 ფიზკულტურული ირიც-

ხებოდა. ამავე პერიოდისათვის საზოგადოება „კოლმეურნე-ში“ ითვლებოდა:

სპორტის ოსტატი .	16
I თანრიგის სპორტსმენი	473
II —„— —„—	1637
III —„— —„—	9122

რესპუბლიკის კოლმეურნე-ფიზკულტურელებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს. საქართველოს სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, სადაც ნაჩვენები იყო ჩვენი ქვეყნის წამყვანი კოლექტივების მიღწევები.

ამ ბოლო წლებში საზოგადოება „კოლმეურნეს“ სპორტსმენებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს კოლმეურნეთა საკავშირო შეჯიბრებებში ფეხბურთსა და სათხილამურო სპორტში. 1953 წელს საქართველოს „კოლმეურნეს“ ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდმა საკავშირო პირველობა მოიპოვა, ხოლო მოთხილამურეებმა სათხილამურო სპორტში მეორე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე გამოვიდნენ „კოლმეურნეს“ ფეხბურთელები 1954 და 1955 წლებშიც. 1956 წელს საზოგადოება „კოლმეურნემ“ საკავშირო პირველი ადგილი დაიკავა კლასიკურ ჭიდაობაში, ხოლო მეორე—სიმძიმეების აწევაში. საზოგადოება „კოლმეურნემ“ 1958 წელს პირველი ადგილი მოიპოვა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სოფლის ახალგაზრდობის სპარტაკიადაში. საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში „კოლმეურნეს“ მოთხილამურეებმა და ძალოსნებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო ცხენოსნობაში—მესამე. სოფლის სპორტსმენთა შორის საკავშირო ჩემპიონები გახდნენ: რ. დათიკაშვილი და ა. გრიგორიანი (ძალოსნობა); ზ. მონასელიძე, ა. მაისურაძე, ზ. მუხიაშვილი და ზ. ხარაიშვილი (თავისუფალ ჭიდაობაში) და სხვ.

სოფლად კიდევ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა სპორტის ეროვნულმა სახეებმა (ქართული ჭიდაობა, ლელო, საცხენოსნო სპორტი და სხვა). გაიზარდა სპორტის ამ სახეებში ჩაბმულთა რიცხვიც. სისტემატურად იმართება რაიონული, ზონა-

ლური და რესპუბლიკური შეჯიბრებები ქართულ კიდაობაში, საცხენოსნო სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ლელოში. ტრადიციული ხასიათი მიიღო რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ საცხენოსნო სპორტის სახეობებში საპატიო თასზე. ეს ღონისძიება, რომელიც ყოველწლიურად იმართება სოფლად მოსავლის აღების შემდეგ, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. მისი პროგრამა შეიცავს ისინდს, ყაბახს, ჭირითს, დოღს, მარულას, ჩეხვას, დაბრკოლებათა ზოღის გადაღახვას. გარდა ამისა, პროგრამაში ჩვეულებრივ შეაქვთ (როგორც საჩვენებელი ნაწილი) ხევისურული დოღი და ფარიკაობა. 1949 წლიდან შეჯიბრებათა პროგრამაში შეიტანეს ახლად აღდგენილი ძველებური ქართული თამაშობა — ცხენბურთი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სპორტის ეროვნული სახეების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სპორტის დამსახურებულ ოსტატებს: ი. კიზირიასა და გ. ჩიკვაიძეს, ი. თომაშვილს, დ. ადგიშვილს, მ. ხერხეულიძეს. კ. ნაჭყვიას, მ. ჭავჭავაძეს, ტ. ძიძიგურს, ა. დარასელიას, გ. ივანიძეს და სხვ.

სპორტის ეროვნულ სახეებთან ერთად სოფლად სულ უფრო და უფრო ვრცელდება სპორტის კლასიკური სახეებიც — მძლეოსნობა, ძაღოსნობა, კიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ცოტა როდია კოლმეურნეობათა მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივები. მათ რიცხვს ეკუთვნის: მახარაძის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის, დიდი ჭიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივები და სხვ.

დიდი ჭიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივში 550 სპორტსმენია. ეს კოლექტივი დაწყებული 1954 წლიდან განუწყვეტლივ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. იგი თანრიგოსანთა მომზადებას გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს. სტუდენტები ღებულობენ საზოგადოებრივი მწვრთნელის წოდებას და შემდგომ

ტექნიკუმის დამთავრებისას და სამუშაოზე დანიშვნისას ასრულებენ ფიზკულტურის დარგში საზოგადოებრივი ინსტრუქტორის ან მწვრთნელის მოვალეობას.

ფიზიკური აღზრდა  
სკოლებში

ომის შემდგომ პერიოდში მთავრობის მიერ გამოქვეყნებულმა დადგენილებებმა ფიზიკური კულტურის შესახებ დიდად შეუწყო ხელი ბავშვთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის განმტკიცებასა და გაუმჯობესებას.

ამჟამად განათლების სამინისტროს სისტემაში ფიზიკური აღზრდა ტარდება ყველა ტიპის სკოლაში, სადაც სისტემატურად მეცადინეობს 670 000-ზე მეტი მოსწავლე. რესპუბლიკის სკოლებში ფართოდ გაიშალა კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა. 1958 წლის 1-ლი იანვრისათვის განათლებისა და გზათა სამინისტროს ხაზით საქართველოში 2 122 სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივი არსებობდა, რომლებშიც 165 911 მოსწავლე მეცადინეობდა, მათ შორის: სპორტის ოსტატია 20, I თანრიგის სპორტსმენი — 427, II თანრიგის — 1 934, III თანრიგის — 13 700 და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი — 14 000-ზე მეტი.

საქართველოში ბავშვთა მრავალი სპორტული სკოლაა, სადაც წარსულში აღიზარდნენ მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი სპორტსმენები: ოთარ ქორჭია, ნოდარ ჯორჯია, მზია ჯულელი, დავით ციმაკურიძე, ნადეჟდა დვალისვილი, ვასო ილუარიძე, ლევან სანაძე, გურამ მინაშვილი, მურზაყან გეგეშიძე, თორნიკე სანებლიძე და სხვ.

მრავალ სპორტულ ღონისძიებათა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ტრადიციულ სრულიად საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადას, რომელიც ყოველწლიურად სასწავლო წლის დამლევს იმართება.

ომის შემდგომ წლებში ამაღლდა მოსწავლეთა სპორტული ღონე. საქართველოს ნორჩ სპორტსმენებს არა ერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები საკავშირო შეჯიბრებებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე კალათბურთში, ფრენბურთში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, ფარიკაობასა და სპორტის სხვა სახეობებში. ასე, მაგალითად, თბილისის მოს-

წავლეთა კალათბურთელ გოგონების გუნდმა საკავშირო შეჯიბრებაში ზედიზედ 1950, 1951 და 1952 წლებში დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. 1952 წელს თბილისის მოსწავლე კალათბურთელ კაბუკთა გუნდმაც საკავშირო პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 1953 წელს — მეორე ადგილი. კაბუკებმა 1954 წელს მესამე, ხოლო 1955 წელს კვლავ მეორე ადგილი მოიპოვეს ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში. მოსწავლეთა მეოთხე საკავშირო სპარტაკიადაზე გოგონათა გუნდმა კვლავ პირველი ადგილი მოიპოვა.

წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ნორჩმა ფეხბურთელებმაც. მათ 1950 და 1951 წლებში საბჭოთა კავშირის გარდაღმალი თასი მოიპოვეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

იმის შემდეგ, რაც რესპუბლიკის ნორჩმა ფეხბურთელებმა ზედიზედ 1952 და 1953 წლებში საკავშირო მესამე ადგილი დაიკავეს, 1954 წელს გააუმჯობესეს თავისი მდგომარეობა და საკავშირო მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მეორე საკავშირო ადგილი დაიკავეს საქართველოს ნორჩმა ფეხბურთელებმა 1955 წელსაც, ხოლო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე 1957 წელს — მესამე ადგილი.

წარმატება მოიპოვეს ნორჩმა მოფარიკავეებმაც. 1951 წელს საკავშირო მეორე ადგილი დაიკავეს.

1952 წელს ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეები მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობის გათამაშებაში კვლავ მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

1953 წელს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მოფარიკავეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. საქართველოს გუნდის მთელი შემადგენლობა ფინალში გავიდა და საკავშირო პირველი ადგილი დაისაკუთრა. პირად ჩათვლაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია გუნდის წევრმა ჯ. მაჭავარიანმა, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა ესპანურადონში. ქალთა შორის კი რაპირაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ი. ესაიაშვილი.

1954 წელსაც საქართველოს ნორჩმა მოფარიკავეებმა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს და კვლავ პირველი ადგილი დაიკავეს.

უფროსი ასაკის გოგონებს შორის რაპირაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ა. კუხიაშვილი. ხოლო ჰაბუკთა შორის ფარიკაობის ამ სახეში პირველ ადგილზე გამოვიდა ი. ოსიპოვი. 1955 წელს ჩვენი ახალგაზრდა მოთაერიკავეები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

1951 წელს საქართველოს ბიჭებისა და გოგონების გუნდმა ჩოგბურთში საკავშირო მეორე ადგილი დაიკავა; 1953 წელს ნორჩ ჩოგბურთელებმა მესამე, ხოლო 1954 წელს კვლავ მეორე ადგილი მოიპოვეს.

1950 წელს კლასიკურ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონის წოდება მოზარდთა შორის წილად ხვდა მოსწავლეებს გ. ჩიტიაშვილსა (ქვემსუბუქ წონაში) და გ. მესხს (საშუალო წონაში).

დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ნორჩმა მოჭიდავეებმა 1953 წელს საკავშირო შეჯიბრებაზე კლასიკურ ჭიდაობაში ჰაბუკთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა და პირველი ადგილი მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის 1953 წლის ჩემპიონები გახდნენ დ. ჭოსაშვილი, ა. ქორიძე, ო. ვალიევი, თ. კიკნაძე. ხოლო რ. აბაშიძემ მეორე ადგილი დაიკავა.

ამავე წელს საქართველოს ჰაბუკ-მოჭიდავეებმა თავისუფალ ჭიდაობაში მეორე ადგილი მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ ხ. შაშუაშვილი და მ. ჯინქარაძე.

1954 წელს საქართველოს ნორჩმა მოჭიდავეებმა როკორც კლასიკურ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში მესამე ადგილები დაიკავეს.

1955 წელს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნორჩ მოჭიდავეთა კოლექტივმა კვლავ საკავშირო პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში — მეორე ადგილი.

რესპუბლიკის ნორჩი ტანმოვარჯიშეები 1952 და 1954 წლებში მესამე საკავშირო ადგილზე გამოვიდნენ, 1955 წელს — მეორეზე, ხოლო 1956, 1957 და 1958 წლებში მოსწავლეთა სრულიად საკავშირო III, IV და V სპარტაკიადებზე პირველ ადგილს დაეუფლენ. ამ უკანასკნელ შეჯიბრებებში თავი ისახელეს მოსწავლე-ტანმოვარჯიშეებმა ნ. მაკალათიამ, გ. გრო-

შოვემა, რ. შკრტიჩიანმა, შ. რევიშვილმა, დ. გელაშვილმა, მ. ნი-  
ნოშვილმა და სხვ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე საქართვე-  
ლოს ნორჩმა მძღეოსნებმაც. 1950 წელს ნადეჟდა ხნიკინამ და  
ნურზაყან გეგეშიძემ დიდი წარმატება მოიპოვეს. ნ. ხნიკინამ  
სამი, ხოლო მ. გეგეშიძემ ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა.  
1952 წელს მ. გეგეშიძემ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა  
200 მეტრზე რბენაში 17—18 წლის მოზარდთათვის (22,3  
წამი). 1953 წელს ნორჩმა მძღეოსანმა ლ. ანთაძემ 15—16  
წლის ჰაბუკათათვის 100 მეტრზე რბენაში ახალი საკავშირო  
რეკორდი დაამყარა. ლ. ანთაძემ ეს მანძილი 10,9 წამში დაფარა,  
ხოლო 1955 წელს მოსწავლეთა II სპარტაკიადაზე იგივე  
მანძილი მან 10,8 წამში გაირბინა. 1953 წელს ლ. სესაძემ ბა-  
დრო 43,07 მეტრზე ტყორცნა. 1956 წელს თბილისელმა მოს-  
წავლემ ვ. ვეცკევიჩმა საკავშირო პირველობა მოიპოვა ჰოკით  
ნტომაში (3,80 მეტრი).

1950 წელს მოსწავლეებმა გ. დარბაისელმა და ბ. არუთი-  
ნოვმა კრივში საკავშირო ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს.  
იმავე წელს მოსწავლეებმა ე. ჯიმშელიეშვილმა და ე. ქინქლაძემ  
ნალალი მიღწევები მოიპოვეს ველო-სპორტში. მოსწავლეთა  
საკავშირო სპარტაკიადაზე თბილისელმა მოსწავლემ გ. ატლა-  
ნოვამ გუნდურ ველომარულაში 20 კმ-ზე პირველობა მოიპო-  
ვა (გაიმეორა მოსწავლეთა სპარტაკიადებზე ნაჩვენები საუკე-  
თესო შედეგი). იმავე სპარტაკიადაზე კარგ შედეგს მიაღწია მო-  
სწავლე ლ. შენგელიამ.

აღსანიშნავია თბილისელი მოსწავლის ბორის ნიკიტინის  
ბრწყინვალე მიღწევები ცურვაში. 1956 წელს მოსწავლეთა  
III სპარტაკიადაზე დაამყარა რეკორდი 400 მეტრზე ცურვა-  
ში, იმავე წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი  
ც გახდა, ხოლო ოლიმპიურ თამაშობებზე იმავე მანძილზე  
საპრიზო ადგილი მოიპოვა.

საქართველოს მოზარდთა სპორტს მეტად კარგი ტრადი-  
ცია ახასიათებს. მოწინავე სპორტსმენებისათვის ფრიადზე-  
სწავლა ისეთივე საბრძოლო ამოცანაა, როგორც რეკორდის  
დამყარება. თითქმის ყველა რეკორდსმენი და ჩემპიონი თავის



დროზე კარგი მოსწავლეები იყვნენ. ოქროს მედალზე დაამთავრეს სკოლა სხვადასხვა დროს ლ. სანაძემ, ნ. დვალიშვილმა, გ. კოკაიამ, ლ. კოკაიამ, გ. მინაშვილმა, მ. ტოგონიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა და სხვ.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენებს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადზე, რომელიც 1958 წლის აგვისტოში ჩატარდა ქალაქ თბილისში. საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენებმა სპორტის მრავალ სახეობაში გაუსწრეს ყველა რესპუბლიკის სპორტსმენებს და საერთო პირველი ადგილი დაიკავეს.

მოსწავლეთა ზემოაღნიშნულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით მათ მწვრთნელებს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: თ. გეგელაშვილი, გ. ბაბახანიდი, ა. ფედოროვი, ი. თავდიდიშვილი, ნ. მახვილაძე, კ. გრომოვი, ნ. ბახუტაშვილი, პ. იორდანიშვილი, გ. ვარძელაშვილი, მ. კლდიაშვილი, ა. ხანგულიანი, ვ. ქარსელაძე, მ. კიკელიძე და სხვ.

**ფიზიკური კულტურა  
უმადლეს სასწავლებლებში**

ომის შემდგომ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზიკულტურული მუშაობა უმადლეს სასწავლებლებში.

1947 წელს აღდგენილ იქნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრები, ხოლო რესპუბლიკის მსხვილ უმადლეს სასწავლებლებთან (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი) გაიხსნა სპორტული კლუბები.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით ჯეროვანი ყურადღება მიექცა უმადლეს სასწავლებლებში კვალიფიციური სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფას. ამ მიზნით გადასინჯულ იქნა უმადლეს სასწავლებლებში მომუშავე მასწავლებელთა კადრები. 1951 წელს შემოღებულ იქნა ფიზიკური აღზრდის ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა I და II კურსის სტუდენტებისათვის სავალდებულო ფიზიკურ მომზადებას და, გარდა ამისა, სპორ-

ტულ დახელოვნებას ყველა კურსის სტუდენტებისათვის — ფაკულტეტურად. ამან ხელი შეუწყო როგორც აკადემიური მეცადინეობის ხარისხის ამაღლებას, ასევე კლასგარეშე სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას მომსახურებას უწევენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები „ბურევესტნიკი“ და „ლოკომოტივი“.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში არსებობს ფიზიკური კულტურის კოლექტივი, ხოლო (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში არსებობს სტუდენტთა სპორტული კლუბები. რომლებშიც 4 000-მდე წევრი ირიცხება. საერთოდ კი რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ნებაყოფლობითი სპორტული მოძრაობის ხაზით ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია 8 000-ზე მეტი სტუდენტი.

1958 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებოდა:

სპორტის ოსტატი	138
I თანრიგის სპორტსმენი	730
II თანრიგის სპორტსმენი	1 446
III თანრიგის სპორტსმენი	5 714

საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის ფიზიკულტურული მუშაობის კარგი დაყენებით გამოირჩევა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე კავშირო კატეგორიის მსაჯი მ. ცხვედაძე).

აქ აღიზარდნენ რესპუბლიკის ცენტრალური პროფსაბჭოსა და საბჭოთა კავშირის მრავალჯგზის ჩემპიონები: ტანვარჯიშში — სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ბაბილოძე, ნ. თაყაიშვილი და ლ. ყანჩაველი; სპორტის ოსტატები — დ. ახვლედიანი, გ. მამარდაშვილი, თ. ქოიავა, თ. სანებლიძე; მძლეოსნობაში — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე; კალათბურთში — სპორტის დამსახურებული ოსტატე-

ში ლ. ძეკონსკი და ს. ოგანეზოვი, სპორტის ოსტატები ო. ავალიშვილი (გმირულად დაიღუპა სამამულო ომში), თ. გეგელიშვილი, თ. ჩუბინიშვილი; ფრენბურთში — სპორტის ოსტატები ე. სენიუკი, ნ. შეველიოვა, ბ. გარიშვილი და სხვ. რესპუბლიკაში ცნობილია აგრეთვე ინსტიტუტში აღზრდილი ჩოგბურთელების ბ. კრუპენიკოვის, თ. ჩიმერინას, გ. გულიაშვილის (გმირულად დაიღუპა სამამულო ომში) სახელები.

ინსტიტუტის კედლებში მიიღეს სპორტული წრთობა კრივის ცნობილმა ოსტატებმა, სსრ კავშირის ექსჩემპიონებმა ლ. ლუდუშაურმა, აგრეთვე ბ. კვინიხიძემ, ზ. კანდელაკმა და სხვ.

ინსტიტუტში აღიზარდნენ ფენბურთის ბრწყინვალე ოსტატები ბ. პაიქაძე, ა. კიკნაძე, გ. ჭეჭელავა, აგრეთვე ა. ყალიჩავა, მ. მინაევი, ძმები სომოვები, გ. ჭორბენაძე და სხვ.; მოჯარიკავეები გ. ძოწენიძე, გ. მამაცაშვილი; მოთხილამურეები ე. კოსმაჩევსკი, ვ. მესხიშვილი, ვ. იმნაძე, ლ. გიორვაძე; მოტომარბიელი გ. ლევაჟა (სსრ კავშირის მრავალჯონ ჩემპიონი); მძლეოსნები შ. კილაძე, ა. ბუზოლდი, ე. არეფევა, მ. გეგეშიძე; შტანგისტები ვ. კალმახელიძე, ი. ქართველიშვილი და სხვ.

ინსტიტუტში აღიზარდნენ აგრეთვე საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკენი სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო ოსტატი ე. გოგლიძე, სპორტის ოსტატები ა. ებრალიძე და ბ. გურგენიძე, ოსტატობის კანდიდატები ა. ფალავანდიშვილი, ა. ფირცხალავა, ა. ცინცაძე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ჩატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს ინსტიტუტში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საგრძნობ გაუმჯობესებას.

1958 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს პოლიტიკნიკურ ინსტიტუტში ირიცხებოდა:

სპორტის ოსტატი	18
ჯანრიგის სპორტსმენი	178
„ — „ — „ — „	173

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბი 1800 სტუდენტს აერთიანებს. კლუბის წევრები მრავალ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ და პირველი ადგილებიც უჭირავთ სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

1956 წელს ინსტიტუტის ფრენბურთისა და კალათბურთის ქალთა გუნდები საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სახელით; მონაწილეობდნენ საკავშირო პირველობის გათამაშებაში — „ა“ კლასში.

სპორტულ საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ვაჟთა კალათბურთის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ინსტიტუტის სტუდენტებიც შედიან, 1957 წელს „ა“ კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ინსტიტუტის კალათბურთელები გ. მინაშვილი, ა. ასიტაშვილი და ვ. გნიოტოვა შედიან საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში.

არა ერთხელ უსახელებიათ თავი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭიდავეებს. 1953 წელს ინსტიტუტის მოჭიდავეებმა: საზოგადოება „ნაუკას“ ცენტრალურ საბჭოს პირველობა მოიპოვეს თავისუფალ კიდაობაში. ჩემპიონები გახდნენ გ. როსტიაშვილი და ა. ნინუა, ხოლო კლასიკურ კიდაობაში პირველი ადგილი მოიპოვა გ. მესხმა.

1956 წელს პირველობა კლასიკურ კიდაობაში საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭიდავეთა კოლექტივმა. ინსტიტუტის უძლიერესი მოჭიდავეები კლასიკურ კიდაობაში — რ. აბაშიძე და ა. ქორიძე — საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ირიცხებიან. 1958 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი რ. აბაშიძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკავეებმა 1953 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პირველი ადგილი მოიპოვეს „ნაუკას“ ცენტრალურ საბჭოს პირველობაზე.

ინსტიტუტის მძლეოსნებმა გ. ლეჟავამ (ათჰიდში), ვ. შმაკოვმა (შუბის ტყორცნაში) და სხვ. 1953 წელს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი დაიმსახურეს. ინსტიტუტის კოლექტივ-

შეა სსრ კავშირის რეკორდსმენი, ცნობილი მორბენალი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან სანაძე, რომელსაც მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიუღია მონაწილეობა.

1957 წელს ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სპარტაკიადაზე ინსტიტუტის კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა.

1958 წელს სტუდენტთა IV საკავშირო სპარტაკიადაზე ინსტიტუტის გუნდებმა ჩოგბურთსა და კალათბურთში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში — მე-სამე. ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა კალათბურთელთა კოლექტივები მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის.

ინსტიტუტის სპორტსმენებს—მოჭიდავეებს რ. აბაშიძესა და ა. ქორიძეს, ჩოგბურთელს ი. რიაზანოვას, მოფარიკავეს ი. ოსიპოვს—არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მეორე მსხვილი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც აგრეთვე გამოირჩევა თავისი კარგი მუშაობით ფიზკულტურის დარგში, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

აქ 1959 წლის 1-ლი იანვრისათვის აკადემიურ მეცადინეობაში ჩაბმული იყო პირველ და მეორე კურსის 1 500-მდე სტუდენტი, ხოლო სპორტული სექცია აერთიანებდა 1 470 სტუდენტს.

1958 წლის 1-ლი იანვრისათვის უნივერსიტეტში ირიცხებოდა:

სპორტის ოსტატი	25
თანრიგოსანი სპორტსმენი	49

II —:— —:— 145

უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა.

რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივია უნივერსიტეტის სპორტული კლუბი, რომელსაც 1 470 წევრი ჰყავს. კლუბი მრავალ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას ატარებს; მათ შორის აღსანიშნავია უნივერსიტეტის ტრადიციული სპარტაკიადები, რომლებიც სისტემატურად ტარდება

სასწავლო წლის დამლევს. ამ დიდ ღონისძიებაში უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ათასზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს.

მეორე მსხვილ სპორტულ ღონისძიებას წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა ალპინადები, რომლებიც სისტემატურად იმართება. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის უნივერსიტეტის ალპიური სექცია ერთ-ერთი უდიდესი და მასთან ერთად წამყვანია რესპუბლიკაში.

უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წევრებს ღირსშესანიშნავი ადგილები უჭირავთ მთელ რიგ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში. ასე, მაგალითად, 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებმა და მაგიდის ჩოგბურთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პირველობაზე. პირველი ადგილი მოიპოვა აგრეთვე თბილისის ქალთა კალათბურთის გუნდმა საქართველოს პროფკავშირთა შეჯიბრებაში.

1956 წელს კარგი წარმატებები ჰქონდათ უნივერსიტეტის ალპინისტებსაც. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ასე, მაგალითად, პამირზე „მოსკოვის“ პიკის დაძლევაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ალპინისტები ხაზარაძე და კუხიანიძე; შხელდას ტრავერსში კი — მირიანაშვილი, ბერაძე, მახვილაძე, აბაშიძე, ბერძენიშვილი. ალპინიზმის დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა უნივერსიტეტის ალპიური სექციის ხელმძღვანელი დოცენტი ოთარ გიგინეიშვილი.

1957 წელს სტუდენტთა IV საკავშირო სპარტაკიადაზე უნივერსიტეტის სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს თავისუფალ ჭიდაობაში. ხოლო ფარეკაობაში — პირველი. ამავე წელს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ქალთა შორის უნივერსიტეტის კალათბურთელები პირველ ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო 1957 წლის ქალაქის პირველობაზე უმაღლეს სასწავლებელთა შორის უნივერსიტეტის გუნდებმა მეორე ადგილი მოიპოვეს ველოსპორტსა და მაგიდის ჩოგბურთში.

უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წევრია საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, XVI საერთაშორისო ოლიმპიურ

თამაშობათა პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ კიდაობაში ვ. ბალაეაძე, აგრეთვე „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ფარიკაობაში რ. ცირეკიძე. უნივერსიტეტის კოლექტივის რიგებში სხვადასხვა დროს ირიცხებოდნენ (ზოგნი ახლაც არიან): კალათბურთელები — დ. გოძიაშვილი, გ. რუხაძე, გ. აბაშიძე, ლ. ინწყირველი და სხვ.; მოკიდავეები — საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი შ. დაუშვილი, ს. მაისურაძე, გ. ჩიტიაშვილი, ო. კანდელაკი; ტანმოვარჯიშეები — ე. ციხითათრიშვილი, ც. მაჭარაშვილი, ო. ქორქია, ვ. კულუმბეგაშვილი, ლ. გელუკაშვილი, ა. ნარიმანოვი და სხვ.; ძალოსნები — ნ. ფერაძე, ტ. წერალოვი; მოფარიკავე — დ. ზენაიშვილი; მძლეოსნები — რ. ტრაპაიძე, ნ. ნებიერიძე, გ. ჩადუნელი და სხვ.

უნივერსიტეტის კოლექტივში აღიზარდნენ ცნობილი სპორტსმენები: კალათბურთელები — ნ. ჯორჯიკია, მ. კეკელიძე, გ. ავალიშვილი; შტანგისტები — კ. ზაუტაშვილი, მ. ბასილაძე, გ. კოსტავა, კ. ბადრიძე; მძლეოსნები — დ. იოსელიანი, ა. ქარცივაძე; ფრენბურთელები — კ. ლომინაძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. უნივერსიტეტში აღიზარდა აგრეთვე ცნობილი ალპინისტი ალიოშა ჯაფარიძე. აქვე აღიზარდნენ ს. ცაიშვილი, ჯ. მეტმარიაშვილი, ყანდარელი და სხვ.

**ფიზკულტურული კადრების მომზადება.**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ერთი ფიზკულტურული სასწავ-

ლებლები არ არსებობდა.

1921 წელს რესპუბლიკაში სულ 150-მდე ტანვარჯიშის მასწავლებელი და ინსტრუქტორი ითვლებოდა, ხოლო 1957 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობას მომსახურებას უწყევდა 3 531 ფიზკულტურის მუშაკი, რომელთაგან 1 900-მდე სპეციალური უმაღლესი განათლებითაა.

დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ კადრების მომზადებასა და ფიზკულტურულ კოლექტივებზე მათ მიმავრებას. მაგალითად, 1947 წელს მომზადებულ იქნა 841 კაცი, 1954.

წელს—7 448, ხოლო 1956 წელს—15 701. 1957 წელს მომზადებულ იქნა 3 897 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 2 610 მსაჯი. 1958 წლის 1-ლი იანვრისათვის რესპუბლიკაში ირიცხებოდა 11 059 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 8 653 მსაჯი.

უმალესი კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად რესპუბლიკაში არის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

**საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი**

თავის არსებობის მანძილზე ინსტიტუტის კოლექტივს დიდი წვლილი აქვს გაწეული მეცადინეობისათვის საქართველოს პირობების

შესაქმნელად და სასწავლო-სპორტული მუშაობის განსამტკიცებლად. მასწავლებელთა იმ პლეადას, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით ფიზკულტურის ინსტიტუტს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა, ეკუთვნიან სპორტის დამსახურებული ოსტატები: გ. ეგნატაშვილი, გ. მერკვილაძე, ა. ბაქრაძე, ა. წერეთელი, ლ. გოლოვნიკი, სპორტის გამოცდილი სპეციალისტები: გ. მეუნარგია, ვ. სამსონაძე, მ. თიკანაძე და სხვ.

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დარგში, ზემოხსენებულ მასწავლებლებთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვით ფიზკულტურის ფაკულტეტის დეკანს გ. მღებრიშვილს, ექიმ ვ. ჯაველიძესა და პროფესორ-მასწავლებლებს: აკად. ი. ბერიტაშვილს, პროფ. ა. ნათიშვილს, პროფ. რ. ნათაძეს და სხვ.

მთავრობის სპეციალური დადგენილებით 1938 წელს ფიზკულტურის ფაკულტეტი გადაკეთებულ იქნა ინსტიტუტად, რომელმაც თავისი არსებობის პირველ წლებში დიდი სიძნელენი გადალახა. ინსტიტუტის მუშაობის გაუმჯობესებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თ. სხირტლაძე, მ. გორგაძე, ლ. გოლოვნიკი, ვ. ჯაველიძე, გ. ეგნატაშვილი, ს. ნარიკაშვილი, ვ. კაკოიშვილი, გ. დოლიძე, გ. ბაბილოძე და სხვ.

დღეს ინსტიტუტი შედგება სტაციონარისა და დაუსწრებელი განყოფილებისაგან, აქვეა ასპირანტურა, რომელიც ამზადებს ბიოლოგიური და პედაგოგიური პროფილის სპეციალის-



ტებს. ინსტიტუტთან არსებობს აგრეთვე მწვრთნელთა სკოლა. ინსტიტუტს ერთ-ერთი საუკეთესო შენობა და ბაზა აქვს საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის. ინსტიტუტს აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტები, ლაბორატორიები და სასპორტო დარბაზები. ინსტიტუტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით. ინსტიტუტში მუშაობს ოთხი პროფესორი. მეცნიერებათა დოქტორი ს. ნარიკაშვილი, გ. თვალაძე, ვ. ნორაკიძე, ი. ნანავა; 18 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი დ. ჩიკვაიძე; ლ. გოლოვნიკი, მ. გორგაძე, დ. იოსელიანი, შ. კალანდარიშვილი, ი. ალიხანოვი, გ. ნიკოლაიშვილი და სხვ. ინსტიტუტის მასწავლებელთა შორის 13 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 8 დამსახურებული მწვრთნელი, 15 სპორტის ოსტატი და 21 საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ინსტიტუტმა გაბედულად წამოსწია ახალგაზრდა სპეციალისტები ხელმძღვანელ სამუშაოზე; ინსტიტუტის ბევრი კურსდამთავრებული სამუშაოდ დატოვებულია ინსტიტუტშივე. საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან დღეს იქვე მუშაობენ: დოცენტი ვ. ელაშვილი (ფიზკულტურის თეორიის კათედრის გამგე), რ. კერესელიძე (სასწავლო ნაწილის უფროსი), პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბალავეიჩი (სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის გამგე); ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩახნაშვილი (ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ვარდიშვილი (სპორტთამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი), უფროსი მასწავლებლები: კ. ასტახიშვილი, ს. შუდრა, მ. მაისურაძე, ბ. მელაძე, მ. ჟღენტი, ა. ხუციშვილი, შ. ელიაშვილი, შ. მამარდაშვილი, ა. მეიფარიანი, გ. ვარძელაშვილი, ა. ნემსაძე, კ. რევიკა (დაუსწრებელი განყოფილების უფროსი), ვ. ნოსკოვი, ს. თედევი, ნ. სალუქვაძე, ე. მელნიკოვა, ზ. ბაგდავაძე, გ. გოგნიაშვილი, შ. ბუაძე, ფ. ნავერიანი და სხვ.

ინსტიტუტში მუშაობენ აგრეთვე გამოცდილი სპეციალისტები: ექიმი ვ. ჭაველიძე, გ. მეუნარგია (მწვრთნელთა სკოლის

უფროსი); გ. ბაბილოძე, ა. წერეთელი, ლ. ფალავანდიშვილი, ლ. გიორგაძე. შ. კილაძე, ა. ჯორჯაძე, ნ. მეიფარიანი, შ. მუსასატიკოვი; გ. დოლიძე, ს. ილინი, ნ. თაყაიშვილი, თ. კახიძე, ვ. ჯაფარიძე; ს. კორძაია, ა. ციბაძე, ე. ანტონოვი და სხვ.

თავის არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა გამოუშვა 1517 ჰაქეცილისტი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც.

სტუდენტთა შორის პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებს ინსტიტუტის 15 კათედრა, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას უთმობენ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას.

ინსტიტუტი სერიოზული ყურადღებით ეპყრობა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციას. ამ მიზნით ყველა კათედრაზე დაარსებულია სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. გარდა ამისა, ინსტიტუტი სისტემატურად მონაწილეობს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების საკავშირო მეცნიერულ კონფერენციებში, სადაც საქართველოს ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომებმა არა ერთხელ მიიღეს დადებითი შეფასება და ჯილდოები.

წლების მანძილზე საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი იმდენად გაიზარდა და მომწიფდა, რომ მას პედაგოგიურ-მეცნიერული კადრების მომზადების უფლება მიენიჭა ასპირანტურის დაარსებით.

ინსტიტუტს საგრძნობი მიღწევები აქვს მოპოვებული კვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების საქმეში. ინსტიტუტის სპორტულ კლუბში 520 წევრი ირიცხება. აქ 16 სპორტული ჰექტია მუშაობს.

1958 წლის 1-ლი ნოემბრისათვის სტუდენტთა შორის ირიცხებოდა:

სპორტის დამსახურებული ოსტატი	3
სპორტის ოსტატი	40
I თანრიგის სპორტსმენი	243
II თანრიგის სპორტსმენი	238

ინსტიტუტის კოლექტივში ირიცხებიან საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და მე-16 საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ბ. ნიკიტინი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ კიდაობაში გ. სხირტლაძე, საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი იმავე სახის კიდაობაში ს. გაბარაევი და მრავალი სხვ.

1958 წელს ინსტიტუტის სპორტულმა გუნდებმა შემდეგი მიღწევები მოიპოვეს:

სპორტის სახეები	რომელ შეჯიბრებაში და რა ადგილი დაიკავა				
	სტუდენტთა საკავშირო სპორტაქიადა	სტუდენტთა ზონალური შეჯიბრება	საბ. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური შეჯიბრება	ქალაქის პირველობა	რესპუბლიკის უმაღლ. სასწავლებლების
1. ტანვარჯიში	III	I	I	—	—
2. მძლეოსნობა	VI	I	—	I	—
3. ძალოსნობა	III	I	—	I	I
4. კრივი	—	—	I	—	—
5. კიდაობა (თავ.)	II	I	I	—	—
6. კიდაობა (კლ.)	—	II	I	—	—
7. ფარიკაობა	VI	I	—	—	I
8. ჩოგბურთი	III	I	—	II	I
9. ცურვა	—	—	—	—	I
10. ველოსპორტი	II	I	—	—	—

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი შეფობას უწევს ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის რუსთავის. მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივს, სადაც ის მრავალ სპორტულ ღონისძიებას ატარებს.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფიზიკური კულტურის დარგში

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ფიზკულტურის დარგში. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ძირითადად ეწევიან საქართველოს

ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. გარ-

და ამისა, ამ დარგში მუშაობას აწარმოებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრა, ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის საექიმო კონტროლის კათედრა და სხვა ორგანიზაცია.

აღნიშნული პერიოდის მანძილზე საქართველოში დიდი მუშაობა ჩატარდა ფიზიკური კულტურის ისტორიისა და სპორტის ეროვნული სახეების შესასწავლად. ამ დარგში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. რობაქიძე, დოცენტი მ. გორგაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. შერაზადიშვილი, ნ. შიშნიაშვილი, გ. მერკვილაძე და სხვები (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი); დოცენტი ვ. ვლამვილი, მ. მაისურაძე, ა. ციბაძე (ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი).

დამუშავებულ იქნა სპორტის ეროვნულ სახეთა შესწავლის მეთოდთა, რომელიც გამოყენებულია სსრ კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში, გამოცემულია რამდენიმე შრომა სპორტის ეროვნული სახეებისა და თამაშობათა შესახებ, აგრეთვე მონოგრაფია საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიაზე და სხვ. სპორტის ეროვნული სახეები შეტანილ იქნა „მშთ“ კომპლექსსა და საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში.

როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ ცნობილი გახდა პროფ. ს. ნარიკაშვილის; ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის შ. ჩახნაშვილისა და ა. მელიას მიერ (ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი) სპორტულ ფიზიოლოგიაში ჩატარებული გამოკვლევები, რომლებიც „აქტიური დასვენების“ მოვლენას მიეძღვნა; ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ვარდიშვილისა და ა. წერეთლის (ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი) გამოკვლევა, მიძღვნილი სპორტში მოთელვის მოვლენის შესწავლისადმი და „მკვდარი წერტილის“ მოვლენის გამოკვლევა, რომელსაც ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. როიტბაქი და ბ. თავართქილაძე (ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) აწარმოებდნენ.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სპორტის დარგში ფიზიოლოგების მიერ დამუშავებული ახალი მეთოდები, რომლებიც

სპორტული მოქმედების (რბენის, ხტომის, ტყორცნის, სიმძიმეების აწევისა და სხვა) ბუნებრივ პირობებში შესწავლის საშუალებას იძლევიან.

სპორტული წვრთნის მეცნიერულ დასაბუთებასა და მისი ტექნიკის განვითარებაში სასარგებლო შენაძენს წარმოადგენს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. იოსელიანის შრომა ხტომადობის განვითარების შესახებ, შრომები დოც. დ. ჩიკვაიძისა — ტანვარჯიშში, დოც. ლ. გოლოვნიასი — ფარეობაში, დოც. ი. ალიხანოვისა — ჭიდაობაში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ბალავეიჩისა — სათხილამურო სპორტში, დოც. ჩხაიძისა — ველო-სპორტში, ს. ილინისა და შ. მუსასტიკოვისა — ცურვაში (ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი), გ. ჩიკვაიძისა — ძალოსნობაში, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ლ. მარუაშვილისა და დოც. ქ. ჯაყელისა — ალპინიზმში, ა. ბალუაშვილისა და დ. ყვანიასი — ტანვარჯიშში, ექიმ ვ. ჯაველიძისა სამკურნალო ფიზკულტურაში და სხვ.

საინტერესო მუშაობა ჩაატარა სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლებმა. მათი შრომა მიედღვნა საწარმოო ტანვარჯიშის საკითხებს (ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. კოვზირიძე).

მნიშვნელოვან კვლევით მუშაობას ეწევიან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის დარგში პროფ. გ. მღებრიშვილი და პროფ. ვ. კუნჭულია მათი ლაბორატორიების მეცნიერ თანამშრომლებთან — დოცენტებთან — ა. ზოიძესა და ა. ბალუაშვილთან ერთად.

საქართველოში გამოცემულია სათანადო ლიტერატურა, რომელიც ეხება ფიზიკური კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. დაბეჭდილია აგრეთვე ზოგიერთი სახელმძღვანელო და ა. შ.

**1. საქართველოს საორტოსპორტო მიღწევები ომის უმადგოე პერიოდში**

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სპორტსმენებმა ღიდი წარმატებები მოიპოვეს. სპორტული ოსტატობის ამაღ-

ლებას დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის სპორტული სკოლების მუშაობამ. ცნობილია საქართველოს კალათბურთელთა, ფეხბურთელთა, მოჭიდავეთა და ტანმოვარჯიშეთა წარმატებანი 1947 წელს სრულიად საკავშირო შეჯიბრებებში.

საქართველოს მოჭიდავეთა გუნდმა 1947 წლის საკავშირო პირველობაზე კლასიკურ ჰიდაობაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ხოლო ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი მეორე ადგილზე გამოვიდა. ამავე წელს საკავშირო პირველობის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ხოლო ფეხბურთელთა გუნდმა—მესამე.

საქართველოს სპორტულ საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ აკრობატთა გუნდმა 1948 წლის საკავშირო ჩემპიონის საპატიო წოდება დაიმსახურა. ჰიდაობა სამბოში ჩვენი ქვეყნის 1948 წლის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭეს საქართველოს მოჭიდავეებმა: ქ. ნინიაშვილმა, გ. როსტიაშვილმა და შ. დაუშვილმა, ხოლო მეორე ადგილები დაიკავეს შ. ნოზაძემ, ა. ქველაძემ და შ. ესებუამ.

1948 წელს ჩატარებულ დიდ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მასობრივი ალპინიადა, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 30 წლისთავისა და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავისადმი. საქართველოს 502 ფიზკულტურელი მყინვარწვერზე ავიდა, რითაც მათ სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში.

დიდი მიღწევებით აღინიშნა 1949 წელი. მაღალ შედეგებს მიაღწიეს რესპუბლიკის ალპინისტებმა, კალათბურთელებმა, მოკრივეებმა. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში და საპატიო ჭილდოს დაეუფლა. საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივი საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა თავისუფალ ჰიდაობაში. მეორე ადგილი დაიკავა რესპუბლიკის მოჭიდავეთა გუნდმა სამბოშიც. კლასიკურ ჰიდაობასა და ტანვარჯიშში საქართველოს გუნდებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო მოფარიკავენი და მსროლელები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

მარტო 1949 წლის განმავლობაში საქართველოს სპორტ-სმენებმა დაამყარეს 218 რესპუბლიკური, 10 საკავშირო და 1 მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება დაიმსახურეს ნ. ღუმბაძემ (მძლეოსნობაში), შ. ნოზაძემ და დ. ციმაკურიძემ (თავისუფალ ჭიდაობაში), შ. დაუშვილმა, ე. ქარქუსაშვილმა და კ. ნინიაშვილმა (სამბოში), გ. ხანუკაშვილმა (კრივეში) ვ. სვეტილკომ და რ. ჩიმიშვიანმა (სიმძიმეების აწევაში), ა. ჯორჯაძემ (ტანვარჯიშში), მ. ქელესაშვილმა, გ. გარსევანიშვილმა, ი. მახაშვილმა და ბ. ჩესნოვმა (აკრობატიკაში).

განსაკუთრებით ბარაქიანი გამოდგა 1950 წლის სპორტული სეზონი. საკავშირო თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი კვლავ დაეუფლა საპატიო ჭილდოს. მანვე პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. მანამდე, წინა წლებში, საკავშირო ჩემპიონის ტიტული ორჯერ დაისაკუთრა თბილისის ოფიცერთა სახლის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრებმა საკავშირო შეჯიბრებაში პეორე ადგილი დაიკავა თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში საკავშირო პირველი ადგილები მოიპოვეს ე. ქარქუსაშვილმა და გ. როსტიაშვილმა. თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონის წოდება მოიპოვა დ. ციმაკურიძემ. წარმატებას მიაღწიეს რესპუბლიკის ძალოსნებმა. მათ თბილისში გამართულ საკავშირო გუნდურ პირველობაზე მესამე ადგილი მოიპოვეს. არც ალპინისტები დარჩნენ ვალში. 1950 წლის აგვისტოში საქართველოს ხუთმა მამაცმა ალპინისტმა, ექსპედიციის ხელმძღვანელის ივანე მარის, კოლმეურნე სპორტსმენების ბექნუ ხერგიანის, გოჯი ზურაბიანის, ჭიჭიკო ჩართოლანისა და მაქსიმე გვარლიანის შემადგენლობით, მეტად ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში წარმატებით დააბოლავეს შხელდის ექვსკბილა ხერხემლისა და უშბის ორი კოშკის სარეკორდო ტრავერსი.

1951 წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები მესამედ დაეუფლენ საბჭოთა კავშირის თასს. ამავე წელს საქართ-  
184

ველოს მოქიდავეთა ნაკრებმა გუნდმა სამბოში საბჭოთა კავშირის პირველობაზე შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. ჭიდაობის ამ სახეში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს შ. ნოზაძემ, გ. როსტიაშვილმა და ე. ქარქუსაშვილმა. საკავშირო შეჯიბრებაზე ტანვარჯიშში მ. ჯულელმა და მ. ჩაჩხიანმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს; პირველმა ბჯენით ხტომებში, ხოლო მეორემ—ღერძზე ვარჯიშში. თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელები მოიხვეჭეს დ. ციმაკურიძემ და ე. ქარქუსაშვილმა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი 1951 წელს საკავშირო პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილზე გამოვიდა.

ნაყოფიერი გამოდგა თავისი მიღწევებით 1952 წელიც. 1952 წელს საქართველოს მოქიდავეთა გუნდმა თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში კვლავ საკავშირო პირველობა მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება დაიმსახურეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა დ. ციმაკურიძემ, ვ. ბალავაძემ, სპორტის ოსტატმა ვ. გიგიაძემ (თავისუფალ ჭიდაობაში), გ. ჩიტიაშვილმა. გ. კარტოზიამ (კლასიკურ ჭიდაობაში), ვ. ბალავაძემ (სამბოში). იმავე წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ძალოსანმა რ. ჩიმიშკიანმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი სამჭიდში—337.5 კგ. მოკრივეებმა რ. კალაჩევმა, ტ. მიქაელიანმა და გ. დარბაისელმა მეორე ადგილი დაიკავეს საკავშირო პირველობაზე და მოიპოვეს სპორტის ოსტატის წოდების მიღების უფლება.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა საკავშირო მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო თბილისის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი 8 ქალაქის შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა. საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება ველო-სპორტში დაიმსახურეს ო. დადუნაშვილმა და ე. ჯიმშელეიშვილმა. ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მ. ჯულელმა, მანვე ორი მეორე ადგილი დაიკავა იარაღებზე ვარჯიშში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ღერძზე ვარჯიშში გახდა გ. შარაბიძე.

ამიერკავკასიის მე-6 სპარტაკიადაზე საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა, ისე როგორც ყოველთვის წარ-



სულ სპარტაკიადებზე, პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს სპორტსმენები გამარჯვებულნი გამოვიდნენ აგრეთვე ესტონეთთან ამხანაგურ შეჯიბრებაში კრივისა და წყალბურთში.

1952 წელს კარგ შედეგებს მიღწიეს საქართველოს მძლეოსნებმაც. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა ნინო ღუმბაძემ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა; მან ბადრო ტყორცნა 57 მ და 04 სმ-ზე. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ელენე გოკიელმა 80 მ თარჯბენში უჩვენა საუკეთესო დრო—11,1 წამი. სპორტის ოსტატმა ნადეჟდა ხნიკინამ 200 მ 24,1 წამში გაირბინა. სპორტის ოსტატმა ლევან სანაძემ 100 მ 10,3 წამში დაფარა. მანვე 200 მ გაირბინა 21,4 წამში. მ. გეგეშიძემ 17—18 წლის ჭაბუკთათვის 200 მ რბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა—ეს მანძილი 22,3 წამში გაირბინა.

კარგი მიღწევებით დაასრულეს 1952 წელი რესპუბლიკის ალპინისტებმა. აღნიშნულ წელს გამართულ ასვლებში მონაწილეობდა 1 065 სპორტსმენი. „საბჭოთა კავშირის 1-ლი საფეხურის ალპინისტის“ ნორმები შეასრულა 756 კაცმა. მომზადებულ იქნა 57 თანრიგოსანი. 4 პირველთანრიგოსანმა შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა. ჩატარდა 32 ჯგუფის ასვლები და ტრავერსები სხვადასხვა კატეგორიის 79 მწვერვალზე. 1952 წლის მიღწევათა შორის ყურადღებას იპყრობს ცენტრალური კავკასიონის 19 მწვერვალის სადისტანციო ტრავერსი ა. ნემსიწვერიძის ხელმძღვანელობით. ჯგუფში მონაწილეობდნენ გ. გულბანი, რ. კვიციანი, ს. გუგავა და ლ. ახვლედიანი. ეს ტრავერსი ცნობილ იქნა სარეკორდოდ და მიეკუთვნა საერთაშორისო კლასის ტრავერსებს. სეზონის მეორე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო შხარას წვერზე სამხრეთ სარეკორდო ასვლა (სიმაღლე 5 201 მ) ბეზინგის კედლის შემდგომი ტრავერსით (თეთნულდის ჩათვლით), რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბ. ხერგიანი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ჭ. ჩართოლანი, მ. გვარლიანი, დახელოვნებული ალპინისტები ვ. ხერგიანი და ი. გაბლიანი.

კარგი მიღწევები ჰქონდათ რესპუბლიკის სპორტსმენებს 1953 წელშიც. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა საკავშირო პირველი ადგილი მოიპოვა. ამავე საზოგადოების ფეხბურთელები საკავშირო პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ. საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივმა თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო პირველობა მოიპოვა. ამ სახის ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ ვ. ბალავაძე, ნ. მუზაშვილი, შ. დაუშვილი და ვ. გივიანი. კლასიკურ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა გ. კარტოზიამ.

გარდა ამისა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩვენი ქვეყნის 1953 წლის ჩემპიონები გახდნენ ნ. დვალისხელი (ხნიკიანი), რ. ჩიმიშვიანი, მ. ჯუღელი, ვ. ძეგნიანი და ა. ხაბურჩანია. ამავე წელს ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმძიმეების აწევაში რ. ჩიმიშვიანმა. კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა გ. კარტოზიამ. 1953 წლის მიღწევათა შორის ალპინისტურ სპორტში უნდა მოვიხსენიოთ დიხ-თაუმიჩიური-შხარას მამაცური ტრავერსი, რომელიც შეასრულეს ალპინისტებმა ვ. ქირიკაშვილმა, ს. ცაიშვილმა, ჯ. მემქარიანი-შვილმა და თ. ტატიშვილმა ცნობილი მთამსვლელის დ. ობოლადის ხელმძღვანელობით.

არანაკლები მიღწევები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 1954 წელსაც. მათ 155 რესპუბლიკური, 13 საკავშირო და 6 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კალათბურთელებმა კვლავ სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს. კარგ შედეგს მიაღწია ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების „ნაუკას“ ქალთა გუნდმა მათ საკავშირო პირველობაზე მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდთან მოსკოვის „სტროიტელთან“ ერთად. თავისუფალ ჭიდაობაში 1954 წელს საქართველოს მოჭიდავეთა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა. ჭიდაობის ამ სახეში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა წილად ხვდა მ. ცალქალამანიძეს, ნ. მუზაშვილს, ს. გაბარაევს, ვ. ბალავაძესა და გ. სხირტლაძეს. მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ დ. ციმაკურიძე და ო. კანდელა-

კი. საკავშირო პირველი ადგილი დაისაკუთრეს საქართველოს მოქიდავეებმა სამბოშიც. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ამ სახის კიდაობაში გახდნენ ე. ქარქუსაშვილი და ო. შინჯიკაშვილი. წესამედ მოიხვეჭა საკავშირო ჩემპიონის საპატიო წოდება კლასიკურ კიდაობაში გ. კარტოზიამ. ველოსპორტში (ველო-ტრეკი) თბილისის გუნდმა საკავშირო მესამე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს ტან-მოვარჯიშენი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ჯუღელმა და სპორტის ოსტატმა ს. ჯაიანმა ბჭენით ხტომებში. სპორტის ოსტატმა ვ. ასათიანმა მეორე ადგილი დაიკავა ღერძზე ვარჯიშში. მეორე ადგილი წილად ხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. შარაბიჭეს ბჭენით ხტომებში. იმავე წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშვიანმა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული დაიმსახურა. ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი სპორტის ოსტატმა ნ. ხანუკაშვილმა.

ახალი მიღწევებით აღნიშნეს 1954 წელი საქართველოს ალპინისტებმა. ამ წელს ჩატარდა ექვსი ალპინიადა 499 კაცის მონაწილეობით და 9 საკვალიფიკაციო ექსპედიცია 77 კაცის მონაწილეობით. 1954 წელს მოწყობილ ექსპედიციათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პამირის ექსპედიცია, რომელიც მოაწყო საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპინისტთა კლუბმა. შედგა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მთასვლელები: ო. გიგინეიშვილი (ექსპედიციის უფროსი), ა. ივანიშვილი (უფროსის მოადგილე), ა. ნემსიწვერიძე (გუნდის კაპიტანი), მ. გვარლიანი. გ. გულბანი, ს. ცაიშვილი, დ. და ს. გუგავები. ლ. და ზ. ახილედიანები, ჯ. მეშმარიაშვილი. ა. ქავთარაძე, დ. ყანდარელი. ლ. სუჯაშვილი, გ. ყალაბეგიშვილი, ა. იაშვილი, გ. თიკანაძე და სხვ. ექსპედიციაში საქართველოს ალპიური კლუბის მოწვევით მონაწილეობდნენ მოსკოველი მთასვლელები სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუზმინი და ა. სუსლოვი. ამ ექსპედიციაში ქართველმა ალპინისტებმა დაიპყრეს ხუთი მწვერვალი (კ. მარქსის სახელობის მწვერვალი—სიმაღლე 6 746 მ, ფრ. ენგელსის სახელობის—სიმაღლე 6 510 მ, გ. ნიკოლაძის სახელობის—სი-

მალე 6 300 მ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახე-  
ლობის — სიმაღლე 6 127 მ და თეთნულდზე დალუპულთა სა-  
ხელობის — სიმაღლე 6 110 მ).

ამ პერიოდში დაწინაურდნენ რესპუბლიკის მოქადრაკენი.  
კარგ შედეგებს მიაღწიეს ქალთა შორის რესპუბლიკურ შეჯიბ-  
რებაში ელისო კაკაბაძემ და ლიანა ხაქვაპურიძემ, რომლებმაც  
პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს. ვაჟთა შორის რესპუბ-  
ლიკურ პირველობაში პირველი ადგილი მოიპოვა ა. ბუსლავემა,  
ხოლო მეორე — ბ. გურგენიძემ.

საქართველოს ზოგიერთი მოქადრაკე მონაწილეობდა საბ-  
ჭოთა კავშირის ნახევარფინალსა და ფინალში. აღსანიშნავია  
მოსწავლის მ. ტოგონიძის წარმატება, რომელმაც 1954 წელს  
საკავშირო პირველობაზე გოგონათა შორის პირველი ადგილი  
მოიპოვა. წარმატებით გამოდიოდა მ. შიშოვი სსრ კავშირის  
პირველობის ნახევარფინალში. კარგ შედეგებს მიაღწიეს სა-  
კავშირო შეჯიბრებაში საქართველოს ნორჩმა მოქადრაკეებმა  
ვ. კაჭარავამ და გ. კალატოზიშვილმა.

1954 წელს თბილისის საჭადრაკო კლუბი რეორგანიზებულ  
იქნა რესპუბლიკურ კლუბად. ამან ხელი შეუწყო რესპუბლი-  
კაში სასწავლო-მეთოდური და საწვრთნელი მუშაობის გაუმ-  
ჯობესებას მთელს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის 1955 წლის პირველობაზე თავისუფალ ჰიდა-  
ობაში აგრეთვე სამბოში საქართველოს მოჭიდავეთა კოლექ-  
ტივებმა საკავშირო პირველი ადგილები დაიკავეს. კოლმეურნე  
ფეხბურთელთა საკავშირო პირველობაზე ჩემპიონის სახელწო-  
დება მოიპოვა საქართველოს „კოლმეურნეს“ ფეხბურთელთა  
გუნდმა. საბჭოთა კავშირის პირველობაზე წყალბურთში თბი-  
ლისის „დინამოს“ გუნდმა საკავშირო მეორე ადგილი დაიკავა.  
მეორე ადგილი მოიპოვეს აგრეთვე რესპუბლიკის მოზარდთა  
გუნდებმა წყალბურთსა და ფეხბურთში, ხოლო თავისუფალ  
ჰიდაობაში რესპუბლიკის მოზარდთა გუნდმა საკავშირო პირ-  
ველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილებზე გამოვიდნენ საქ-  
ართველოს ნორჩი მოფარიკავენი, მოჭიდავეები კლასიკურ  
ჰიდაობაში და მოქადრაკენი. მოსწავლეთა სრულიად საკავშირო

სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ტანმოვარჯიშებმა და კალათბურთელებმაც მეორე ადგილები დაიკავეს.

მ. ჯუღელმა მეშვიდეჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება ბჭენით ხტომებში. რ. შარაბიძემ და ს. ჭიანმა მეორე ადგილი დაიკავეს ტანვარჯიშში. პ. გავამ ზვენი ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურის წოდება დაიმსახურა სამთო ორჭიდში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ სამბონი ი. გრატიაშვილი და ლ. კაციაშვილი.

წიდი წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა ალპინისტებმა 1955 წელს. მთასვლელებმა ჯ. მეძმარიაშვილმა ი. კახიანმა, მ. ხერგიანმა, ლ. ახვლედიანმა შესძლეს საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე—ი. ბ. სტალინის სახელობის პიკზე—ასვლა. ამ ასვლის მონაწილენი დაჯილდოებულ იქნენ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მიერ ოქროს მედლებით. იმავე წელს ალპინისტები მ. გვარლიანი, დ. ობოლაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, ი. კახიანი, მ. ხერგიანი, დ. გუგავა, ლ. ახვლედიანი, ს. გუგავა, ზ. ახვლედიანი ავიდნენ 6 853 მ სიმაღლის პიკზე. რისთვისაც ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ იქნენ ვერცხლის მედლებით. 1955 წლის ექსპედიციათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე სამხრეთ უშბის მწვერვალზე დასავლეთი კედლის მხრიდან ასვლა, რომელშიც მონაწილეობდნენ ი. მარი, ჯ. ჩართოლანი, ბ. ხერგიანი და ი. გაბლიანი.

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომელიც ჩატარდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 1956 წლის აგვისტოში. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას წინ უძღოდა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სპარტაკიადები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სპარტაკიადა, რომელშიც რესპუბლიკის 2 200 სპორტსმენი მონაწილეობდა, ჩატარდა ქ. თბილისში 1956 წლის 27—31 მაისს. შეჯიბრება მოიცავდა სპორტის 21 სახეობას. სპარტაკიადაზე დამყარებული იქნა 18 ახალი რესპუბლიკური რეკორდი. ცამეტმა პირველთანრიგოსანმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, შეჯიბრების 42 მონაწილემ განიმეორა სპორტის ოსტატის ნორმა, 520 სპორტსმენმა — პირველი თანრიგის და 633 მეორე თანრიგის ნორმა.

საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

პირველ ჯგუფში:

- I ადგილი დაიკავა ქალ. თბილისის კოლექტივმა;
- II ადგილი აჭარის ასს რესპუბლიკის კოლექტივმა;
- III ადგილი აფხაზეთის
- IV ადგილი ქალ. ქუთაისის კოლექტივმა.

1956 წლის 5—16 აგვისტოს მოსკოვში ჩატარებული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა წარმოდგენდა ჩვენი დიადი სამშობლოს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის დემონსტრაციას. სპარტაკიადაში მონაწილეობდა 18 სპორტული დელეგაცია 9 244 კაცის შემადგენლობით. სპარტაკიადაზე საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

- I ადგილი რსფსრ (მოსკოვი);
- II — „ — რსფსრ (ოლქებისა და მხარეების ნაკრები);
- III — „ — რსფსრ (ლენინგრადი);
- IV — „ — უკრაინის სსრ;
- V — „ — საქართველოს სსრ<sup>1</sup>;
- VI — „ — ესტონეთის სსრ.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს სპორტსმენებმა შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს:

მეორე ადგილი: 1) თავისუფალ კიდაობაში, 2) წყალბურთში, 3) ფეხბურთში; მეოთხე ადგილი: კლასიკურ კიდაობაში; მეხუთე ადგილი: 1) ტანვარჯიშში, 2) წყალში ხტომაში, 3) სასტენდო სროლაში, 4) ფარიკაობაში, 5) ჩოგბურთში; მეექვსე ადგილი: ცურვაში. ამგვარად, საქართველოს სს რესპუბლიკის სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სპორტის ათ სახეში დაიკავეს საპრიზო ადგილი.

საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა 1957 და 1958 წლებშიც. აღსანიშნავია რესპუბლიკის მოჭიდავეთა, წყალბურთელთა და მოფარიკავეთა წარმატებანი. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამ ბოლო წლებში ქართ-

<sup>1</sup> ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე 1959 წ. ქართველმა სპორტსმენებმა ასევე მეხუთე ადგილი დაიკავეს.

ველ მოჭადრაკეთა მიერ მიღწეული წარმატებანი. განსაკუთრებით თავი ისახელეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა. აღსანიშნავია, რომ ქალთა საკავშირო XX ფინალურ შეჯიბრებაში საქართველოდან ოთხი მოჭადრაკე მონაწილეობდა (ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ა. ჩიკოვსკაია). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკე გოგონა ნონა გაფრინდაშვილი მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. ამ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ნონა გაფრინდაშვილს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ვაჟ-მოჭადრაკეთა შორის ბოლო წლებში განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა სპორტის ოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ. მან საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატში გროსმაისტერ ბოლესლავსკისთან ერთად VII—VIII ადგილი გაიყო.

1957 წ. რესპუბლიკის მთავლელობითა გუნდმა პამირში ჩატარა დარვაზის ქედის შვიდი მწვერვალის ტრავერსი და საკავშირო კონკურსში (ტრავერსების კლასში) პირველი ადგილი მოიპოვა. ამ ასვლის მონაწილენი სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. ხერგიანი და ჭ. ჩართოლანი, სპორტის ოსტატები ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. და ზ. ახვლედიანები, გ. აბაშიძე, რ. და ო. ხაზარაძეები, თ. კუხიანიძე, ი. გაბლიანი დაჯილდოებულ იქნენ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მიერ ოქროს მედლებით.

1957 წ. ჩატარდა აგრეთვე კავკასიონის მწვერვალ ჯანლაზე სამხრეთ კედლით ასვლა. ეს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ასვლათაგანი იყო, რომლის მონაწილენი გ. გულბანი, გ. და დ. გუგავები, გ. ბერძენიშვილი, ი. ყავლაშვილი, ს. ხაბეიშვილი დაჯილდოვდნენ სათანადო სიგელებით.

1958 წ. ალპინისტებმა ჯ. მეძმარიაშვილმა, ლ. და ზ. ახვლედიანებმა, რ. და ო. ხაზარაძეებმა, თ. კუხიანიძემ, გ. აბაშიძემ, შ. მირიანაშვილმა, ს. ხაბეიშვილმა, შ. ჩართოლანმა, პ. გვარლიანმა, ნ. ნადირაშვილმა, ი. ყავლაშვილმა, გ. მაჭარაშვილმა მოაწყვეს ლენინის სახელობის პიკზე (სიმა. 7 000 მ აღემატება) ასვლა, რისთვისაც მონაწილენი დაჯილდოებულ იქნენ სპეციალურად განკუთვნილი სამკერდე მედლებით. იმავე წელს

ტექნიკურად რთულ ასვლათა კლასში დასავლეთ შხარას სამხრეთ კედელზე ასვლისათვის მთასვლელები დ. ობოლაძე, ო. კაპანაძე, ა. ძიძიგური და დ. დანგაძე დაჯილდოებულ იქნენ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მიერ ვერცხლის მედლებით.

## 2. საქართველოს საორტოსმენთა საერთაშორისო შეხვედრაში

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა საერთაშორისო შეხვედრები უცხოეთის სპორტსმენებთან. ამ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სპორტული მოძრაობის განვითარებისათვის, არამედ ისინი ბევრად უწყობენ ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

საქართველოს სპორტსმენები სახელოვან საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენენ. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში საერთაშორისო შეხვედრებში და მრავალჯერ დაუცავეთ დედა-სამშობლოს სპორტული ღირსება.

მაგრამ საქართველოს სპორტსმენები არა მარტო საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში გამოდიან, არამედ მათ ხშირად დამოუკიდებელი შეხვედრებიც აქვთ საზღვარგარეთის სპორტულ ორგანიზაციებთან. ასეთი შეხვედრები საქართველოს სპორტსმენებს ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, კორეის, იუგოსლავიის, ეგვიპტის, ეთიოპიის, სირიის, თურქეთის, ბირმის, ინდონეზიის, ირანის, ესპანეთის (ბასკონიის), საფრანგეთის, იაპონიის, ბრაზილიის, ინდონეზიის, შვეციისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტსმენებს პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ 1925 წლის ნოემბერში თურქეთის სპორტსმენებთან. ბათუმის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეხვდა ქ. ტრაპიზონის ნაკრებს. პირველი თამაში ხსენებულ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1; მეორე კი საქართველოს ფეხბურთელებმა მოიგეს დიდი ანგარიშით—7:1.



1926 წელს ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში დიდ უმრავლესობას საქართველოს სპორტსმენები შეადგენდნენ (ა. ჟორდანი, პოპკოვი, ნ. ამბოკაძე, პანდულოვი და სხვ.), ფინეთში გაემგზავრა. სამი შეხვედრიდან ამიერკავკასიის ნაკრებმა მოიგო ორი თამაში, ხოლო ერთი ფრედ დაამთავრა.

1930 წელს თბილისის ეწვია გერმანიის მუშათა სპორტული კავშირის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც შეხვდა თბილისის ორ გუნდს — „მეტალისტს“ და „მესტრანს“. პირველი შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით (1:0). ხოლო მეორე — ფრედ (1:1).

1930 წელს ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს წარმომადგენლები შ. შავგულიძე, ჭუმბურიძე, ბერძენიშვილი, დორახოვი, ანიკინი და სხვ. გაემგზავრა სკანდინავიის ქვეყნებში. ექვსი შეხვედრიდან ამიერკავკასიის გუნდმა მოიგო ოთხი, ხოლო ორი ფრედ დაამთავრა.

1937 წლის ივლისში ქ. ანტვერპენში (ბელგია) ჩატარდა მუშათა მესამე საერთაშორისო ოლიმპიადა. ხსენებულ ოლიმპიადის ამოცანას შეადგენდა რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მუშათა სპორტული მოძრაობის გაერთიანება. იგი წარმოადგენდა პროლეტარული სპორტსმენების ძალებისა და მზადყოფნის დემონსტრაციას რეაქციასთან და ფაშიზმთან ბრძოლის საქმეში. ოლიმპიადაზე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, ფეხბურთელებმა, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა, მოკრივეებმა და ძალოსნებმა მაღალი სპორტული ოსტატობა გამოამჟღავნეს. ოლიმპიადაზე განსაკუთრებით თავი ისახელეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, რომელთა შორის მაღალი ნილწევები მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა გ. რცხილაძემ და ა. ჯორჯაძემ.

1937 წლის ზაფხულში თბილისის ეწვია ევროპის ერთ-ერთი უძლიერეს ფეხბურთელთა ბასკონიის (ესპანეთი) გუნდი, რომელიც შეხვდა თბილისის „დინამოს“. ორივე შეხვედრა სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა. (2:0 და 3:1).

1944 წელს თბილისიდან ირანს გაემგზავრა ქალაქ თბილისის ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: მეკარეები — შუდრა და სანაია; მცველები — სალდაძე, კიკნაძე, ფროლოვი, ჯოჯუა, ნაუმცევი; ნახევარმცველები — მ. ბერძენიშვილი, გაგუა, ჯორბენაძე, ჰელიძე, ს. ჯეჯელავა; თავდამსხმელები — პაიჭაძე, პანიუკოვი, ხარბელია, გავაშელი, ლოლობერიძე, გ. ჯეჯელავა, ანთაძე, ბერეჟნოი.

პირველი მატჩი 20 ოქტომბერს ირანის დედაქალაქ თეირანში მოეწყო. ჩვენი გუნდი შეხვდა ირანის მეორე ნაკრებ გუნდს. თამაში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით აღინიშნა—ანგარიშით 5:1.

მეორე შეხვედრა საქართველოს ფეხბურთელებს ირანის პირველ ნაკრებთან მოუხდათ. ეს გუნდი უძლიერესი იყო ირანში. მას ნაციონალურ გუნდს უწოდებდნენ (შაჰის გუნდი). შეხვედრა საქართველოს სპორტსმენთა სასარგებლოდ დამთავრდა (4:0). მესამე მატჩი, რომელიც ქ. თავრიზში გაიმართა, კვლავ საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით დაბოლოვდა (7:1).

საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრები განსაკუთრებით გახშირდა ომის შემდგომ პერიოდში.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სპორტსმენებს ჰქონდათ 1945 წლის დეკემბერში რუმინელ სპორტსმენებთან. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი რუმინეთში გაემგზავრა შემდეგი შემადგენლობით: მეკარეები — შუდრა და სანაია; მცველები — კიკნაძე, ფხვლევიანიდი, ფროლოვი; ნახევარმცველები — მ. ბერძენიშვილი, გაგუა, ჯორბენაძე, ჰელიძე; თავდამსხმელები — გ. ჯეჯელავა, გავაშელი, ანთაძე, ბერეჟნოი, ხარბელია, ბ. პაიჭაძე, ლოლობერიძე, აროშიძე.

საბჭოთა ფეხბურთელების ჩასვლამ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირველი თამაში საქართველოს ფეხბურთელებს მოუხდათ რკინიგზელთა გუნდ „ჩეფფერთან“, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში ზედიზედ ფლობდა რუმინეთის თასს. ამავე დროს ვუნდს დაუმატეს რუმინეთის სამი უძლიერესი მოთამაშე.

მოედანი მოყინული იყო, რაც აძნელებდა თამაშს, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა შაინც მიაღწიეს გამარჯვებას. მეორე შეხვედრაც ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან „იუვენტუსთან“ (რუმინეთის პირველობაზე მეორე ადგილი ეკავა) კვლავ საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს (10:5).

მესამე შეხვედრა მოეწყო ტრანსილვანიის ნაკრებ გუნდთან. მატჩი საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა (5:0).

1946 წლის აგვისტოში ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გათამაშდა ევროპის პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებდა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ამ მეტად საპასუხისმგებლო საერთაშორისო ასპარეზობაში, ღირსეულად დაიცვეს საბჭოთა სპორტის სახელი. ჩვენს სპორტსმენებს წილად ხვდათ 6 ოქროს, 14 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

საბჭოთა სპორტულ კოლექტივში ჩვენი სამშობლოს სპორტულ ღირსებას ორი ქართველი ქალი იცავდა: სპორტის დამსახურებული ოსტატები ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი. ე. გოკიელი მონაწილეობდა ქალთა ამანათრბენში  $4 \times 100$  მ და ვერცხლის მედალი მოიპოვა. დიდი წარმატება ხვდა ე. გოკიელს აგრეთვე 80 მ თარჯრბენში. შედეგით 11,7 წამი იგი მეორე მივიდა ფინიშთან; მძაფრ პაექრობაში, დაუთმო რა პირველი ადგილი მსოფლიო რეკორდსმენს ფ. ბლანკერსკოენს, მან მეორე ვერცხლის მედალი მოიპოვა. განსაკუთრებული წარმატებით აღინიშნა ნ. დუმბაძის გამოსვლა. მან ბადროს ტყორცნის დიდი ოსტატობა გამოამჟღავნა და ადვილად მოიგო ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი.

ევროპის პირველობის შემდეგ ქალაქ სარპსბორგში გამართული სპორტული გამოსვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ნ. დუმბაძის ტრიუმფი იყო. მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (50 მეტრი და 50 სანტიმეტრი).

1946 წლის ოქტომბერში პარიზში ჩატარდა პირად-გუნდური შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე სიმძიმეების აწვევაში.

განსაკუთრებული ინტერესი საბჭოთა კავშირის გუნდის მონაწილეობამ გამოიწვია. ამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის წევრებს ჯერ არ ჰქონდათ საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება, მეორე გუნდური ადგილი დაიკავა.

საბჭოთა ძალოსნებმა მოიგეს ერთი პირველი, ორი მეორე და ორი მესამე ადგილი. ამ ხუთ საპრიზო ადგილებიდან ორი საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს. ესენი იყვნენ მ. კასიანიკი და ვ. სვეტილკო. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს ძალოსანი მ. ჟღენტი, რომელმაც რეკორდების დამყარების საღამოზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა.

1947 წლის აპრილში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა ევროპის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობით.

ამ მძაფრ და დაძაბულ ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მეორე ადგილი დაიკავეს. 34 შეხვედრიდან საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიგეს 24. სამმა მოჭიდავემ — ნ. ბელოვმა (საშუალო წონა), კ. კობერიძემ (ქვემძიმე წონა) და ი. კოტკასმა (მძიმე წონა)—ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდება დაისაკუთრეს.

1947 წლის აპრილში ქ. პრაღაში გაიხსნა ევროპის პირველობა კალათბურთში. საბჭოთა კავშირის გუნდმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და იგი ევროპის ჩემპიონი გახდა. ამჯერად საბჭოთა კავშირის სპორტულ სახელს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში იცავდნენ უძლიერესი ქართველი კალათბურთელები ოთარ ქორჭია და ნოდარ ჯორჯიკია. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო შეხვედრებში საბჭოთა კავშირის გუნდი გამორიოდა შემდეგი შემადგენლობით: კონევი, ჯორჯიკია, ალექსეევი, ქორჭია, ლისოვი. ამ შემადგენლობით თამაშობდა ჩვენი გუნდი ეგვიპტის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან შეხვედრებში. ეგვიპტელებთან თამაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდის გამარჯვებით — ანგარიშით 46:32. ამ თამაშში ქორჭიამ თავის გუნდს მისცა 15 ქულა. უნგრელებთან შეხვედრაში კი ჯორჯიკიამ გამოიჩინა თავი და გუნდს 11 ქულა მოუპოვა.

საბჭოთა კალათბურთელების შესახებ აღფრთოვანებულნი წერილები მოათავსეს ადგილობრივმა გაზეთებმა. ისინი ბევრს წერდნენ ო. ქორჭიასა და ნ. ჯორჯიკიას უბადლო ოსტატობაზე.

1948 წლის ოქტომბერში ვარშავაში ჩატარდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრები. ამ შეჯიბრებებში, რომლებმაც საბჭოთა სპორტსმენების დიდი უპირატესობა გამოამჟღავნა, წარმატებით მონაწილეობდნენ ნ. დუმბაძე და ლ. სანაძე.

1949 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება. ეს მატჩი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი შეხვედრა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენებთან, უალრესად მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. ამ მატჩში საბჭოთა კავშირის მძლეოსნებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 194,5:119. საბჭოთა კავშირის სპორტულ სახელს სხვებთან ერთად იცავდნენ ქართველი მძლეოსნები ნ. დუმბაძე, ელ. გოციელი და ლ. სანაძე.

ბადროს ტყორცნაში პირველი ადგილი დაიკავა ნ. დუმბაძემ (48,27), ხოლო 80 მეტრზე თარჯრბენში პირველობა ელ. გოციელმა მოიპოვა (11,7 წამი). 100 მეტრზე რბენაში ლ. სანაძემ აჩვენა 10,8 წამი. გარდა ამისა, ლ. სანაძე მონაწილეობდა ამანათრბენში  $4 \times 100$  მეტრზე. საბჭოთა გუნდმა მანძილი გაირბინა 41,6 წამში და პირველობა დაიმსახურა.

1949 წელს ბუდაპეშტში გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს 80 ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობა მონაწილეობდა. სტუდენტთა საერთაშორისო თამაშობებში, რომელიც ფესტივალის პროგრამაში შედიოდა, დიდი წარმატებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სტუდენტ-სპორტსმენთა დელეგაცია. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს 114 პირველი ადგილი (ოქროს მედლებით), 42 მეორე ადგილი (ვერცხლის მედლებით) და 30 მესამე ადგილი (ბრინჯაოს მედლებით). საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა კოლექტივი პირველ ადგილზე გამოვიდა.

საქართველოს რესპუბლიკიდან სტუდენტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნ. დუმბაძე, ლ. სანაძე, ო. ქორჭია, ვ. ილურიძე, გ. ხანუკაშვილი.

საბჭოთა კავშირის სტუდენტმა-კალათბურთელებმა ვესტივალზე ყველა შეხვედრა მოიგეს. ო. ქორქია თავის ამხანაგებთან ერთად ბრწყინვალედ თამაშობდა და საუცხოოდ აბოლოებდა კომბინაციებს. საბჭოთა მოჭიდავეებმა ხუთი პირველი და სამი მეორე ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად საქართველოს ჩემპიონს ვ. ილურიძეს. მან ყველა მოწინააღმდეგე ბეჭებზე დასცა და დაისაკუთრა სტუდენტთა საერთაშორისო თამაშობათა ჩემპიონის ტიტული. დიდი წარმატება მოიპოვა მოკრივემ გ. ხანუჯაშვილმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა მსუბუქ წონაში (ევროპის ჩემპიონ ჩიკის შემდეგ). ნ. დუმბაძემ ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი დიდი უპირატესობა მეტოქეებზე და ბადრო 51,24 მეტრზე ტყორცნა.

1949 წლის ოქტომბერში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს მოჭიდავეთა გუნდი. თბილისის ცირკში შედგა საინტერესო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. უმჩატეს წონაში საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავემ გ. ვიშაგურმა ქულებით მოუგო ჩეხოსლოვაკელ სტრადლს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა მჩატე წონაში ი. ბობოხიძემ დიდი ოსტატობა გამოამჟღავნა კვასნიაკთან ასპარეზობაში და მესამე წუთზე იგი ბეჭებზე დასცა. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ქვემსუბუქ წონაში სტეგლიკმა ქულებით სძლია ა. ჭელიძეს. ეს იყო სტუმრების ერთადერთი გამარჯვება. მსუბუქი წონის წარმომადგენლების ვ. ილურიძისა (საქართველო) და ტუგის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრა ქართველი მოჭიდავის გამარჯვებით დამთავრდა. ქვესაშუალო წონაში ახალგაზრდა ნიჭიერმა მოჭიდავემ გ. კარტოზიამ მეექვსე წუთზე დასცა მესეში (ჩეხოსლოვაკია). საშუალო წონაში სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონმა დ. ციმაკურიძემ სძლია ზაბრანსკის (ჩეხოსლოვაკია). ქვეძიმე წონაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. კობერიძემ მეოთხე წუთზე გაიმარჯვა ბრაზალთან (ჩეხოსლოვაკია). ა. მეკოკიშვილმა (ძიმე წონა) ორ წუთზე ნაკლები მოანდომა კემნესთან გამარჯვების მოპოვებას. ამგვარად, საერთაშორისო მატჩი საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს მოჭიდავეთა შო-

რის კლასიკურ კიდაობაში დამთავრდა ანგარიშით 7:1 მასპინ-  
ძელთა სასარგებლოდ.

1950 წლის აგვისტოში ბრიუსელში (ბელგია) ჩატარდა ევ-  
როპის პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში საბჭოთა კავ-  
შირის გუნდმა 132 ქულა მოაგროვა და პირველობა მოიპოვა.  
საფრანგეთის გუნდმა მოაგროვა 119 ქულა და მეორე  
ადგილი დაიკავა. ხოლო ინგლისელები 117 ქულით მე-  
სამე ადგილზე გამოვიდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენე-  
ბმა 9 ოქროს მედალი მოიპოვეს, მათ შორის ორი — ქარ-  
თველმა სპორტსმენებმა ნ. დუმბაძემ და ლ. სანაძემ. ნ. დუმბაძემ  
მეორედ დაიმსახურა ევროპის ჩემპიონის წოდება, ხოლო ლ. სა-  
ნაძემ ნ. კარაკულოვთან, ვ. სუხარევთან და დ. კალიაევთან ერ-  
თად ამანატრბენში  $4 \times 100$  — ევროპის პირველობა მოიპოვა.  
ამავე პირველობაზე ელ. გოკიელმა 80 მეტრზე თარჯბენში  
მესამე ადგილი დაიკავა. 1950 წელს მსოფლიო რეკორდსმენს  
სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. სვეტილკოს და სსრ კავშირის ჩემპი-  
ონს რ. ჩიმიშვიანს მიენიჭათ ევროპის ჩემპიონის ტიტული.

1951 წელს რუმინეთში ყოფნის დროს სპორტის ოსტატმა  
ნ. ხნიკინამ ჩერ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 100 მეტ-  
რზე რბენაში, ხოლო შემდეგ გააუმჯობესა ეს რეკორდი და ზე-  
მოაღწიწილი დისტანცია 11,7 წამში გაირბინა. აქვე საბჭოთა  
კავშირის ვაჟთა ოთხეულმა ვ. სუხარევის, ლ. კალიაევის, ლ. სა-  
ნაძისა და თ. გოლუბევის შემადგენლობით, ამანატრბენში  
 $4 \times 200$  ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს (1.26,6).

იმავე წელს ფინელებთან, პოლონელებთან და ავსტრიე-  
ლებთან შეხვედრებში საბჭოთა კავშირის სხვა ძალოსნებთან  
ერთად სახელი გაითქვეს საქართველოს ძალოსნებმა ვ. სვე-  
ტილკომ. რ. ჩიმიშვიანმა, მ. ჟლენტმა და ხ. ხანუკაშვილმა, ხო-  
ლო სტუდენტთა-მე-2 საერთაშორისო თამაშობებზე ბერლინში  
რ. ჩიმიშვიანმა ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მრავალი გამარჯვებით  
აღინიშნა 1952 წელიც. 1952 წლის ოქტომბერში მოსკოვში  
ჩატარდა ჩვენი ქვეყნისა და ფინეთის მოჭიდავეთა შეხვედრა  
თავისუფალ კიდაობაში. გამარჯვება წილად ზედა საბჭოთა კავ-  
შირის გუნდს. რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი მო-

ქიდავეები ე. ქარქუსაშვილი, დ. ციმაკურიძე და ა. მეკოკი-  
შვილი. მათ თავიანთ წონაში გამარჯვება მოიპოვეს; ციმაკური-  
ძემ 14 წუთში დააწვინა ბეჭებზე ერთობ ძლიერი მოწინააღ-  
მდეგი ლახტი, ხოლო ა. მეკოკიშვილმა 1 წუთსა და 58 წამში  
ბეჭებზე დასდო ვირტი. ასეთივე გამარჯვება ხვდათ წილად  
საბჭოთა კავშირის მოქიდავეებს თავისუფალ ქიდაობაში  
უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნ-  
დებთან შეჯიბრებაში (8:0). საქართველოდან გუნდის შემად-  
გენლობაში შედიოდნენ ა. მეკოკიშვილი, ე. ქარქუსაშვილი და  
დ. ციმაკურიძე.

1952 წლის ზაფხულში ჩატარდა მეტად ღირსშესანიშნავი  
საერთაშორისო სპორტული ღონისძიება XV საერთაშორისო  
ოლიმპიური თამაშობები. ქ. ჰელსინკში 16 დღე გრძელდებო-  
და მეტად საინტერესო და დაძაბული ბრძოლა მსოფლიოს  
69 ქვეყნის 6 000 სპორტსმენს შორის.

მსოფლიო ოლიმპიურ თამაშობებში საბჭოთა კავშირის  
სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ. სწორედ ჩვენი  
სპორტსმენების მონაწილეობამ განაპირობა ის თბილი, მეგობ-  
რული განწყობილება, რომელიც ოლიმპიურ თამაშობებზე სუ-  
ფევდა სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შორის.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების მონაწილეობამ ძალზე  
დიდი ინტერესი გამოიწვია ოლიმპიური თამაშობებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სპორტსმე-  
ნებს წარსულში არასოდეს არ მიჰქლიათ მონაწილეობა ოლიმ-  
პიურ თამაშობებში და არ გააჩნდათ საჭირო გამოცდილება,  
მათ ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს ამერიკელ სპორტსმენებს,  
რომლებიც წარსულში მიჩვეულნი იყვნენ იოლ გამარჯვებას.

რეაქციული პრესა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ, თითქოს,  
საბჭოთა სპორტსმენებს არ ძალუძთ სერიოზული წინააღმდე-  
გობა გაუწიონ ამერიკელ სპორტსმენებს და ამ უკანასკნელთ-  
უწინასწარმეტყველებდა იოლ გამარჯვებას, როგორც ეს 1948  
წლის ოლიმპიადაზე მოხდა. მაშინ ამერიკელმა სპორტსმენებმა  
547,5 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე  
ადგილზე გამოსულმა შვეციის სპორტულმა დელეგაციამ მხო-  
ლოდ 309,5 ქულა მოაგროვა. მაგრამ რეაქციული ბურჟუაზი-



ჟლი გაზეთების წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ოლიმპიურ თამაშობებზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც ამერიკელებმა (494).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის სპორტსმენები შეჯიბრებათა მთელ მანძილზე ლიდრობდნენ და მხოლოდ უკანასკნელ დღეებში, ზოგიერთი მსაჯის აშკარად უსამართლო ქცევის წყალობით, ამერიკის გუნდი დაეწია და გაუთანაბრდა საბჭოთა კავშირის გუნდს.

სპორტის ხუთ სახეობაში—ტანვარჯიშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევისა და სროლაში — საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა საერთო გუნდური პირველი ადგილები მოიპოვეს, ხოლო ოთხ სახეობაში—მძლეოსნობაში, კრიკში, კალათბურთსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში—საერთო გუნდური მეორე ადგილები დაიკავეს.

ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 38 ოქროს, 53 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი და ამავე დროს დაამყარეს მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური და საკავშირო რეკორდები.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო ჩვენი ტანმოვარჯიშეთა უპირატესობა. მათ დიდი წარმატება მოიპოვეს და პირველი ადგილი დაიკავეს (როგორც ვაჟთა, ისე ქაღთა გუნდმა).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 29 ქვეყნის 185 ტანმოვარჯიშე. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა ნამდვილ ტრიუმფად იქცა და დამთავრდა მათი ბრწყინვალე გამარჯვებით. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა დაიმსახურეს 25 ოქროს, 11 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქაღთა გუნდში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილი მედეა ჯულელიც იმყოფებოდა, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა.

მძლეოსნობაში მონაწილეობდა 58 ქვეყნის 1031 წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირის გუნდს მძლეოსნობაში საერთო მეორე ადგილი ერგო. აღსანიშნავია, რომ ქაღთა შორის საბჭოთა კავშირის გუნდი დიდი უპირატესობით გამოვიდა პირველ ადგილზე.

ამანატრბენში  $4 \times 100$  მ საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ტოკარევი, კალიაევი, სანაძე და

სუხარევი, მანძილი 40.3 წამში დაფარა და მეორე ადგილზე გამოვიდა.

საკავშირო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე რბენაში ნ. ხნიკინამ (დვალისეილმა) - შედეგით 24,2 წამი -- და მესამე ადგილი დაიკავა. მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. ღუმბაძემ ოლიმპიურ თამაშობებზე წარუმატებლობა განიცადა და მესამე ადგილზე გამოვიდა.

საბჭოთა კავშირის გუნდმა თავისუფალ ქიდაობაში პირველი ადგილი მოიპოვა. სახელი გაითქვეს საქართველოს ფალაგნებმა, რომლებიც გახდნენ ოლიმპიური თამაშობების ჩემპიონები. საშუალო წონაში პირველი ადგილი დაიკავა დ. ციმაკურიძემ, ხოლო მძიმე წონაში—ა. მეკოკიშვილმა.

იმის შემდეგ, რაც დ. ციმაკურიძე პირველ შეხვედრაში ბ. ლინდლანდთან მსაჯებმა ხმის უმრავლესობით (2:1) სრულებით უსაფუძვლოდ აღიარეს დამარცხებულად, მან კიდევ უფრო მეტი დაჟინებითა და ენერგიით განაგრძო ბრძოლა. დ. ციმაკურიძემ ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა ამერიკელ ზოჯასთან და 5 წუთსა და 58 წამში ბეჭებზე დასდო იგი. ასეთივე წარმატებას მიაღწია დ. ციმაკურიძემ ეგვიპტელ ჰუსეინთან, რომელიც მან 4 წუთსა და 58 წამში წააქცია. მან დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია აგრეთვე ირანელ ტახტისთან და უნგრელ გურიჩთან.

არსენ მეკოკიშვილმა ბეჭებზე დასდო უნგრეთის ჩემპიონი ი. კოვაჩი (5 წუთსა და 0,5 წამში), ქულებით სძლია სამ მოწინააღმდეგეს (მათ შორის სამგზის მსოფლიო ჩემპიონს ანტონსონს).

კლასიკურ ქიდაობაშიც პირველობა საბჭოთა კავშირის გუნდს ხვდა წილად. ამ გუნდის წევრმა შ. ჩიხლაძემ მეორე ადგილი მოიპოვა.

ძალოსნობაში საბჭოთა კავშირის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს თავიანთ წონაში საბჭოთა სპორტსმენებმა უდოდოვმა, ლომაკინმა და ჩიმიშვიანმა. გარდა ამისა, ჩიმიშვიანმა თავის წონაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კლასიკურ სამჭიდში.

დაძაბულად ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა გუნდმა მწვავე ბრძოლაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში მეორე ადგილზე გამოვიდა. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელები ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ. გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ორი კალათბურთელი—ოთარ ქორჭია და ნოდარ ჯორჯიკია—შედიოდა.

საბჭოთა კალათბურთელების მიერ მოწინააღმდეგეთა კალათებში ჩაყრილი ბურთების საერთო რაოდენობიდან (468 ბურთი) ო. ქორჭიამ ჩააგდო 138 ბურთი, ხოლო ნ. ჯორჯიკიამ 29 (მას ყველა თამაშში არ მიუღია მონაწილეობა).

ამრიგად, XV ოლიმპიურ თამაშობებში საქართველოს სპორტსმენებმა შემდეგი ჯილდოები დაიმსახურეს:

ოქროს მედლები: დ. ციმაყურიძემ, ა. მეკოკიშვილმა, რ. ჩიმიშვიანმა, მ. ჯულელმა.

ვერცხლის მედლები: ლ. სანაძემ, ო. ქორჭიამ, ნ. ჯორჯიკიამ, შ. ჩხლაძემ.

ბრინჯაოს მედლები: ნ. დუმბაძემ, ნ. ხნიკინამ.

მრავალ საერთაშორისო სპორტულ შეხვედრას ჰქონდა ადგილი შემდგომ წლებშიაც. 1953 წლის გაზაფხულზე ნეაპოლში ჩატარდა მსოფლიოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა ბ. გურგენიჩმა (უმჩატესი წონა), ა. ტერიანმა (მჩატე წონა), გ. შატვორიანმა (ქვესაშუალო წონა), გ. კარტოზიამ (საშუალო წონა), ა. ენგლასმა (ქვემძიმე წონა) მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიპოვეს.

1953 წლის 4 აგვისტოს ბუქარესტში გაიხსნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV ფესტივალის პროგრამაში შემავალი საერთაშორისო ამხანაგური სპორტული შეხვედრები.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. კარგი შედეგები ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შემავალ ქართველ სპორტსმენებსაც. სიმძიმეების აწევაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა უმჩატეს წონის ძალოსანმა ხ. ხანუკაშვილმა. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის მეორე იყო

5. დეალიზმი, რომელსაც ვერცხლის მედალი მიეკუთვნა. მანვე დაიკავა მეორე ადგილი 200 მეტრზე რბენაში. დიდი ინტერესი გამოიწვია თავისუფალ კიდაობაში ასპარეზობამ. საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებს საიადოვს, გიგიაძეს, ბალავაძეს, ენგლასსა და მეკოკიშვილს გადაეცათ ოქროს მედლები. რუნგესა და ციმაკურიძეს წილად ხვდათ ვერცხლის, ხოლო მუზაშვილს ბრინჯაოს მედალი.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ვახტანგ ბალავაძის გამოსვლა, რამდენადაც ეს მისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. მან ზედიზედ დაამარცხა ძლიერი მოჭიდავეები: რუმინელი მორეშანი, უნგრელი კენდი, ფინი სალონენი, ირანელი სურუსი, ბულგარელი სტანჩევი. მეტად საინტერესო იყო ვ. ბალავაძის შეხვედრა ამ უკანასკნელთან. როდესაც სტანჩევმა მოულოდნელი გვერდითი სარტყელით ხალიჩას მოგლიჯა ბალავაძე და ჰაერში აიტაცა, მაყურებლებმა სული განაბეს და ელოდნენ ჩვენი მოჭიდავის დამარცხებას, მაგრამ ბალავაძემ მოულოდნელად გარესარმა გაუკეთა სტანჩევს, სწრაფად გაზნიქა წელში; წამით ორთავე მოჭიდავე ჰაერში „დაკიდებული“ აღმოჩნდა და... სტანჩევი ბექებზე დაეცა.

შესანიშნავად იჭიდავა ვ. გიგიაძემაც. ისიც პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სძლია თავის მოწინააღმდეგეს და ფინალში შეხვედა ოლიმპიურ ჩემპიონს უნგრელ ბენცეს, მოუგო მას და ჩემპიონი გახდა.

1954 წლის იანვარში სტოკჰოლმში ჩატარდა შვეციისა და საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა კიდაობაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 27:5.

ამ შედეგის გამო შვეციის გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ წერდა: „საბჭოთა და შვეციის მოჭიდავეთა შეჯიბრების საბოლოო შედეგები მოასწავებს უდიდეს დამარცხებას, რომელიც კი ოდესმე განუცდიდათ შვეციის მოჭიდავეებს“.

საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ქართველი მოჭიდავეები ცალქალამანიძე, გიგიაძე, მაისურაძე, გაბარაევი, სხირტლაძე, ბალავაძე. კარტოზია, კანდელაკი და მე-

კოკიშვილი. განსაკუთრებით ისახელეს თავი ჩვენი რესპუბლიკის მოქიდავეებმა მაისურაძემ, გაბარაევმა, სხირტლაძემ, კანდელაკმა და მეკოკიშვილმა. მაისურაძემ სუფთა გამარჯვებას მიაღწია ჰელსინკის ოლიმპიადაში მონაწილე იუჰანსონთან. გაბარაევმაც სუფთად მოუგო მსოფლიო ჩემპიონს ანდერბერგს, ხოლო მეკოკიშვილმა სძლია მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს ანდერსონს.

1954 წლის გაზაფხულზე იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდა მსოფლიო პირველობის გათამაშება თავისუფალ კიბაობაში. საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობის დიდო უმრავლესობა საქართველოს მოქიდავეებისაგან შედგებოდა.

ფინალში მონაწილეობის უფლება საბჭოთა კავშირის ექვსმა მოქიდავემ მიიღო. ესენი იყვნენ: ა. მეკოკიშვილი, ა. ენგლასი, ვ. ბალავაძე, ს. გაბარაევი, მუზაშვილი და მ. ცალქალამანიძე. ა. მეკოკიშვილი, ა. ენგლასი და ვ. ბალავაძე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ და დაჯილდოებულ იქნენ ოქროს მედლებით. ხოლო მ. ცალქალამანიძე, მუზაშვილი და ს. გაბარაევი ნებსამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

1954 წლის ივნისში თბილისს ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდი „ფორვერტსი“ და ქალაქ ბორდოს (საფრანგეთი) გუნდი „უირონდა“, რომლებიც შეხვდნენ თბილისის დინამოელებს. „ფორვერტსისა“ და „დინამოს“ გუნდების ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — ანგარიშით 4:1. „უირონდასთან“ შეხვედრაც ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 4:0. იმავე წელს თბილისს ეწვია ვარშავის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ამხანაგური შეხვედრა თბილისელ დინამოელებთან დამთავრდა მათივე გამარჯვებით (4:2).

1954 წელს ბუდაპეშტში ჩატარდა სტუდენტთა მორიგი მსოფლიო თამაშობანი, სადაც საბჭოთა კავშირის მოქიდავეებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. ოქროს. მედლებით დაჯილდოვდნენ საბჭოთა სპორტსმენები: ცალქალამანიძე, მაისურაძე, დადაშევი, სხირტლაძე, კულაევი და კანდელაკი, ხოლო მუზაშვილი და გაბარაევი მეორე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ამავე წელს სიმძიმეების აწევასა და კრივში საბჭოთა კავშირის გუნდები პირველ ადგილებზე გამოვიდნენ. სიმძიმეების აწევაში ხ. ხანუკაშვილი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა გუნდში საქართველოს სპორტსმენი გ. დარბაისელი იმყოფებოდა; მან თავის წონაში მეორე ადგილი მოიპოვა. საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა გუნდში, რომელმაც სტუდენტთა თამაშობებში მეორე ადგილი დაიკავა, მონაწილეობდნენ საქართველოში აღზრდილი სპორტსმენები პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გვახარია.

ამავე პერიოდში საქართველოს უძლიერესი კალათბურთელები გაემგზავრნენ ეგვიპტეში ამხანაგური შეჯიბრებების ჩასატარებლად. საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ეგვიპტეში ჩაატარა ხუთი ამხანაგური შეხვედრა ალექსანდრიაში, ქაიროსა და პორტსაიდში და ხუთივე დიდი ანგარიშით მოიგო.

1954 წლის ოქტომბერში ვენაში ჩატარდა მსოფლიო პირველობა სიმძიმეების აწევაში. საქართველოს ძალოსანმა რ. ჩიმიშკიანმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

1954 წლის ნოემბერში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის ეწვივნენ ბულგარეთის უძლიერესი მოჭიდავეები თავისუფალ კიდაობაში. მეგობრულ ვითარებაში ჩატარებული შეხვედრა დამთავრდა ქართველ მოჭიდავეთა გამარჯვებით — ანგარიშით 5:3.

1955 წლის იანვარში მოსკოვში ჩატარდა მეტად საინტერესო საერთაშორისო შეხვედრა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს შორის თავისუფალ კიდაობაში. ცნობილია, რომ იაპონელი მოჭიდავეები ერთ-ერთი უძლიერესთაგანი არიან მსოფლიოში, მაგრამ სსრ კავშირის მოჭიდავეებმა ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრა და მოიგეს იგი დამაჯერებელი ანგარიშით — 6:2. საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში საქართველოს მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ; მირიან ცალქალაძემ ქულებით მოუგო იაპონელ იოსიაკი ივაის. სერგო გაბარაევმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა კასახარაზე. ვახტანგ ბალავაძემ მეხუთე წუთზე ბეჭებზე დასდო კანეკო, გიორგი სხირტლაძემ ქულებით გაიმარჯვა იკედოზე, ხოლო ოთარ კანდელაკმა სუფთა გამარჯვებას მიაღწია სეკიზე.

ამის შემდეგ იაპონიის მოქიდავეთა გუნდი თბილისის ესტუმრა. პირველ წყვილში, ისევე როგორც მოსკოვში, ერთმანეთს შეხვდნენ იაპონის ჩემპიონი იოსიაკი ივაი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მ. ცალქალამანიძე. უკანასკნელმა 53 წამში ბეჭებზე დასდო იაპონელი ჩემპიონი. ს. გაბარაევმა დაამარცხა კასახარა. ვ. ბალავაძემ ქულებით მოუგო კანეკოს. დ. ციმაკურიძემ სუფთა გამარჯვებას მიაღწია კაცურამოტოსთან. შ. დაუშვილმა სუფთად გაიმარჯვა მიტუსო იკედაზე. ო. კანდელაკმა შესძლო სუფთა გამარჯვების მოპოვება ძირო სეკიზე. ამგვარად, შეხვედრა მოიგო საქართველოს მოქიდავეთა გუნდმა — ანგარიშით 6:2.

იმავე წლის თებერვალში საქართველოს კალათბურთელებმა საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს ქალთა და ვაჟთა კალათბურთელებთან. თბილისის „დინამოს“ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ ვაჟთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 59:53. მეორე შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდს ჰქონდა საქართველოს ვაჟთა ნაკრებ გუნდთან. აქაც გამარჯვება ქართველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 74:55. ქალთა გუნდებმაც ორი შეხვედრა მოაწყვეს. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ სპორტულ საზოგადოება „ნაუკასა“ და ჩეხოსლოვაკიის ქალთა ნაკრები გუნდები. მხოლოდ ერთმა ბურთმა მოუტანა უპირატესობა სტუმრებს; თამაში მოიგეს ჩეხოსლოვაკელმა კალათბურთელებმა — ანგარიშით 71:70.

მეორე შეხვედრა გაიმართა საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის. აქაც ჩეხოსლოვაკიის ქალთა გუნდმა გაიმარჯვა (60:59).

1955 წლის აპრილში დასავლეთ გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზიამ კვლავ მოიპოვა ოქროს მედალი და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება.

1956 წლის დამლევს ქ. მელბურნში ჩატარდა XVI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები, რომელშიც საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციაც მონაწილეობდა. ამჯერად ჩვენი დიადი სამშობლოს სპორტსმენებმა საგრძნობლად გაუსწრეს

ყველა ქვეყნის სპორტსმენებს, დიდი უპირატესობით ჩაპოტო-  
ვს უკან ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებიც  
და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ოლიმპიურ თამაშობებ-  
ში მათ საერთო პირველი ადგილი დაიკავეს.

მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას  
იღებდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, სადაც  
შემდეგ წარმატებებს მიაღწიეს:

ო ქ რ ო ს მ ე დ ლ ე ბ ი დ ა ი მ ს ა ხ უ რ ე ს: 1. გივი კარ-  
ტოზიამ (კლასიკურ ჭიდაობაში), 2. მირიან ცალქალაშანიძემ  
(თავისუფალ ჭიდაობაში).

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს მ ე დ ლ ე ბ ი წ ი ლ ა დ ხ ვ დ ა: გორგი  
სხირტლაძეს (თავისუფალ ჭიდაობაში), 2. ვახტანგ ბალავაძეს  
(თავისუფალ ჭიდაობაში), 3. რომან ძნელაძეს (კლასიკურ ჭი-  
დაობაში), 4. ნადეჟდა დვალისვილს (მძლეოსნობაში), 5. ბო-  
რის ნიკიტინს (ცურვაში), 6. ნოდარ გვახარიას (წყალბურთში).

მომდევნო 1957 და 1958 წლებში საქართველოს სპორტსმე-  
ნებს არაერთი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ უცხოელ  
სპორტსმენებთან და თავიანთი ბრწყინვალე გამოსვლებით  
მრავალჯერ ასახელეს ჩვენი რესპუბლიკა. მრავალჯერის მსო-  
ფლიო ჩემპიონები გახდნენ განთქმული ფალანგები გივი კარ-  
ტოზია და ვახტანგ ბალავაძე. 1958 წელს მსოფლიო ჩემპიონი  
გახდა რ. აბაშიძე. ამავე წელს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპო-  
ვეს საქართველოს მოჭიდავეებმა კლასიკურ ჭიდაობაში შეე-  
დებზე, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან მსოფლიოში  
უძლიერეს მოჭიდავეებად. ასევე, 1958 წელს ქართველმა მოკ-  
რივეებმა გაიმარჯვეს ირანელ მოკრივეებთან შეხვედრაში და  
სხვ.

\* \* \*

საქართველოს სპორტსმენები დღეს საბჭოთა ფიზკულტუ-  
რული მოძრაობის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენენ. მშობ-  
ლიური კომუნისტური პარტიისადმი ისინი გამსჭვალულნი  
არიან დიდი სიყვარულითა და ერთგულებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ  
მზრუნველობას საქართველოს სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის  
სპორტსმენებთან ერთად უპასუხებენ ახალ-ახალი წარმატებე-  
ბით და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ასახელონ სა-  
ყვარელი დედა-სამშობლო.



შ ი ნ ა ა რ ს ი

თ ა ვ ო	I. ფიზიკური კულტურა ძველ საქართველოში	3
	§ 1. ფიზიკური კულტურა საქართველოში ბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანაში	3
	§ 2. ფიზიკური კულტურა ანტიკური ხანის საქართველოში	7
თ ა ვ ო	II. ფიზიკური აღზრდა ფეოდალურ საქართველოში	29
	§ 1. ფიზიკური კულტურა აღრეულ-ფეოდალური და ფეოდალიზმის გამარჯვების პერიოდში	29
	§ 2. ფიზიკური კულტურა საქართველოში XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნემდე	47
	ა) ფიზიკური კულტურა მონღოლთა ბატონობისა და თემურლენგის შემოსევების პერიოდში (1235—1403 წწ.)	47
	ბ) ფიზიკური კულტურის განვითარება XVI—XVII საუკუნეებში	49
	§ 3. ფიზიკური კულტურა XVIII საუკუნეში	63
თ ა ვ ო	III. ფიზიკური კულტურა რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1801—1921 წწ).	69
	§ 1. ფიზიკური კულტურა XIX საუკუნეში	69
	§ 2. ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში	89
	§ 3. სპორტული ტანვარჯიშული მოძრაობის განვითარება XIX საუკუნის დამლევებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე	104
თ ა ვ ო	IV. ფიზიკური კულტურა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში	116
	§ 1. ფიზიკური კულტურა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების, სოციალისტური მშენებლობის დასაწყისის და სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში (1921—1929 წწ.)	116
	§ 2. ფიზიკური კულტურა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის წლებში (1930—1941 წწ.)	128

§ 3. ფიზიკური კულტურა დიდი სამანულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.)	141
§ 4. ფიზიკური კულტურა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პერიოდში (1946—1958 წწ.)	154
1. საქართველოს სპორტსმენთა მიღწევები ომის შემდგომ პერიოდში	182
2. საქართველოს სპორტსმენთა საერთაშორისო შეხვედრები	193
შინაარსი	210



Михаил Анфимович Горгадзе  
Очерки по истории физической  
культуры Грузии  
(На грузинском языке)

Государственное издательство  
«Сабчота Сакартвелო»

Тბილისი  
1959

რედაქტორი პ. დარსაძე  
მხატვარი ს. შოტაველი  
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე  
კორექტორები: პ. დელეუყვა, ნ. გოგხაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-59 წ. ქალაქ-  
დის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. სააღრიც.-საგამომცემ-  
ლო თაბახი 9,8, ნაბეჭდი თაბახი 11,07, საუტო-  
რო თაბახი 9,4. ტირაჟი 3000.  
უე 06693. შეკ. № 5287  
ფასი 6 მან. 40 კაპ.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს შთავარპო-  
ლიგრაფგამომცემლობის ქუთაისის სტამბა.  
ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. № 9.

Кутаисская типография Глапполиграфиздата  
Министерства культуры Груз. ССР,  
Кутаиси, ул. Палиашвили, № 9.